ყოველკვირეული

# ალია

N24/752/ 13 - 19 ივნისი 2016 წ ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან


## ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ დასცინეს ქართველ ხალხს და ამის პასუხს ოქტომბერში მიიღებენ

**რატომ არ მიდის „ალია“ ივანიშვილთან შეხვედრაზე?**



16

## რა გაგრძელება მოჰყვა ალეკო ელისაშვილისა და სოსო მანჯავიძის ჩხუბს ეთერსმიღმა?

**სოსო მანჯავიძე: „მე ასეთ ადამიანებს დავარქმევ „ადამიანი-კანალიზაციები“!“**

**ირმა ინაშვილი: „სოსო მანჯავიძე, მაგ გველის ენას ამოგგლეჯ!“**



23

## „ალია“: „ე.ი დავსაქმდით, აგვშენდით, ოცნებები აგვიხდა და ვერ ვხვდებით, ხოო?“



**„ოცნება“ — ნიჟნიანიძე: „ირონიულად მელაპარაკებით, ოცნება აგვიხდაო, ხომ? ოცნება აგიხდათ სწორედაც! სამშობლო გადაგირჩინათ ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ და ნუ ქილიკობთ!“**

11

## ბევრს კი ისიც არ ახსოვს, თავად ქიბარ ხალვაში, ძლევამოსილი ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარი, როგორ გახდა „რუსთავი 2“-ის მეპატრონე!



9

## აბა, შენ იცი, „ოცნება“! ოთარ კობერიძისა და „ფრესკოს“ შემდეგ იქნებ კეზერაშვილსაც აუხდინო ოცნება!!!



**გიორგი ბრეგვაძე: „თავად ის ფაქტი, რომ კეზერაშვილი ბედავს და „ალიას“ სასამართლოში უჩივის, ამ საქმეს კი საქალაქო სასამართლო იხილავს, უკვე უსამართლობა და სასამართლო ხელისუფლების დანაშაულია“**

13

## ჭყონდიდის ეპარქიის წინამძღვარი მეუფე პეტრე დუმილს არღვევს და „ალიას“ მრისხანებით პასუხობს!

**კონკრეტული ფაქტები და დოკუმენტები — როგორ იტაცებს მოსახლეობის კუთვნილ მიწებს მეუფე პეტრე!**

**რას აპირებს „ალიაში“ გამოქვეყნებული მასალების შემდეგ საპატრიარქო?!**



# 14 ივნისს გავიგებთ, დაამარცხებს თუ არა ივანე მერაბიშვილი საქართველოს



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 14 ივნისს გამოაქვეყნებს გადაწყვეტილებას საქმეზე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.

ამის თაობაზე ინფორმაციას სტრასბურგის სასამართლო ავრცელებს.

საქმე ეხება საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის საჩივარს მის წინააღმდეგ აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ვანო მერაბიშვილი, რომელსაც 2012 წელს ხელისუფლების შეცვლამდე პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა, მანამდე კი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, 2013 წლის 21 მაისს დააკავეს. მას ბრალი სამი მუხლით წაუყენეს - ამომრჩევლების მოსყიდვა, სხვისი ქონების მითვისება და თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. თბილისის საქალაქო სასამართლომ მერაბიშვილს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა 22 მაისს შეუფარდა. 25 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მერაბიშვილის საჩივარი აღკვეთის ღონისძიების ფორმის შეცვლაზე და იგი ძალაში დატოვა.

ვანო მერაბიშვილის მოგვიანებით კიდევ რამდენიმე მუხლით წარუდგინეს ბრალი.

2014 წლის თებერვალში ქუთაისის სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო სხვისი ქონების უკანონოდ მითვისებასა და ამომრჩევლის მოსყიდვის საქმეში და 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

გარდა ამისა 2014 წლის თებერვალში თბილისის სასამართლომ 2011 წლის 26 მაისს საქმეზე მას პატიმრობა მიუსაჯა 4 წლით და 6 თვის ვადით.

ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეა, რომლებზეც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ჯერ არ მიუღია.

მერაბიშვილი საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 თავის რამდენიმე პუნქტის და მე-18 მუხლების დარღვევაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ 2013 წლის 22 მაისს მიღებული გადაწყვეტილება აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდებაზე ეფუძნება გაუგებარ სამართლებრივ წესს. ვანო მერაბიშვილი მის დაპატიმრებას პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ხელისუფლებამ ამ გზით ის, როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, ჩამოაშორა პოლიტიკურ პროცესებს და შესაძლებლობა არ მისცა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიეღო. (netgazeti.ge)

● **უფლებები დამირღვიესო, ამბობს ადამიანი, რომელსაც „ორი ტრუპი“ უნდოდა, თუმცა „კაკ მინიმუმ“ ორჯერ და ოცჯერ მეტი „ტრუპია“ მის კისერზე...**

**აბა, რა უნდა ვქნათ, როცა ისიც კი ვერ მოახერხა „ქართულმა ოცნებამ“, რომ რაც ხელისგულზე ჰქონდა, ის საქმეები მაინც მიეყვანა ბოლომდე და კითხვის ნიშნები არ დაეტოვებინა. არ მიეცია უფლება ივანე მერაბიშვილისთვის, ამდენი ელაპარაკა, არ ჰქონოდა „ნაცმოძრაობას“ იმის შესაძლებლობა, ამდენი წლის შემდეგ კი თითი ექნია საზოგადოებისთვის.**

# ესენი კიდევ არ გადაშენებულან?!




ორი „კანონიერი ქურდი“ ლაშა ბარათელი (ჭია) და სერგო ცოცხალიშვილი (ზურა კახეტინეცი), რომლებიც სანკტ-პეტერბურგში გამართულმა „ქურდების სხოდკამ“ სტატუსგარეშე დატოვა, კვლავ აგრძელებენ მცდელობას, დაკარგული ტიტულები დაიბრუნონ. მიუხედავად „პიტერელთა ძველი გვარდიის“ მხარდაჭერისა, მათი მცდელობა ჯერჯერობით უშედეგოა.

როგორც ცნობილი გახდა, 8 ივნისს პეტერბურგში ქურდების მორიგი „სხოდკა“ გაიმართა, რომელშიც საჩინო გეგეჭკორი, თემურ დათუნაშვილი, გია მამფორია და ლაშა დოლონაძე მონაწილეობდნენ. გეგმა ასეთი იყო, რომ ჭიასა და ზურას საკითხი ჩუმად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე დადებითად გადაწყვეტილიყო და ისინი კვლავ „ქურდებად“ ჩაეთვალათ.

მიუხედავად იმისა, რომ „სტაჟიანი ქურდების“ ავტორიტეტი ძალიან მაღალია, მათი მცდელობა კვლავ ჩავარდა 26 წლის ნოდო შუკაკიძის პროტესტის გამო, რომელსაც „მთავარმა ოფისმაც“ დაუჭირა მხარი. მოსკოვიდან გააგებინეს, რომ ჭიასა და ზურას საკითხი ასე ერთი ხელის მოსმით და ერთი „სხოდკის“ მიერ ვერ გადაწყდება. (ნიუპოსტი)

● **21-ე საუკუნეში ისევ „კანონიერი ქურდები“, ისევ „სხოდკები“ და რაღაც სტატუსებზე ლაპარაკი?! სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს და უფრო მეტად სატირალია ის, რომ ცხოვრების ეს ყოვლად უაზრო წესი საქართველოში კვლავაც პოპულარულია.**

# „სრულიად შესაძლებელია, ბაგები-წყნეთის გზაზე მეწყერი ჩამოწვეს“



„მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელ ნინო ჩხობაძის განცხადებით, წვიმიანი ამინდის გაგრძელების შემთხვევაში, შესაძლოა, ბაგები-წყნეთის გზაზე მეწყერი კვლავ ჩამოწვეს.

ჩხობაძე იმედოვნებს, რომ განსხვავებით 2015 წლის 13 ივნისის სტიქიისა, მეწყერის ჩამოწოლის შემთხვევაში, ვერეს ხეობა უფრო გამტარუნარიანი იქნება, რადგან სპეციალისტების მიერ შესაბამისი სამუშაოები ტარდება.

– იმ მეწყერმა, რომელიც 13 ივნისს განვითარდა, გამოაჩინა, რომ დაახლოებით 50-მდე მეწყრული ზონა გაიხსნა ბაგები-წყნეთის მონაკვეთზე. ძლიერი წვიმები იყო და სრულიად შესაძლებელია, თუ კიდევ გაგრძელდა წვიმები და მიწა გაიჟღინთა, მეწყერი ჩამოვიდეს. თან, 13 ივნისის მეწყერი ბოლომდე არ იყო ჩამოწოლილი და გაჭედილი იყო სადღაც შუაში. რაც შეეხება მდინარე ვერეს დაგუბებას, ნაწილობრივ უნდა გამოირიცხოს, რადგან დიდი ხანია ვერეს ხეობის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს და იმედი მაქვს, რომ გამტარიანობა გაზრდილი იქნება, - განაცხადა ჩხობაძემ. (daijesti.pia.ge)

# ქართული მართლმადიდებელი ეკლესია საბერძნეთში, წმინდა კრებაში მონაწილეობას არ მიიღებს



ქართული მართლმადიდებელი ეკლესია საბერძნეთში წმინდა კრებაში მონაწილეობას არ აპირებს. გადაწყვეტილება საპატრიარქოში გამართულ სინოდის სხდომაზე მიიღეს. ერთ-ერთ მიზეზად ის ფუნდამენტური საკითხები სახელდება, რომელსაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ ითვალისწინებს.

მართლმადიდებელი ეკლესიების წმინდა და დიდი კრება კუნძულ კრეტაზე 16-27 ივნისს უნდა გაიმართოს. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ხალვაში ბურჭულაძეს: მაღაზიებში დატოვებული იავნანას დახმარების ყუთებიდან ფულის ინკასაცია არ დაგავიწყდეთ



ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში პაატა ბურჭულაძის იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომელიც „სახელმწიფო ხალხისთვის“ დამფუძნებელმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გააკეთა.

– არიქა, ჩვენზე და დემოკრატიაზე ზრუნვაში მაღაზიებში დატოვებული „იავნანას" დახმარების ყუთებიდან ფულის ინკასაცია არ დაგავიწყდეთ. ის ღლონტი წაიყვანეთ პარტიაში, საწყალი, უპატრონოა სულ. არადა, ენერგიით არის აღსავსე. არც ერთი სასამართლო არ გამოტოვა. კოალიცია!!! — წერს ხალვაში სოციალურ ქსელში.

პაატა ბურჭულაძის განცხადებით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისთვის ბრძოლა უნდა გაგრძელდეს. (kvira.ge)

● **როგორ ხელის ერთი მოსმით შეუძლიათ ადამიანების ოპონენტის განადგურება! არა, პაატა ბურჭულაძის ადვოკატობას არავინ აპირებს, მაგრამ რა მომენტია, ახლავე გეტყვით — თუ რამე ისეთი იცი კონკრეტულ ადამიანზე, ვთქვათ, კანონს არღვევს, იპარავს, კლავს, მამაძაღლობს, რატომ არ ამბობ თავის დროზე და რატომ ამბობ მაშინ, როცა პირადად შენ შეგეხება?!**

**გადასარევადაა ნათქვამი - „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო“, ფეხებზე ჰკიდიათ გარშემომყოფები, მთავარია, თავად იყვნენ კარგად და თუ გაბედე და ისეთი რამე თქვი, რაც არ მოეწონებათ, აი, მაშინ კი ძვირად დაგიჯდება ხმის ამოღება.**

# მიწისქვეშა გადასასვლელებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განკუთვნილი ლიფტები არ მუშაობს



მიწისქვეშა გადასასვლელებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განკუთვნილი ლიფტები არ მუშაობს. ვიდეოსიუჟეტს სოციალურ ქსელში „რეალური სივრცე" ავრცელებს.

– 150 000 ლარი დაიხარჯა ამ ლიფტების დამზადებასა და დამონტაჟებაში 2014 წელს. არ მუშაობს უკვე თითქმის ერთი წელია. ვაკის პარკთან მცხოვრებლები ამბობენ, რომ ლიფტი დამონტაჟების შემდეგ არ ჩართულა.

მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭოს აღმასრულებელი მდივანი რატი იონათამიშვილი ამბობს, რომ ლიფტები მოქალაქეებმა გააფუჭეს და ამას ვანდალიზმად აფასებს.

რეალური სივრცის მთავარი კითხვაა, ვის ევალება იმის შემოწმება, მუშაობს თუ არა ლიფტები და რატომ ვერ მოხერხდა მათი შეკეთება და ამუშავება 8 თვის განმავლობაში, - წერია ვიდეოს აღწერაში. (news.ge)

● **ჰმ, რა საჭიროა, მუშაობდეს, მთავარია, 150 ათასი ლარი ხომ დაიხარჯა?!**

**ისე, როცა საჭირო იქნება, ვთქვათ, უცხოელებს წაიყვანენ ექსკურსიაზე მერიის ჩინოსნები, აი, მაშინ კი ნაღდად ჩართავენ და თავს მოიწონებენ — დახეთ, როგორ ვზრუნავთ შშმ პირებზეო.**

**სააკაშვილის ფასადურ აღმშენებლობას ვაგინებდით და აგერ, რა შედეგიც მივიღეთ ხელისუფლების შეცვლით.**



**სიმონ მასხარაშვილი:**

მეგობრებო, ცდებით თუ გგონიათ, რომ რომელიმე ერი ჩვენზე უკეთესია. ბევრს ჩვენზე უარესი მთავრობა ჰყავს, მაგრამ ჩვენზე უკეთესად ცხოვრობს. ერთადერთი ცოდვა, რომელიც გამოსასყიდი გვაქვს ზვიადის დამხობა და ძმათამკვლელი ომია, მაგრამ მსგავსი რამ იტალიელებმაც, ბერძნებმაც, ფრანგებმაც, ინგლისელებმაც, ესპანელებმაც და ამერიკელებმაც გადაიტანეს და არ დაღუპულან. მთავარია, სასო არ წავიკვეთოთ, შენდობა ვთხოვოთ ერთმანეთს და ერთმანეთს შევუნდოთ. ძმისა და უფლის მიმართ სიყვარული ვამრავლოთ გულში და ვიწამოთ, რომ უფლის შეწევნით და ერთობით გამარჯვება შეგვიძლია. არც ერთი უცხოტომელისა თუ ქვეყნის წინაშე არ მოვიხაროთ ქედი და ძალიან მალე ძლევამოსილი შეიქმნება საქართველო!!!



**კობა სუბელიანი:**

სასწრაფო სამედიცინო მომსახურება მოკვდა. აღარ არსებობს ქვეყანაში. ესეც თქვენი უფასო სასწრაფო, მავნებელი სერგეენკო, ხიდაშელი, წულუკიანის რეფორმა. უფასო გახადეს თავიანთი მოკლე ჭკუით. „აღმოაჩინეს" ველოსიპედი და უხაროდათ. დედა რა გვეშველება ამათ ხელში.

ერთი საათი ელოდნენ და ბოლოს დარეკეს და რა ვქნათ ვერ მოვდივართ სხვა ღონე იხმარეთო.



**რაულ ჩილაჩავა:**

**როცა სოხუმის უნივერსიტეტი თბილისშია, ხოლო დონეცკისა კიევში, ეს გეოგრაფიის აღრევას კი არა კატასტროფას ნიშნავს.**



*მიხეილ სახვაძე*
*599 93-28-03*

**აფრიკაში გერმანიის ელჩი შეჭამეს. ბუნებრივია, გერმანულმა მხარემ მაშინათვე საპროტესტო ნოტა გააშანშალა. პასუხად აფრიკელებისგან მობოდიშების დეპეშა დაბრუნდა:**

– ნუ, რა ვქნათ, ასე მოხდა... ადექით და თქვენ კიდევ ჩვენი ელჩი შეჭამეთ!..

გერმანელებისა და ზოგადად, ევროპელების გასახარად, კაციჭამიები ნამდვილად არ ვართ და ყველაფრის მიუხედავად, არც ჩვენი ელჩების გამეტება ღირს ასე მწარედ, მაგრამ რა არის, თუ იცით? აი, ამდენ უნამუსობას რომ ხედავ, მთლად კაციჭამია არ და ვერ გახდები, მაგრამ შეკურთხების სურვილს კი ნამდვილად ვერაფერს მოუხერხებ – ადგები, გემოზე მიაგინებ ყველას და ყველაფერს და ცოტათი მაინც მოგეშვება გულზე. ჰო, მერე კი დაიწყებენ – რუსეთუმეა, ევროპაზე აუგი როგორ ამოუშვა „საინფორმაციო ღრუდანო", მაგრამ როცა ამდენ მამაძაღლობას ხედავ, როგორ გინდა, თავი მოთოკო?! რაც მთავარია – რუსეთუმეები და „პუწინისტები" თავისკენ მოიკითხოს ყველამ, ვისაც არ შეუძლია, ჯანსაღი კრიტიკა სწორად აღიქვას.

**მოკლედ, ერთად გადავხედოთ და შევაფასოთ გასული კვირის ამბები და თუ რამე უცენზურო სიტყვების ხასიათზე დადგებით, ისევ ევროპელ და აქაურ პოლიტიკოსებს დააბრალეთ, მე პირადად ხელები დამიბანია!**

## მიზეზ, მიზეზ — დოს მარილი აკლიაო!

ბუნებრივია, გასული კვირის ერთ-ერთი ყველაზე ცხელი ამბავი ევროპაში ქართველებისთვის უვიზო რეჟიმის დაწესებაა, რომელსაც ევროკავშირმა საშველი ვერაფრით დააყენა. დასხდნენ, იმსჯელეს — არაო, კაცო, ეგენი ნამეტანი ბევრს იპარავენ და მამაძაღლობენო. ამ დროს კი თავად გერმანელებმა გამოაქვეყნეს დანაშაულებების სტატისტიკა, რომელშიც საქართველო 25 საფეხურიან „რეიტინგში" მხოლოდ 24-ე ადგილს იკავებს და თვით ევროპული ქვეყნებიც კი გვისწრებენ — არც ისინი ყოფილან ნაკლები მომპარავები.

ჰო, სახელი სამწუხაროდ, გაფუჭებული გვაქვს ქართველებს, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ სანამ ვიზალიბერალიზაციის საკითხზე დაიწყებდნენ მსჯელობას, არ იცოდნენ ეს ამბავი? იცოდნენ, კაცო, მაგის მეტი რა იციან, მაგრამ თავი ხომ უნდა მოგვიქონონ – ისაო, საქართველო ჩვენი მეგობარიაო, ყველაფერი, რაც დავავალეთ, შეასრულაო, ერთად უნდა ვიცხოვროთ, სხვა შანსი არ არსებობსო... ჰოდა, საქმე საქმეზე რომ მიდგა – ბრაწწი, დაიწყეს ბლუყუნი და როდის მოგვარდება ეს ფაჩიკოს ფოხანივით გაწელილი საკითხი, კონკრეტულ პასუხს ვერც ერთი ევროპელი ჩინოვნიკი ვერ გვცემს.

## ორიოდ სიტყვა, როგორ მოქმედებს სასულიერო პირებს შორის არსებული გაუგებრობები „ჩვეულებრივ მოკვდავებზე"

ყოველთვის ვერიდებოდი და ახლაც ვერიდები ისეთ საკითხებზე წერას, ძვირფასო მკითხველო, სადაც სასულიერო პირი ფიგურირებს და აი, რატომ: თუ მე არ და ვერ დავდივარ ტაძარში, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ვისაც ამის სურვილი აქვს, იმას მოვუწამლო გონება ან ნერვები მოვუშალო. ჰოდა, თუკი რამე არასასიამოვნო გამიგია, ყოველთვის გამიტარებია. ისედაც არ აკლია მართლმადიდებლობას მაგინებელი და სულაც არ მინდა, ვინმემ მათ რიგებში მიმათვალოს.

მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, მათ შორის, მოთმინებასაც!

ვისაც აქვს ეკლესიაში მისვლის, ლოცვის, ზიარების სურვილი, მაგრამ რაღაც მიზეზებით ამას ვერ ახერხებს, რატომ აბრკოლებთ ასეთ ადამიანებს?! რატომ ექიშპებით ერთმანეთს, რატომ ურევთ ტვინს მრევლს, რომლისთვისაც თქვენს სიტყვას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს?!

მოკლედ, სინოდმა გადაწყვიტა, რომ 16-26 ივნისისთვის დაგეგმილ დიდ და წმინდა კრებაზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მონაწილეობას არ მიიღებს და საამისოდ ბევრი მიზეზიც ჰქონია. საკითხთან დაკავშირებით კი ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა ასეთი რამ ბრძანა:

„თუ საქართველოს ეკლესია უარს იტყვის ამ შეკრებაში მონაწილეობაზე, ასეთ შემთხვევაში, რა შედეგს ველით? კრება ჩაიშლება და თავს დავაღწევთ უხერხულ მდგომარეობას? მე ასე არ მგონია; კრებაზე არწასვლით კი ჩვენ გავაძლიერებთ საზოგადოებაში ისედაც არსებულ ეჭვებს, რომ საქართველოს ეკლესია რუსეთის ეკლესიის ორბიტაზე რჩება და ამას ჩვენი ქვეყნისთვის, ეკლესიისთვის სავარაუდოდ, ექნება შესაბამისი შედეგებიც, რაც არ იქნება კარგი"...

პირდაპირი თუ ირიბი მინიშნება, რომ ქართული დელეგაციის კრებაზე არწასვლა რუსეთის ინტერესებში შედის, ძალიან რთული გადასახარშია „ჩვეულებრივი მოკვდავისთვის", პირადად ასე ვფიქრობ!..

# შევაფასოთ გასული კვირის ამბები და თუ უცენზურო სიტყვების ხასიათზე დადგებით, ევროპელ და აქაურ პოლიტიკოსებს დააბრალეთ!






## მოგენატრებითო!..

ტელეჟურნალისტებთან შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილი დაგვემუქრა – თუ ისე არ იქნება, როგორც საჭიროა, წავალ და მოგენატრებითო.

„როგორც კი ვხედავ, რომ მიუხედავად ჩემი პოზიციისა, მიუხედავად ჩემი ანალიზისა, ეს საზოგადოებამ არ გაიზიარა და არჩევნებში დაფიქსირდა აბსოლუტურად განსხვავებული შედეგი, აი, გარწმუნებთ, რომ მოგენატრებით, ველარ მნახავთ ტელევიზიით, რა".

ოქტომბრამდე რომ არ მოგვენატრებით, ბატონო ყოფილო პრემიერო, ამაში ყველა 100 პროცენტითაა დარწმუნებული, ხვალისა კიდევ ხვალემ იზრუნოს — მოსულიც ბევრი გვინახავს ამ ქვეყანაში და წასულიც, უსაზღვროდ ცუდი კი ის არის, რომ სამწუხაროდ, ამით ხალხისთვის არაფერი იცვლება!..

## რუსეთმა ევროპას საკუთარი სახე კიდევ ერთხელ დაანახა

მოგეხსენებათ, საფრანგეთში „ევრო 2016" დაიწყო და რუსეთმაც საკუთარი რეალური სახე ევროპას კიდევ ერთხელ დაანახა — ინგლისის ნაკრებთან მატჩის წინ და დასრულების შემდეგაც რუსმა გულშემატკივრებმა მარსელი ლამის მიწასთან გაასწორეს.

რას ვიზამთ, ძალა აღმართს ხნავს, ამაში ევროპელები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ და ყველაზე ცუდი ის არის, რომ აი, ასეთ ქვეყანასთან ფაქტობრივად, მარტოები ვართ დარჩენილები.



**სალომე სამადაშვილი,** 7 ივნისი:

ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქისათვის ივანიშვილის დღევანდელ გამოსვლაში ყველაზე ღრმად შეურაცმყოფელი არის მისი აშკარა განაცხადი, რომ ჩვენ, როგორც საზოგადოებას, არ გვაქვს უნარი 'სწორი ანალიზი' გავაკეთოთ. როგორც თავადვე 'ბრძენმა' გვაუწყა, მას სურდა 2030-ის სახით შეექმნა ადამიანების ჯგუფი, რომელიც აგვიხსნიდა 'სიმართლე რა არის" და 'რა არის სწორი.' ეს არ გამოუვიდა, ამიტომ ისევ თვითონ, 'მოქალაქეს' უწევს ამის გაკეთება. ამ ქოსა-ტყუილასაგან თავის გათავისუფლება, ვფიქრობ, რომ მართლაც ეროვნული ღირსების საკითხია.



**კობა სუბელიანი:**

ეს ალასანია ჩვეულებრივი ქოცია, რაც ქვეყანას ჭირს იმ ყველაფერზე პასუხისმგებლობა მასაც ეკისრება. რუს ოლიგარქს რომ შეეკვრები თანამდებობის გულისთვის, მერე უნდა იქონიო ნამუსი და ჩუმად იყო იმ კონტექსტში მაინც, რომ ნაციონალებს არ წამებდე ცილს.



**ნინო ჯანგირაშვილი:**

**კავკასია რუსთავი ორს დაემსგავსაო და შარში ვართ?**

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## აი, ეს არის ევროპის ჩანაფიქრი — უვიზო რეჟიმს მოგვცემენ და მერე ისევ გაგვიუქმებენ!



– უვიზო რეჟიმს ალბათ, მივიღებთ მაშინ, როდესაც უვიზო რეჟიმის გაუქმების მარტივ მექანიზმს დაამტკიცებენ, - ამის შესახებ იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი აცხადებს.

მისი თქმით, ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრები ბუნებრივია, დიდ ყურადღებას აქცევენ საკუთარ ქვეყანაში კრიმინალთან ბრძოლას და ამიტომ მათ სჭირდებათ უვიზო რეჟიმის გაუქმების მარტივი მექნიზმი, რათა უვიზო რეჟიმი დაწესდეს.

მინისტრის აზრით, სწორედ ამ ქვეყნების წარმომადგენლები ერთ-ერთ მიზეზად იმას ასახელებენ, რომ საქართველოს მოქალაქეები მათ ქვეყნებში საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხეს ქმნიან.

– ძალიან დიდი საფუძველი არსებობს, რომ უვიზო რეჟიმი მივიღოთ, მაგრამ ალბათ, ეს მოხდება მას შემდეგ, რაც უვიზო რეჟიმის გაუქმების მარტივ მექანიზმს დაამტკიცებენ, რადგან ის შიშები, რაც ზოგიერთ საზოგადოებრივ აზრში არსებობს ევროკავშირის ქვეყნებში, მოხსნილი იქნას, - განაცხადა თეა წულუკიანმა. (2030.news)

● **მარტივად გასაშიფრია ევროპელების ჩუმი ჩათ...ხური ჩანაფიქრი — ალბათ, მოგვცემენ ცოტა ხანში უვიზო რეჟიმს, ოღონდაც ისე, რომ ზურგს გაუქმების საშუალებაც უმაგრებდეთ. ჰოდა, სულ რამდენიმე დღეში ისევ გააუქმებენ და თავს იოლად გაიმართლებენ — აი, კი არ გვინდოდა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ქართველ კრიმინალებს ვეღარ ვერევით, ჩვენიც ხომ გესმითო...**

ფაქტი... ახალი... მოვლენა...

## დავით ნარმანია: 13 ივნისის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებზე 90 მილიონ ლარამდეა დახარჯული



თბილისის მერის განცხადებით, ამ ეტაპზე 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებზე 90 მილიონ ლარამდეა დახარჯული. როგორც თბილისის მერმა თბილისის ზოოპარკში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების დათვალიერებისას განაცხადა, ინფრასტრუქტურული სამუშაობის გაგრძელება მომავალშიც იგეგმება.

– ამ ეტაპზე 90 მილიონ ლარამდეა დახარჯული, როგორც ფიზიკური პირების ზიანის ანაზღაურებისთვის, ასევე, დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის. ცალკეული ინფრასტრუქტურული სამუშაოები მომავალშიც გაგრძელდება. ეს იქნება, ძირითადად, წყნეთი-სამადლოს გზაზე, ამიტომ დაახლოებით 100 მილიონი ლარი იქნება, ჯამში, ის ზარალი, რომელიც ჩვენ სტიქიის შედეგად მივიღეთ, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერის თქმით, თითოეული ადამიანი, რომელსაც დადგენილი წესის მიხედვით ეკუთვნოდა ბინა ან სახლის რეაბილიტაცია, ყველა დაკმაყოფილებულია, თუმცა იმ ოჯახებს, რომელთაც ნორმებზე მეტი მოთხოვნები ჰქონდათ, თბილისის მერია ვერ დაეხმარება.

– არის რამდენიმე ოჯახი, რომლებიც სამართლებრივ პროცედურებს გადიან და მათი მოგვარების შემდეგ დაკმაყოფილდებიან, თუმცა არიან ადამიანები, რომლებსაც იმაზე მეტი ამბიციები და მოთხოვნები აქვთ, ვიდრე დადგენილი წესი და ნორმაა. ამიტომაც მათ სამწუხაროდ, ვერ ვეხმარებით, მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ — ძალიან ბევრი გაკეთდა, 26 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა იმისათვის, რომ ფიზიკური და იურიდიული პირების ზიანი ანაზღაურებული ყოფილიყო, — განაცხადა დავით ნარმანიამ. (kvira.ge)

# ფესვებიდან წამოსული ღაღადი

აი, რას გვიყვება ერთ-ერთი კლინიკის მთავარი ექიმი თ. ნაცვლიშვილი: ნუგზარ თაბუნიძე, „ოქროს ხელი“, რომელიც შველის უამრავ გაჭირვებულ, დაავადებულ ხალხს, სულსა და გულს, მდიდარ ცოდნას აქსოვს ავადმყოფთა მკურნალობაში. ის მოკლე ხანში აღწევს შედეგებს, რომლის შედარება არ შეიძლება ყველა იმ მეთოდთან, რომლებიც აქამდე იხმარება სამედიცინო პრაქტიკაში, როგორც მედიკამენტოზური, ისე ფიზიო-ბალნეო, მექანო-თერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა და სხვა.

მე პირადად სისტემატურად ვიტარებდი მკურნალობას ყველა ამ მეთოდით, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მივაღწიე.

ნუგზარ თაბუნაძესთან მხოლოდ მკურნალობის ერთი კურსის ჩატარების შემდეგ ვიგრძენი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მომეხსნა ტკივილები წელისა და ფეხის არეში, გამითავისუფლდა მოძრაობა მუხლის სახსარში, სადაც მქონდა გონართროზი. დიდ მადლობას ვუხდი ნუგზარს ამ კეთილშობილურ საქმეში. მე დავრწმუნდი და ჩემი თვალით ვნახე, როგორ ამარცხებს: პროთრეზიას, დისკოპათიას, პროლაფს, ნერვის ანთებას, სინდრომებსა და სხვა.

პაციენტი: ზაურ სიგუ – პაჭკორიები, თურმანიძეები, გავიცანი ნუგზარ თაბუნიძე, მათში გადმონერგილი გენეტიკური თვისება – ჯადოსნური მკურნალობისა, რომელსაც ფლობდნენ მოსინიკები, მესხები, თუბარელები, შემდგომში კოლხები, დღესაც ცოცხლობს.

გარკვეულ წილად არ მიყვარს, არც კი მჯერა ნემსის, ლანცეტის, სკალპელის, ფარმაკოქიმიის.

კაცობრიობა, განვითარების უმაღლეს საფეხურზე მყოფი, კვლავ უბრუნდება საწყისს, ეს დიალექტიკურია. რა ბედნიერი ხარ, ბატონო ნუგზარ, რომ სათავეში დგახართ. თქვენ ჯადოსნური ინფორმაციის შენახვა, დაცვა და გამყარება გევალებათ, ერისთვის ეს უდიდესი მისიაა.

ნემსი, ლანცეტი, სკალპელი, ფარმაკოქიმია, ჩვენი ცდომილების უდაბლესი დონის შედეგია.

ვაი ჩვენ, ჩვენო თავო, რომ ასეთ კაცს არ აქვს პირობები და ხელშეწყობა, ისევ ჩვენს საკეთილდღეოდ. მკურნალობის მე-7 დღე, წელისა და ფეხის ტკივილი გაქრა. რაც მე ვიგრძენი, არ არის ფანატიზმი, დუალიზმი, ესაა იდეის, სულის მატერიალიზაცია.

მკურნალობის საიდუმლოების ეფექტურობის ყველაზე აშკარა ნიშანი ისაა, რომ არ დარჩენილა ძველი თუ ახალი თაობის, მთავრობის, პარლამენტის, სასულიერო ფენის ხელმძღვანელი თუ რიგითი პირი, რომ არ ემკურნალა. მკურნალობენ მოხუცები, ახალგაზრდები, ქალები, ბავშვები, მამაკაცები, მწერლები, კომპოზიტორები, სპორტსმენები – მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები. მკურნალობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებმაც მოიარეს მრავალი მოწინავე, განვითარებული ქვეყნები და რომ ვერ ეშველათ, შემდეგ მიდიან ნუგზარ თაბუნიძისგან მადლიერნი, უფლის ნებით და მადლით განკურნებულნი.



მიწვევა აქვს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, მაგრამ არ მიდის. ამბობს: „ჩემი აქ ყოფნა განგებამ ისურვა და გამდიდრებისთვის და განდიდებისთვის არ გავჩენილვარ, აქ უნდა ვემსახურო ჩემს ხალხსო“.

ნუგზარ თაბუნიძე, როგორც უფროსი ვაჟი, მარტო ფლობს მკურნალობის საიდუმლოებას და ასევე ფლობს თამარ მეფის გარდაცვალების, წაბრძანებისა და დაბრძანების ადგილსამყოფელს. ამბობს, რომ სულ ცოტა დარჩა და ალბათ გამოაქვეყნებს და იტყვის ამ საიდუმლო ადგილსამყოფელსაც, სადაც თამარ მეფის საფლავია.

დღეს საქართველოში სხვადასხვა ადგილას შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ვითომ ვითომ მკურნალობენ ნუგზარ თაბუნიძის სამკურნალწამლო საშუალებებით, იყენებენ გამახურებელ, შხამიან მცენარეებს და ძირებს, ატყუებენ ადამიანებს, აი, ეს არის თაბუნიძის მალამოო, მაგრამ შხამიანი მცენარე სხვაა და სამკურნალო სხვაა. ბევრი ბუზი ბზუის, მაგრამ თაფლს მხოლოდ ფუტკარი აკეთებს.

სიტყვა „თაბუნი“ – დიდი ქართველი ლექსიკოგრაფის, ივანე ჯავახიშვილისა და სულხან-საბა ორბელიანის, ძველი თბილისისა და საერთო ქართულ სიძველეთა მკვლევარი-პოეტი იოსებ გრიშაშვილის განმარტებით, არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს „თაბუნი, ნახეთ აქიმი“. ამრიგად „აქიმი“, იგივე „ექიმი“, ყოფილა, საექიმო მიმდევრობა და სააქიმო პროფესია, რომელიც გვარითა და მემკვიდრეობით გადადიოდა ჟამიდან ჟამამდე და თაობიდან თაობაში მარტო უფროს ვაჟზე, ჯერ კიდევ წინარე ქრისტიანულ ცივილიზაციაში. ასულზე, და-ძმებზე, ნათესავებზე არ გადადის.

თაბუნიძეებში ცოცხლად დაცული ტრადიცია მათი მესხური ვინაობისა მოგვითხრობს, რომ სამკურნალო ცოდნა ძველი მესხური ხალხური ცოდნაა და სრულად შესაძლებელია, უფრო ძველი ფორმა ამავე გვარისა მაშინ ჩამოყალიბდა თაბუნიძეებად, როდესაც საქართველოში სიტყვა „ექიმი“ და „თაბუნი“ შემოვიდა და დამკვიდრდა პრაქტიკაში, თორემ მედეას ქვეყანა და მესხური მედიცინა, ბუნებრივია, არ დაელოდებოდა არაბებს, მკურნალობისა და ავადმყოფობის აღსანიშნავად საკუთარი სიტყვა და საკუთარი ლექსიკური ასახვა შეემუშავებინა.

აქ, ბუნებრივია, უძველეს კოლხურ მედიცინასთან ერთად უფრო უძველეს, მესხური მედიცინის რეალობასთან გვაქვს საქმე. მესხური მედიცინა, რომელიც შესაძლებელია, გავაცნობიეროთ, როგორც უძველესი ქართული ცივილიზაციის ორგანული ნაწილი.

მესხური მედიცინა, ანუ ქართველი წინაპართა და მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიისთვისაც იმ მოდგმის მედიცინაა და ცივილიზაციაა საერთოდ, რომლებიც უკვე ბიბლიაში მოიხსენიებიან „მესხებად“. თავისი ტრანსკრიფციული სახესხვაობით, ჯერ კიდევ მოკლებულია სინათლეს, მოკლებულია მესხურ-კოლხურ ერთიანი ცივილიზაციის გაგებას, რომელშიც კვლევითა და შემეცნებით სწორედ „მესხური“ გვევლინება. უფრო ძველად მესხურ-კოლხური ერთიანი ცივილიზაციის უძველესი ეკვივალენტი, სწორედ „მოსხური მაგია“, ანუ მცირეაზიური მოსხური წრის საიდუმლო ხელდასხმა, ნიშნავს ქრისტეს წინარე მეექვსე საუკუნისთვის უმაღლეს ზიარებას. იმ საიდუმლო ცოდნას, რომელიც სამყაროს უნივერსალურ შემეცნებას მედიცინასთან ამთლიანებს. ამიტომ ქართველთა წინაპარი – მოსხური ტომები, რომლებიც განსახლებულნი არიან ტიგროსისა და ევფრატის სათავეებამდე და ტრაპიზონამდე ტაოკლარჯეთის ჩათვლით, ძველი კოლხეთის საიდუმლო, ვარსკვლავთმრიცხველურ და გრძნეულ ცოდნასთან ერთად ქმნიან მოსხურ ვარსკვლავთმრიცხველურსა და გრძნეულ ცოდნასაც.

ასე გადაიქცა მოსხურ-კოლხური სიბრძნის მეტყველებაც და მედიცინაც დიდი დასავლეთის საზრდოდ და საფუძვლად. ასე დარჩა გაფანტული მისი ნამსხვრევები მესხთა და კოლხთა საგვარეულო შთამომავლობაში, მედიცინის სახით. ერთ-ერთი წარმომადგენელი ამ მემკვიდრეობისა, ნუგზარ თაბუნიძის მოდგმა გახლავთ.

სწორედ მისი მალამოა, თაბუნიძეთა მალამო – ერთადერთი. სხვები, ახლობლები თუ შორებლები მას ვერ დაამზადებენ და ტყუილად იბრალებენ.

რაც შეეხება წმინდა ისტორიულ-მეცნიერულ გაგებას, პავლე ინგოროყვა დასკვნის სახით გვაწვდის ფორმულირებას ბაგრატიონთა ისტორიული წარმომავლობისას მესხეთის მხარეებიდან: „კლარჯეთის სახლიდან“ ისინი მანამ, სანამ სამეფო ტახტზე პრეტენზიის გამოცხადებასთან მივიდოდნენ, გვევლინებიან როგორც „პიტიახშები“, ანუ მმართველი მთავრები მესხეთის მხარეებისა და არიან ნათესავნი საქართველოს სამეფოს ფარნავაზიანთა დინასტიისა, სწორედ ბაგრატიონთა მეფეების ექიმები იყვნენ თაბუნიძეები – ლ. მროველი ომებშიც ერთ გუნდად შეკრულნი გვერდში ედგნენ მეფის ამალას, სადაც იძენდნენ უამრავ ამხანაგსა და მეგობარს.

**დღეს ნუგზარ თაბუნიძე, მათი უშუალო სამკურნალწამლო საშუალებების გამგრძელებელი, უკვე 50 წელზე მეტია თბილისში ცხოვრობს, ვაკეში, წყნეთის ქუჩაზე, მე-3 კორპუსში. ტელ: 599 22 11 66 და მკურნალობს ოპერაციის გარეშე ოსტეოქონდროზს, ართრიტებს, ნერვის ანთებას, პროტრეზიას, ხერხემლის თიაქარს, პროლაფს, რადიკულიტს, სახსრებისა და ხერხემლის დაავადებებს.**

## თბილისში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს




ჯიქიას ქუჩის მიმდებარედ ახალგაზრდა მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს. მომხდარს შსს ადასტურებს. როგორც პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდარზე საქმე სსკ 118-ე, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით აღიძრა. ჯერჯერობით უცნობია მომხდარის მოტივიცა და დამნაშავე პირის ვინაობაც

არსებული ინფორმაციით, დაჭრილი 1982 წელს დაბადებული პაატა წ-ა, რომელსაც ჭრილობები ცეცხლსასროლი იარაღით აქვს მიყენებული. პაატა წ. წელისა და ხელის არეშია დაჭრილი და საავადმყოფოში იმყოფება. (პირველი რადიო)

## პროკურორი: მაგდა პაპიძეს ოთარ ბერძენიშვილი რომ შეენარჩუნებინა, მისგან დაორსულებას ცდილობდა



ბრალდებულმა მაგდა პაპიძემ ნაფიცი მსაჯულების მიერ მისი საქმეზე არსებითი განხილვის დროს შესავალი სიტყვა წარმოთქვა. მან ისაუბრა იმ უროზე, რომელიც ბრალდების მტკიცებით, დანაშაულის იარაღია. მისი თქმით, ურო მეუღლემ დააბარა ეზოში მდებარე დამხმარე ნაგებობის ჭერის შესაკეთებლად.

პაპიძის საქმის პროკურორ ელენე ჩხეიძის განცხადებით, ბრალდების მხარემ მოიპოვა უტყუარი მტკიცებულებები, რათა საჯაროდ განაცხადოს, რომ ბრალდებულმა ქმარსა და შვილს საკუთარი ხელით მოუსწრაფა სიცოცხლე. შესავალი სიტყვის დროს პროკურორმა მაგდა პაპიძისა და ომარ ქაფიაშვილის ურთიერთობაზე ისაუბრა და გაიხსენა ოთარ ბერძენიშვილი, რომელიც, პროკურორის თქმით, ბრალდებულს შეუყვარდა და ამის შემდეგ გადაწყვიტა, საკუთარი ცხოვრება შეეცვალა.

– ოთარ ბერძენიშვილის მიმართ გაუჩნდა სიმპათიები, რის გამოც დაეძაბა ურთიერთობა მეუღლესთან. ამის შემდეგ დაიწყო გამომწვევად ჩაცმა და „ფეისბუკზე" ფოტოების ამგვარ ფორმაში განთავსება. არაერთხელ ჰქონდა მას სექსუალური ურთიერთობა ბერძენიშვილთან. მაგდა პაპიძეს შეუყვარდა ბერძენიშვილი და გადაწყვიტა ცხოვრების თავიდან დაწყება, თუმცა, ბერძენიშვილის გრძნობა არ იყო ისეთი ძლიერი, როგორიც მაგდასი. მაგდა პაპიძეს რომ შეენარჩუნებინა ბერძენიშვილი, მისგან დაორსულებას ცდილობდა. მას არ სურდა, რომ პაპიძეს შვილის მიტოვების სახელი ჰქონოდა. ამიტომ გადაწყვიტა, წარსული ცხოვრებიდან გასათავისუფლებლად ყველაზე სასტიკი გზა აერჩია, - განაცხადა პროკურორმა.

ელენე ჩხეიძის თქმით, მის ხასიათს სრულად შეესაბამებოდა ამგვარი ქმედებები, რადგან არსებობს ექსპერტიზის დასკვნები, სადაც მითითებულია, რომ მაგდა პაპიძე „თეატრალიზმით და არტისტიზმით არის დაჯილდოებული". (pia.ge)

## ეს მაინც გადმოვიღოთ ისრაელისგან, არ შეიძლება?!



„როიტერის" ინფორმაციით, ისრაელის მთავრობამ კანონპროექტი შეიმუშავა, რომელიც იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას ზღუდავს, რომლებიც დაფინანსებას უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან იღებენ. კანონპროექტის ავტორი იუსტიციის მინისტრი აელეტ შაკედია, რომელიც „ებრაული სახლის" მემარჯვენე რელიგიურ-სიონისტურ პარტიას წარმოადგენს.

პოლიტიკოსის თქმით, უნდა შეიზღუდონ ის პარტიები, რომლებიც უცხო ქვეყნების დაფინანსების გამო ისრაელს აკრიტიკებენ, გარდა ამისა, უნდა დაწესდეს 45 პროცენტიანი საგადასახადო საგარეო შემოწირულობებზე, თუ ეს შემოწირულობები არ იქნება თავდაცვის სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ნებადართული.

„როიტერის" თქმით, კრიტიკის საგანი დაახლოებით 70 არასამთავრობო გახდა, რომლებიც პირდაპირ ევროკავშირისგან ან მისი მოკავშირეებისგან ფინანსდებიან.

ცნობილია, რომ 2012-2014 წლებში 24-მა ყველაზე აქტიურმა არასამთავრობომ უცხოელებისგან დაახლოებით 26 მილიონი აშშ დოლარი შემოწირულობა მიიღო, მათ შორის არის „**Нарушить молчание**", რომელიც ისრაელის ჯარისკაცებზე ჩუმად აგროვებს დოსიეს. ამ სიაშია არასამთავრობო „**Адалах**", რომელიც პალესტინის უფლებებს იცავს.

პოლიტიკოსს მხარი კულტურის მინისტრმაც აუბა, რომელმაც განაცხადა, რომ იმ მსახიობებსაც უნდა შეუმცირდეთ დაფინანსება, რომლებიც ღიად გამოხატავენ სიმპათიას პალესტინის მიმართ.

არასამთავრობოები მიიჩნევენ, რომ ინიციატივა საკმაოდ სახიფათოა და ამ კანონპროექტით ისრაელი რუსეთს, თურქეთსა და ეგვიპტეს უტოლდება. (რეპორტიორი)

**● ვისაც უნდა ეწყინოს, აი, დარდი, მაგრამ ჩინებული ინიციატივაა იმ არასამთავრობოების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ოღონდ ვინმემ რამდენიმე გროში გადაუგდოს, მზად არიან საკუთარი ქვეყნის ყველაზე უარყოფითი მხარეები წარმოაჩინონ.**

# „თიბისი ბანკმა" ქართული შრიფტის კონკურს „ქართული-ა"-ს გამარჯვებულები დააჯილდოვა

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართული შრიფტის კონკურსის „ქართული-ა"-ს გამარჯვებულები გამოავლინეს. კონკურსი დიზაინერ ზვიად ციკოლიას ინიციატივით განხორციელდა, ხოლო მხარდამჭერები იყვნენ პროექტი #წერექართულად და „თიბისი ბანკი".

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: დიზაინერები ზვიად ციკოლია, ლადო კობახიძე, კახაბერ ბოჭორიშვილი, გრაფიკული დიზაინერი მანანა არაბული და მხატვარ-დიზაინერი მალხაზ იაშვილი, საუკეთესო ნამუშევრები შეაფასა და გამარჯვებულები გამოავლინა.

**გამარჯვებულები კი შემდეგ ნომინაციებში გამოვლინდნენ:**

**— თანამედროვე ა (თანამედროვე, დახვეწილი შრიფტი) — პირველი ადგილი ზურაბ მიმინოშვილი; მეორე ადგილი ნანა შიხაშვილი.**

**— გაკრული ა (გაკრული ან ხელნაწერი, ციფრულად კონვერტირებული შრიფტი) — პირველი ადგილი გიორგი ახუაშვილი; მეორე ადგილი ზურაბ მიმინოშვილი**

**— ადაპტირებული ა (ხშირად გამოყენებადი ლათინური შრიფტის ქართული ვერსია) — პირველი ადგილი ზურაბ მიმინოშვილი; მეორე ადგილი დათო ხარაშვილი.**

**— აკადემიური ა (კლასიკური, აკადემიური შრიფტი) — პირველი ადგილი ზურაბ მიმინოშვილი; მეორე ადგილი მერაბ გეწაძე.**

**— მხატვრული ა (მხატვრული შრიფტი) — პირველი ადგილი ზურაბ მიმინოშვილი; მეორე ადგილი ნინო მეგრელიძე.**

**— ტექნიკური ა (ტექნიკური შრიფტი ტექნიკური პროგრამების მიმართულებით გამოსაყენებლად) — პირველი ადგილი ნინო მეგრელიძე; მეორე ადგილი მექი გიორგაძე.**

**— ფუტურისტული ა (ქართული დამწერლობის კონცეპტუალური განვითარება, ქართული შრიფტის ახლებური, ინოვაციური ხედვა) — პირველი ადგილი ია დარახველიძე; მეორე ადგილი ჯუმბერ ბეჭვაია.**

გამარჯვებულები „თიბისი ბანკმა" ფულადი პრიზებით დააჯილდოვა. პირველ ადგილზე გასულ კონკურსანტს 2000 ლარი გადაეცა, მეორე ადგილზე გასულს – 100 ლარი. გამარჯვებულები, ასევე, დაასაჩუქრა ელექტრონული წიგნების სახლმა „საბამ", რომელმაც პირველ ადგილზე გასულ კონკურსანტს 50 ელექტრონული წიგნი გადასცა, ხოლო მეორე ადგილზე გასულს – 25 წიგნი.

სპეციალური პრიზი დააწესა დიზაინერმა ზვიად ციკოლიამ, რომელმაც რჩეულ კონკურსანტებს საკუთარი დიზაინით შექმნილი საათი უსახსოვრა.

**რატომ იყო მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება და რა შედეგების მომტანი იქნება, ამ თემაზე დიზაინერი ზვიად ციკოლია საუბრობს:**

– ძირითადად ინგლისური შრიფტით ვწერთ, ამიტომ ჩავთვალეთ, რომ ეს არის აქტუალური და „თიბისი ბანკის" მხარდაჭერით პროექტი შედგა! ჩვენ ყველანი ვაკეთებთ ქართულ საქმეს, შესაბამისად, თითოეული ჩვენგანისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, აუცილებლად ვწეროთ ქართულად!

**— როგორ ფიქრობთ, მსგავსი პროექტები კიდევ უნდა გაგრძელდეს?**

– რა თქმა უნდა, არა მარტო უნდა გაგრძელდეს, არამედ განვითარდეს, საქართველოს მასშტაბი მთლიანად უნდა მოიცვას, თუ უცხოელები ჩაერთვებიან, ან ქართველი ემიგრანტები, მზად ვართ, ყველას მხარი დავუჭიროთ და ვუმასპინძლოთ.



**მამუკა ხაზარაძე, „თიბისი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:**

– ჩვენ ამ პროექტს მუდმივად დავუჭერთ მხარს და არა მარტო დავაფინანსებთ, არამედ სხვა მხრივადაც გვერდში დავუდგებით.

**— პროექტის შესახებ რომ გვითხრათ და როგორ ფიქრობთ, რამდენად მიღწეულია მთავარი მიზანი? და თუ იგეგმება სამომავლოდ მხარდაჭერა?**

– მიზანი მიღწეულია, 130 აპლიკანტის განაცხადი იყო შემოტანილი. დავაჯილდოვეთ გამარჯვებულები და ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ეს პროცესი, რადგანაც ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა, მოხდა ქართული ანბანის ადაპტირება თანამედროვე ტექნოლოგიებთან. პროექტი აუცილებლად გაგრძელდება, ჩვენ მას მხარს დავუჭერთ, რადგან ეს ყველაფერი ემსახურება ერთ მიზანს, რომელსაც ჰქვია ქართული ენის, ანბანის დაცვა, გასუფთავება ბარბარიზმებისგან და რაც ყველაზე მთავარია, განცდა იმისა, რომ ჩვენ გვაქვს მართლა უნიკალური საგანძური, რომელსაც ქართული ანბანი ჰქვია.

**ზურაბ მიმინოშვილი, პირველი ადგილის მფლობელი ნომინაციაში „თანამედროვე - ა":**

– პროექტი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. წლების განმავლობაში ვმუშაობდი სხვადასხვა შრიფტის შექმნაზე და შესაბამისად, ძალიან ბევრი დამიგროვდა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ყველანი ვაკეთებთ ქართულ საქმეს! ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ გაგრძელდეს კონკრეტულად ეს პროექტი და განვითარდეს კიდევ უფრო მეტად.

**— ზოგადად, რას ნიშნავს თქვენთვის ქართული დამწერლობა?**

– არ ვიცი, ძალიან ლამაზია, რომელიც უნდა დავიცვათ.

**შეგახსენებთ, რომ #წერექართულად ფარგლებში უკვე არაერთი საინტერესო ინიციატივა განხორციელდა, ჩატარდა ფონტების ინჟინერიის კურსები, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად მოხდა ყველაზე დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის გაციფრულება.**

**მოკლედ, #წერექართულად ყველა პროექტი უნიკალურია, ხოლო ამ ყველაფერს ერთი საერთო მიზანი აერთიანებს — დავიცვათ და განვავითაროთ ქართული ენა.**

*ვიკა ქათამაძე*

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ჟურნალისტური გამოძიება

# ჭყონდიდის ეპარქიის წინამძღვარი მეუფე პეტრე

## კონკრეტული ფაქტები და დოკუმენტები — როგორ რას აპირებს „ალიაში“ გამოქვეყნებული

ჭყონდიდის ეპარქიის წინამძღვარი მეუფე პეტრე დუმილს არღვევს და „ალიას“ მრისხანებით პასუხობს. მეუფე პეტრეს წინააღმდეგ, უამრავი ბრალდება გაისმის: მეუფე პეტრე მფარველობს „ნაცმოძრაობის“ დამნაშავე წევრებს, თითქოს მის ეპარქიას თავს აფარებდა დათა ახალაია და მეგის ქარდავა, რომ მან გააპარა დათა ახალაია მარტვილიდან; ადგილობრივი მოსახლეობა ედავება მას მიწების მიტაცებაში; ბევრი მომდურავი ჰყავს სასულიერო პირებში, რამდენიმე ათეულმა მღვდელ-მონაზონმა დატოვა ჭყონდიდის ეპარქია; პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანები 2011 წელს პატრიარქის წინააღმდეგ შეთქმულებაში ამხელდნენ... უფრო მძიმე ბრალდებებს აღარ ჩამოვთვლი, ჩვენ გვქონდა მცდელობა, შევხვედროდით მეუფე პეტრეს და მათგან მიგვეღო პასუხები, თუმცა იღუმენია დედა თამარმა გვიპასუხა, რომ მეუფე ცილისწამებას მდუმარებით პასუხობს... ცილისწამება ნიშნავს იმას, აბრალებდე ადამიანს იმას, რაც არ ყოფილა და თუკი რაიმე მსგავსი დავწერეთ, საყვედურს მივიღებთ, მაგრამ რა ვუყოთ იმ კონკრეტულ ბრალდებებს, რომლებსაც ჰყავს კონკრეტული ავტორები, ვისაც მეუფესთან შექმნია პრობლემები და დღეს ისინი ჩვენთან ღიად საუბრობენ.

ჩვენს კითხვებზე პასუხების ნაცვლად მეუფე პეტრემ ომი გამოგვიცხადა. ამ გამოცხადებული ომის მიუხედავად, ერთი წუთითაც არ გვიფიქრია, ზღვარს გადაგვებიჯებინა და მისი მრისხანების მიუხედავად, ყველანაირად ვეცადეთ მასთან შეხვედრას, საუბარს და კითხვებზე პასუხის მიღებას.

ჩემსა და მეუფეს შორის შეხვედრა 11 ივნისს შემთხვევით მოხდა. რა თქმა უნდა, მასთან გასაუბრების შანსის ხელიდან გაშვება არ მინდოდა. – დამლოცეთ მეუფე, – მივმართე... რა თქმა უნდა, დამლოცა. – მეუფე, გაგიკვირდებათ და ნინო სამხარაძე ვარ, ჩვენ, ალბათ, უნდა დავილაპარაკოთ... ფრაზა ბოლომდე არ მქონდა დასრულებული, მეუფეს სახეზე ღიმილი შეეყინა და განრისხებულმა იყვირა, – შენ ხარ ბოროტების მსახური, ცილისმწამებელი, შენ წერ შეკვეთილ სტატიებს, არ დაგელაპარაკები, რა მაქვს შენთან სალაპარაკო?!!! – მეუფე, აკი თქვენზე მითხრეს, ცილისწამებას მდუმარებით ხვდებაო?! მეუფე უფრო ხმამაღლა მკიცხავს, რის გამოც ძალიან დიდ მადლობას ვუხდი და ვემშვიდობები... მეუფე კი ტოვებს ჩვენი შეხვედრის ადგილს და მიდის.

მეუფის ამ საქციელმა უფრო მეტი კითხვა დაბადა და გაამყარა ეჭვი, რომ მის მიმართ პრეტენზიები მართალია. რატომ არ დაინტერესდა მეუფე, რის თქმას ვაპირებდი?!

ახლა კი მკითხველისთვის მიგვინდვია, რამდენად სწორად მოიქცა მეუფე და ჰგავს თუ არა მისი საქციელი უმაღლესი რანგის სასულიერო პირის მოქმედებას.

ჩვენ კი ვაგრძელებთ ჟურნალისტურ გამოძიებას. მას შემდეგ, რაც პირველი ჟურნალისტური გამოძიება გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნდა, ზარები არ წყდება და უამრავი ადამიანი სხვადასხვა მიმართულებით აფიქსირებს საკუთარ გულისწყრომას და პრეტენზიას მეუფე პეტრეს მისამართით.

ახლა თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ყველაზე მნიშვნელოვან და ფაქტობრივ მტკიცებულებაზე, რომელიც ეხება მიწების მიტაცებას მეუფე პეტრეს მხრიდან. როგორც წინა საგაზეთო სტატიებში მოგახსენეთ, ყველა საჩივარს კონკრეტული ავტორი ჰყავს.

2008 წელს, როცა მეუფე პეტრე ჭყონდიდის ეპარქიაში გადავიდა, ყველაფერი თითქოს კარგად იყო. მრევლი მას დადებითად შეხვდა, რადგან მეუფე პეტრემ შემოწირულობებისა და ბიზნესმენების დახმარებით ეპარქიის აღორძინება დაიწყო. მარტვილში აღნიშნავენ, რომ მან ბევრი სასარგებლო რამ გააკეთა, მაგრამ, როგორც იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო და მეუფე პეტრესაც ასე დაემართა.

პატრიარქის კურთხევით, გატყავებული მიწის ნაკვეთები უნდა გადასცემოდა ეკლესიებს, თუმცა მეუფე პეტრემ პატრიარქის კურთხევა, როგორც ჩანს, თავის სასარგებლოდ გაიგო და მან დაიწყო მარტვილის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიების სახნავ-სათესი ნაკვეთების მითვისება. ირკვევა, რომ მეუფე პეტრე უცნაურ მექანიზმს ამუშავებს მიწების ჩამოსართმევად და როგორც ხალხი ჰყვება, ამას აკეთებს ადგილობრივი ძალოვანი უწყებების დახმარებით. ხშირ შემთხვევაში ფიგურირებს მამა სპირიდონი, რომელიც თამაშობდა შუამავლის როლს, რომ იძულებით ან არასარფიანი გარიგებით ადამიანებს დაეთმოთ მიწები. ახლა ისიც გაქცეულია.

გურამ გაბისონიამ მეუფე პეტრესთან ბრძოლაში სამართალს ვერ მიაღწია, დაახლოებით სამი წლის წინათ, 2013 წლის 29 აპრილს ის მიმართავს სენაკის რაიონის პროკურორს ჯალაღონიას:

„უმორჩილესად გთხოვთ, გამიწიოთ კანონშესაბამისი დახმარება, ვინაიდან მარტვილის რაიონში მეუფე პეტრე ღვთის სახელს ამოფარებული სხვისი ინტერესების ხარჯზე საკუთარ ავტორიტეტს იმაღლებს. კერძოდ, 2012 წლის 9 სექტემბრიდან ჩემი ეზოს მომიჯნავედ, 500 მეტრში ვფლობ 4761,00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გატარებული მაქვს საჯარო რეესტრში (ზონა 41, სექტორი 09, კვარტალი 38, ნაკვეთი 079), მითითებულ ნაკვეთს ვფლობ 1992 წლიდან. ნაკვეთზე გავაშენე კულტურული ნარგავი, 2008 წელს დავრგე 1100 ძირი თხილი და ასევე, სხვა ნერგები.

საქართველოს კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრის მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. ბოლო ორი წელი გულის ავადმყოფობის გამო, მკურნალობის კურსს გავდიოდი თბილისში ჩაფიძის სახელობის კლინიკაში. ამ პერიოდში ჩემ ნაკვეთს თვალი დაადგა მეუფე პეტრემ. მისი განკარგულებით, თითქოს, ეს ნაკვეთი ეკლესიის კუთვნილება ყოფილიყო, ჩემს განაშენიანებულ ნაკვეთზე მიუშვა ეკლესიის კუთვნილი საქონელი, რომელმაც მთლიანად გაავერანა ჩემი წვალებით გაშენებული თხილის პლანტაცია. ამაზეც თვალს დავხუჭავდი, მაგრამ, როცა ამ ნაკვეთის დამუშავება დავაპირე, მეუფემ მოხსნა ჭიშკარი და ეზო მთლიანად გაჟერანდა.

მეუფე პეტრე სარგებლობს მორწმუნეთა კეთილგანწყობითა და ღვთის მოშიშობით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან ქონების წართმევის პრეცედენტი დაუშვას და ამით ეკლესიას სახელი შეუბღალოს. მას ამ მიწაზე არანაირი საკუთრების დოკუმენტი არ გააჩნია. მეუფესთან დიალოგი ვცადე, მაგრამ ის მუქარაზე გადავიდა. კერძოდ, გამომიგზავნა პრივატიზაციის სამსახურის წარმომადგენელი, ბატონი ჯონი ჯღარკავა, რომელმაც გამაფრთხილა, თუ ამ ნაკვეთს არ დავთმობდი, მეუფე მიჩივლებდა და ნაკვეთს წამართმევდა. არადა, ეს პოზიცია არანაირად არ ჯდება ღვთისმსახურის კომპეტენციაში. ამ ნაკვეთის დამუშავება სოლიდური ხარჯები მიზის.

ჩემთვის გაუგებარია, რა ჰქვია მეუფე პეტრეს ქმედებას. უმორჩილესად გთხოვთ, აღკვეთოთ მეუფე პეტრეს თავგასულობა და შეაჩეროთ მისი მხრიდან ჩემი საკუთრების ფლობის ხელყოფა. ასევე, მან ამინაზღაუროს მატერიალური ზიანი, რომელიც მომაყენა...“

ამავე წლის 10 ივნისს გურამ გაბისონია წერილს უგზავნის საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს. აი, რას ვკითხულობთ მის წერილში:

„საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ქალაქ მარტვილის მცხოვრებ გურამ გაბისონიას განცხადება:

თქვენო უწმინდესობავ, შემინდეთ კადნიერება, მონა ღვთისა და მლოცველი თქვენი წმინდა მანტილისა. ვიჩოქებ თქვენს წინაშე, გთხოვთ, შეწყალებას და თქვენს შეწუხებას ვბედავ, მაგრამ თქვენს გარდა, სხვა გზა არ დამრჩა, იმედი მაქვს, გაიღებთ მოწყალებას და დამეხმარებით საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში. ვინაიდან შემექმნა რწმენა მასზედ, რომ უდიდესი ტრადიციების მქონე ჭყონდიდის ეპარქიაში ბევრი რამ ხდება თქვენი გვერდის ავლით, ისეთი, რაც ქართული ეკლესიის ავტორიტეტს ზიანს აყენებს და მე არ მინდა ღვთის მსახურებს, თუნდაც ერთი ჩემისთანა მომდურავი ჰყავდეთ.

თქვენამდე დახმარებისთვის მივმართე სენაკის პროკურატურას, მარტვილის პოლიციას, მაგრამ მათ, მგონი, ეკლესიის ავტორიტეტი აფერხებთ, ხოლო ჭყონდიდის ეპარქია მეუფე პეტრეს უშუალო მითითებით კუთვნილ მიწას მართმევს. დასანანი კი ის არის, რომ მეუფე პეტრე იყენებს მის მდგომარეობას და ჩემი კანონით დაცული ინტერესების ხარჯზე პირად კეთილდღეობას აგვარებს.

1992 წლიდან ვამუშავებდი ჩემს ეზოსთან ახლოს მდებარე 4761,00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, რომელიც, 2012 წლის 9 სექტემბერს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გავატარე საჯარო რეესტრში. ნაკვეთზე გაშენებული მქონდა კულტურული მცენარეები, კერძოდ: თხილი 1100 ძირი, კომშისა და ხურმის ნერგები. ეს მცენარეები ჩამოტანილი მქონდა ზუგდიდიდან, ნაკვეთის შემოღობვა, განაშენიანება და შემოღობვა სოლიდური თანხები დამიჯდა. მეუფე პეტრემ შემომთავაზა ამ ნაკვეთის დათმობა, რაზეც უარი განვუცხადე. ამის შემდეგ ჩემს ნაკვეთში დაიწყეს ეკლესიის კუთვნილი პირუტყვის შეშვება და მთლიანად გაანადგურეს ნარგავები. როცა სამართალდამცავებთან შევეცადე ვითარების გარკვევა, მეუფე პეტრემ სალხინოს ეკლესიის წინამძღვრის, მამა სპირიდონის მეშვეობით რეგისტრაციის სამსახურიდან გამოითხოვა მასალები ჩემი მიწის რეგისტრაციის შესახებ და მიაღწია იმას, რომ მარტვილის რეგისტრაციის სამსახურმა მეუფე პეტრეს საჩივრის საფუძველზე თავისი 2013 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით გააუქმა მიწის ჩემს სახელზე რეგისტრაცია. რეგისტრაციის გაუქმების მეორე დღესვე, ეკლესიის მესვეურებმა მოიყვანეს ტექნიკა და მიწები გადახნეს. ფაქტობრივად, მეუფე პეტრემ შეასრულა დანაქადნები და მიწის რეგისტრაცია გააუქმა, ამით ჩემი შეჭირვებული ოჯახი ლუკმაპურის გარეშე დატოვა და შიმშილისთვის გაწირა. არ მინდა ვიფიქრო, რომ თქვენ სპეციალურად არ გაწვდიან სრულ ინფორმაციას მეუფე პეტრეს შესახებ. მე კი მიმაჩნია, რომ ღვთისმსახური ღვთისმოშიში, კაცთმოყვარე, კანონმორჩილი უნდა იყოს და მას არ უნდა გაუვიდეს კანონის უპატივცემულობა, არა მარტო ჩემს მიმართ გამოვლენილ ქმედებათა გამო, არამედ მეუფე პეტრეს მიმართ არსებობს ბევრი კითხვა მარტვილის საზოგადოებაში და მას პასუხი უნდა გაეცეს.

კერძოდ, 1990 წელს მარტვილის რაიონში თქვენი კურთხევით დაიდგა დიდი ლოდი წარწერით – „აქ დაიდგმება გიორგი ჭყონდიდელის ძეგლი“, სწორედ ამ ლოდის გვერდით მეუფე პეტრეს მიერ დადგმული იქნა საქონლის სადგომი და



ჟურნალისტური გამოძიება

# დუმილს არღვევს და „ალიას“ მრისხანებით პასუხობს!

# იტაცებს მოსახლეობის კუთვნილ მიწებს მეუფე პეტრე!

## მასალების შემდეგ საპატრიარქო?!



გურამ გაბისონია



იური სულუხია

ამით ყველაფერია ნათქვამი. არჩევნების პერიოდში მეუფე პეტრე ავალებდა ღვთისმსახურებს 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს ხმა „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მიეცათ, რის გამოც ბერებმა და მღვდლებმა მონასტერი დატოვეს.

2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში მარტვილის რაიონში მიმდინარეობდა აქციები მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მამუკა დანელიასა და საკრებულოს თავმჯდომარის ზაალ გოროზიას გადადგომის მოთხოვნით, ხოლო მეუფე პეტრემ ისინი ხატზე დააფიცა, არ გადამდგარიყვნენ. მეუფე პეტრე დაკავებულია ბაჩო და დათა ახალაიების დაცვით და ამ მიზნით ის თურქეთშიც კი იყო ჩასული. 1-ლი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გარკვეული პერიოდი დათა ახალაია და მეგის ქარდავა სამეგრელოში იმყოფებოდნენ და თავს აფარებდნენ სალხინოში მეუფე პეტრესთან. ახალაიებისა და ქარდავების მთავარი დასაყრდენი იყო მეუფე პეტრე.

კონკრეტული ადამიანები მეუფე პეტრეს კრიმინალურ წარსულზე მიუთითებდნენ და ამბობდნენ, რომ მეუფე პეტრეს შვილი ჰყავს ეკლესიის მსახური მანდილოსნისგან და ამ ბავშვს ზრდის მეუფე პეტრეს დედა (გაბისონია კონკრეტულ მედიასაშუალებებს მიუთითებს, სადაც ამ თემებზე იწერებოდა კონკრეტულ წყაროებზე დაყრდნობით. – ნ.ს.).

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მეუფე პეტრემ თქვენი ნების საწინააღმდეგოდ, ხმა მისცა ანტირელიგიურ კანონს სხვა სარწმუნოებასთან ქრისტიანული მოძღვრების გაერთიანების შესახებ. გარდა ამისა, 2013 წლის 17 მაისს, მე საოცრად ამაყი ვიყავი, როცა ღვთისმსახურები ერის გვერდით დადგნენ და ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით საკუთარი სიცოცხლე სასწორზე დადეს. ეს იყო გლობალური შეტევა მართლმადიდებლობაზე და სად იყო ამ დროს მეუფე პეტრე?..

ჩემი სატკივარი გვერდზე რომ გადავდოთ, საჭყონდიდოს არ ეკადრება ეკლესიის ასეთი წინამძღვარი.

თქვენო უწმინდესობავ, გთხოვთ რეაგირებას და თუ დავრწმუნდი, რომ ეს წერილი თქვენთან არ არის მოსული, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით შევეცდებით, თქვენს შეწუხებას“.

**ჩვენ დავუკავშირდით გურამ გაბისონიას, ის თავს შეუძლოდ გრძნობს, თუმცა შეეცადა ჩვენთან საუბარს:**

– ახლახან შუნტირების ოპერაცია ჩამიტარდა. გარდაცვლილი შვილის ტრაგედია ამ მიწამ გადამატანინა, ძალიან ბევრი ვიშრომე იმისთვის, რომ მიწა გამევაკებინა და მოსავალი მომეყვანა. „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში, როდესაც მიწების სრული დამტკიცება წავიდა და ჩატარდა მიწების ხელახალი აღწერა, მიწა გადავიფორმე და თანხაც გადავიხადე. მიწის ნაკვეთი ჩემს საკუთრებაში დავარეგისტრირე (გვაჩვენებს დამადასტურებელ დოკუმენტს. – ნ.ს.). ვერასდროს წარმომედგინა, თუკი ეს მიწა სადავო გამიხდებოდა, თანაც მეუფესთან. მხოლოდ მე არ გახლავართ დაზარალებული, მეუფე პეტრემ ბევრს წაართვა მიწის ნაკვეთი, მაგრამ ერთ-ერთი ვარ, ვინც მეუფეს შევბედე და შევებრძოლე. ამ ნაკვეთს ცოცხალი თავით არ დავთმობ. წარმოიდგინეთ, ვიღაც მოვიდეს თქვენს სახლში და გითხრათ, ეს სახლი ჩემიაო და გიჩივლოთ. თქვენს საკუთრებას ხომ არ დათმობთ?!.

**— მეუფე პეტრემ გიჩივლათ?**

– დიახ, მიჩივლა, შუამავლებს მიგზავნიდა და იძულებულს მხდიდა, ნაკვეთი ეკლესიისთვის დამეთმო. ყველა მეუბნებოდა, დაუთმე, თორემ დაგწყევლისო. როცა ეს ნაბიჯი არ გადავდგი, სასამართლოდან მომივიდა უწყისი, რომ მამა სპირიდონი მეუფე პეტრეს დავალებით მიჩიოდა სასამართლოში. საბოლოოდ, არც ჩემია და არც ეკლესიის. მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურმა 2013 წლის 24 მაისს ბათილად ცნო 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება ჩემი მიწის რეგისტრაციის შესახებ და მას შემდეგ ეს მიწა სადავოა.

**„ალიაში“ დაგვიკავშირდა მარტვილის მკვიდრი აკაკი გაბისონია, რომელმაც, ასევე, წარმოგვიდგინა მიწის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც ამჟამად მის მფლობელობაშია, თუმცა აქვს შიშის საფუძველი, რომ გურამ გაბისონიას მსგავსად მასაც უპირებენ მიწის ნაკვეთის წართმევას, რომელიც მარტვილის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზეა. „ალიასთან“ საუბარში იგი აცხადებს:**

– ეკლესიის შიგნით რაც ხდება, ეს ჩვენი სალაპარაკო და გასარჩევი არ არის, თუმცა მეუფე პეტრემ უნდა იცოდეს, რომ ეკლესია მხოლოდ მისი არ არის და ეკუთვნის საქართველოს, მას მრევლი ჰყავს დაშინებული, აქვს ასეთი თვისება, თუ სადმე შევიდა, ირგვლივ ყველაფერი თავისი ჰგონია. ახლა ჩემს მიწის ნაკვეთზე აქვს თვალი დადგმული, გურამ გაბისონიას მიწის ნაკვეთში შევარდნენ და მიითვისეს, ხილის ნარგავები გაუნადგურეს, კაცმა ისე ინერვიულა, რომ გულის ოპერაცია დასჭირდა. მოსახლეობა გაოგნებული ვართ, როდემდე უნდა გაგრძელდეს მეუფე პეტრეს პარპაში, ასეთი რამ გაგონილა?!. გურამ გაბისონიას სახელზე რეესტრში გაფორმებული მიწის ნაკვეთი გააუქმა და წაართვა. მის მიერ წართმეული მიწები მარტვილში ოხრადაა. აგერ სალხინოში, ოთარ ჯიქიასაც წაართვა მიწა, ხალხს ჯანმრთელობა შეგვირყია. ახლაც ერთი მისგან დაზარალებული ინსულტით და ინფარქტით წევს საავადმყოფოში. ომი ოდითგანვე მიწის გამო ხდებოდა. მიწის მიტაცებაში მურვან ყრუს როგორ უნდა აჯობო ადამიანმა, რომელსაც მეუფე გქვია და ღვთის სახელით ლაპარაკობ. ახლა ჩემს გასაჭირს მოგიყვებით. ჩემი მიწა, რომლის გამოც დავაა დაწყებული, არასდროს არ ეკუთვნოდა ეკლესიას და ამის დამადასტურებელი დოკუმენტი ხელთ მაქვს, საიდანაც მტკიცდება, რომ ამ მიწას ოდითგანვე ამუშავებდა ჩემი წინაპარი. თუმცა ნაკვეთი მდებარეობს ეკლესიასთან ახლოს და მეუფე პეტრე უკვე გეგმავს, როგორ წაართვას ეს მიწის ნაკვეთი...

2008 წელს მიწა სახელმწიფოსგან შევისყიდე და ამის დამადასტურებელი ქვითარიც მაქვს, რომ თანხა ნამდვილად გადავიხადე. წარმოგიდგენთ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს, რომ მიწის მესაკუთრე გახლავართ. მეუფემ მეზობლებთანაც დამაპირისპირა. ის ახლა მარტვილის პოლიციის საშუალებით ცდილობს ჩემი მიწის ხელში ჩაგდებას.

**— აქ რა შუაშია პოლიცია, რამეს ხომ არ აჭარბებთ? თუ პრობლემებია, პროკურატურას რატომ არ მიმართეთ?**

– მარტვილში პროკურატურა არ არის, სენაკის პროკურატურამ მითხრა, ამ საქმით მარტვილის პოლიციაა დაკავებულიო... სენაკის პროკურატურაში ჩემი გაჭირვების გამო მივედი და დახმარება ვთხოვე. პროკურორმა მარტვილის პოლიციის გამომძიებელს დაურეკა, მაშინ გავიგე, რომ მეზობლები დამიპირისპირა და ამიმხედრა, თითქოს მიწა მეზობლების მოტყუებით გავიფორმე. პროკურორმა გამომძიებელს უთხრა, ამ საკითხს პეტრე რას არკვევს?! ვინ ვის ატყუებს, ამას მეზობლები ერთმანეთში გაარკვევენო. რა თქმა უნდა, შევხვდი პოლიციის გამომძიებელს და ვაჩვენე დოკუმენტები, რომ ეს იყო ჩემი საკუთრება და ტყუილად ეძებდნენ ბნელ ოთახში შავ კატას.

მეუფე პეტრეს ჯიბეში უზის მარტვილის პოლიცია და რასაც უნდა, იმას აკეთებინებს და ისე გაერთო მიწების მითვისებაში, რომ მიუშვა, აფხაზეთამდე ჩავა...

**იური სულუხია, მარტვილის მკვიდრი:**

– მივმართავ დღევანდელ მთავრობას და საპატრიარქოს, მოგვაცილოს მეუფე პეტრე, ვიდრე ხალხი არ აჯანყებულა. დახმარებას ვითხოვთ, სანამ ურემი არ გადაბრუნდება და უბედურება არ დატრიალდება, მანამდე ყურადღებას არ მოგვაქცევენ?!. „ოცნება“ რომ მოდიოდა ხელისუფლებაში, დაგვპირდა, სამართლიანობას აღვადგენთო. ამდენი წელია, სამართალს ვეძებ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მივაგენი. 25 წელია, წვალებითა და შრომით მოვდივარ, წინა მთავრობამ გაგვანადგურა, ახალი მთავრობის კი ვერაფერი გავიგეთ... გაქცეული ქარდავა და ახალაია აქ იმალებოდნენ, ჩვენ ვართ კრიმინალების მფარველი „პაპების“ ხელში, სხვა სახელს ამათ ვერ ვუწოდებ. ხალხი მშიერი კვდება და რამდენი რეზიდენცია უნდა ჰქონდეს პეტრეს? მის რეზიდენციაში ხუთი მანქანა „მებელი“ აწყვია. პეტრეს მეუფეს ვერ ვუწოდებ, მის ეპარქიაში ერთი-ორი სამღვდელო პირია, ვინც ნამდვილად კეთილსინდისიერია, მაგრამ, ძირითადად, გაუკონტროლებელი ხალხია. იმ მთავრობამ ამათ მისცა ყველაფერი და ჩვენთვის კი ყველაფერი დაკარგულია. 65 წლამდე მივედი, აწი ჩემი აღარაფერი ვარგა. გამანადგურეს კაცი, მოტყუებით დამათმობინეს მიწის ნაკვეთი. ჩემი მეზობელი იყო მამა სპირიდონი და პეტრემ მომიგზავნა, ხან დამაშინა, ხან დამემუქრა, თუ არ დათმობ, მაინც წაგართმევო. მიწა წამართვეს და ამ მომენტში უძლური ვარ, ჩემისთანა დაზარალებული აქ ძალიან ბევრია.

მეუფე პეტრესგან დაზარალებულები, გურამ გაბისონიას მსგავსად, აპირებენ, ერთობლივი წერილით მიმართონ საპატრიარქოს და მოითხოვენ, შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის, რამდენად სამართლიანია მეუფე პეტრეს ქმედებები. მოსახლეობა კი თავის მხრივ, მოითხოვს, მეუფე პეტრემ დატოვოს ჭყონდიდის ეპარქია.

**ამ საკითხზე „ალია“ საპატრიარქოს დაუკავშირდა და მათი პოზიცია ასეთია:**

– ასეთ შემთხვევაში პატრიარქის დავალებით იქმნება კომისია, რომლის თავმჯდომარედ ინიშნება აქტიური მღვდელმთავარი და მასთან ერთად რამდენიმე მღვდელმთავარი სწავლობს საკითხს, რა საჩივარიც საზოგადოების მხრიდან შემოდის. ამის შემდეგ საკითხი განსახილველად გადის სინოდის სხდომაზე. ეს არის საეკლესიო წესი. პატრიარქი ერთპიროვნულად არ მიიღებს მაღალი სასულიერო პირის უფლებამოსილების შეჩერების გადაწყვეტილებას. კომისიამ უნდა დადოს დასკვნა, რამდენად სამართლიანია მოსახლეობის საჩივარი.

**— გაზეთში გამოქვეყნებულ საგამოძიებო მასალას ექნება თუ არა ძალა და ჩაითვლება თუ არა არგუმენტად?**

– ობიექტურობისთვის გირჩევდით, მოახერხოთ და დაუკავშირდეთ მეუფე პეტრეს და მიიღოთ პასუხები. დაგელაპარაკებათ თუ არა, ეს მისი გადასაწყვეტია, მას უნდა ჰკითხოთ, იქნებ სხვა არგუმენტები აქვს. რაც შეეხება რეაქციას, ჯანსაღ საზოგადოებაში იმ ყველაფერზე, რასაც თქვენ წერთ, უნდა იყოს რეაქცია. თუ გადაცდომებს აქვს ადგილი, მღვდელმთავარმა არც სასულიერო პირი უნდა დაჩაგროს და არც საერო. თუ თქვენს გაზეთში მოყვანილი ფაქტები დადასტურდება, ამას აუცილებლად მოჰყვება შედეგი.

**P.S. ჩვენ გავითვალისწინეთ საპატრიარქოს თხოვნა და დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, შევეცადეთ, მოგვეპოვებინა მეუფე პეტრეს კომენტარი. თუმცა, ამ მცდელობაზე რა პასუხიც მივიღეთ, თქვენთვის უკვე ცნობილია.**

facebook



**ივდით კუხიანიძე:**

აი, ხო არაფერი , არა? რა მოხდა მერე - იმას ეს აზრი აქვს, ამას -ეს, მე -ჩემი და სხვას - სხვა ! ხომ ასეც უნდა იყოს -თანაც პატივიც უნდა ვცეთ ერთმანეთის აზრებსა და შეხედულებებს, "გემოვნებაზე რომ არ დაობენ " , ეგეთებს და მისთანანებს !

მაგრამ ....მაგრამ რა დამემართა, იცით, ერთი მშვენიერი დღის ძალიან არამშვენიერ წამს რომ აღმოვაჩინე ჩემი საყვარელი და ჭკვიანი მეგობრის ტრფობა წამებული მიშას მიმართ? ! "თითქოს ურო დამკრეს თავში!" -ასეთი განცდა დამეუფლა !

მერე მთელი ღამე ვფიქრობდი, ნეტავ , რათა , შვილო , რათა -მეთქი და გამთენიისას შვებით ამოვისუნთქე - მიზეზს მივაგენი -მკერდში სიმსივნე ჰქონდა და სანდრას კლინიკაში გაუკეთეს ოპერაცია ! ანუ ეს "სიყვარული " ვიწროპიროვნული მადლიერების გამოვლინება ყოფილა !

ხოლო , როცა ახლო ნათესავის ასეთივე სატრფიალო ვნებანი გამახსენდა და აქაც ტვინი ვიჭყლიტე, ნეტა, ეს ქალი რაღამ გააცოფა-მეთქი, აღმოჩნდა , რომ გიულის დაქალუშკა ყოფილა და კაიგვარიანი სამსახურისთვისაც კი გამოუკრია ხელი და იქამდე უჩინო საკმაოდ ჩინიანიც გამხდარა !

ანუ აქაც პიროვნული მიზეზი- აღტაცება საკუთარი კეთილდღეობით და ამაების გაიგივება ნაცპოლიტიკასთან!

რა სამშობლო, რა საზოგადო, რის სახელმწიფოებრივი ! - "სუბიექტური მე "- მორჩა და დამთავრდა-სხვა დანარჩენი ჭირსაც წაუღია !

ჰოდა , მოდი ახლა და გაგიკვირდეს , შენ ჩემო თავო და თქვენც , ჩემო ფრენდნო, " ახალგაზრდა ვერთერებისა" და გვარამია-გაბუნიების ვნებანიც და ღელვანიც !

ეგენი ხომ , რას ამბობ , დღედაღამ ქვეყნის ბედზე დარდობენ !!!

facebook

**მალხაზ თოფურია:**



ჟურნალისტიკამ დაკარგა ნეიტრალური, გაწონასწორებული მერაბ მეტრეველი, პოლიტიკამ მისი სახით ხვიშტი მინუს 200 შეიძინა)

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

# ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მეჭიაურს ბურჯანაძის ჩასაძირად შეუქმნა პარტია

## „ქართულ ოცნებას“ მკვდარსა და ცოცხალს აგინებენ სოფელსა თუ ქალაქში“







ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ევროკავშირი ვიზალიბერალიზაციის მოლოდინში გვამყოფებს, თუმცა ყველა თანხმდება, რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციას იმსახურებს, მაგრამ ახსნა არა აქვს ევროკავშირის ამ ქმედებას, მაშინ, როცა საქართველომ იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე შესაძლებელი იყო. საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი სარა ვილიამსონი განცხადებას აქვეყნებს და ამხელს „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც, ფაქტობრივად, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას სჩადის: „ევროკავშირს უნდა რცხვენოდეს საკუთარი თავის, მაგრამ არა იმდენად, როგორც ზოგიერთ ქართულ, სავარაუდოდ, პროდასავლურ ოპოზიციურ პარტიას, რომლებიც ლობირებენ საკუთარი ქვეყნისთვის ვიზალიბერალიზაციის პროცესის საწინააღმდეგოდ და ამას აკეთებენ საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. ეს არ არის მოქალაქეობრივი, ან პატრიოტული საქციელი. ეს ნარცისიზმი და ავადმყოფობაა...“

> ამ ავადმყოფების დასჯა ვერ მოახერხა „ქართულმა ოცნებამ“ და თავში გასაკეთებელ საქმეს ახლა იწყებენ და პიარისთვის პარლამენტი „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ გაუგებარ დოკუმენტს იღებს. „ქართულ ოცნებას“ კი ვეტყოდი, აიკარით შუბლზე ეგ თქვენი დოკუმენტი, თუ აქტი და კარდაკარის პრინციპით იარეთ, მაინც არავინ დაგიჯერებთ იმიტომ, რომ არ გაასამართლეთ „ნაცმოძრაობა“, როგორც დამნაშავე ძალა და ისე ძლიერად აქვთ ფესვები გამდგარი, რომ მათი ამოძირკვა უკვე გვიანია.

მათ შეაღწიეს ყველა სფეროში და ვიდრე თქვენ ტკბებოდით ფუფუნებაში და ძალაუფლების ხიბლით ჩავარდნილებს არ გესმოდათ ხალხის გასაჭირი, 2012 წელს გასაქცევად გამზადებული ჩემოდნებზე მჯდომი „ნაცმოძრაობა“ გაძლიერდა. სწორედ იქ დაგხვდებათ მათი მქადაგებელი, სადაც არ ელოდებით.

„ალიას“ კითხვებს პასუხობს „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **გიგლა ბარამიძე.**

**— თქვენი აზრით, ვიზალიბერალიზაციის მინიჭების საკითხი რატომ დამუხრუჭდა და რატომ შეიქმნა ყალბი მოლოდინი, რა პრობლემების წინაშე ვდგავართ?**

– მახსენდება ქართული ფილმი „რაც გინახავთ, ველარ ნახავთ“, პატარძალს რომ მოსტაცებენ გიორგი შენგელაიას გმირს, სოფლის მოსამართლესთან რომ მივა და ეუბნება, – გეკუთვნის, მაგრამ მაინც არ გეკუთვნისო. ასეა ევროპა ჩვენს მიმართ, კი გვეკუთვნის ვიზალიბერალიზაცია, მაგრამ არ გვაძლევენ. ეს არის სასაცილო ანეკდოტი, სატირალი რომ არ იყოს... იცით, რა მაინტერესებს? ეს ჩვენი მთავრობა გასტროლიორებად რომ იქცნენ, კვირაში ექვსი დღე რომ ევროპაში არიან და ტურისტებივით ჩამოდიან საქართველოში, შედეგები მაინც გვანახონ. ამათი გაკეთებული საქმე გინახავთ?!. აგვიხსნან, რაში იხარჯება ბიუჯეტის თანხები, ევროპაში მოგზაურობის ფუფუნება გვაქვს ჩვენ?!. ჯერ იყო და გვაცნობეს, მაპ-ზე უკეთესს მივიღებთო, ახლა გვეუბნებიან, რომ ვარშავის სამიტზე სასწაულის მომსწრენი გახვდებით და საქართველო ნატო-ში უფრო მეტად იქნებაო. ამ ტერმინების თამაშმა ხომ დაგვტანჯა. ახლა გეკითხებით, ეს რისი მანიშნებელია, თუ არა იმისა, რომ ხელისუფლება არ არის თავის ადგილზე.

**— ამ ტერმინებზე მახსენდება დავით უსუფაშვილის განცხადება, ევროკავშირის დღევანდელი გადაწყვეტილება უფრო მეტ და უკეთეს მოლოდინს აჩენსო, ვიზალიბერალიზაციას გადავახტებით და ევროპაში მიგვიღებენ? რა უნდა იყოს ის „უკეთესი“?**

– როცა ამხელა თანამდებობის პირი ხარ და გაუგებარ სიტყვათაწყობით სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე ასე საუბრობ, ეს კიდევ მეორე შეკითხვაა.

> რას ნიშნავს, უარს გვეუბნებიან და საზოგადოებაში აჩენ ახალ მოლოდინს, თურმე უკეთესს უნდა ველოდოთ. სათქმელი მეტი არაფერი აქვთ. მე გეტყვით, რომ ამას არავინ ეკითხება და ტყუილად იღებენ ხელფასს, თვითონაც იციან, რაც ხდება მათ თავს, უბრალოდ, სამსახურში მიდიან, ხელფასებს იღებენ

და ქმნიან ილუზიას, რომ წარმოადგენენ მთავრობას და ქვეყნის პირველი, მეორე თუ მესამე პირები არიან. საქართველოს მიმართ გადაწყვეტილებას ხელისუფლების გარეშეც მშვენივრად მიიღებს ნატო და ევროკავშირი, მაშინ, როცა ეს მათ დასჭირდებათ. უბედურება სწორედ ესაა, ჩვენ მათ მეგობარ ქვეყნებს ვუწოდებთ, მაგრამ არ იქცევიან, როგორც მეგობრები და პარტნიორები. საწყენია, რომ ჩვენი ხელისუფლება თავს ვერაფერს აბამს. ივანიშვილმა თავის ინტერვიუებით დაადასტურა, რომ ეს ხელისუფლება რეალურად არავითარი ძალაუფლების მატარებელი არ არის. ეს არის ფიქციური ხელისუფლება. ივანიშვილის თქმით, ზოგი „კარგი ბიჭი“ ყოფილა, ზოგი „ხათრით მინისტრია“, ეს არის საბავშვო ბაღი.

> ამ ყველაფრის ფაქტობრივი ხელმძღვანელი არის ადამიანი, რომელიც ქვეყნის რეალური მმართველია. მან არათუ იცის, ვინ უნდა დაინიშნოს ამა თუ იმ თანამდებობაზე, არამედ ისიც კი იცის, ვინ რას ლაპარაკობს და რას წერს „ფეისბუკშიც“ კი... და ჩვენი მინისტრები რომ ამბობენ, დამოუკიდებლები ვართ და ივანიშვილს არაფერს ვეკითხებითო, ჩვენ არ გვჯერა ამ ტყუილების. ივანიშვილმა თავის ინტერვიუებში დაადასტურა, რომ ის არის მმართველი.

**— ამერიკის ელჩიდან დაწყებული, ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირები ივანიშვილს მიანიშნებენ, რომ არაფორმალურ მმართველობაზე თქვას უარი, წინააღმდეგ შემთხვევაში განიხილება მისდამი სანქციების დაწესება, მაგრამ ვის ატყუებენ ისინი, თუ არაფორმალური მმართველია, რატომ ხვდებიან ბიძინა ივანიშვილს? ეს მან ინტერვიუშიც თქვა, რომ შეხვდა აშშ-ს ელჩს იან კელის და განიხილეს მნიშვნელოვანი თემები, მათ შორის „რუსთავი 2“-ის საკითხი. ვინ ვის ატყუებს? თავად დიპლომატიური კორპუსი რატომ არ იცავს პოლიტიკურ სტანდარტს?**

– ძალიან საინტერესო კითხვაა, ამ კითხვაშივეა პასუხი. როდის აქეთ იცავდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი დიპლომატიურ სტანდარტებს? ძალიან კარგად იციან, ვინ არის საკითხების გადამწყვეტი და იმასთან მიდიან.

### ისევ ცოცხალი!

> გეკითხებით, ნებისმიერი მედიის დაბლოკვის მცდელობა, მით უმეტეს არჩევნების წინ რომ გაუმართლებელია, ამას რად უნდა ამერიკის ელჩის დიდაქტიკა?! აშშ რომ გადაწყვეტს საკითხს, მერე აყენებენ ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს საქმის კურსში. ასე იყო ღარიბაშვილის შემთხვევაში და ასეა კვირიკაშვილის დროსაც.

**— ივანიშვილი აპირებს, რომ კარდაკარ იაროს და მოსახლეობას იმ პარტიების ანატომია მოუყვეს, ვინც მისი კონკურენტები არიან. როგორც ჩანს, „ნაციონალებთან“ ერთად მისი სამიზნე არის ის ე.წ. ნათელაშვილისა და კუკავას ე.წ. ერთკაციანი პარტიები. რაც შეეხება „დემოკრატიულ მოძრაობას“, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მეჭიაურს ბურჯანაძის ჩასაძირად შეუქმნა პარტია, ასევ მიზანში ჰყავს ამოღებული პაატა ბურჭულაძე და ხაზს უსვამს, — ნუ მოიტყუებაო... მაშ ასე, როგორ შეძლებს იგი დაამტკიცოს სხვების სისუსტე და საკუთარი ძლიერება?**

> – როცა სჭირდება ივანიშვილს, ერთი ჩვეულებრივი მოქალაქეა, როცა უნდა – პოლიტიკოსი. ვინ ეკითხება პარტიების დახასიათებას, ვის აინტერესებს მისი აზრი სხვა პარტიების შესახებ? მას ხალხი სთხოვს პასუხს იმ დაპირებების გამო, რაც არჩევნებზე გასცა და არ შეასრულა.

აუხსნას მოსახლეობას, რა იყო ამის მიზეზი, რატომ მოატყუა ხალხი, სხვის ბოსტანში კენჭებს რატომ ისვრის, ყველამ თავის ბოსტანს მიხედოს. სხვა პარტიების ხარჯზე საკუთარი პარტიის პოზიციების გამყარება უნდა, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და ვთქვათ, რომ

> ბიძინა ივანიშვილი თავიდან ბოლომდე ჩართულია საარჩევნო მარათონში. ნახა, რომ კულისებში მისი დგომა არ შველის „ქართულ ოცნებას“, მკვდარსა და ცოცხალს აგინებენ სოფელსა თუ ქალაქში, ამიტომ გადაწყვიტა, ყველა რეზერვი გამოიყენოს,

როგორმე შეინარჩუნონ პოზიციები 2016 წელს. ივანიშვილის განცხადებებს დრამატულად არ აღვიქვამთ, მთავარია, არჩევნებამდე მშვიდად მივიდეთ.

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

facebook

**ზაზა ბიბილაშვილი:**

კაფეში "იმედის" საინფორმაციოა ჩართული. პოზიტივის ნიაღვარი მოედინება. ბოლოს და ბოლოს, გაეცა პასუხი კითხვას - "სხვა საქართველო სად არის?". სად არის და აქ, "იმედზე".



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ტელეკომპანია „რუსთავი 2" ქიბარ ხალვაშს დაუტოვა...

კი ბატონო, ქიბარ ხალვაშს სრული უფლება ჰქონდა და აქვს სასამართლოში იდავოს და წართმეული ქონება დაიბრუნოს, მაგრამ აქ ერთი დიდი კითხვის ნიშანია და მასზე პასუხის გაცემას არავინ არ აპირებს. „ნაცმოძრაობის" მმართველობის დროს ათასობით ადამიანს წაართვეს ქონება, მათ შორის იმ ღირებულებისა, „რუსთავი 2" მათთან მოსატანი რომ არ არის,

ქიბარ ხალვაშის და, ფატი ხალვაში „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატია ქობულეთიდან, ეს კი ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე არ მოხდებოდა.

კი, ბატონო, ქიბარ ხალვაში დაზარალებულია და ის საკუთარი ქონების დაბრუნების სწორ, სამართლებრივ გზას ადგას. თუმცა,

> ბევრს არ ახსოვს, თავად ქიბარ ხალვაში როგორ გახდა „რუსთავი 2"-ის მეპატრონე. 1994-2004 წლებში, „რუსთავი 2"-ის დამფუძნებლები იყვნენ ეროსი კიწმარიშვილი, დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე.

ყებლობა.

სააკაშვილისა და ოქრუაშვილის მორიგი სამიზნე „რუსთავი 2" გახდა. ამ დროისთვის გენერალური დირექტორი და 10%-ს მფლობელი ნიკა ტაბატაძე იყო, ხოლო კიწმარიშვილი, აქიმიძე და დვალი ისევ თანაბარ, ოღონდ 30-30%-იან წილებს ფლობდნენ.

> 2004 წლის ივნისისთვის „რუსთავი 2"-ს 9,2 მილიონი ლარი ვალი ჰქონდა, აქედან 4.6 მილიონი სახელმწიფო ბიუჯეტის, დანარჩენი „თი-ბი-სი" ბანკისა და სხვა კერძო კომპანიებისა.

ეროსი კიწმარიშვილმა ტელეკო-

### ხელიდან ხელში

**არ ყოფილა არანაირი ლაპარაკი, უბრალოდ, გვითხრეს, ჩვენ ეს გვჭირდებაო".**

მოდით, დავით დვალის ერთი განცხადებაც გავიხსენოთ: „ქიბარსაც იგივე მეთოდებით და ფორმით ჩამოართვეს ტელევიზია, როგორც მანამდე ჩვენ".

მოკლედ, მთელი სახელისუფლებო მანქანა იყო ჩარეული, რომ „რუსთავი 2" კანონიერი მფლობელებისთვის ჩამოერთმიათ. „რუსთავი 2"-ის მფლობელი, ქიბარ ხალვაში 2004 წლის ივნისში გახდა. თავდაცვის მაშინდელ მინისტრთან ირაკლი ოქრუ-

# ქიბარ ხალვაშმა რაც დათესა, ის მოიმკო. აი, ეს გახლავთ სრული სიმართლე!

## ბევრს კი ისიც არ ახსოვს, თავად ქიბარ ხალვაში, ძლევამოსილი ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარი, როგორ გახდა „რუსთავი 2"-ის მეპატრონე!





მილიონერი ბიზნესმენები გააკოტრეს, ზოგს სახელმწიფოსთვის აჩუქებინეს ქონება და ზოგმა „ნაცმოძრაობის" ლიდერთა ახლობლებზე გადააფორმა. ფულიც ბევრი გადაარიცხვინეს სხვადასხვა სახელმწიფო ფონდებში, რომელთაც ისედაც „ნაციონალები" განკარგავდნენ და თავიანთ ხოშზე ხარჯავდნენ. ეს ხალხი დღემდე არავის გახსენებია, მათთვის ამ წართმეული ქონებისა და ფულის დაბრუნებას არავინ აპირებს, არადა, ამ ხალხმა ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნების შემდეგ მიმართა პროკურატურას, ბევრი სასამართლოს გზითაც ლამობს წართმეულის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ.

> ხელისუფლებამ ქვეყანაში მსხვილი ბიზნესმენებისთვის სამართლიანობის აღდგენა ქიბარ ხალვაშისთვის „რუსთავი 2"-ის დაბრუნებით დაიწყო და ისიც „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლიდან 3 წლის შემდეგ, საპარლამენტო არჩევნების წინ.

აი, ეს ფაქტი უკვე აჩენს სერიოზულ ეჭვს, რომ საქმე სამართლებრივ-პოლიტიკურ პროცესთან გვაქვს. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ

მათ თანაბარი წილი ჰქონდათ, თითოეულს 33%. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ეროსი კიწმარიშვილი სავაჭრო პალატის თავმჯდომარედ დაინიშნა, ვრცელდებოდა ხმები, რომ მას მინისტრად ან ვიცე-პრემიერადაც დანიშნავდნენ, რადგან თავად კიწმარიშვილსაც და „რუსთავი 2"-საც წლების მანძილზე ზურაბ ჟვანია მფარველობდა, თუმცა, მალე მათ შორის ურთიერთობა გაფუჭდა. ამ დროისთვის მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო ხელისუფლების სრული მონოპოლიზაციის პროცესი, რაც წამყვანი მედიასაშუალებების დაქვემდებარებასაც გულისხმობდა.

> ამ დროისთვის სააკაშვილს უკვე ხელში ჰქონდა ჩაგდებული „იბერია", რომელიც ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილს წაართვა. თავიდან ბოლომდე ამ პროცესს გენერალური პროკურორი, ირაკლი ოქრუაშვილი აკონტროლებდა,

სწორედ მისი ბრძანებით მოხდა ზაზა ოქუაშვილის კუთვნილი კომპანია „ომეგას" ოფისში სპეცრაზმის შეჭრა, სადაც „იბერიის" ოფისიც მდებარეობდა. ოქრუაშვილი ტელეკომპანიაში არ უშვებდა ჟურნალისტებს, რამაც არხის ნაწილობრივი პარალიზება გამოიწვია, მხოლოდ საინფორმაციო გადაცემა გადიოდა, თუმცა, მალე მანაც შეწყვიტა მაუწ-

მპანიის გაკოტრების პროცესი დაიწყო, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა არ დააცადეს. მასზე, დვალსა და აქიმიძეზე ხელისუფლებამ სხვადასხვა სახის ზეწოლა დაიწყო, არხის დამფუძნებლებს პირდაპირ ეუბნებოდნენ, რომ არხი უნდა დაეთმოთ.

> გავრცელებული ინფორმაციით, ეროსი კიწმარიშვილს სააკაშვილმა 10 მილიონი დოლარი გადაუხადა წილის სანაცვლოდ.

**აი, რას ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში ჯარჯი აქიმიძე: „რიყეზე, სანამ დაანგრევდნენ, რესტორან „მეგრელებში" ვიყავით. ჩვენი შეხვედრა დაახლოებით ნახევარი საათი გაგრძელდა. იყვნენ მერაბიშვილი, ადეიშვილი, მე და დათო. გვითხრეს, მადლობლები ვართ, აქტიური მონაწილეობა რომ მიიღეთ რევოლუციის დროსო. გვითხრეს, რომ ისინი მოვიდნენ მინიმუმ 2 ვადით ქვეყნის სამართავად, მათ კარგად იციან, რას ნიშნავს ტელევიზია, მათ კარგად დაინახეს მისი როლი, როგორ შეიძლება დაეხმარონ ხელისუფლებაში ყოფნაში და რომ მათ ტელევიზია უნდათ, მოკლედ რომ ვთქვათ. თავიდან ვერ მივხვდით, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი, ბოლოს განგვიმარტეს, რომ თქვენი არის საკონტროლო პაკეტი, თქვენი არის 60%. შესაბამისად, უნდა გავაკონტროლოთ, რა ფორმით და როგორ მოხდება შესყიდვა, თანხაზე**

აშვილთან დაახლოებული ბიზნესმენის ხელში, ჯერ დვალისა და აქიმიძის 60 პროცენტი გადავიდა, შემდეგ, ტაბატაძის 10 პროცენტი და ბოლოს, კიწმარიშვილის 30 პროცენტიც.

> ხელისუფლების შუამავალი ამ გარიგებაში ბიზნესმენად მონათლული, ვინმე პაატა კარსანიძე იყო. საინტერესოა, რომ პაატა კარსანიძემ ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის 30-30% გადაიფორმა და ეს 60% იმავე დღეს ქიბარ ხალვაშს მიჰყიდა. ისიც საგულისხმოა, რომ ოფიციალურად, პაატა კარსანიძემ დვალსა და აქიმიძეს 100-100 ათასი, ანუ 200 ათასი დოლარი გადაუხადა, ხოლო ქიბარ ხალვაშს ეს 60% 200 ათას დოლარადვე მიჰყიდა, ანუ ბიზნესმენმა კარსანიძემ ერთ დღეში ისე იყიდა და გაყიდა „რუსთავი 2"-ის 60%, რომ ერთი ცენტიც კი არ მოუგია. ცხადია, პაატა კარსანიძე არანაირი ბიზნესმენი არ იყო, უბრალოდ, ჯერ მის სახელზე გადაფორმდა წილები და შემდეგ მან გადაუფორმა ხალვაშს. მალე ქიბარ ხალვაშის კომპანია „პანორამამ" ეროსი კიწმარიშვილის 30% და ნიკა ტაბატაძის 10% შეისყიდა. დოკუმენტაციის მიხედვით, ეროსი კიწ-

გაგრძელება მეათე გვ.

Facebook ამბები



**ცოტნე გამსახურდია:**

**სიბრიყვის და სიბნელის ერესზედ ;) საინტერესო ქრისტიანული თვალსაზრისია, წაიკითხეთ. თუმც, ჩემი აზრით ჩვენ ეროვნულ სიბრიყვეში იმდენად რელიგიური შეხედულებები არაა შუაში. არამედ ჩვენი ეროვნული ხასიათი, რომლის ჩამოყალიბებას ჩვენმა ისტორიამ, კულტურამ, და კლიმატურ-ლანდშაფტურმა პირობებმა შეუწყვეს ხელი. ქრისტიანობაც ჩვენ მასვიმაჭამემალხინეობის პრიზმით დავინახეთ...**

**კაცმა რომ თქვას, არ ტყუიან ჩვენი "ერთმორწმუნე ძმები", როცა მოქეიფე, მომღერალ-მოტლიკინე, არასერიოზულ, დიდ ბავშვად წარმოგვადგენენ... ახლა წაიკითხავს ამ კომენტარს ვიღაც ოთხკლას-დამთავრებული, მაგრამ რელიგიური დიშლა, და დაიწყებს სიძულვილის და ბოღმის ფრქვევას. არადა, რასაც ესენი ამ ბოღმის ნთხევაზე ენერგიას ხარჯავენ, იმდენი რომ სკოლაში ესწავლათ, ვინძლო ასეთები არ ყოფილიყვნენ...**



**რობერტ სტურუა:**

**ნაცისტი ბებიის წერილიდან:**

**"დედა, დედა, დედა - ეს რა სირცხვილი გვაჭამეს ამერიკელკებმა?! სამ შტატში ერმთმანეთი როგორ დაბეგვეს იმ ტრამპის, თუ ვიღაცაა, მოწინაალმდეგებმა მეორე(გვარი არ მახსოვს!) საპრეზიდენტო ბიჭებმა?! დემოკრატიის პრინციპები დაავიწყდათ იმ ტარტანტინოებს( ალბათ ტარანტინოს გულისხმობს ბებია.- რ.ს.) . როგორ შევხედო თვალებში იმ პატიოსან ელჩს, ცხოვრებას რომ გვასწავლის ველურებს?! როგორ?! ისე, ჩვენებს არ ვეთანხმები - ის პარიკიანი ტრამპი გულზე არც მე მეხატება, ჩვენი სულელზე ხომ არაფერს ვამბობ! ერთი კი მინდა გირჩიოთ, იჩხუბეთ, მაგრამ გარეთ ნუ გაგავთ ჩვენი ნაგავი..."**

მეცხრე გვერდიდან

მარიშვილმა 30%-იანი წილის სანაცვლოდ, მხოლოდ 50 000 დოლარი მიიღო.

ქიბარ ხალვაში ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარი და როგორც ამბობენ, შვილის ნათლიაა. სწორედ ოქრუაშვილის დავალებით თუ თხოვნით ჩაერთო ამ ბინძურ თამაშში და „რუსთავი 2"-ის კანონიერი მფლობელებისთვის არხის წართმევის პროცესში დიდი როლი ითამაშა.



ქიბარ ხალვაში არხის მეპატრონე გახდა თუ არა, პირველ რიგში, გენერალური დირექტორი, ნიკა ტაბატაძე მოხსნა და მის ნაცვლად, სარეკლამო სააგენტო „სარკეს" ხელმძღვანელი კობა დავარაშვილი დანიშნა, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, გიორგი არველაძის მეგობარი გახლდათ. ნიკა ტაბატაძის მოხსნის შემდეგ, არხი დატოვეს ჟურნალისტებმა ნანა ლეჟავამ, თამარ რუხაძემ, თამარ ღვინიანიძემ, ნათია ლაზაშვილმა და პროდიუსერმა დუდუ კურდღელიამ.

არხზე დარჩენილ ჟურნალისტებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ დავარაშვილი უხეშად ერეოდა არხის საინფორმაციო პოლიტიკაში და უშუალოდ, გიორგი არველაძისა და ქიბარ ხალვაშის დავალებებს ასრულებდა. მეტიც, საინფორმაციო სამსახურს მითითებებს უშუალოდ ხალვაშიც აძლევდა და ამასაც თავად ჟურნალისტები აცხადებდნენ. მოკლედ, ქიბარ ხალვაში, ვიდრე „რუსთავი 2"-ს წაართმევდნენ, პირნათლად ასრულებდა მიხეილ სააკაშვილის გუნდის მითითებებს.

ქიბარ ხალვაშს დიდხანს არ დასცალდა „რუსთავი 2"-ის მფლობელობა. ის სახიფათო, პოლიტიკურ თამაშებში ჩაერთო და მისი წარმატება და წარუმატებლობა, მთლიანად ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკურ კარიერასა და ძალაუფლებაზე იყო დამოკიდებული. ოქრუაშვილს კი დიდხანს არ დასცალდა ხელისუფლებაში ყოფნა. 2006 წელს ის თავდაცვის მინისტრობიდან მოხსნეს, ეკონომიკის მინისტრად ჩამოაქვეითეს, ეს პოსტი კი 1 კვირაში დატოვა. 2007 წელს ოქრუაშვილი ოპოზიციაში ჩაუდგა მიხეილ სააკაშვილს და მასთან ბრძოლაში ბადრი პატარკაციშვილის მთავარი დასაყრდენი გახდა. ამის გამო მიხეილ სააკაშვილი ოქრუაშვილის გარემოცვას დაერია, თავად ოქრუაშვილი და მისი პოლიტიკური თანამოაზრეები ციხეში ჩასვა, თუმცა, მალე ოქრუაშვილი ციხიდან გაათავისუფლა და ხელისუფლებამ ის უცხოეთში გაუშვა. ქიბარ ხალვაშიც, როგორც ოქრუაშვილის ახლობელი, ამ წნეხში მოჰყვა. ცხადია, პოლიტიკურ არხს ხალვაშს არავინ დაუტოვებდა და სახელისუფლებო ზეწოლის შედეგად, დაათმობინეს. ტელეკომპანიის წილები ხალვაშმა დავით და გელა ბეჟუაშვილის მამის, რობერტ ბეჟუაშვილისა და ბიძინა ნიჟარაძის კუთვნილ კომპანიებზე გადააფორმა. თუმცა, სააკაშვილმა ეს არ იკმარა, ხალვაშს ბიზნესობიექტები დაურბიეს, ბაჩო ახალაიას ბრძანებით კი მისი კომპანია „პიზა" გადაწვეს. ხალვაშს დაჭერას უპირებდნენ, მაგრამ მან გერმანიაში გაქცევით უშველა თავს. ამის შემდეგ კი „რუსთავი 2" ძმებმა ბეჟუაშვილებმა თავიდან მოიშორეს და მათივე თხოვნით, მიხეილ სააკაშვილმა ტელეკომპანიის წილები ძმებ ლევან

## ხელიდან ხელში

და გიორგი ყარამანიშვილებზე გადააფორმა. გავრცელებული ინფორმაციით, თავდაპირველად ყარამანიშვილებს ამის სურვილი არ ჰქონდათ, მაგრამ რადგან საქართველოში მსხვილი ბიზნესი ჰქონდათ („კავკასუსონლაინი", „მობიტელი" („ბილაინი"), რესტორნების ქსელი **GMC** და თბილისის რკინიგზის სადგურზე მდებარე სავაჭრო ცენტრი), პრეზიდენტს უარი ველარ შეჰბედეს.

კი, ბატონო, ქიბარ ხალვაში დაზარალებულია, მას ძალით წაართვეს „რუსთავი 2" და სხვაზე გადააფორმებინეს, მაგრამ თავის დროზე ქიბარ ხალვაშმა და ირაკლი ოქრუაშვილმა, სააკაშვილის მითითებით, ასევე, ძალით წაართვეს ეს ტელეკომპანია ეროსი კიწმარიშვილს, დავით დვალსა და ჯარჯი აქიმიძეს.

მოდით, დავუშვათ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ოპოზიციაში არ გადასულიყო, 2012 წლამდე შეენარჩუნებინა მაღალი თანამდებობა და გავლენა, რა მოხდებოდა? რა და ქიბარ ხალვაში დარჩებოდა ხელისუფლების ერთ-ერთ ფავორიტ ბიზნესმენად, ის იქნებოდა ისეთივე პრივილეგირებულ მდგომარეობაში, როგორშიც, ვთქვათ, კობა ნაყოფია, თემურ კოხოძე ან ცეზარ ჩოჩელი იყვნენ, „რუსთავი 2"-საც დაუტოვებდნენ და მის ბიზნესს არათუ ვინმე ახლებდა ხელს, პირიქით, სასათბურე პირობებში ათჯერ მაინც გაიზრდებოდა, მათ შორის, სახელმწიფო შეკვეთების ხარჯზე, ბიუჯეტის ფულით. ქიბარ ხალვაში კი, რომელიც 2006 წლიდან სააკაშვილის ოპოზიციაში და მის კრიტიკაშია, ირაკლი ოქრუაშვილთან ნათესაობისა და საკუთარი ბიზნესის ხელშეუხებლობის გამო, კრინტს არ დაძრავდა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, პირიქით, ყველაფერს გააკეთებდა მის გასაძლიერებლად, როგორც ამას 2004-2006 წლებში აკეთებდა. ქიბარ ხალვაშმა რაც დათესა, ის მოიმკო. აი, ეს გახლავთ სრული სიმართლე!





● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

### ცოტნე გამსახურდია:

**პოლიტიკაო? აქ პოლიტიკურ სიმპატიებზეა ლაპარაკი?! აქ ლაპარაკია იმაზე, რომ დამპყრობლის ჰიმნი გძულდეს! იმის, ვინც საუკუნეებია, ყველა ისტორიულ ეპოქაში და ნებისმიერ ხელისუფლების დროს არ გაძლევს არსებობის საშუალებას. ვენაცვალე მაგ კომენტატორს, ვისაც არ მოეწონა, უნდა უსმინოს და უნდა "ჩესტზე" დაუდგეს მაგ ქვეყნის ჰიმნს!**

**ნუ აიტაცებთ ამ ბრიყვულ მოარულ ფრაზებს! ვიღაც სირმა გამპრავებელმა წამოროშა და მასამაც აიტაცა. ტვინი აქვს განცალკევებული ბევრს სხეულიდან და იმიტომ! სპორტი და პოლიტიკა როგორ უნდა განაცალკევო, სპორტი ადამიანური ცხოვრების სფერო არაა? ან, შენი ქვეყნის, საარსებო სივრცის დაპყრობა პოლიტიკის საკითხია თურმე? არ მევასება ის, რაც დამპყრობლის სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული და მორჩა. და სპორტი სწორედ რომ სიმბოლური დატვირთვის მატარებელია, გუნდური სახეობები განსაკუთრებით...**




● Facebook ამბები ●



### ზაზა ბიბილაშვილი

**ვინც თვლის, რომ ვიზალიბერალიზაციას პრობლემები "ვიღაცის" (ანუ ენმ-ის) ლობირების გამო შეექმნა და არა (ა) ივანიშვილის ხელისუფლების კონკრეტული დანაშაულებისა და (ბ) ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის იმთავითვე პრორუსული / ანტიქართული პოზიციის გამო, არის უკეთეს შემთხვევაში უაღრესად მიამიტი და საქმეში ჩაუხედავი, ხოლო უარეს შემთხვევაში - ცუდად შენიღბული ქოცი*.**

***ქოცი - ის, ვინც "მიუხედავად ყველაფრისა", ივანიშვილის პირობებში თავს "მაინც" უკეთ გრძნობს.**

**ცალკე საკითხია, რომ "შენიღბული" კი არა, ბილეთიანი ქოცი ხარ, თუ უშვებ იმ ბოდვას, რომ ენმ-ი ვიზალიბერალიზაციის წინააღმდეგ ლობირებს.**

**ქოცობა ტეხავს, მეგობრებო. გრცხვენოდეთ. უფრო სწორად, ვიცით, რომ გრცხვენიათ, მაგრამ ასეთ ნიუანსებში ნუ იწვებით!**




### ცოტნე გამსახურდია:

**დავიღალე... მგონი, მეც აინშტაინის მენტალური "ჯურღმულისკენ" მივექანები... მინდა სადმე, სხვა სახელით, სხვა გვარით, როგორც ოდესღაც; სადაც არვინ მიცნობს და არაფერი ვიცი, ნულიდან დაწყება... დავიღალე ამ განზომილებაში... რაღაც მექანიკური, კონვენციური ვხდები, ავტომატიზმი ანაცვლებს სიცოცხლეს...**

**ინდო-ბუდისტურ ტრადიციაში არსებობდა ასეთი პრაქტიკა: გამოქვაბულში კეტავდენ ადამიანს რამოდენიმე დღით - შუქის, საჭმლის, სასმლის გარეშე. აძლევდენ სულ რამოდენიმე ფრაზას, პრინციპს რომ მათზე ეფიქრა. იქედან ან გიჟი გამოდიოდა, ან - გონებაგახსნილი...**

**რაღაც უნდა შევცვალო, ასე აღარ შეიძლება...**

# „ალია“: „ე.ი დავსაქმდით, ავშენდით, ოცნებები აგვიხდა და ვერ ვხვდებით, ხოო?“

## „ოცნება“ ნიშნიანიძე: „ირონიულად მელაპარაკებით, ოცნება აგვიხდაო, ხომ? ოცნება აგიხდათ სწორედაც! სამშობლო გადაგირჩინათ ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ და ნუ ქილიკობთ!“

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



**„ოცნება აგიხდათ სწორედ, სამშობლო გადაგირჩინათ ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ — ასეთ შეფასებას აკეთებს ხელისუფლებაში ყოფნის 4 წლისთავზე პარლამენტარი ომარ ნიშნიანიძე, რომლის მმართველ გუნდში ყოფნა-არყოფნის საკითხი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მიუხედავად იმისა, რომ მას უკვე ჰქონდა კონსულტაციები ივანიშვილთან და მაჟორიტარად წარდგენის რეკომენდაციაც სთხოვა, ახლა პრემიერ კვირიკაშვილზეა დამოკიდებული, დატოვებენ თუ არა „ოცნების“ მაღალ ეშელონებში პარლამენტარს.**

**— ბატონო ომარ, პირველ რიგში უნდა გკითხოთ, ისევ „ოცნებაში“ ხართ?**

– აქ ვარ, აქ... და სხვაგვარად არ ძალმიძს.

**— როგორ ჩაიარა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრამ? ეს უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი, დარჩებოდით გუნდში თუ წახვიდოდით...**

– გულთბილ ვითარებაში... ძალიან ყურადღებიანია, მომისმინა, ჩემი პოზიციები დავაფიქსირე, ჩემი ხედვა. თხოვნა მქონდა მასთან, მოთხოვნა არა, თხოვნა, რომ, თუ შესაძლებელია, და თუ მიზანშეწონილად ჩათვლის ბიძინა ივანიშვილი, გიორგი კვირიკაშვილი, მე ვიყო მათი გუნდის წევრი, მაშინ მე მზად ვარ, ვიბრძოლო ჩემს მშობლიურ კუთხეში, მაჟორიტარული მანდატისთვის. იქვე დავაფიქსირე, რომ მე პარტიულ სიაში ადგილს არ ვითხოვ და დაზღვევა არაფერში მჭირდება.

**— რა გიპასუხათ?**

– მას არ შეუძლია, ასე პირდაპირ გადაწყვიტოს, ეს კვირიკაშვილის გადასაწყვეტია, რეკომენდაციის იმედი მაქვს, არ დამამადლის. მაინცდამაინც, კი ან არა ხომ არ უნდა ეთქვა, კარგად რომ მიგიღებს და მოგისმენს, ეს ძალიან კარგია. სტილია მისი უშუალობა, ძალიან გულწრფელობა და შენგანაც ამას მოითხოვს.

**— თქვენც ხომ არ გისაყვედურათ? მეჭიაურის პოზიციებს ხშირად იზიარებდით, პრემიერმა კი თქვა, რომ მსგავსი დამოკიდებულების ადამიანები ვერ დარჩებოდნენ „ოცნებაში“, ამიტომ გაჩნდა თქვენთან მიმართებაშიც გუნდში ყოფნა-არყოფნის საკითხი...**

– მთლიანად არ ვიზიარებდი, გარკვეულწილად, თანხვედრა გვქონდა ბევრ საკითხში, მაგრამ მქონდა რიგ საკითხებზე განსხვავებული პოზიცია, ამიტომ ვერ გადავდგამდი მისკენ ნაბიჯს და დავრჩი ჩემს გუნდში. მით უმეტეს, მინდა ხაზი გავუსვა, ბატონ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრამ, მისმა ბოლოდროინდელმა შეხვედრამ ჟურნალისტებთან, საბოლოოდ დამარწმუნა, რომ „ქართულ ოცნებაში“ რისთვისაც მოვედით და რატომაც მოგვიყვანა ბიძინა ივანიშვილმა, ძირითადი ფუნდამენტური ღირებულებები ძალაშია და ახლა მე გადავდგა სხვაგან ნაბიჯი, არ იქნება კარგი და ლამაზი. მით უმეტეს

ამ ასაკში პარტიიდან პარტიაში ვირბინო და მერე სანანებელი გამიხდეს, არ მინდა. შეიძლება ყველაფერი ვერ შევუსრულეთ ხალხს,

შეიძლება შეგვეშალა კიდეც, მაგრამ ის ძირითადი მიმართულებები კვლავ ძალაშია

და ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სწორედ იმ ღირებულებების დასაცავად, რასაც თავის დროზე აპირებდა „ქართული ოცნება“ და ამაში დამარწმუნა საბოლოოდ მასთან შეხვედრამაც. საერთოდ, მისმა ბოლოდროინდელმა გააქტიურებამ ძალიან გამახარა და მე ვრჩები გუნდში, თუ საჭიროდ ჩათვლის, რომ ვიყო მის გუნდში, თუ არა და დავრჩები მხარდამჭერად. განაწყენება და ასეთი რამეები არ იქნება, ბავშვი ხომ არ ვარ.

**— ივანიშვილის ჟურნალისტებთან შეხვედრა ახსენეთ და არ გეჩვენებათ, რომ მეტისმეტად თავდაჯერებულია და არანაირი კრიტიკის გაგონება არ სურს? ეს უშუალობისა და გულწრფელობის ფარგლებს ცდება... თან როცა ამბობთ, დაპირებები შევასრულეთო, შეხედეთ ხალხს, მათ ეტყობათ რამე, რომ უკეთ ცხოვრობენ? ძალიან მძიმე სოციალური ფონია...**

– ეს თქვენი აზრია.

**— ჩემი აზრი არაა, ბატონო ომარ, მოსახლეობის დიდი ნაწილი ასე ფიქრობს და ამ დღეშია, არ არიან კმაყოფილი „ოცნების“ მუშაობით...**

– ამას იმპერატიულად ამბობთ. აბა, ვინ ამბობს, მითხარი?

**— ჩემ გარშემო ვინცაა, არავის მდგომარეობა არ შეცვლილა უკეთესობისკენ, ბევრის, პირიქით, დამძიმდა. წამალსა და საჭმელს ველარ ყიდულობს ხალხი...**

– მოდი, ასე ვთქვათ, ბევრის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ცოტასი, ბუნებრივია, გაუარესდა კიდევაც. Is, რომ სამუშაო ადგილები ბევრით ვერა, მაგრამ მოვუმატეთ, ესეც სწორია. თუმცა ჩვენ რომ გვინდა, სასურველამდე ჯერ კიდევ შორს ვართ, კი ბატონო, გეთანხმებით. რაღაცაში არის წარმატებები, რაღაცაში ყველაფერი ისე ვერაა, როგორც ჩვენ გვსურს. მოსახლეობაში ცოტა სკეპტიციზმია, ცოტა ნიჰილიზმი, განცდა არ აქვთ მათ ისეთი, რომ მდგომარეობა უკეთესობისკენ მიდის. არადა ნამდვილად არ მიდის უარესობისკენ, არც ადგილზე არ ვართ გაყინული, უკეთესობისკენ მიდის, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ტემპი არც მე აკმაყოფილებს და შეიძლება მოსახლეობასაც. ამაშიც შემიძლია, დაგეთანხმოთ. მაგრამ ის, რომ სოფლის მეურნეობა უკეთესობისკენაა, ის, რომ განათლების სფეროში გადაიდგა ნაბიჯები წინ, მე თვითონ პროფესორი ვარ და კარგად ვხედავ ამას. აშკარაა, წინ მივდივართ. არც ისე კარგად არაა საქმე, როგორც ზოგიერთი ჩინოვნიკი ქადაგებს და არც ისე ცუდად, როგორც ოპონენტები, განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობა“ გაჰკივის.

**— „ნაციონალური მოძრაობა“ ახსენეთ და ხელისუფლების სხვა ოპონენტები მათ გაძლიერებას სწორედ თქვენი გუნდის უუნარობისა და არაეფექტურობის შედეგად თვლიან, ნოკაუტში ჩაგდებული პარტია უკვე ისევ მოძლიერდა და გამარჯვებაზეც კი საუბრობს, თავის დროზე სწორედ „ოცნებამ“ იზრუნა მათ პოლიტიკურ რეინკარნაციაზე, არ თვლით, რომ ეს ცუდად დაგიბრუნდებათ?**

– გამარჯვებაზე საუბრობენ, მაგრამ დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ის, რომ კოჰაბიტაციამ დაგვაზარალა, ამაშიც გეთანხმებით. მე არასდროს ვყოფილვარ ამის მომხრე, ალბათ, ესეც ცნობილია თქვენთვის. მაგრამ ის რომ, დასავლეთმა მოახვია ხელისუფლებას თავს, ესეც სწორია. ჩვენ რომ ვერ გავუწიეთ წინააღმდეგობა, ესეც ჩვენი სისუსტის ბრალია. ჩვენი უუნარობა შეიძლება იმაში გამოიხატება, რომ სათანადო ადგილზე არ მოვსვით ისინი. მაგრამ გარე ფაქტორებს გავუწიეთ ანგარიში, თუმცა შეიძლებოდა მეტად პრინციპულები ვყოფილიყავით. დანარჩენში რა უუნარობაა? რას დაგვჩხავიან? ქუთაისში ვარ ახლა და ვიყურები წინ და ჩემს თვალწინაა უამრავი მშენებლობა, მომრავლებულია ყველაფერი, ხალხი საქმიანობს, უსაქმურად აღარ დადიან, შრომობენ.

**— ე.ი დავსაქმდით, ავშენდით, ოცნებები აგვიხდა და ვერ ვხვდებით, ხოო?**

– ირონიულად მელაპარაკებით, ოცნება აგვიხდაო ხომ? ოცნება აგიხდათ სწორედაც, სამშობლო გადაგირჩინათ ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“. ამას ქილიკით არ უნდა მოეკიდო, მით უმეტეს ჟურნალისტი ხარ და უფრო მეტი მოგეთხოვება. საქილიკოდ არ გაქვს საქმე ნამდვილად.

**— ბატონო ომარ, უბრალოდ, როცა მეუბნებით, ხალხი დასაქმდაო, ასე რომ არ არის, ამას მე არ უნდა გიხსნიდეთ პარლამენტის წევრს, უმუშევრობის დონე ძალიან მაღალია და გაცილებით დიდი, ვიდრე ოფიციალური სტატისტიკა...**

– ამერიკას, გერმანიასა და ბევრ წამყვან ქვეყანას არ აქვს უმუშევრობის პრობლემა ბოლომდე აღმოფხვრილი და უმუშევრობა იქნება აქ, აბა, რა. მაგრამ ის, რომ უკეთესი მდგომარეობაა, ეს დაინახეთ. ის, რომ ტენდენციაა წინსვლისა და სწორი გზით სვლის, უნდა დაინახოთ, თორემ უმუშევრობა ამ ქვეყანაში როგორ არ იქნება. სხვათა შორის, ჩვენ აგრარულ სექტორსა და სოფლის მეურნეობას, სწორედ იმიტომ მივანიჭეთ პრიორიტეტი, რომ ეს უმუშევრობა გარკვეულად ამ გზით დაგვეძლია. რადგან არ უნდა მოსწყდეს სოფელს ხალხი, ქალაქში არ უნდა ჩამოვიდეს ეს მშიერ-მწყურვალი ხალხი. შემდგომში, ცოდნა, განათლება, მეცნიერება, მეტ შესაძლებლობას მოგვცემს დასაქმების კუთხით. თორემ ოცნება ამიხდა რა, ოცნება ამიხდა სწორედ, იმ ქვეყანაში ვცხოვრობ, სადაც არ დამედგომებოდა. სადაც ჩემს შვილს მპარავდა პოლიცია. ჩემი სიძე, ფაქტობრივად შვილი, მოიპარა პოლიციამ და გადაკარგა. ძლივს ვიპოვე იმ ავადსახსენებელ პერიოდში. ეს აღარ მემუქრება. სახლშიც არ ვიყავით დაცული. როდის შემოგივარდებოდნენ, როდის წაგიყვანდნენ, როდის გაგწეწავდნენ, როდის დაგახრჩობდნენ, როდის მოგკლავდნენ, გაწამებდნენ, აი, ეს აღარ არის. ამას დააკვირდით თქვენ და ეს დააფასეთ. აბა, როგორ გინდათ თქვენ, ასე ერთბაშად აშენდეს, დამშვენდეს და პრობლემები აღარ იყოს 2-3 წელიწადში? პერსპექტივა გაითვალისწინეთ, საით მივდივართ და მიხვდებით, რომ კარგად მივდივართ.

**— ბოლოს, ისევ ივანიშვილის გამონათქვამზე გკითხავთ, მოგენატრებითო, დაგვიბარა, თუ დიდი პროცენტით შეუმცირდა მხარდამჭერთა რაოდენობა, როგორც ჩანს, ძალიან გაბრაზდება და დაგვემალება... გაგვიხდება მოსანატრებელი? როგორ ფიქრობთ?**

– თქვენ როგორ ფიქრობთ? მიიღებს თუ არ მიიღებს მხარდაჭერას?

**— პოლიტოლოგები ამბობენ, რომ უმრავლესობით შესაძლოა ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ მოვიდეს...**

– ყველაფერი შესაძლებელია, გააჩნია, როგორ გამოვიყენებთ ამ 4 თვეს. თავად ბიძინა ივანიშვილმა წერილში დაწერა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა ინფორმირებულობა. კარგი იქნებოდა, ეს ბატონ ბიძინას ეთქვა სამი წლის წინათ, როცა მე პირველივე შეხვედრაზე განვაცხადე, რომ პიარი კარგი გაგებით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მე პოლიტიკის ისტორიას ვკითხულობ და ვიცი, რამხელა მნიშვნელობა აქვს პიარს. თუმცა ივანიშვილის ბოლოდროინდელმა გამოსვლებმა, დამარწმუნა, რომ მთავარი პიარი „ქართული ოცნების“ არის თავად ბიძინა ივანიშვილი. მისი გულწრფელობა, უშუალობა და სიმართლე.

**— ბატონო ომარ, სწორედ ესაა დემოკრატიისთვის პრობლემა, რომ არაფორმალური მმართველია და თანამდებობის გარეშე მართავს პროცესებს.**

– მერე რა, რომ არ აქვს, ის არის პარტიის შემქმნელი და ლიდერი, ალაგებს თავის გუნდს, სიაში შეიძლება რეკომენდაციას უწევს. თვითონაც თქვა გულწრფელად, რომ რამდენიმე კაცს შეიძლება გავუწიო რეკომენდაციაო, თორემ ეს არის კვირიკაშვილის გუნდი და მან უნდა დაალაგოსო. ივანიშვილის რა არაფორმალური მმართველობა დაინახეთ ამაში? აბა, ის გერჩივნათ, რომ გვირტყამდნენ, გვაწამებდნენ და გვსჯიდნენ? კაცი მოვიდა, აშენებს და დაინახეთ ეს! რასაც აშენებს, საკუთრებაში ხომ არ იტოვებს? სახელმწიფოსთვის აკეთებს ხომ? დაინახეთ და გაიხარეთ, ჩასაფრებულები რომ ხართ.





„ივანიშვილის რა არაფორმალური მმართველობა დაინახეთ ამაში? აბა, ის გერჩივნათ, რომ გვირტყამდნენ, გვაწამებდნენ და გვსჯიდნენ? კაცი მოვიდა, აშენებს და დაინახეთ და გაიხარეთ, ჩასაფრებულები რომ ხართ!“

---

**Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook**

### facebook

**თამაზ ბიჭინაშვილი:**

მადლობა ყველას სიყვარულისთვის, ცოტა აშვებული მქონდა აფრები, სიცოცხლის სურვილი აღარ მქონდა, სიკვდილს ვეძებდი, იქნებ სადმე ვიპოვო! ეშინოდა ჩემი და სულ გამირბოდა. ჩემი არა, ჩემი მფარველი ანგელოზების, პირველ რიგში წმიდა მღვდელმოწამე ანთიმოზ ივერიელის. მებრძოლი კაცი იყო და საოცრებები აქვს ნაკეთები. ეხლაც აგრძელებს ბრძოლას ცათა შინა. სიკვდილის მაგივრად სიყვარული ვიპოვე.

ღმერთმა ყველა დაგლოცოთ, გაგახაროთ, სულიწმიდის მადლით აავსოს თქვენი გულები. საქართველო აუცილებლად გახდება იბერია(ივერია). ჩემს მფარველ წმინდანს ანთიმოზ ივერიელს ვპირდები, რომ მოვწესრიგდები.

არქიმანდრიტი ანთიმოზი (ივერიელი).



### facebook



**მალხაზ თოფურია:**

ჩინური რესტორანი გაიხსნა ახლოში, თვითონ ხომ არ ხმაურობენ, მაგათი მოსვლის მერე ვერც კატის ჩხავილსა და უპატრონო ძაღლების ყეფას ველარ გაიგებთ ჩვენ ქუჩაზე)

მარინა ქობულაძე - გრიგოლია ძაღლებს ეძებს და მანდ ხო არ მოუყვანიათ??

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# რას სთავაზობს ზურა ჯაფარიძე ბიძინა ივანიშვილს?

## „ამ მხრივ, რასაც ივანიშვილი ამბობს, სიმართლეა“



**21-ე საუკუნე, 2016 წელი, როგორც ჩანს, წერილებს არც ტექნოლოგიების საუკუნეში დაუკარგავს აქტუალურობა. ივანიშვილის ცნობილ უსტარს გასულ კვირას ახალი პოლიტიკური ცენტრის — „გირჩის“ დამფუძნებელმა ზურა ჯაფარიძემ წერილითვე უპასუხა. კრიტიკის მოძულე „ბრძენკაცმა“, როგორც აღმოჩნდა, გარდა თავის წერილისა, სხვისიც წაიკითხა და ვერც ეკონომიკის ცოდნა დაუწუნა ნაექსპერტალ, „ნანაციონალარ“, „გირჩელ“ ჯაფარიძეს. თუმცა მთლად მაღალი შეფასებაც არ დაუწერა ეკონომიკურ ანალიზში კონკურენტს და ჩაკითხვების აშკარა სურვილიც გამოთქვა. საინტერესო პაექრობისა და ჭირყვნაობის მომსწრე გავხდებოდით ნამდვილად, თუ მსგავს ოპონირებას ვიხილავდით, რადგან „საქმეში ჩაუხედავი“ და „უცოდინარი ჟურნალისტების“ ნაცვლად, ეკონომიკის ნაქებ მცოდნესთან მოუწევდა დისკუსია ივანიშვილს. როგორც „ალიასთან“ საუბარში „გირჩის“ ლიდერი აცხადებს, ის მზადაა, ნებისმიერ ფორმატში შეხვდეს ივანიშვილსა და პრემიერ-მინისტრს და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უფასო ტრენინგები ჩაუტაროს მათ.**

**— ბატონო ზურა, ივანიშვილი ისევ გატაცებულია წერილების წერა-კითხვით, თქვენი საპასუხო წერილიც წაუკითხავს და არცთუ ისე ცუდი შეფასება მოგცათ. ეკონომიკის ცოდნას ვერ დავუწუნებთ ჯაფარიძეს, მაგრამ ციფრებით მანიპულირებსო, ერთგვარი სურვილიც კი გამოთქვა, ოპონირება გაეწია ეკონომიკურ საკითხებში... თქვენ რას ფიქრობთ? ვინ მანიპულირებს ციფრებით და ვის დაუჯერებს მოსახლეობა?**

– ჩემს წერილში რა ციფრებიც არის მოყვანილი და რა სტატისტიკაც, ყველა ციფრზე ვაგებ პასუხს და არაფერი მანიპულაცია იქ არ ყოფილა. ამიტომ, თუ კითხვა არის, ვინ მანიპულირებს ციფრებით, მანიპულირება სწორედ ივანიშვილის წერილშია, როცა ეკონომიკურ ნაწილზეა საუბარი.

რაც შეეხება მის კომენტარებს, კარგია, რომ აღიარა, რომ ეკონომიკის ცოდნას ვერ დამიწუნებს, მაგრამ ციფრებით მანიპულაციის ნაწილში ცხადია, ცდება. სავარაუდოდ, ვინც ჰყავს ეკონომიკური მრჩევლები (და არა მგონია, ეს წერილი მისი დაწერილი იყოს), ისინი ცდილობენ, მას ნათელი სურათი დაუხატონ აწმყოსთან მიმართებაში და ასევე, ცდილობენ, დახატონ ნათელი მომავალი. ერთიც მცდარია და მეორეც, ანუ აწმყოს შეფასებაც და მომავლის პროგნოზიც.

საპარლამენტო ტრიბუნიდან რამდენიმე დღის წინ მივმართე მასაც და კვირიკაშვილსაც, შევთავაზე, რომ მათთან არ მჭირდება მე საჯარო დებატი, რომ გავიმარჯვო და პოლიტიკური ქულები ჩავიწერო. უბრალოდ, მსურს, რომ ის ხედვები და ის პროგრამა, რაც მაქვს, სწრაფად გახდეს განხორციელებადი.

რადგან დროს ვკარგავთ და გაჩერებული ვართ ერთ ადგილას. ღიად და საჯაროდ შევთავაზე, რომ, თუ მათ ამის სურვილი ექნებათ, ნებისმიერ საჯარო ადგილას, გნებავთ მათი ექსპერტების თანდასწრებით, გნებავთ სხვა რეჟიმში, მზად ვარ, დავჯდე მათთან ერთად და მოვუყვე, რა რეფორმებია გასატარებელი ეკონომიკური მიმართულებით, ჯანდაცვის მიმართულებით და საით უნდა წავიდეს ეს ქვეყანა. რადგან ეს ყველაფერი დეტალურად მხოლოდ ჩვენ გვაქვს გააზრებული და არც ერთი პოლიტიკური პარტია საქართველოში არ არსებობს, ვისაც ასე დეტალურად ექნება გაწერილი ყოველი ნაბიჯი.

ჩვენ რეალურად გვაინტერესებს, რომ სწრაფად წავიდეს წინ ქვეყანა და თუ ჩემს იდეებს გაიზიარებენ, მხოლოდ მოხარული ვიქნები. ადრეც შევთავაზე კვირიკაშვილს, როდესაც პრემიერად იქნა დამტკიცებული, ასეთი ტიპის შეხვედრა. მან საჯაროდ განაცხადა, რომ გეგმავდა ჩემთან შეხვედრას და კონსულტაციებს, მაგრამ ეს შეხვედრა ვერ შედგა.

**— სხვათა შორის, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავის დროზე პრემიერ კვირიკაშვილის გამოხმაურება თქვენს შეთავაზებაზე გარიგებად ჩათვალა ხელისუფლებასთან. ახლაც ივანიშვილის ნახევრად შექებით და თქვენი აზრებით დაინტერესებით, უფრო ხომ არ მოხდება იმ ეჭვის გამყარება, რომ „ოცნება“ „გირჩს“ ლობირებს?**

– ეს ივანიშვილს უნდა ჰკითხოთ, რატომ გადაწყვიტა, რომ მე ვეხსენებინე. თუმცა ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ მის წერილზე, ეკონომიკურ ნაწილზე არც ერთ სხვა პოლიტიკურ გუნდს კომენტარი არ გაუკეთებია. ყველა სადღეგრძელოს ტიპის კომენტარებით შემოიფარგლა, რომ აცდენილია რეალობას და ა.შ. მე ვიყავი ერთადერთი, ვინც მას აკადემიური პასუხი გასცა, კონკრეტული ციფრებითა და დასაბუთებით.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, მათ თავისი საკუთარი პრობლემებიც ეყოფათ. მთავარი მათი პრობლემა ისაა, რომ არაფერი არ აქვთ ახალი მოსახლეობისთვის. მხოლოდ იმით არიან დაკავებული, გარშემო ყველა გააშავონ. რატომღაც ფიქრობენ, რომ ეს არის სწორი სტრატეგია. არა მგონია, ამით წინ წავიდნენ.

**— ივანიშვილის მედიასთან კვლავ აქტიურად გამოჩენასაც შევეხოთ, მკაფიოდ ჩანს, რომ დასაბუთებული კრიტიკის მიუღებლობა აქვს და ადეკვატურად არ აღიქვამს ამას, კითხვების საპასუხოდ ბრალდებებზე გადადის... იმ შემთხვევაში თუ თქვენ მოგეცათ მასთან ოპონირების საშუალება, გგონიათ, რომ მოგისმენთ და მიიღებს თქვენს წინადადებებს?**

– ეს ახალი არ არის, რაც გამოჩნდა, მას შემდეგ აქვს მედიასთან ამ ტიპის ურთიერთობა. მე ეს არ მომწონს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, მზად ვარ, მის ასეთი ტიპის შეტევებსაც გავუძლო. ჩემთვის მთავარია, რაც სათქმელი მაქვს, ის მივიტანო და თუ რაღაცის გაკეთებას მაინც დაიწყებენ დროულად ეკონომიკაში, ეს იქნება ძალიან კარგი.

**— თქვენს წერილში არის საუბარი საკრალურ 2030 წელზეც, მიუხედავად იმისა, რომ გაღატაკებულ ხალხს სულაც არ ხიბლავს 14 წლის შემდეგ კარგად ცხოვრების**

### 2030

**პროგნოზი, თქვენ ამბობთ, რომ ეკონომიკის განვითარების ამ ტემპით 2030 წელსაც არ გვექნება ის შედეგი, რასაც ივანიშვილი სახავს... მოკლედ, როგორც ჩანს, ესეც „ოცნების“ მორიგი ოცნებაა...**

– ჩვენ თუ გავატარებთ სწორ რეფორმებს და წავალთ სწორი მიმართულებით, საქართველოს აქვს ნამდვილად შანსი, რომ ჩვენ 10-15 წელში ვიყოთ კარგი, განვითარებული ქვეყანა. ვერ ვიქნებით შვეიცარიის მსგავსი ქვეყანა, მაგრამ შეგვიძლია, ვიყოთ ესპანეთის დონეზე, რომელიც ცხადია, კარგი პერსპექტივაა. ამ მხრივ, რასაც ივანიშვილი ამბობს, სიმართლეა. მაგრამ ამას სჭირდება სწორი რეფორმები. თუმცა ამ ნაწილში რაც უწერია წერილში, ყველაფერი არის არასწორი, რადგან დღეს ამ მიმართულებით არანაირი ნაბიჯები არ იდგმება. რა ტემპითაც მივდიოდით ამ 3,5 წლის განმავლობაში, ასე, ცალსახად, ვერ ვიქნებით ვერც 2030 წელს კარგად. დაახლოებით შეიძლება ვიყოთ თურქეთის დონეზე, რაც არ არის ჩემთვის მაინცდამაინც სახარბიელო შედეგი. მინდა, რომ, რაც შეიძლება სწრაფად წავიდეთ წინ და მინდა, ჩემი შვილი მაინც მოესწროს ნორმალურ ცხოვრებას.

**— მთელი ინტერვიუა, ვსაუბრობთ ივანიშვილისა და თქვენს ურთიერთდამოკიდებულებაზე, კონსულტაციების შესაძლებლობაზე, რას იზამდით, თუ სასწაული მოხდებოდა და ის თქვენს აზრებს გაიზიარებდა, შემოთავაზება რომ ყოფილიყო, დასთანხმდებოდით მისი გუნდის ეკონომიკურ მრჩევლობას?**

– მე პრობლემა არ მაქვს, აგერ ისედაც საჯარო მრჩეველი ვარ. არა მხოლოდ ამ ხელისუფლებას, წინა ხელისუფლებასაც საჯაროდ ვაძლევდი არაერთ რჩევას. უფასო მრჩეველი ვარ, არ მჭირდება ამისთვის რაიმე თანამდებობა, ოღონდ მომისმინონ, გაიაზრონ და გააკეთონ სწორი დასკვნები, ეგაა მთავარი ჩემთვის. თუ არ გააკეთებენ, მერე ვეცდები, თავად გავაკეთო და მაგისთვის ვარ სწორედ უკვე პოლიტიკურ სპექტრში...

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

facebook

**გიორგი კანდელაკი:**

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ დღეს გამართულ კონფერენციაზე პრემიერ კვირიკაშვილს კითხვა რუსული პროპაგანდის შესახებაც დავუსვი. მე მას შევახსენე გამოსვლა პარლამენში როცა მან აღნიშნა რომ თუკი დადასტურდებოდა რომ ანტიდასავლურ პროპაგანდას სახელმწიფო აფინანსებს ეს აუცილებლად შეწყდებოდა. როგორც იცით ეს ფაქტი ევროსაბჭოს რასიზმის და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კომისიამ დაადასტურა და მოუწოდა მთავრობას შეწყვიტოს მსგავს მედია საშუალებებთან ფინანსური ტრანზაქციები. დეკემბრისგან განსხვავებით კვირიკაშვილს არც კი უარუყვია რომ რაც ვთქვი მართალია. ძალიან უმწეო მდგომარეობაში მყოფმა შეეცადა საუბარი დაეწყო თემაზე რომელზეც არაფერი მიკითხავს. ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება რომ მას გონია რომ არ ინაწილებს პასუხისმგებლობას იმაზე რაც ხდება - მაგალითად, ამ შემთხვევაში, მტრული სახელმწიფოს პროპაგანდის დაფინანსებაზე. ცდებით, ბატონო გიორგი. ინაწილებთ.



● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

facebook




**ნიკა გვარამია:**

მეგობრებო, ბოლო პერიოდის განმავლობაში, ბევრი აზრი ხისტად და უტრირებულად გადმოვეცი, ბევრიც - უბრალოდ არასწორი რამ ვთქვი. არ დავმალავ, ზოგჯერ, ამას როგორც მეთოდს ვიყენებ, ზოგჯერ - შეცდომას ვუშვებ. ნამდვილად არ მწყინს, ამის გამო რომ მაკრიტიკებენ. უბრალოდ, გთხოვთ, გაითვალისწინოთ: მე ვარ მარტო ჩემს გუნდთან ერთად. ოჯახიც კი ვერ მიმაგრებს ზურგს - გადახვეწილი მყავს და რეალურ საფრთხეს გარიდებული. მეგობრების დიდი ნაწილი დევნილია და ემიგრაციაშია. მიწევს გამკლავება ყოველდღიურ რუტინასთან კვირაში 7 დღე გაუჩერებლად (ფინანსები, ტექნიკური აღჭურვილობა და სხვა 1000 კაციანი ტელეკორპორაციისთვის დამახასიათებელი პრობლემა) და პასუხისმგებელი ვარ ჩემი ამ ქვეყნად საუკეთესო გუნდის წინაშე, რომ დროზე აიღებენ ხელფასს, იქნებიან უსაფრთხოდ, არ შეფერხდება ეთერი, იქნება მაღალი რეიტინგი და ა.შ. ამის პარალელურად, მიწევს გაუნელებელი ომი ჩვენს წინააღმდეგ გაერთიანებულ და აბსოლუტურად მობილიზებულ ხელისუფლების სამივე შტოსთან და მანიაკ მილიარდერთან, რომლებიც წესების გარეშე გვებრძვიან და ყოველმხრივ (სამართლებრივად, ფინანსურად და ა.შ.) ცდილობენ ჩვენს განადგურებას. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ფინანსურად არავინ არ გვეხმარება და პირველი და ერთადერთი დიდი ტელევიზია ვართ საქართველოს ისტორიაში, ვინც საკუთარ თავს თვითონ ინახავს. და ეს იმის მიუხედავად, რომ ყოველგვარი კანონი თუ რეგულაცია მიიღეს ამის შესაზღუდად, მეზობელი არხები (მთავრობის დაკვეთით) დემპინგური ფასებით გვებრძვიან და მიმდინარე ხმაურიანი დავები ასევე აფრთხობენ ჩვენს კლიენტებს. დამატებით, უამრავ ტყუილს და სიბინძურეს მივრცელებენ ჩემს პირად ცხოვრებაზე, რაც ჩემზე სრულიად არ მოქმედებს, მაგრამ გულს ტკენს ჩემთვის მნიშვნელოვან ადამიანებს.

ასე რომ, პოსტ ფაქტუმაც ვუხდი ბოდიშს საზოგადოებას და სამომავლოდაც ჩვეულებრივზე ოდნავ მეტ შემწყნარებლობას გთხოვთ, თუ ჩემი ნერვული სისტემა ყოველთვის ბოლომდე მდგრადი არ ყოფილა ან არ იქნება, და ჩემი შეფასებები გაცდა და ალბათ მომავალშიც გაცდება ხოლმე საზოგადოებრივად დადგენილ ნორმებს.

ამ ყველაფერს განვიცდი და ძალიან ვცდილობ, ასე არ იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის არ გამომდის.

# აბა, შენ იცი, „ოცნება"! ოთარ კობერიძისა და „ფრესკოს" შემდეგ იქნებ კეზერაშვილსაც აუხდინო ოცნება!!!



**გიორგი ბრეგვაძე: „თავად ის ფაქტი, რომ კეზერაშვილი ბედავს და „ალიას" სასამართლოში უჩივის, ამ საქმეს კი საქალაქო სასამართლო იხილავს, უკვე უსამართლობა და სასამართლო ხელისუფლების დანაშაულია"**



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

დავით კეზერაშვილმა სამოქალაქო სასამართლოს ადვოკატის მეშვეობით მიმართა „კვირის ქრონიკაში" გამოქვეყნებული პუბლიკაციის გამო და მე, „კვირის ქრონიკასა" და „ალიას" გვიჩივის. მკითხველს მოკლედ შევახსენებ, რას გვედავება კეზერაშვილი. „კვირის ქრონიკაში" (23.06-29.06.2014წ. №25.) გამოქვეყნდა ჩემი სტატია, სათაურით: „როგორ იუბილეებს იხდიდნენ „ნაციონალები" და მათი ოჯახის წევრები ბიუჯეტის ხარჯზე". აღნიშნულ პუბლიკაციაში, ჩემ მიერ მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაციის საფუძველზე, მოთხრობილია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციის, სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს ხარჯებით, ყოფილი სახელმწიფო მაღალჩინოსნებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ ძვირად ღირებული დაბადების დღეების ხარჯებისა და სხვა დეტალების შესახებ. მათ შორის გახლავთ დავით კეზერაშვილიც. აღნიშნულ წერილში ვწერ, რომ დავით კეზერაშვილმა, 2008 წლის 22 სექტემბერს დაბა წყნეთში, სამთავრობო აგარაკზე დაბადების დღე გადაიხადა ბიუჯეტის ხარჯზე. საამისოდ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტომ გამოყო 17 000 ლარი, ამ თანხიდან 2500 ლარი კი პიროტექნიკური საშუალებების შესაძენად დაიხარჯა. დავით კეზერაშვილმა ადვოკატის მეშვეობით უარყო ეს ფაქტი, სასამართლოში გვიჩივლა. დავით კეზერაშვილი თავს დაზარალებულად თვლის, მისი ადვოკატის სასარჩელო მოთხოვნაში მითითებულია, რომ ამ წერილში მოყვანილი ფაქტების გამო „განუზომელია მისთვის მიყენებული მორალური ზიანის მოცულობა". ცხადია, დავით კეზერაშვილი იგულისხმება. შესაბამისად, კეზერაშვილი ჩვენგან ამ „განუზომელი მორალური" ზიანის" სანაცვლოდ მოითხოვს, უარვყოთ, ადვოკატის თქმით, „სტატიაში მითითებული ყალბი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი და ზიანის მომტანი განცხადებები". გარდა ამისა, დავით კეზერაშვილი მოითხოვს, სოლიდარულად დაგვეკისროს 2500 ლარი მისთვის მიყენებული მორალური ზიანის სანაცვლოდ.

დავით კეზერაშვილის ადვოკატს, ჩემი აზრით, მიაჩნია, რომ გაუქრელ კოზირად უჭირავს ცნობა, რომელიც მას სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოდან გამოუგზავნეს. კერძოდ, ადვოკატმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსს მიმართა კითხვით, ფიქსირდებოდა თუ არა ამ სამსახურს დაქვემდებარე სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოში დოკუმენტურად, რომ დავით კეზერაშვილის დაბადების დღისთვის სააგენტომ კუთვნილი თანხა გამოყო. პასუხად ადვოკატმა სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურიდან მიიღო, რომ ამგვარი ხარჯი სააგენტოს მიერ გაწეულ ხარჯებში არ ფიქსირდება. სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო სხვაგვარ პასუხს ვერც მისწერდა ადვოკატს, რადგან სახელმწიფოს იმჟამინდელი მაღალჩინოსნებისთვის, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურისა თუ მისდამი დაქვემდებარებული ამ სააგენტოს მიერ გაწეული არამიზნობრივი ხარჯები, მკაცრად გასაიდუმლოებული იყო და ამგვარ ხარჯებს გრიფი „საიდუმლო" ედო. ცხადია, ამგვარი „საიდუმლო" გრიფი ჰქონდა მინიჭებული დავით კეზერაშვილის დაბადების დღისთვის გაწეულ ხარჯებსაც. აღნიშნული ხარჯების უდიდეს ნაწილს გრიფი „საიდუმლო" დღემდე არ ახსნია.

ჩემმა წყარომ, რომელმაც აღნიშნული ინფორმაციები მომაწოდა, სწორედ აღნიშნული გრიფით გასაიდუმლოებული დოკუმენტებიდან მოიპოვა ეს ინფორმაციები, რომელზეც მას სამსახურებრივად მოუწვდებოდა ხელი.

ჩემი ნათქვამის დასტურად შეგახსენებთ, რომ 2014 წლის 13 აგვისტოს, მთავარი პროკურატურის მიერ, დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ფაქტზე, გამოტანილ იქნა დადგენილებები საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსის თეიმურაზ ჯანაშიას ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. საქმე ეხება სახელმწიფოს კუთვნილი 8 837 461 ლარის გაფლანგვის ფაქტს...

ანალოგიურად, არადანიშნულებისამებრ და არაკანონიერად თანხები გამოიყოფოდა, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით, თბილისის მერის, გიგი უგულავასა და „ნაცმოძრაობის" სხვა ლიდერებისთვის... ცნობილია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ ხდებოდა კონკრეტული ჩინოვნიკებისა და პოლიტიკოსების არამიზნობრივად დაფინანსება და შემდეგ, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის მიერ, ამ ხარჯებს გრიფი „საიდუმლო" ენიჭებოდა, რათა საზოგადოებას არ შეეტყო, სააკაშვილისა და მისი გუნდის წევრების უკანონო საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს უფროსის, მურად ხარაიშვილის მიერ დავით კეზერაშვილის ადვოკატისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ სააგენტოს ხარჯებში არ ფიქსირდება დავით კეზერაშვილის დაბადების დღისთვის გაღებული ხარჯები, არასანდო და არასაიმედოა.

საზოგადოებრივი დიდი ინტერესიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ სახელმწიფო მაღალჩინოსნებისთვის

## სასამართლო დავა

გაწეულ ყველა არაკანონიერ ხარჯს უნდა აეხსნას გრიფი „საიდუმლო" და თუ იმ დოკუმენტებში არ აღმოჩნდება დავით კეზერაშვილის დაბადების დღისთვის გაწეული სახელმწიფო ხარჯები, მხოლოდ მაშინ ვაღიარებ, რომ არასწორი ინფორმაცია გავავრცელე და მზად ვარ, დავით კეზერაშვილს ბოდიშიც მოვუხადო, გავრცელებული ინფორმაციაც უარვყო და „მორალური ზიანის მიყენების" საფასური, 2500 ლარიც გადავუხადო. თუმცა, სანამ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ დავით კეზერაშვილისა და სხვა ყოფილი ჩინოვნიკებისთვის გაწეულ ხარჯებს გრიფი „საიდუმლო" ადევს, ცხადია, თავს არ ვთვლი დამნაშავედ, მე ვენდობი ჩემი წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას

და არა სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისას, მურად ხარაიშვილის არასაიმედო და არასრულყოფილ ინფორმაციას.

ჟურნალისტების მიერ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტებისა და ინფორმაციის გამოქვეყნების არაერთი ფაქტი ყოფილა. თუნდაც, უკანასკნელი და ყველაზე სკანდალური ფაქტი გავიხსენოთ. 2010 წელს ვებპორტალ „ვიკილიკსის" დამფუძნებელმა, ჟულიან ასანჟმა, თეთრი სახლის მაღალჩინოსნების საიდუმლო მიმოწერა გამოაქვეყნა, მათ შორის, სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პირველი პირებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების სრულიად გასაიდუმლოებული წერილები და ანგარიშები.

გაგრძელება გვ. 14

facebook



**იოსებ შატბერაშვილი:**

გაგვაგებინე პატ.შალვა როდის იყავი მართალი?

1.პარტიიდან ხალხს რომ რიცხავდი მიშას გულისთვის?

თუ

2.არ დაგითმია მიშასთვის საკრებულო?

ფიცი კი გვწამს მაგრამ შენი დაფიცებულის რა მოგახსენოთ!

facebook



**გია ნოდია:** მე ძალიან მინდა, რომ საქართველომ მალე მიიღოს უვიზო რეჟიმი ევროკავშირის ქვეყნებთან.

ჩემი აზრით, გერმანელების და სხვა დასავლეთევროპელების მიერ მისი დროებითი (იმედი მაქვს) დაბლოკვა არასამართლიანია და პოლიტიკური მოტივებითაა ნაკარნახევი (თუმცა, ქართველების დისპროპორციული მიდრეკილება კრიმინალისადმი სამწუხარო რეალობაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ, და ამისთვის არ არის აუცილებელი, „ნაცი" ან გერმანელი იყო).

მაგრამ ვიზალიბერალიზაციის ევროპელ დამბლოკავებზე ბევრად, ბევრად უფრო მეტად ვბრაზდები იმ ვითომ „ობიექტურ" და „დაბალანსებულ" ქართველებზე, ვინც ამბობს, რომ ამ მომენტში თავი უნდა შევიკავოთ ჩვენი ქვეყნის შესახებ ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებისაგან. თითქოს მთავარი პრობლემა ის კი არაა, რომ ხელისუფლება ოპოზიციას აცემინებს და ცდილობს, ტელევიზია „დააწეროს", არამედ ის, რომ ვიღაცეები ამაზე ხმაურობენ და ამ ხმაურით უშლიან ხელს ვიზა-ლიბერალიზაციას.

ხშირად ასეთ რამეს ამბობს იგივე ხალხი, ვინც წინა ხელისუფლების დროს დასავლეთის დემოკრატიებში აქტიურად ავრცელებდა კრიტიკულ ინფორმაციას მის ცუდ ქმედებებზე და თვლიდა (არცთუ უსაფუძვლოდ), რომ დასავლეთის რეაქცია იქნებოდა ყველაზე ძლიერი ბერკეტი საქართველოს ხელისუფლებაზე ზემოქმედებისთვის.

უნდა ვიცოდეთ პრიორიტეტების გარჩევა. რომელია უფრო მნიშვნელოვანი: ევროპაში უვიზოდ ვიმოგზაუროთ, თუ ცივილიზებული ქვეყანა გვქონდეს? ჩემთვის ცხადია, რომელიც.



facebook



**გიორგი იაკობაშვილი:**

წეღან გიული ალასანის უნივერსიტეტთან გავიარე და გიული ალასანიას კრუსუნის ხმები გამოდიოდა. ვინმემ თუ იცის რა ხდება? ისე, იქ ვიღაცეებმა მითხრეს, გიულის არმაგედონის ზანგმა აუდიენცია თხოვა და ეტყობა ეგ ხმებიაო და რიგში შემდეგი ყასაბი მიხაკააო.

რავიცი, რავიცი... ყველა ზანგს და ღორს როგორ აძლევს ამ აუდიენციას თუ რაცხა ჯანდაბას

**მეცამეტე გვერდიდან**

ცხადია, ჩინოვნიკებმა ასანჟის დასჯა მოითხოვეს, რადგან მან სახელმწიფო საიდუმლოება გათქვა. სისხლის სამართლის საქმეც შეუთითხნეს, სექსუალურ დანაშაულში დასდეს ბრალი. შვედეთის პოლიციას, მაინცდამაინც ამ მასალების გამოქვეყნების შემდეგ მიმართა ორმა ქალმა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ასანჟი მათ პრეზერვატივის გარეშე სექსს აიძულებდა... საბოლოოდ ასანჟი გამართლდა და ამჟამად შვედეთში მშვიდად ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ჩინოვნიკი მოითხოვდა ასანჟის მკაცრად დასჯას, თავისუფალი მედიის მომხრეები უფრო მეტნი და ძლიერნი აღმოჩნდნენ და არამხოლოდ ამერიკის, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებს ჩააკმანდინეს ხმა, ვისაც ასანჟის დასჯის სურვილი ჰქონდა. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ჯულია გილარდმა საიდუმლო მასალების გამოქვეყნებაში შეერთებული შტატები დაადანაშაულა, რადგან საიდუმლო დიპლომატიური მიმოწერა სათანადოდ არ იყო დაცული და დოკუმენტები ბევრისთვის ხელმისაწვდომი იყოო. ამის შემდეგ ამერიკის ხელისუფლების ლიდერები მიხვდნენ, რომ საიდუმლო მასალების გამოქვეყნებაში ჟულიან ასანჟი არ იყო დამნაშავე, დამნაშავენი ისინი იყვნენ, ვისაც მათი დაცვა ევალებოდა. ჟურნალისტის მოვალეობაა, მის ხელთ არსებული ინფორმაცია გაასაჯაროოს და თუ ეს კონკრეტულ ქვეყანას ან მის გავლენიან ჩინოვნიკებს ზიანს მიაყენებს, უკვე მისი პასუხისმგებლობის საქმე არ არის.



ჩვენს შემთხვევაშიც ასეა. მე მოვიპოვე ინფორმაცია გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტებიდან და გამოვაქვეყნე გაზეთში, გავაკეთე ის, რასაც ნებისმიერი ჟურნალისტი გააკეთებდა. ეს დოკუმენტები სათანადოდ რომ არ იყო დაცული, ეს უკვე ჩემი ბრალი არ არის.

ჩვენსა და დავით კეზერაშვილს შორის სასამართლო დავა თითქმის 2 წელია მიმდინარეობს. ბოლოსწინა სასამართლო სხდომა 5 მაისს გაიმართა, 21 ივნისს კი მოსამართლე ასმათ კოხრეიძე გადაწყვეტილებას გამოაცხადებს. ან გაგვამტყუნებს, ან გაგვამართლებს. ახლა მინდა, 5 მაისს გამართული სხდომის რამდენიმე დეტალზე შევაჩერო თქვენი ყურადღება. ქალბატონი ასმათ კოხრეიძე მოგვიწოდებდა, იქნებ დავით კეზერაშვილს მოურიგდეთო. მორიგების მისეულ ვარიანტსაც გვთავაზობდა. ასე ვთქვათ, ჩვენს მიერ გავრცელებული ინფორმაციის „მსუბუქად“ უარყოფას. როდესაც „ალიას“ დამფუძნებელმა გიორგი ბრეგვაძემ იკითხა, კონკრეტულად რა სახის მორიგებას გვთავაზობდა მოსამართლე, მან გაზეთებში ამგვარი ტექსტის გამოქვეყნება შემოგვთავაზა: „ამ სტატიის გამოქვეყნებისას, ჟურნალისტი ვეყრდნობოდი ჩემთვის სანდო წყაროს ინფორმაციას, კონფიდენციალურს, მე არ მქონდა შესაძლებლობა, გადამემოწმებინა ეს ინფორმაცია და იმის დადასტურება, მართალია თუ არა ეს ინფორმაცია, არ გამაჩნია...“ მოკლედ, გიორგი ბრეგვაძეს მოსამართლე ეუბნება, რომ მე და „ალიამ“ უნდა უარვყოთ გავრცელებული ინფორმაცია, უნდა ვთქვათ, რომ ტყუილი დავწერეთ. კი, მაგრამ, დავით კეზერაშვილი ხომ სწორედ ამას მოითხოვს სასამართლოსგან?! გესმით, მოსამართლე გვეუბნება, ლევან ჯავახიშვილმა, „ალიამ“ და „კვირის ქრონიკამ“ უარყავით გავრცელებული ინფორმაცია, ეს სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გააკეთეთ და ეს მორიგება იქნებაო.

ვის უნდა მოვურიგდეთ? დავით კეზერაშვილს?



ცხადია, გიორგი ბრეგვაძე არ დასთანხმდა და მოსამართლეს სამართლიანად განუცხადა, რომ არანაირ გარიგებაში არ შევა ისეთ ამორალურ ადამიანთან, როგორიც დავით კეზერაშვილია, რომელსაც საქართველოს პროკურატურის მიერ ხუთ მძიმე დანაშაულში აქვს ბრალი წაყენებული და რომელიც, წესით, ციხეში უნდა იჯდეს. „კეზერაშვილი ციხეში უნდა იჯდეს... მე ჩემი ქონება კი არ წამართვა... ჩემთვის კი არაფერი დაუშავებია, სახელმწიფოს დაუშავა და ქვეყანას“, - განაცხადა გიორგი ბრეგვაძემ და დასძინა, რომ თავად ის ფაქტი, რომ კეზერაშვილი ბედავს და „ალიას“ სასამართლოში უჩივის, ამ საქმეს კი საქალაქო სასამართლო იხილავს, უკვე უსამართლობა და სასამართლო ხელისუფლების დანაშაულიაო.

როდესაც საუბარი მორიგებაზე მიდიოდა და გიორგი ბრეგვაძემ განაცხადა, დამნაშავე კეზერაშვილთან მორიგებას არ ვაპირებო, მოსამართლემ დაადანაშაულა, რომ ის ემოციურად ლაპარაკობდა. „თქვენ ემოციით ხართ შეპყრობილი და ვერ გვისმენთ კარგად“, – განაცხადა ასმათ კოხრეიძემ. როგორ შეიძლება გარეწარ და არაკაც კეზერაშვილთან ისეთ მორიგებას გთავაზობდეს მოსამართლე, რომელიც მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ტოლფასია და ამაზე უემოციოდ ილაპარაკო?

მოსამართლესა და გიორგი ბრეგვაძეს შორის დავა მცირე ხანს გაგრძელდა. ამ მოკლე დროში

ასმათ კოხრეიძემ მოასწრო და ერთი კურიოზი ეთქვა: „მე

**სასამართლო დავა**

მაგალითად, ადამიანს პატივს ვცემ, რომელიც ობიექტურ აზროვნებას ინარჩუნებს. თქვენ ამას ვერ ახერხებთ“, – მიმართა მოსამართლემ გიორგი ბრეგვაძეს. არა, ჯერ ეს ვერ გავიგე, რას ნიშნავს ობიექტურობა მოსამართლისთვის? დავით კეზერაშვილთან ბრეგვაძე გარიგებას თუ დასთანხმდებოდა, ობიექტური იქნებოდა და რაკი არ დასთანხმდა – სუბიექტურია?

გიორგი ბრეგვაძე მხარეა და სუბიექტურიც რომ იყოს, ესეც ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, მაგრამ ის სწორედაც რომ ობიექტურია – საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულია, მართალი კაცი დამნაშავესთან უზნეო გარიგებაზე არ მიდის და აი, სწორედ ეს არის მისი ობიექტურობა და სამართლიანი მიდგომა საკითხისადმი.

მოსამართლე ასმათ კოხრეიძე დაგვემუქრა, რომ მას სხდომათა დარბაზიდან მხარეთა გაძევებისა და 500 ლარამდე დაჯარიმების უფლება ჰქონდა. „თქვენ 500 ლარით თუ დამაჯარიმებთ, მომემატება თქვენს მიმართ პატივისცემა? თუ ათჯერ და მეტჯერ 500 ლარით რომ დამაჯარიმებთ, პატივისცემა უფრო მეტი მექნება?.. გაითვალისწინეთ, რომ მარტო 500 ლარი არ განსაზღვრავს პატივისცემას, პატივისცემას მორალი განსაზღვრავს“, – განუცხადა მოსამართლეს გიორგი ბრეგვაძემ და ამის შემდეგ სხდომათა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა. მოსამართლესთან დავას აზრი მართლაც აღარ ჰქონდა.

კიდევ ერთი დეტალი. ასმათ კოხრეიძემ სიამაყით განაცხადა, 11 წელია, მოსამართლე ვარო. ვითომ საამაყოა? გამოდის, 2001 წლიდან უწყვეტად მუშაობს მოსამართლედ, მათ შორის, 2004-2012 წლებში, როცა იმავე საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს უამრავი უკანონო გადაწყვეტილება გამოჰქონდათ, „ნაციონალთა“ პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდნენ და აბსოლუტურად არანაირი დამოუკიდებლობა არ ჰქონდათ. მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით ათასობით ადამიანი უსამართლოდ დაზარალდა და დღემდე სამართალს ეძებს. ამ ფერხულში მთელი სასამართლო სისტემა, თითქმის ყველა მოსამართლე იყო ჩართული, თითო-ოროლას გარდა.

ამას ნამდვილად გავარკვევთ, იმ 9-წლიანი საშინელების დროს საით იყო ასმათ კოხრეიძე – ხალხსა და სამართალს ემსახურებოდა თუ „ნაცმოძრაობის“ დამნაშავე ლიდერების ახირებებსა და შეკვეთებს ასრულებდა...

Facebook ამბები

**facebook**



**მაია ორჯონიკიძე:** სერიიდან: "ბიძინას ყაჩაღები: ვისი ხელით სპობს ივანიშვილი თბილისს" იცნობდეთ, ერთ-ერთი მათგანიქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის უფროსი დიმიტრი მოსულიშვილი, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს ცნობილი, როგორც მექრთამე და კორუფციონერი. სწორედ მსგავსი ხალხი შეყარეს თბილისის მერიაში, რათა ივანიშვილის კეთილგანწყობისა და ფინანსური ანაზღაურების სანაცვლოდ ივანიშვილის ნებისმიერ უკანონობას "კანონიერი" სახე მიეცეს. ქვეყანა უნდა იცნობდეს საკუთარ ანტიგმირებს,მარტივად რომ ვთქვათ-ქვეყნის დამაქცევრებსა და უთოფო ბანდიტებს! საყოველთაოდ ცნობილია, რა წარმოუდგენელი ბაკხანალია მიმდინარეობს დღეს თბილისის მერიაში. უკანონო მშენებლობების რიცხვი იმდენად დიდია, რომ ორი მათგანი პირადად მე შემეხო. ადრე ვწერდი და ალბათ ბევრს ახსოვს,როგორ გააჩანაგეს 60 წლის ნაშენები წიწვოვანი ტყე-პარკის ტერიტორიის ნაწილი მათ,ვინც ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიწა შეისყიდა. და თუ მაშინ, ორიოდე წლის წინ ამ უბედურების" გამპრავებლები" არგუმენტად იმას ასახელებდნენ, რომ ფსიქიატრიულის ტერიტორია წინა ხელისუფლების დროს გაიყიდა,დღეს ეს უდღეური "არგუმენტიც" აღარ შერჩათ და პირდაპირ აჩანაგებენ ისედაც ეკოლოგიურად უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ქალაქში ყველაფერს,რასაც მათი ხარბი თვალი შესწვდა. ამ მხრივ თბილისის უბნებიდან განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში ვაკე და საბურთალოა, რადგანაც ივანიშვილის სოფლებიდან თბილისში ბოლო წლებში ჩამოსული მრავალრიცხოვანი გარემოცვა არ კადრულობს გლდანს,ვაზისუბანსა თუ ვარკეთილს-მაინცა და მაინც ვაკესა და საბურთალოზე უნდათ ბინებიც, სახლებიც, მრავალსართულიანი კორპუსებიც და სავაჭრო ცენტრებიც, რაც გასაგებიცაა-დღეის მდგომარეობით მათივე მცდელობით გაუბედურებულ რაიონებში კვადრატული მეტრის ფასი მაინც ყველაზე მაღალია ქალაქში,რაც ივანიშვილის ყაჩაღი გარემოცვისთვის კაპიტალის სარფიან დაბანდებას წარმოადგენს. კონკრეტიკაზე რომ გადავიდე,მოვყვები მეორე შემთხვევას, რომელიც პირადად შემეხო და ყურმოკვრით არ გამიგია, პირველზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე № 26-ე კორპუსი ხუთსართულიანი ე.წ. ხრუშოვკაა, რომელშიც რამდენიმე წლის წინ ერთოთახიანი ბინა შევიძინე. ამ ტიპის ერთოთახიან ბინებს (და არა მხოლოდ ერთოთახიანებს), მოგეხსენებათ ფანჯრები მხოლოდ ერთ მხარეს აქვს და ეს ფანჯრები გადის ზედ ნუცუბიძის ქუჩაზე,რომელზეც მუდამ ინტენსიური სამანქანო მოძრაობაა და შესაბამისად არც ჰაერია მაინცდამაინც სუფთა. ერთადერთი,რაც ასე თუ ისე ანეიტრალებს ამ მდგომარეობას, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს კორპუსსა და უშუალოდ ნუცუბიძის ქუჩას შორის გამწვანებული ვიწრო ზოლია,მაქსიმუმ 10 მეტრის სიგრძის,რომელზეც ამოსული მწვანე საფარი და უკვე წამოზრდილი ფოთლოვანი ხეები ქუჩის სმოგსა და დაბინ ძურებულ ჰაერს რაღაც დონეზე აკავებს. დაახლოებით თვენახევრის წინ გამოჩნდა ხალხი, რომლებმაც განაცხადეს,რომ ეს ვიწრო გამწვანებული ზოლი მათი საკუთრება გახდა,რომ მათ ის კანონიერად შეიძინეს და ამ ფართობზე სამსართულიანი (!) სავაჭრო ცენტრის აშენებას აპირებენ. ეს ამბავი რომ მოხდა,მე იქ არ ვიყავი და მეზობელმა მომიყვა. იმდენად აბსურდული და აშკარად უკანონო იყო ის რაც მოვისმინე,რომ თავიდან დაჯერებაც მიჭირდა,რადგან რეალურად იქ სამსართულიანი კი არა,ერთსართულიანი ხუხულაც ვერ აშენდებოდა ისე,რომ მწვანე ნარგავობა არ მოესპოთ,ხეები არ გაეჩეხათ და ისედაც მცირესართულიანი ხრუშოვკის კორპუსისთვის ის ბოლო საარსებოდ აუცილებელი ჰაერი და მცირე ხედიც არ მოესპოთ! იმ შემთხვევაში,თუ მერიის დამნაშავე ჩინოვნიკებს ჩანაფიქრი გაუვათ-ნუცუბიძის ქუჩის 26-ე კორპუსის მაცხოვრებლებს ზუსტად ცხვირწინ აღემართებათ შენობის ყრუ კედელი,რაც ელემენტარულად გაუსაძლისსა და წარმოუდგენელს გახდის ამ ადამიანთა ასეთ პირობებში ცხოვრებას. ჩემი ბინა მეორე სართულზეა და სამსართულიანი "სავაჭრო ცენტრი" მას საცხოვრებლად უვარგისს გახდის,რაც მის ქონებრივ ღირებულებასაც გაანადგურებს. და ბოლოს-ამ პროცესს სათავეში უდგას მერიის არქიტექტურული სამსახურის უფროსი დიმიტრი მოსულიშილი, იხილეთ ფოტოზე,მაღლა. ამ მომენტისთვის მდგომარეობა ასეთია-ორჯერ მივიდა ვაი-მეპატრონე იქაუროობის ასაწიოკებლად და ორჯერვე ხალხი შეასკდა და დაიცვა საკუთარი კანონიერი უფლება, მეზობლები 24 საათიან მორიგეობას გეგმავენ ამ დანაშაულებრივი საქმიანობის არდაშვების მიზნით. მოსული იყო ტელევიზია, სხვადასხვა პოლიტიკოსები, მათ შორის ნიკა მელია და ალექსანდრე ელისაშვილი. მიუხედავად ამისა,კორუფციაში ჩაძირულ ნარმანიას მერიას პოზიციების დათმობა უმძიმს,რადგანაც იმას,ვინც მსგავსი არნახულად უკანონო მშენებლობის ნებართვა გასცა,ამ ნებართვაში აღებული ფული სავარაუდოდ უკვე შეჭმულიც აქვს და ვალშია მასთან, ვისაც მშენებლობის უფლება ისე გამოუწერა,როგორც ექიმი რეცეპტს გიწერთ ხოლმე. ხალხის ბრძოლა ივანიშვილის მაფიოზური მერიის წინააღმდეგ გრძელდება,დანებებას არავინ არ აპირებს და ვინ და რა შემადგენლობით წარსდგება სასამართლოს წინაშე-ამას უახლოესი თუ არა,არჩევნებისშემდგომი მომავალი ცხადად გვიჩვენებს. ამ ეტაპზე კი ივანიშვილის ბინძური, გაუმაძღარი და ხალხის მძარცველი ჩინოვნიკები ისტერიულად ცდილობენ-სადმე რაიმე მაინც თუ დარჩა-ხელში ჩაიგდონ, მოხაფონ, მოიპარონ, რადგან მოსწრებაზე არიან-ოთხად ოთხი თვე დარჩათ და მშვენივრად იციან, მათი ბატონისა და მათ ბოგინს 8 ოქტომბერს ქართველი ხალხი სამუდამოდ დაასრულებს!

Facebook ამბები

## facebook



**მალხაზ თოფურია:**

რა ბედნიერებაა რომ შემიძლია მშვიდად დავიძინო, ზუსტად ვიცი სანამ მე მძინავს ნიკა მელია სამშობლოს სადარაჯოზეა და ის არ დაუშვებს ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე გიგანტური თუნდაც პატარა კაშხლის მშენებლობას, არც ახალ ჩერნობილს დაუშვებს ატომური სადგურის სახით და არც ბაიკანურის კოსმოდრომის გადმოტანას ყაზახეთიდან ბოტანიკურ ბაღში, ისაც ზუსტად ვიცი, რომ ნებას არ მისცემს ოლიგარქს ატომური ბომბების გამოცდის მინიმუმ ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე....

ბედნიერია ერი ვისაც ნიკა მელია ეზრდება))

ღმერთო რისი გულისთვის ამდენი იდიოტი ესეთ პატარა ქვეყანაში((

**ჯონდი ბაღათურია:**

როდის იყო სულელს გონიერება მოსწონდა ? ...

რაც არ უნდა თქვა და გააკეთო იგი მანც თავის სისულელესთან დარჩება

## facebook



რადგან "სულელს თავისი სისულელე ეძვირფასება" (ბერნარ შოუ)

## facebook



**ირინა სარიშვილი:**

მანანა კობახიძემ — ალბათ სწავლების მეთოდიკას უკავშირდებოდა წამების კადრების ჩვენება საჯაროდ....

არდადეგების მინისტრმა — ალბათ გულუბრყვილობის შედეგია ესაო... და რაც ყველაზე მთავარია, საჯაროდ ნაჩვენებ კადრებში არცერთი დამნაშავის იდენტიფიკაცია არ მომხდარა და ყველა უსაფრთხოდაა ან ძველ თანამდებობაზე!

აი თუნდაც მარტო ამის გამო ამ ხელისუფლებას ან მის ანასხლეტებს ხმას ვინც მიცემთ — უკეთეს შემთხვევაში ვერ ხართ ყოჩაღად.....

სტატუსი: გონზე მოსასვლელად დარჩა 4 თვე!!!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# ეს აბსურდული კანონი უშველის ამ გაჭირვებულებს?!

**„აქ იბადება კითხვა: რატომ უნდა აპატიოს გაცემული სესხი ბანკმა კლიენტს?“**







**8 ივნისს პარლამენტმა მესამე და საბოლოო მოსმენით, 80 ხმით არც ერთის წინააღმდეგ, დაამტკიცა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, მოქალაქეები უიმედო სესხისა და სანქციების დაფარვის ვალდებულებისგან განთავისუფლდებიან, თუ ისინი ფინანსური ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ შიდა კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ. კანონპროექტის ავტორის, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრის, დავით ონოფრიშვილის თქმით, ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილი იქნება, სასესხო ვალდებულების ღირებულება გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან. ამასთანავე, ამ ვალდებულების ღირებულება ფინანსური ინსტიტუტის მიერ ერთობლივ შემოსავალში ჩართვას არ დაექვემდებარება. კონკრეტულად მოქალაქეებმა რა შიდა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილონ? ისევ ბანკების ნება-სურვილზე ხომ არ იქნება დამოკიდებული, ვინ განთავისუფლდება სასესხო ვალდებულებისგან და ვინ — არა? ეს ხომ არ გამოიწვევს მომავალში არგადამხდელთა წახალისებას იმ იმედით, რომ ოდესღაც აუცილებლად ჩამოაწერენ დავალიანებას? ამ საკითხებზე „ალიას“ თავად დავით ონოფრიშვილი ესაუბრება:**

**— ბატონო დავით, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, უიმედო გადამხდელების ბედი ისევ ბანკების ხელში ვარდება და ისინი გადაწყვეტენ ყველაფერს. იქნებ მოსახლეობას აუხსნათ, რა შიდა კრიტერიუმებზეა საუბარი?**

– რა თქმა უნდა, შიდა კრიტერიუმები უნდა ჩამოაყალიბონ თვითონ ბანკებმა. შეიძლება არ მოგვწონდეს, მათ შორის მეც, როგორც კანონის ავტორს, ეს მაინც მათი გადასაწყვეტია, რადგან ხელშეკრულება ყველა შემთხვევაში დადებულია მსესხებელსა და გამსესხებელს შორის და ჩარევა შეუძლებელია.

**— თუ ჩარევა შეუძლებელია, მაშინ რაღა საჭირო იყო კანონის მიღება, რას აძლევს ეს ყველაფერი გაკოტრებულ ადამიანს?**

– ჩვენ ვერ დავავალდებულებთ კომერციულ ბანკს, ამ კატეგორიას ჩამოაწერე სესხი, სხვა კატეგორიას არ ჩამოაწერო და ასე შემდეგ. ჩვენი მიზანი ამ ეტაპზე იყო ის, რომ ბანკებს მისცემოდათ შესაძლებლობა, ადამიანებისთვის ეპატიებინათ ვადაგადაცილებული სესხები. ადრე ბანკები ამას ვერ აკეთებდნენ, რადგან არ არსებობდა შესაბამისი კანონი. ადამიანებს, რომლებიც რუსეთთან ომის დროს დაზარალდნენ, მერე ფინანსური კრიზისი შეეხოთ, ბევრმა სამუშაო დაკარგა, ვერ უწევდნენ შეღავათებს, რადგან გვქონდა ასეთი სურათი: თუ ბანკი ვინმეს აპატიებდა, მაშინ მას სახელმწიფოსთვის უნდა გადაეხადა სესხის 15 პროცენტი. დავუშვათ, ადამიანს ჰქონდა აღებული 10 ათასი ლარი, პატიების შემთხვევაში ბანკი იხდიდა 1500 ლარს, პლუს 2000 ლარს – თავად მსესხებელი, ბიუჯეტში სულ მიდიოდა 3500 ლარი. კანონით, ნაპატიები პირი ითვლებოდა სარგებლის მიმღებად, ანუ მიიღო სესხი, არ დააბრუნა და ნახა სარგებელი. ამიტომ მას ეკისრებოდა 2000 ლარის გადახდა, რასაც ერქვა საშემოსავლო. ადამიანი, რომელიც პროცენტსაც კი ვერ იხდის, ამხელა თანხას როგორ გადაიხდის? თუ ბანკი მაინც აპატიებდა, მაშინ მის ნაცვლად ისევ ბანკს უნდა დაეფარა. აი, ეს იყო უმთავრესი ფაქტორი, რის გამოც ბანკები არ პატიობდნენ, ზარალობდნენ. ახლა, ახალი კანონის მიხედვით, პატიების შემთხვევა საერთოდ აღარ დაიბეგრება. ალბათ, აქ იბადება კითხვა: რატომ უნდა დათმოს გაცემული სესხი ბანკმა? შიდა პროცედურებს თვითონ გაივლიან, თვითონ გაარკვევენ, ვის შეიძლება შეეხოს, მათაც აქვთ პატიების ინტერესი, რადგან გაცემული თანხები, ფაქტობრივად, აქვთ გაყინული, ბუღალტრულად ბალანსში არის ასახული. კი, გატარებული აქვთ, როგორც ჩამოწერილი და უიმედო, მაგრამ ეროვნული ბანკის რეგულაციებით თანხის მოცულობა მაინც არის დარეზერვებული. პატიების მექანიზმი ამუშავდება თუ არა, მათ შეუძლიათ, იგივე რაოდენობის თანხები ხელახლა გასცენ.

**— ესე იგი, ბანკებს ნაჩვენები აქვთ, რომ რაღაც რაოდენობის სესხები გაცემული აქვთ და გადაჭარბებას ვეღარ ახერხებენ, ხომ?**

– კი, ეს თანხები გაცემულად ითვლება, მაგრამ გაყინულია. ამ მოცულობაში შეუძლიათ, ჩასვან იგივე რაოდენობის თანხა და აამუშაონ. თუ რომელიმე ბანკი ადამიანებს საერთო ჯამში ჩამოაწერს 5 მილიონ ლარს, მაშინ იგივე რაოდენობას გაუშვებს უკვე მოქმედ სესხად. საკომიტეტო მოსმენების დროს საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ეროვნული ბანკის შენიშვნები და დღის წესრიგში დადგა მოთხოვნა, რომ შემოღებულიყო რაღაც კონკრეტული ვადა. ჩვენც ვხედავდით გარკვეულ რისკებს, შეიძლება ადამიანმა აიღოს სესხი, განგებ აღარ გადაიხადოს იმ იმედით, რომ ოდესღაც ჩამოაწერენ.

**— სწორედ ახლა ეგ უნდა მეკითხა, რა ვადა შემოიღეთ? ხომ არ გაზრდის ეს კანონი უპასუხისმგებლობის დონეს?**

– არა, ვერ გაზრდის იმიტომ, რომ პატიება ეხება 2015 წლის პირველ იანვრამდე არსებულ სესხებს.

**— რა დააშავა 2015-მა წელმა?**

– ეს ნაბიჯი ძალიან ჰგავს გარკვეულ ამნისტიას, რომელიც ამ ეტაპზე მოხდა ერთჯერადად.

**— 2014 წლამდე გასაგებია, მაგრამ ათვლის წერტილი საიდან იწყება?**

– ვისაც რა დროიდან შეექმნა პრობლემები, საწყისი ვადა დაფიქსირებული არ არის. მთავარია 2014 წლამდე, სწორედ მანამდე იყო ომი რუსეთთან და ფინანსური კრიზისები. 2015-ში შენ რომ სესხი აიღე და ვერ გადაიხადე, ამის მიზეზი შეიძლება ბევრი რამე იყოს, მაგრამ სახელმწიფოს ვერ დააბრალებ.

**— როგორ გეკადრებათ! ძალიანაც კარგად დავაბრალებ სახელმწიფოს — ლარი სწორედ ამ დროს გაუფასურდა და ვეღარ გადავიხადე.**

– ეს კი, მესმის, შეგიძლია დააბრალო, მაგრამ შეთანხმება ეროვნულ ბანკთან მოხდა ასე, თუ ჩვენ კონკრეტულ თარიღს არ ჩავსვამდით კანონში, მაშინ ვეღარ განვასხვავებდით, მართლა სავალუტო კურსის გამო მოხდა გაკოტრება თუ ადამიანმა გადაწყვიტა, აღარ გადავიხდი, მაინც მაპატიებენო. აქ უკვე დგებოდა რეალური რისკების საკითხი.

**— არა, აქ ნამდვილად ჩნდება ეგოისტური გრძნობების გაღვივება, თუ 2014 წლამდე ვპატიობთ, მაშინ ვნანობ, მე რატომ ვიხდიდი? ეს ძალიან ჰგავს იმას, ურჩ ტელეკომპანიებს რომ ჩამოაწერეს მილიონობით ლარი და ვინც პირნათლად იხდიდა, დებილი გამოვიდა. ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერი გადამხდელი დაზარალდა.**

– მესმის, მაგრამ ახლა ბანკებმა უნდა შეიმუშაონ შიდა კრიტერიუმები, მართლა არიან ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს და მართლა ვეღარ იხდიან. არიან ისეთებიც, რომლებმაც აიღეს სესხები და ამის შემდეგ შეწყვიტეს ფიზიკური აქტიურობა.

**— გარდაცვალებას გულისხმობთ?**

– არა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, შეიძლება ჯანმრთელობის გაუარესების გამო ადამიანმა ვეღარ განაგრძო მუშაობა. ამ შემთხვევაში ბანკი რას შვრება? გიყურებს ცოტა ხანს და მერე იწყებს იმ ქონების გაყიდვას, რაც არის ჩადებული. ამავე დროს, მაშინ ფასები იყო დავარდნილი, ბანკმა გაყიდა ქონება, ვერ ამოიღო საკმარისი თანხა და ადამიანს ისევ დარჩა რაღაც რაოდენობის ვალი. თუ მაგალითად, დარჩა 20 ათასი, ამას ისევ დაერიცხა პროცენტები და გახდა 50 ათასი. ესე იგი, ადამიანს ქონება გაუყიდეს, არაფერი აღარ დარჩა და ისევ დაუგროვდა იმდენივე ვალი. არც მუშაობს, ვერც იხდის, არანაირი პერსპექტივა, რა უნდა ქნას? ასეთები მერე შეჰყავთ შავ სიაში, ყველა გზა იკეტება და საკმარისია, სადღაც რამე გადარიცხოს, თუნდაც ორიოდე თეთრი, ეგრევე ეჭრება. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა იყო 10 წელი და ამ დროის განმავლობაში მოქალაქე გათიშულია ყოველგვარი საბანკო საქმისგან, 1 ლარსაც კი ვერ გაუგზავნის ვერავის, აღარაფერს ვამბობ რაიმე საქმის წარმოებაზე. ასეთები, როგორც წესი, მოქმედებენ სხვისი სახელით, თვითონ არსად არ ფიქსირდებიან, განვადებითაც კი ვერ შეიძენენ ვერაფერს. ჩვენ არ ვამბობთ, იმ ადამიანებს ჩამოაწერონ, რომლებმაც გუშინ სესხი აიღეს და ვეღარ გადაიხადეს, აქ ძირითადად საუბარია უკვე ქონებაგაყიდულებზე, ვისაც აღარაფერი დარჩა, მაგრამ ისევ უგროვდებათ ვალები პროცენტების სახით.

**— ესე იგი, ეს კანონი, პირველ რიგში, ეხებათ იმათ, ვისაც მტკვარში გადახტომის გარდა, აღარაფერი დარჩათ?**

– კი, ბანკებმა უკვე იციან, რომ მათგან აღარაფერი ამოვა, ყველანაირი შანსი დაკარგულია და აღარც პერსპექტივა არსებობს. ასეთი ადამიანები საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ამოთიშულები არიან, თუ მიზერულ რამეს აკეთებენ, ჩუმად აკეთებენ, რათა არავინ გაიგოს. მიმართონ ადამიანებმა ბანკებს, იქ გაარკვიონ თავიანთი საკითხები და კანონის თანახმად გადაწყვიტონ ყველაფერი. თუ არიან ისეთები, რომლებსაც კიდევ გააჩნიათ რაიმე ქონება ან საშუალება, ცხადია, არ აპატიებენ.

**— თქვენ საკომიტეტო მოსმენების დროს ბანკირებთან კონსულტაციები გქონდათ?**

– რა თქმა უნდა, გვქონდა.

**— ასეთი ბოლომდე გატყავებული დაახლოებით რამდენია საქართველოში, მონაცემები არ გვაქვს?**

– ბანკებს მონაცემები აქვთ, მაგრამ არ ამჟღავნებენ, ჩვენ არ წარმოგვიდგინეს, კომერციული საიდუმლოებააო. როდესაც ეს კანონი ძალაში შევა, ალბათ, პრეზიდენტი მალე მოაწერს ხელს, 10 დღეში და ვინც თავს თვლის, რომ დაზარალებულია, ბანკს უნდა მიმართოს განცხადებით, წარუდგინოს დასაბუთებული მიზეზები. ვნახოთ, თუ ბანკებს ხალხი მიაწყდა, გამოდის, გაკოტრებული ძალიან ბევრია, საერთო სურათი ჩვენც გვაინტერესებს.

**— როდესაც ადამიანი პატიების პროცედურას გაივლის, ის უკვე ვარდება ე.წ. შავი სიიდან?**

– რა თქმა უნდა, ის აღარსად აღარ ფიქსირდება, როგორც ურჩი გადამხდელი ან საერთოდ უიმედო გადამხდელი და ხდება სრულფასოვანი მოქალაქე.

Facebook ამბები

facebook



**გოჩა მოქია:**

**კორცხელის ინციდენტის შემდეგ ნიკანორ მელიას თავში აღმოუჩინეს გაურკვეველი ეროვნების სასქესო ორგანო. პროკურატურაში აღიძრა საქმე სხვისი ქონების უკანონოდ მითვისების გამო. ევროპარლამენტი აღშფოთებულია და ამას აფასებს მთავარი ოპოზიციური პარტიის მიმართ პოლიტიკურ დევნად და აცხადებს რომ ნიკანორ მელიას ჩაუდეს.**

facebook



**რომან გოცირიძე:**

**8 ივნისს რუსეთმა საარჩევნო კამპანია დაიწყო:**

**ორი ისეთი კოალიციის შექმნა, ყველაზე დიდი მენცარიც რომ ვერ წარმოიდგენდა. საზღვრების გადმოწევა, რუსთავი 2-ის დახურვის ფინიშზე გაყვანა სააპელაციო სასამართლოში და შევარდნაძიდრონინდელი ვაიმოსამართლის, ტურავას ტურული სვლა საკონსტიტუციოში, სავიზო ლიბერალიზაციის წინააღმდეგ გაზპრომის მიერ შეკვეთილი წერილების ორგანიზება ევროპაში, რეზერვში მყოფი სულ მცირე ორი მოძმე პარტიის არენაზე გამოყვანის სამზადისი და ყველაზე დიდი ნადავლი-"ოცნება", რომელიც ყავს გამოჭერილი ზოგი ახალგაზრდობაში სუკთან ნაცუღლუტები საქმეების, ზოგიც ფინანსური სიხარბის გამო. აქედან კიდევ დიდი ფული, ჩადებული ქართულ მედიაში და დაქირავებულ არასამთავრობოებში და იქიდან ჰიბრიდული ბომბები რუსული ტელეარხებიდან...**

**და დარჩა ქვეყანაში ისეთი გულუბრუვილო, რომელიც ვერ ხედავს, თუ საითკენ მივექანებით?**

**არ დაუშვებს ქართველები კიდევ ერთხელ დამოუკიდებლობის დაკარგვას!**




ლევან ჯავახიშვილი

577 51-73-37


# ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ დასცინეს

# რატომ არ მიდის „ალია“

**წინა კვირაში ბიძინა ივანიშვილის მიერ გამართულმა პრესკონფერენციამ ბევრი კითხვა და საფიქრალი გაუჩინა ხალხს. ბევრი ფიქრობდა, რომ ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი, კარს მომდგარი საპარლამენტო არჩევნების წინ, ბევრ საკითხს ნათელს მოჰფენდა, ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოყვანის კონკრეტულ გეგმას თუ არა, მის მონახაზს მაინც გაახმოვანებდა, უამრავ სოციალურად გაჭირვებული ადამიანის ამ მდგომარეობიდან გამოსვლის რეალურ პერსპექტივებზე რაიმეს იტყოდა, განმარტავდა, რატომ არ შესრულდა მისი და „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებები და ა.შ. ასე არ მოხდა. ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციამ ისედაც ბუნდოვანი საკითხები კიდევ უფრო გააბუნდოვნა, თუ რაიმე ოპტიმისტური განაცხადა, საფუძველს მოკლებული და ალოგიკური იყო, არც წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობის გამო მოუბოდიშებია და არც ის უთქვამს, რატომ ვერ შესრულდა ეს დაპირებები. ცხადია, ორსაათნახევრიან ინტერვიუს აქ ვერ მიმოვიხილავ, მაგრამ ჟურნალისტების კითხვებზე გაცემულ მის ყველაზე მნიშვნელოვან პასუხებზე ჩვენს აზრს მოგახსენებთ.**



## ტყუის ეს კაცი!

ბიძინა ივანიშვილი მუდამ იმას აცხადებს, რომ ის ამ ქვეყნის ერთი რიგითი მოქალაქეა და მეტი არაფერი, ქვეყნის მართვაში არ ერევა და არც ამის სურვილი აქვს. ტყუის ეს კაცი. ბიძინა ივანიშვილი არის ქვეყნის მმართველი კოალიციის, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და მისი მთავარი დამფინანსებელი, შეიძლება ითქვას, კოალიციას 99%-ით ის აფინანსებს. ახლა მითხარით, როგორ შეიძლება რიგითი მოქალაქე იყოს ადამიანი, რომელიც სახელისუფლებო კოალიციას ლამის ხელაღებით აფინანსებს, მისი დამფუძნებელიცაა და ეს დოკუმენტურად დადასტურებულია?

ისიც გავიხსენოთ, რომ პოლიტიკაში ვინც ფულს იხდის, პოლიტიკურ წესრიგსაც ის განსაზღვრავს. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილი არის ქართული პოლიტიკის, მმართველო კოალიციის ნაწილი და მის დღის წესრიგსაც განსაზღვრავს. ახლა, ივანიშვილს იცით, როგორ მოსდის? ბავშვი თვალებს რომ დახუჭავს, მაგიდის ქვეშ შეძვრება, ჰგონია, დაიმალა... ექსპრემიერსაც ჰგონია, ხალხი ამ აბსურდს შეჭამს და დაიჯერებს, რომ ის პოლიტიკიდან წავიდა და რიგით მოქალაქედ დარჩა. არა, არსად არ წასულა, ისევ პოლიტიკაშია და ქართული პოლიტიკის მთავარი ფიგურაა. თუმცა, ერთი სახელისუფლებო პოსტი არ უკავია, პასუხისმგებლობის ტვირთი სრულად აქვს მოხსნილი და ეს ქვეყანა რომ დააქციოს, კანონით პასუხს ვერავინ მოსთხოვს.

თავში საპარლამენტო არჩევნები ვახსენე და ამ თემაზე შევჩერდები. „შიდა კვლევები გვაქვს და ამ ხნის განმავლობაში შემცირების პროცესი იყო, აგიტაციურმა მანქანამ ეს მოახერხა“, – განაცხადა ივანიშვილმა და თქვა ისიც, რომ შიდა კვლევებით „ქართული ოცნების“ რეიტინგი დაბალია, თუმცა ის 30%-ს არასდროს ჩამოსცილებია. „30-დან 45-მდე მერყეობს, თუმცა თქვენი („რუსთავი 2“) აგიტაციით მოახერხეთ, რომ აქ ჩამოიყვანეთ. აი, ნახეთ არჩევნებში, ამ 3-4 თვეში, ეს როგორ ავწიოთ ზევით და ხალხს ავუხსნათ, სად არის რეალობა. 30%-ს არც ერთი კვლევით არ ჩამოსცილებია,

> მოსახლეობას მინდა კიდევ ერთხელ მოვუწოდო, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არანაირი რესურსი არ გააჩნია იმის, რომ რევოლუციური სურათი დადოს საქართველოში და ნურავის ნუ გეშინიათ“, – აღნიშნა ივანიშვილმა. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ნამდვილად არ ვენდობი ამ კვლევების შედეგებს, რეალურად, „ქართულ ოცნებას“ გაცილებით დაბალი რეიტინგი აქვს და თუ ივანიშვილი თავად ჩავა რეგიონებში, თუნდაც თბილისის ქუჩებში გაივლის და ხალხს შეხვდება, ამაში იოლად დარწმუნდება.

თუმცა, მოდით, დროებით დავუშვათ, რომ მართალია ივანიშვილი და „ქართული ოცნების“ რეიტინგი 30-45%-ს შორის მერყეობს, ამინდის ცვალებადობის მიხედვით. ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე ამაყად განაცხადა, „ქართული ოცნება“ 95 სადეპუტატო მანდატის აღებას აპირებსო. ხომ ვითომ არაფერი, მაგრამ ნახეთ, რამხელა აბსურდი დააბრეხვა მამა-მარჩენალმა. არჩევნებში 150 მანდატი უნდა განაწილდეს, 77 პროპორციული და 73 მაჟორიტარული წესით. დავუშვათ, „ქართულმა ოცნებამ“ პროპორციულ არჩევნებში, არც 30 და არც 45, 40% მოიპოვა, მაშინ, პროპორციული არჩევნების შედეგად, 77 მანდატიდან მას 31 ერგება. 95 მანდატი რომ შეივსოს, 73 მაჟორიტარული ოლქიდან 64 უნდა მოიგოს და მხოლოდ 9 წააგოს. აი, ეს არის წარმოუდგენელი, მით უფრო იმ ფონზე, როცა ახლახან ვადამდელი ადგილობრივი არჩევნებისას, „ნაცმოძრაობამ“ 4 ოლქში დაუყენა კანდიდატი „ქართულ ოცნებას“ და 2 მოუგო – ანუ ნახევარი.

> ივანიშვილის სასურველ შედეგს – 95 მანდატს, „ქართული ოცნება“ სახელისუფლებო რესურსის მაქსიმალური გამოყენებისა და არჩევნების უნამუსოდ გაყალბების გარეშე ვერ დადებს.

წარმოუდგენელია, მან 64 მაჟორიტარული ოლქი მოიგოს.

> თუკი ამას შეეცდება და არჩევნებს გააყალბებს, ეს უკვე რევოლუციას ნიშნავს, რასაც ისედაც ესწრაფვიან „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტი პარტიები. ვინ აწვდის ამ კვლევის შედეგებს ივანიშვილს, ვინ არწმუნებს, 95 მანდატს მოვიპოვებთ არჩევნებშიო, იმ ხალხის ტვინში ჩამახედა, მეტი არაფერი მინდა. ის არითმეტიკა, რაც აქ შემოგთავაზეთ, მათ ჩემზე უკეთ იციან და რატომ არ დაჯდებიან და არ დაიანგარიშებენ, რომ თუ 95, თუნდაც ოდნავ ნაკლები მანდატის მოპოვებას შეეცდებიან, ეს უკვე რევოლუციაა? არც შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირს“, არც „ნაცმოძრაობას“ არც ერთ არჩევნებზე 73 ოლქიდან 64 არ „მოუგია“, ეს არ უკადრებიათ.

ნამეტანი სკეპტიკოსებისთვის უფრო გასაგები რომ იყოს ყველაფერი, ერთსაც ვიტყვი. ბიძინა ივანიშვილის გათვლით, 64 მაჟორიტარულ მანდატს თუ „ქართული ოცნება“ მიიღებს, მხოლოდ 9 მანდატი რჩებათ „ნაცმოძრაობის“, პაატა ბურჭულაძის პარტიის, „რესპუბლიკელების“ და „თავისუფალი დემოკრატების“, „პატრიოტთა ალიანსის“, ნინო ბურჯანაძის და კიდევ სხვა პარტიების მაჟორიტარ კანდიდატებს. ახლა ეს აბსურდია, აბა, რა არის? შევთანხმდეთ, რომ ივანიშვილის განცხადება, რომ 95 მანდატს „ქართული ოცნება“ მოიპოვებს, უმეტესად მაჟორიტარების ხარჯზე უნდა მოხდეს, რადგან თავად აცხადებს, პარტიის რეიტინგი 30-45%-ს შორის მერყეობსო, შესაბამისად, პროპორციულ არჩევნებში დიდი წარმატების იმედი არ აქვს. აქედან დასკვნა: ხელისუფლებას იმიტომ არ სურს საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა, ე.წ. გერმანული მოდელის შემოღება, რომ დიახაც, ყველა მეთოდით შეეცდება მაჟორიტარული ოლქების მოგებას, არა 64-ის, მაგრამ რაც შეიძლება მეტის. „გერმანული მოდელი“ კი ამის საშუალებას მოუსპობდა. გამოდის, ივანიშვილმა ამ განცხადებით აღიარა, რომ მაჟორიტარული არჩევნები უნდა გააყალბოს, ან სხვა მაქინაციების საშუალებით შეეცდება მათ მოგებას.

## გვაშინებს კიდეც

ბიძინა ივანიშვილის ხათრით აირჩია ხალხმა პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და თბილისის მერი დავით ნარმანია. ორივე არჩევნების წინ ივანიშვილმა ხალხს განუცხადა, რომ, თუ მისი კანდიდატები არ გაიმარჯვებდნენ, ეს მათი მხრიდან უმადურობა იქნებოდა, მარგველაშვილის არჩევნების წინ, ხალხს ხმების რაოდენობაც შეუკვეთა – 60-70%. ივანიშვილი ახლაც იგივეს აგრძელებს. „არჩევნებით დამტკიცდება, აქვს თუ არა ხალხს ჩემი ნდობა... როგორც კი ვნახავ, რომ მიუხედავად ჩემი პოზიციისა, მიუხედავად ჩემი ანალიზისა, საზოგადოებამ ეს არ გაიზიარა და არჩევნებში დაფიქსირდა აბსოლუტურად განსხვავებული შედეგი, გარწმუნებთ, რომ მოგენატრებით“. ხალხს ნამუსზე აგდებს ბიძინა ივანიშვილი. მარტო ის რომ ეთქვა, თუ არჩევნებში დამტკიცდება, აქვს თუ არა ხალხს ჩემი ნდობა და თუ ეს ნდობა არ დაადასტურა არჩევნებმა, წავალ, გაგეცლებითო, ეს სხვა იქნებოდა, მაგრამ იქვე ამბობს, თუ ასე მოხდა, მოგენატრებითო. გამოდის, თუ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები

ვერ მოიგო, ივანიშვილი გვემუქრება კიდეც, თავს მოგანატრებთო. კი, მაგრამ ამომრჩეველი რა შუაშია? ივანიშვილს ხალხის დიდი ნდობა ჰქონდა, მაგრამ ეს ნდობა გააფუქსავატა, ხალხს წინასაარჩევნო დაპირებები არ შეუსრულა, უნიათო მთავრობა დაასვა თავს, რომელმაც ეს ქვეყანა ვერა და ვერ დაძრა, ვერაფერი მოუხერხა ვერც ქვეყნის ეკონომიკას და ვერც სხვა სტრატეგიულ სფეროებს. ვერ გადაწყვიტეს ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ცხადია, გაწბილებული ხალხი ისე შეიძლება შემოტრიალდეს საქმე, ეს ერთხელ უკვე მოგებული ბრძოლა ამ ხალხს, ხალახლა მოსაგები გაუხდეს, „ნაცები“ ისევ გასაყრელი გაუხდეთ ხელისუფლებიდან და ეს ივანიშვილის ბრალი იქნება, სხვა არავისი. მოკვდა შენი მტერი? მიაყარე მიწა და მორჩა, რა! გულის მასაჟებს რაღად უტარებ, შე კაი კაცო, ჩვენი გულის გასახეთქად?

„2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა, რა

და ტრანსპორტის ყველა სახეობით მგზავრობის საფასური, მუნიციპალურის გარდა... ყველაფერი, რისი გაძვირებაც შეიძლებოდა, გაძვირდა და ხალხს ამ ფონზე შემოსავალი არ გაზრდია.

კი, ცოტა მოიმატა პენსიამ და სოციალურად დაუცველთა შემწეობაც გაორმაგდა, მაგრამ ლარის გაუფასურების გამო, ამ ხალხს შემოსავალი, ფაქტობრივად, არ გაზრდია, ლარის ინფლაციამ ეს სხვაობა შეჭამა, ციფრებში მეტია მათი შე-

**ყვირის თემა**

კვირა სახლში გამოკეტონ, კომუნიკაციის ყველა წყარო დაუხშონ, ხელში აიღონ ძალაუფლება და ეს კაცი ჰაერში დატოვონ? თეორიულად ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ეს არ მოხდება. რატომ? იმიტომ, რომ სუს-ის უფროსი ვახტანგ გომელაური ივანიშვილის დაცვის უფროსი იყო წლების მანძილზე, იმიტომაც დაინიშნა ჯერ შს მინისტრად და მერე სუს-ი ჩააბარა, ის

# ქართველ ხალხს და ამის პასუხს ოქტომბერში მიიღებენ

# ივანიშვილთან შეხვედრაზე?

ოქტომბერში შესაფერის პასუხს გასცემს „ქართულ ოცნებას“, ბიძინა ივანიშვილის მერეიტინგეებს ის 30 და 45 პროცენტი უკან დარჩებათ და „ქართული ოცნება“ უბრალო უმრავლესობასაც ვერ მოიპოვებს პარლამენტში. ეს რეალობაა, ლოგიკაზე დაფუძნებული რეალობა. რკინისებური ლოგიკა კი ის გახლავთ, რომ ხალხი მოტყუებული და შეურაცხყოფილია და შეურაცხყოფილი ადამიანი, შეურაცხმყოფელს მხარს აღარ დაუჭერს.

ნუ ჩააფურთხებდნენ სულში ხალხს „ქართული ოცნების“ ლიდერები, ნუ გაქსუვდებოდნენ ამ ხალხის ხარჯზე და ნუ მიუგდებდნენ სამათხოვრო 160 ლარ პენსიას არჩევნებიდან 3 წლის თავზე და საარსებო მინიმუმს, 150 ლარს შრომისუნარიან მამაკაცზე, რომლითაც 10 დღეს ვერ გაიტანს თავს კაცი. დიახ, ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ დასცინეს ქართველ ხალხს და ამის პასუხს ოქტომბერში მიიღებენ – ხმების მცირე რაოდენობას. შესაბამისად, ივანიშვილიც გაგვებუტება. ნუ, რა ვქნათ. მოსახდენი უნდა მოხდეს და მეეჭვება, ხალხს მოენატროს ივანიშვილი. ეს მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ ხელისუფლებაში „ნაციონალები“ და მათი სატელიტები დაბრუნდებიან, მაგათ ისევ ივანიშვილი სჯობს.

თუმცა, თუ ასე მოხდა, ესეც ივანიშვილის ბრალი იქნება. მომაკვდავ „ნაციონალებს“ სწორედ მან ასხურა „უკვდავების წყალი“ და სამარისკენ მიმავალნი უკან დააბრუნა, ქვეყნიდან გაქცეულები დააბრუნა და მისი სისუსტის წყალობით, მიშა სააკაშვილის გუნდი ისე მოძლიერდა, რომ შესაძლოა, მართლა დაბრუნდეს ხელისუფლებაში. აი, ეს თუ მოხდა, ვიღაცას ბიძინა ივანიშვილი კი მოენატრება, მაგრამ ბევრს შეიძლება ვერ გაასწროს ქვეყნიდან. იმ ხალხზე მოგახსენებთ, ვინც 2012 წელს ივანიშვილს გაჰყვა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იმ იმედით, რომ „ნაცებს“ ერთხელ და სამუდამოდ მოიშორებდნენ. ამისთვის არჩევნების მოგება იყო საჭირო და მოიგეს კიდეც. იმ ხალხმა მაგრად გარისკა, ჯოჯოხეთი გადაიტანა ბევრმა, მაგრამ უკან არავის დაუხევია, ბრძოლა, რომელიც გადამწყვეტი გამოდგა, მოიგეს. ახლა კი



თქმა უნდა, გაუმჯობესდა. მე ეს აღწერილი მაქვს“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. მგონია, რომ ეს კაცი ჩაკეტილი ჰყავთ თავის „შუშის სასახლეში“ და გარეთ არ უშვებენ. ქვეყანაში მსხვილი ინვესტიციების შემოდინება გვარიანად შემცირდა, ასევე, შემცირდა ადგილობრივი ინვესტიციებიც, მეტიც, უკვე არსებული ბიზნესობიექტებიდან ძალიან ბევრი ან დაიხურა, ან კაპიტალდაბანდება შეამცირა, შემცირდა უცხოეთში მომუშავე ემიგრანტების გადმორიცხული თანხის რაოდენობაც, რომელიც ჩვენი ეკონომიკის დიდ წილს შეადგენდა, ლარის კურსის გაუფასურებამ კი მხოლოდ ბანკები ახეირა, ყველა სხვა ბიზნესს დედა უტირა, ან ვალები აჰკიდა და გააკოტრა, ან დამატებითი ხარჯების მოძიება და გაღება მოუწიათ, ბაზარზე რომ დარჩენილიყვნენ. ასეთ დროს კი, ბიზნესის გაფართოებაზე ჭკუათმყოფელი ბიზნესმენი არ ფიქრობს, ისიც ხარჯებს ამცირებს...

კაცო, თუ ყველაფერი შემცირდა, ეკონომიკა წინ როგორ წავიდა ამ 4 წელიწადში? მოდით, უფრო კონკრეტულად ვთქვათ. მე, საქართველოს ერთ რიგით მოქალაქეს, რატომ არ მეტყობა, რომ ამ 4 წელიწადში მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა? შემოსავალი იგივე მაქვს, რაც 4 წლის წინათ მქონდა. 4 წლის წინათ, ზამთარში, თვეში 150 ლარს ვიხდიდი კომუნალურ გადასახადებს, ახლა კი 250 ლარს ვიხდი. 4 წლის წინათ 100 ლარად ოჯახისთვის საჭირო სურსათს რომ ვყიდულობდი, ახლა იმავე რაოდენობის სურსათში 150-170 ლარი მჭირდება. 3-4-ჯერ გაძვირდა წამლების ფასი ამ 4 წელიწადში, გაძვირ-

მოსავალი, რეალურად კი იმაზე ნაკლები, რაც ამ ვითომდა ბევრად გაზრდილი შემწეობა-პენსიით უნდა ჰქონდეთ. ეს ფრაზა წინასაარჩევნოდ გადმოგდებული ანკესია, ვიღაცა წამოეგება და რას ჰკარგავს?!

## რისი ეშინია ივანიშვილს?

„ჩემი ძალაუფლება არის ის, რომ ხალხი მენდობა და ხალხს აქვს ისეთი დამოკიდებულება, როგორიც აქვს და ჩემს სიტყვას აქვს ძალა და არა ის ფინანსები, რომელიც არანაკლები გააჩნია ამ გუნდს, რომლებმაც 9 წლის განმავლობაში რაც კი საქართველოში იწარმოებოდა, გადაინაწილეს. ჩემი ძალაუფლება არის ხალხის ნდობა და სანამ ეს გამაჩნია, ვალდებულებას ვგრძნობ, რომ ამ ხალხს მოვემსახურო და რაც შემიძლია გადავცე მათ. მე მოქალაქე ვარ ამ ქვეყნის და კანონს ვემორჩილები. მე არანაირი ბერკეტი არ გამაჩნია, რომ მმართველ გუნდზე გავლენა მოვახდინო, მე არ მყავს ჩემი პოლიცია, ჩემი ჯარი, არაფერი ჩემი პიროვნების მეტი და ხალხის ნდობა, მხოლოდ ესაა ჩემი“. – აქაც იტყუება ბიძინა ივანიშვილი, მისი ძალაუფლება ხალხის ნდობას არ ემყარება, მას ჰქონდა ხალხის ნდობა, მაგრამ დაკარგა. თუმცა, ივანიშვილს აქვს რეალური ძალაუფლება. ამ ქვეყანას ის მარიონეტი მთავრობის მეშვეობით მართავს. ისე, საინტერესოა, რეალურად, რას ემყარება მისი ეს ძალაუფლება, რომლის მეშვეობითაც მთელი მთავრობა ხელში უჭირავს? ხომ შეიძლება. დავუშვათ, შს მინისტრი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს-ი) უფროსი გაერთიანდნენ ივანიშვილის წინააღმდეგ, ერთი

არ უღალატებს ივანიშვილს, მისი ერთგულება ათასჯერ გამოსცადა ივანიშვილმა. სუს-ის გარეშე კი მის წინააღმდეგ ვერანაირ შეთქმულებას ვერ მოაწყობ. ამას დაამატეთ დაზღვევაც – პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც ყველა ძალოვან უწყებას აკონტროლებს, კვირიკაშვილი ივანიშვილის „ქართუ ბანკის“ მმართველი იყო და არც მისი ერთგულება დგას ეჭვქვეშ (მისი წინამორბედი ირაკლი ღარიბაშვილი „ქართუ ფონდის“ ყოფილი დირექტორი და ივანიშვილის ერთგული კაცი გახლავთ). ჰო, კიდევ ერთი დაზღვევა – სამთავრობო დაცვის სამსახურის უფროსი, ასევე, ივანიშვილის დაცვის ყოფილი წევრი, ანზორ ჩუბინიძეა, მისი უერთგულესი ადამიანი. სამთავრობო დაცვის სამსახურები არც თუ ხშირად მონაწილეობენ შეთქმულებებში, მაგრამ მაინც სპეცსამსახურია, ნებისმიერი სპეცსამსახური კი სახიფათოა მმართველისთვის, თუ მას მისი ერთგული და დამჯერი ადამიანი არ აკონტროლებს. სახიფათოა მეტადრე არაფორმალური მმართველისთვის, რომელსაც არანაირი კონსტიტუციური უფლება არ გააჩნია, მართოს ქვეყანა. მოკლედ, ივანიშვილის ძალაუფლება ხალხის ნდობას კი არა, კონკრეტული ადამიანების მისდამი ერთგულებასა და მორჩილებას ემყარება. ამიტომაც არის სამთავრობო და სხვა სტრუქტურები გადატენილი „ქართუ ჯგუფში“ შემავალი ორგანიზაციების ყოფილი კადრებით. ბიძინა ივანიშვილი ძალიან ვიწრო წრეში, ერთ ბიზნესჯგუფში ეძებს იმ ხალხს, ვისაც ქვეყნის მართვას ანდობს. ცხადია, ამის გამო, ბევრი კვალიფიციური მენეჯერი მისი ყურადღების მიღმა რჩება, მათ არ აკარებს ხელისუფლებას მხოლოდ იმიტომ, რომ მასთან მუშაობის გამოცდილება არ აქვთ, ფუთი მარილი არ უჭამიათ ერთად და ივანიშვილისთვის ერთგულება და უღალატობა არ დაუმტკიცებიათ მრავალგზის. ახლა კულტურისა და სპორტის მინისტრები არ ითვლებიან, რადგან ძალაუფლება მუდამ ძალოვნებს ემყარება.

ამ შეზღუდული წრიდან, შეზღუდული რესურსიდან კადრების გადმოქაჩვის ბრალია, რომ ქვეყანა გაჩერებულია, ბიძინა ივანიშვილის ბიზნესიდან მოსული ბევრი

გაგრძელება მეთვრამეტე გვ.

Facebook ამბები



**ცოტნე გამსახურდია:**

ეს იგორ გიორგაძის ნათესავი და ნასედკა სარიშვილი ამას წინათ ბოდავდა, გამსახურდია მრგვალმა მაგიდამ დაამხო და ოჯახმა დაღუპა თურმე... მისი ლუბიანკელი კურატორების დიდი ხნის მოგონილ მითს იმეორებს. მე და გია არაფერ შუაში ვიყავითო. ცდილობენ ისტორიის გადაწერას ვირთხები, მაგრამ ჯერ კიდევ ახსოვს ხალხს მათი ბინძური როლი ახალდაბადებულ ქვეყნის წინააღმდეგ! თემურ ალასანია, იგორ გიორგაძე და მისი სექსოტები ერთის მხრივ ნაცმოძრაობასთან თანამშრომლობით, მეორე მხრივ კი პრორუსული პოლიტიკური ძალების წინასაარჩევნოდ გაძლიერებითა და გამრავლებით ცდილობენ საქართველოს დაბრუნებას საკუთარ ორბიტაზე. აქვე ვიტყვი, რომ ნაცმოძრაობა პრორუსულ ძალად არ მიმაჩნია, ის, უბრალოდ, ეშმაკთანაც ითანამშრომლებს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. კრემლი, ვფიქრობ, აქ ხელმძღვანელობს პრინციპით - "ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია". თუ ხელისუფლება ჩამოიშლება, ვერ გაართმევს თავს გამოწვევებს, პროდასავლური ძალები ვერ გაერთიანდებიან საკუთარი ეგოცენტრიზმისა და უპრინციპობის გამო, და პარლამენტი პრორუსული ან ამორფული ძალებით გაივსება, მღვრიე წყალში თევზს ადვილად დაიჭერენ.



**ჯონდი ბაღათურია:**

ანუ საქართველო უნდათ, ოღონდ ქართველების გარეშე.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე უარის თქმით დასავლეთმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა რომ საქართველო სჭირდება როგორც პლაცდარმი რუსეთზე შეტევისთვის და სხვა არაფერი ... ანუ საქართველო უნდათ ქართველების გარეშე ...

მეთერთმეტე გვერდიდან

ადამიანი ვერ მოერგო საჯარო სამსახურს, მაგრამ მაინც პოსტებზე არიან, რადგან ივანიშვილს ურჩევნია, უუნარო და ერთგული ხალხი ჰყავდეს ხელისუფლებაში, ვიდრე საქმის მკეთებელი, თუნდაც ვირტუოზი საჯარო მოხელენი, რომლებიც გაბედავენ და მას ერთხელ მაინც შეუბრუნებენ სიტყვას. აი, ეს უბედურება გვჭირს – „ქართუ ჯგუფი“ და ბიძინა ივანიშვილისადმი მონურად ერთგული კადრები მართავენ დღეს საქართველოს. მონას კი იდეა და ინიციატივა არ გააჩნია, ის მხოლოდ პატრონის ნების უსიტყვოდ აღმსრულებელია.

## ეუბნებიან, მაგრამ ესმის, როო?

ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე ეკონომიკური სფეროს ქართველ ექსპერტებსაც გაჰკრა კბილი, მათგან კონკრეტულ, კვალიფიციურ იდეებს ველოდი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა, საგულისხმო და გამოსადეგი ვერაფერი ვერ მომაწოდესო. ბიძინა ივანიშვილს ჰგონია, რაც ქვეყანაში კვალიფიციური ექსპერტია, ყველას თავის ორგანიზაციაში, „20/30“-ში მოუყარა თავი, მაგრამ ცდება. არ ამბობს სიმართლეს, როცა აცხადებს, საჭირო და გამოსადეგი იდეები არ მომაწოდეს ექსპერტებმაო, არა, აწვდიდნენ, მაგრამ არ იზიარებდა. მაგალითად გია ხუხაშვილი და ემზარ ჯგერენაიაც კმარა. ეს ხალხი დღესაც ურჩევს ხელისუფლებას, რა და როგორ შეცვალონ და ამას ადრეც არაერთგზის ეუბნებოდნენ.

**გია ხუხაშვილი:** „პირველი და მთავარი, რაც დღევანდელი ხელისუფლების სისტემურ პრობლემად გადაიქცა, ბიუროკრატია გახდა არაეფექტური. სააკაშვილის დროს პოლიტიკური რისკები მაღალი იყო, გადასახადის ამკრეფსა და გადასახადის გადამხდელს შორის ურთიერთობაში ეფექტური კი იყო, მაგრამ რისკიანი. დღეს პოლიტიკური რისკები თითქოს არ არის, მაგრამ ეფექტურობა არსებითად დაიკარგა და მხოლოდ იმის გამო, რომ ვიღაცას არ შეუძლია საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება და ვერ იღებს გადაწყვეტილებას, ეკონომიკაში ბევრი ხარვეზია. მთელი რიგი პროექტებისა ჩერდება ან საერთოდ არ იწყება მათი განხორციელება, საგადასახადო კანონმდებლობის მხრივ ხარვეზებია, გადასახადის გადამხდელს არ განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები. ვიცი შემთხვევები, თვეების განმავლობაში განმარტებას ვერ იღებენ ბიზნესმენები, რა რეჟიმში უნდა აწარმოონ ესა თუ ის საქმიანობა. მთავრობის ეფექტურობა ერთი ორად არის შემცირებული. ვიმეორებ, ამის მიზეზი ის არის, რომ კონკრეტულ მოხელეებს არ უნდათ პასუხისმგებლობის აღება, ეს კი ბიზნესს და ზოგადად, ეკონომიკას, აფერხებს. დადებითი პასუხი რომ მისცენ ბიზნესმენს, ეშინიათ, ვერ ბედავენ, უარყოფითად უპასუხონ, ეშინიათ, ბიზნესმენმა არ უჩივლოთ. ამიტომ დროის გაჭიმვის პოლიტიკაა მათთვის მომგებიანი. თუმცა, ეს ბიზნესისთვის და ქვეყნისთვის წამგებიანია, მთელი რიგი პროექტებისა ჰაერშია ჩამოკიდებული, ეს კუმშავს ეკონომიკას და არ აძლევს განვითარების საშუალებას. ხელისუფლების ვერტიკალი არ მუშაობს, მენეჯმენტი არაეფექტურია, ყველა ელოდება რაღაც უზენაეს ნებას, რომ ელემენტარული გადაწყვეტილებები მიიღონ. ხშირ შემთხვევაში ფუნქციები არ არის გაყოფილი. ამ ყველაფრის საშველი ის არის, რომ ყველა უნდა მუშაობდეს თავის ადგილზე, იცოდეს და აკეთებდეს თავის საქმეს და არ ელოდებოდეს ვიღაცისგან მითითებას, რომ რაც მისი კომპეტენცია ისედაც არის და რაშიც ხელფასს იღებს, ის საქმე გააკეთოს. თუ ჩვენ გვინდა, მივიღოთ სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ერთი მარტივი რაღაც უნდა გვესმოდეს. ვიდრე იმპორტ-ექსპორტის სალდო არ დაბალანსდება ქვეყანაში, ჩვენ სტაბილური ეკონომიკა არ გვექნება, არ გვექნება ადგილობრივი წარმოება. ახლა რომ დადის ეკონომიკის მინისტრი და ხან რას და ხან რას გახსნის, ეს არ ნიშნავს,


Mzia Saganelidze (RFE/RL)

რომ ადგილობრივი წარმოება წინ მიდის, თან ამასაც წინა ხელისუფლების წამხედურობით აკეთებენ, საკმაოდ უხარისხოდ. რეალური სტიმულია საჭირო, ადგილობრივი წარმოება რომ დაიძრას. პირველ რიგში, დროებით უნდა დავიცვათ ეკონომიკური საზღვარი, რომ მივცეთ ადგილობრივ ინვესტორს შიდა ბაზრის ათვისებისას უპირატესობა, რომ საბოლოო ჯამში შეიქმნას კონკურენტუნარიანი პროდუქცია. კი, ეკონომიკური საზღვრების დაცვას თუ გადავწყვეტთ, ეს საერთაშორისო ორგანიზაციებში დისკუსიას წარმოშობს, განსაკუთრებით, მსოფლიო ბანკთან, მაგრამ ჩვენ უნდა ვითხოვოთ გარდამავალი პერიოდი, რომ მოვახერხოთ რეალური ინვესტიციების მოძიება. ეს პირდაპირ მიბმულია სამუშაო ადგილების შექმნასთან, განვითარდება ადგილობრივი წარმოება? დასაქმდება ხალხი. არადა, ვიქნებით ასე. დღეს ჩვენ ვართ იმპორტიორი ქვეყანა, ვყიდულობთ უცხოურ პროდუქციას და ამით ჩვენ ვასაქმებთ ხალხს უცხოეთში, ვაფართოებთ უცხოელთა ბიზნესს. მოკლედ, უცხოურ პროდუქციაში ჩვენი გადახდილი ფულით, სადღაც ვიღაც იღებს ხელფასს, ვიღაც ბიზნესმენი კი მდიდრდება.

აუცილებელია ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება, უნდა მომხდარიყო სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ოპტიმიზაცია, პირიქით გააკეთეს, გაზარდეს ბიუროკრატიული აპარატი. ზოგადად კი ვიტყვი, რომ ქვეყანაში არის მმართველობის კრიზისი. მე ეს და სხვაც არაერთხელ მითქვამს ხელისუფლებისთვის, მაგრამ ყურად არ უღიათ, ვეჭვობ, არც ახლა ექნებათ რეაქცია“.

**ემზარ ჯგერენაია:** „ძალიან ბევრი რჩევა მიმიცია ამ ხელისუფლებისთვის. რა ხანია ვიძახი, რომ არ შეიძლება 25 წელი ერთ წრეზე ტრიალი, ხელისუფლებები იცვლება, მაგრამ ეკონომიკურად ბევრი არაფერი. უნდა გამოვაცხადოთ ეკონომიური ამნისტია, როგორც იტალიაში გააკეთეს. საქართველოს მოქალაქეებს ოფშორულ ზონებში ექნებათ თუ სადაც ექნებათ ფული შენახული, ამ ფულის საქართველოში დაბანდების საშუალებაც უნდა მივცეთ და საუკეთესო პირობებიც უნდა შევუქმნათ ბიზნესის წარმოებისთვის. ეს ადგილობრივ წარმოებას ფეხზე დააყენებს, ხალხს დაასაქმებს, ბიუჯეტში ფული შევა, ბიზნესს გამიჯნავს პოლიტიკისგან და სხვა სასიკეთოც ბევრი მოჰყვება. ეკონომიკისა და ნებისმიერი სხვა სფეროს განვითარება მიბმულია განათლების სფეროსთან. საქართველოში განათლების რეფორმა არ განხორციელებულა, ჩავარდა, ყველაფერი თავიდან არის დასაწყები, სკოლიდან... ძირეული რეფორმაა აუცილებელი განათლებაში, საშუალო და უმაღლეს განათლების სფეროებში, სახელმძღვანელოებიც ახლიდან არის დასაწერი, მასწავლებლები და პროფესურის გადამზადებაა აუცილებელი, ასევე, განათლების სისტემის მენეჯერებისა. რად გვინდა ამხელა თავდაცვის ბიუჯეტი? რა, ომს ვაპირებთ? სამხედრო ბიუჯეტი უნდა შემცირდეს და დანაზოგი თანხით უნდა დაფინანსდეს სტარტაპები, ადგილობრივი წარმოება. სახელმწიფოს მხრიდან არასწორად მიმაჩნია ის განცხადებები, 100 და 120 საწარმო უნდა გავხსნათო. შენი, სახელმწიფოს, საქმე არ არის საწარმოების გახსნა. შენ უნდა შექმნა მოედანი, კარგი საგადასახადო სისტემა, გამჭვირვალე გარემო, გამარტივებული პროცედურები, რომ ბიზნესმენს აქ ფულის ჩადება მოუნდეს. ეს გააკეთე და ის ბიზნესმენი მოვა და დაიწყებს ბიზნესს. კიდევ, სახელმწიფო არ უნდა უგეგმავდეს, ბიზნესმენმა რომელ სფეროში უნდა ჩადოს ფული. აქ არის შემთხვევები, როცა ბიზნესს კარნახობენ, საით წავიდეს, სად დააბანდოს ფული. ჩვენი ბიუჯეტის სოლიდური შემვსებები, უცხოეთში მომუშავე ჩვენი ემიგრანტები არიან, ეს ხალხი აქ უამრავ ადამიანს არჩენს, ქვეყნის ეკონომიკა მათზე ბევრწილად არის დამოკიდებული. რას აკეთებს ხელისუფლება მათ დასაცავად? არაფერს. თუ უცხოეთის ქვეყნის მოქალაქეა ან სამუშაო ვიზით არის წასული, კი, ის დაცულია, ლეგალურად მუშაობს, მაგრამ ეს უმცირესი ნაწილია. ემიგრანტთა უმეტესობა არალეგალურად მუშაობს, შესაბამისად, საფრთხის ქვეშ არიან, სამსახურის დაკარგვისა და დეპორტაციისა. ხელისუფლებამ უნდა დაიცვას მათი შრომითი უფლებები უცხო ქვეყნებში. ამ დროს, ევროასოცირების ამხელა ხელშეკრულებაში ერთი მუხლიც არ არის ევროპაში მომუშავე ჩვენი ემიგრანტების შრომითი უფლებების დაცვაზე. ასე არ შეიძლება ამ ხალხის მიტოვება. აუცილებლად უნდა შემცირდეს ბიუროკრატული ხარჯები, ამხელა მმართველი აპარატი ამ პატარა სახელმწიფოს არ სჭირდება. სახელმწიფო ინსტიტუტებმა არ უნდა გაუწიონ კონკურენცია ბიზნესს, ბიზნესიდან სახელმწიფო სამსახურში ხალხის წასვლას ვგულისხმობ, ბიზნესში კვალიფიციური მენეჯერია, აქვს 2000 ლარი ხელფასი, ეცოტავება, სახელმწიფო სამსახურში 4000 ლარს სთავაზობენ და ისიც იქ მიდის. სახელმწიფომ ბიზნესს თავი უნდა დაანებოს და თავად გაზარდოს სახელმწიფო მოხელენი, ამის რესურსი აქვს. ნორმალურ ქვეყნებში, ბიზნესში არავინ ეძებს სახელმწიფო ჩინოვნიკს. კიდევ ბევრის გახსენება შემიძლია, რაც ხელისუფლებისთვის მირჩევნია, რაც აუცილებლად გასაკეთებელია, მაგრამ განსჯის საგნადაც არ აქცევენ“.

ეს ფაქტები საკმარისი იმის დასტურად, რომ ივანიშვილი ეკონომიკის ქართველი ექსპერტების რჩევებს არათუ არ ითვალისწინებს, საერთოდ შორს იჭერს და მხოლოდ საკუთრად მიჩნეულ, აკვიატებულ ექსპერტებს „ეკითხება“ რჩევებს. რატომ? ისინი არ ეკამათებიან, სახელისუფლებო ექსპერტები არიან და ასკილივით ყველაფერზე თავს უკრავენ. არ დაუკრავენ თავს და მათი აჯობებს – უმეტესობას ხელფასს ივანიშვილი უხდის ან მათ არასამთავრობოებს აფინანსებს და ბევრი აქვთ დასაკარგი. კი, ბატონო, შესაძლოა, გია ხუხაშვილისა და ემზარ ჯგერენაიას რჩევებსა და მოსაზრებებში რაღაც სადავო და საკამათო იყო კიდეც, მაგრამ ედავე და ეკამათე, შე დალოცვილო, იქნებ ჭეშმარიტებამდე მიდიხარ? ამ და სხვა დამოუკიდებელი ექსპერტების სრული იგნორი რა უბედურებაა?

## რატომ არ მიდის „ალია“ ივანიშვილთან შეხვედრაზე?

**ბიძინა ივანიშვილი მორიგ პრესკონფერენციას სამშაბათს, 14 ივნისს გამართავს ბეჭდური და ონლაინმედიის წარმომადგენლებისთვის. ამ პრესკონფერენციაზე „ალიაც“ არის მიწვეული, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი წარმომადგენელი იქ არ წავა. მიზეზი მარტივია. ბიძინა ივანიშვილმა უკვე არაერთი პრესკონფერენცია გამართა და დავრწმუნდით, რომ მისთვის კითხვის დასმას აზრი არ აქვს, რადგან დასმულ კითხვას არ პასუხობს, რაც გაინტერესებს, იმ პასუხს ვერ მიიღებ. მისთვის არასასურველ კითხვას დასვამ? ჩაგეჭრება, შეგაწყვეტინებს და თან არაერთხელ. იმის მტკიცებას დაგიწყებს, რომ სისულელეს ეკითხები, ან ცრუობ და ჭეშმარიტების ბოლო ინსტანცია თავად არის. ამ ოთხწლიანი მმართველობისას არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, როდესაც მას ვინმეს აზრი გაეთვალისწინებინოს და მხოლოდ ის არ იყოს მართალი და შეუმცდარი. ამიტომ, როდესაც ადამიანთან კითხვის დასმას აზრი არ აქვს, იქ არ უნდა წახვიდე. და თუ თავად ბიძინა ივანიშვილს აქვს კითხვები „ალიასთან“, სიამოვნებით დავუთმობთ ჩვენს საგაზეთო გვერდებს.**

Facebook ამბები



**მერაბ შათირიშვილი:** გამაგებინეთ, იქნებ ვცდები: „რუსთავი-2“ თავისუფალი, დამოუკიდებელი ტელევიზიაა?.. და, „რუსთავი-2“-ს ვინც იცავს, თითქოს სიტყვის თავისუფლებას რომ იცავს, ნაცმოძრაობას არ იცავს და ნაცმოძრაობის „სისხლი-სისხლთაგანი“ და „ხორცი-ხორცთაგანი“ არ არის?.. გასული საუკუნის 90-იანი წლები მახსენდება, სწორედ „იმ“ ვაიქართველების, რომლებმაც კანონიერი ხელისუფლება დაამხეს და ქვეყანა დააქციეს, „სელექციურად“ გამოყვანილი „ეს“ ქართველები, სამოქალაქო დაპირისპირებასა და სისხლისღვრას არაფრად რომ დაგიდევენ, ყველაფერს გააკეთებენ - „ქვა-ქვაზე„ არ დარჩენილიყოს!..“ მერე, მომავალ ცხოვრებას: ახია მაგაზე, მეტსაც იმსახურებდა-ო, იმ კაცსა და ხელისუფლებაზე ძახილში გაატარებენ, თავის დროზე თვალებში რომ შესციცინებდნენ, მესსია მოდისო, ხმამაღლა, „ყურთასასმენელის“ საამებლად გაიძახოდნენ და, დანაშაულს, რომელიც, იმისათვის ჩაიდინეს, დასანაყრებელი არ მისცეს და სავარძელი არ უბოძეს, უნამუსოდ მიივიწყებენ და საქართველოს სადღეგრძელოს დიდი პათოსით შესვამენ, თითქოს არაფერი მომხდარა და, თითქოს ქვეყნის დამაქცევარნი სხვები არიან და არა - ისინი - კეთილშობილის, ნამდვილი პატრიოტის მანტიას მოირგებენ და თვალეში უშნოდ არ ჩაგახედებენ - როგორ გეკადრებათ?! როგორ გვაკადრებთ?! ჩვენ კიდევ გულხელი დავიკრიფოთ, ფეისბუქში ვიბაქიბუქოთ და, ქვეყანა თავზე რომ დაგვექცევა, ავდგეთ, საქართველოს სადღეგრძელო დიდი პათოსით ჩვენც შევსვათ, სხვაზე ნაკლები რით ვართ?!..



**გიორგი ფოფხაძე:** იმდენი ცნობილი ხალხი ჩამოყავთ ამ ბოლო დროს საქართველოში... ჩემი სიდედრი და ჩემი მეზობელი პასკალა რო ჩამოვიყვანო არ წავაა? რავა ცნობილები არ არიან თუუუ?

# „კახელებს აქვთ ერთი კარგი გამოთქმა: მეტიჩარა კუილი ტრაკში არა დგებოდაო“

## „ჩვენ არც ნატო-ში და არც ევროკავშირში არ მიგვიღებენ“








გელა ზედელაშვილი

555 48-48-61


**აქამდე მხოლოდ ნატო და ამერიკელები გვეკაიფებოდნენ, ახლა ევროპაც გვეკაიფება — ვიზალიბერალიზაციას ხან გვაძლევენ, ხან — არა. გერმანელები თავს იგიჟებენ, საქართველოდან გერმანიაში ძალიან ბევრი კრიმინალი შემოდის, თუ ევროკავშირი ამ ქვეყანას უვიზო მიმოსვლას დაუწესებს, დავიღუპებითო. მაგალითად, პოლიციის ოფიცრის, არმინ შუსტერის აზრით: „ქართველი იმიგრანტები, სხვებისგან განსხვავებით, ძალიან ღრმად არიან ჩაბმულნი ორგანიზებულ დამნაშავეობაში. ახლა რომ ჩვენ უვიზო რეჟიმი შემოვიღოთ, კრიმინალური სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდება“.**

**პოლიციის მეორე წარმომადგენელი, ანდრე შულცი ამბობს, რომ დამნაშავეთა უკან ქართული მაფიის მოქმედება იკვეთება, რომელიც გერმანიაში ქურდებს მიზანმიმართულად აგზავნის. ექსპერტი ჰანს-პეტერ ული (ქრისტიან-სოციალური კავშირი) კი აცხადებს, რომ საქართველო ნატო-ში მიღების ღირსიც არ არის, რადგან ეს რუსეთთან დაპირისპირებას გამოიწვევს. როგორც პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ყველაზე მეტ სიმართლეს ექსპერტი ჰანს-პეტერ ული ამბობს, ჩვენ არც ნატო-ში და არც ევროკავშირში არ მიგვიღებენ რუსეთის ფაქტორის გამო და სწორედ ამიტომ შეჩერდა ვიზალიბერალიზაციის საკითხიც:**

**— ბატონო სოსო, ისეთი პირი უჩანს, ამ საკითხსაც გაგვიწელავენ და ბოლოს უარსაც გვეტყვიან, თქვენ რა ვერსიები გაქვთ, სინამდვილეში მხოლოდ რუსეთს უფრთხის ყველა და ამიტომ იძახიან, მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო?**

– დაახლოებით 6-7 თვის წინ გერმანიაში ჩვენი ქურდები უკვე ციხეში ისხდნენ, სირიელი დევნილებიც შესულები იყვნენ და თითქოს ვიზალიბერალიზაციაც განაღდებული გვქონდა. მაშინ ჩვენი საკითხი ბრიუსელში იხილებოდა ავტონომიურად, არავითარი სხვა ქვეყანასთან მიბმა, არავითარი უკრაინა, არავითარი კოსოვო, ლაპარაკობდნენ მხოლოდ საქართველოზე. კახელებს აქვთ ერთი კარგი გამოთქმა: მეტიჩარა კუილი ტრაკში არა დგებოდაო...

> ამ ჩვენმა ბედოვლათებმა რომ იფიქრეს, უკვე განაღდებული გვაქვსო, დაიწყეს ვითომ უკრაინისთვის დახმარება – აი, უკრაინის საკითხიც ჩვენთან ერთად განიხილეთ, ამ ქვეყანასაც ეკუთვნის და ასე შემდეგ.

ამის გაკეთება დაიწყეს რუსეთის ჯინაზე, ეს ევროპაც ადგა და ერთ პაკეტში მოგვაქცია უკრაინასთან ერთად, იქვე ჩაგვისვა კოსოვოც. ქურდები მანამდეც ისხდნენ გერმანიის ციხეებში, ეგენი გუშინ არ დაუჭერიათ. გარდა ამისა, აქედან განა რამდენი არალეგალი უნდა შესულიყო გერმანიაში? ალია-ბალია, 600-700 ადამიანი.

**— საერთოდ, მონაცემები გვაქვს, დღეს გერმანიაში რამდენი ქართველი პატიმარია?**

– კი, მონაცემები არსებობს, 4600 ჩვენი მოქალაქეა გერმანიაში პატიმარი, ერთი ამდენია საფრანგეთში, ცოტა ნაკლებია ესპანეთში. ესე იგი, 3-მილიონიანი საქართველოს გამო ევროპა თითქოს რუსეთს არ უპირისპირდებოდა, მაგრამ საქმეში 47-მილიონიანი უკრაინის ჩართვამ საკითხი უკვე გაართულა და რუსეთი ძალიან გააღიზიანა. რატომღაც ჩვენთან მარტო გერმანიას ახსენებენ, ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე იტალიაა, შემდეგ მოდის საფრანგეთი.

ამ სამ ქვეყანას აქვს ყველაზე კარგი ურთიერთობა რუსეთთან. დაუკვირდი, ცოტა ხნის წინ ქართველი ჯარისკაცების ასეული უნდა წასულიყო ნატო-ს წვრთნებზე პოლონეთში და ჩვენი სამინისტრო აცხადებს, ბიჭებს ჩუტყვავილა დაემართათო. მიკვირს, ტყუილს იგონებ, მაგრამ ისეთი მაინც მოიგონე, ცოტა ჭკვიანური მაინც იყოს... ორ ჯარისკაცს ჩუტყვავილა აქვს, ეს ორი გადასდებდა ას ჯარისკაცსო, ასი გადასდებდა ათასს, მერე გავრცელდებოდა და მთელი ევროპა დაავადდებოდაო. ამ დროს იგივე ევროპაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნატო-მ გადაწყვიტა, ზედმეტად აღარ გააღიზიანოს მოსკოვი. თუ ბრიუსელი ასეთ ანგარიშს უწევს რუსეთს, რომ ასი ქართველიც კი აღარ მიჰყავთ წვრთნებზე ორი კვირით, ხომ წარმოგიდგენია, რამხელა ანგარიშს გაუწევს ნატოში გაწევრიანების ან მაპ-ის მიღების მხრივ? დავუშვათ, მოგვცეს მაპ-ი, რუსეთი დაიწყებს ომს საქართველოში და აქ უკვე აღარავინ არ ჩაერევა, ნატო აუტკივარ თავს რატომ აიტკივებს?

**— ესე იგი, რომ გვეუბნებიან, ცოტაც მოითმინეთ, ვიზალიბერალიზაციას მოგცემთო, ეს მტკნარი სიცრუეა?**

– იგივე მეთოდია, ისე მოგვცემენ, როგორც ნატო-ში გვიღებენ, აქ ერთი ხელწერაა. ევროჩინოვნიკებს ჯიბეში კიდევ უდევთ დაახლოებით ასი მიზეზი, რაც ძალიან ჰგავს „სალდატსკაია პრიჩინას“. ქურდების ამბავი აღარ გაჭრის? კიდევ მოიგონებენ რაღაცას და ასე იქნება დაუსრულებლად. ახლა იძახიან, შეიძლება ნატო-ს ასოცირებული წევრი გავხდეთო, ამ დროს კაციშვილმა არ იცის, ეს რას ნიშნავს, ნატოს არც ერთ ფუძემდებელ დოკუმენტში ასეთი მცნება არ არსებობს. ასევე, არ არსებობს ევროკავშირის დოკუმენტებში ასოცირებული წევრის სტატუსი. ათას რაღაცას იგონებენ, რადგან არ უნდათ, საქართველომ უცებ კურსი შეიცვალოს. ჩვენც ვართ მოლოდინში, არც იქით მივდივართ, არც აქეთ მოვდივართ, ვმკითხაობთ – მიგვიღებენ? მოგვცემენ? ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ დღეს ჩვენთან პოლიტიკური „ბარდაგია“.

> უახლოეს მომავალში ბევრი რამე იქნება დამოკიდებული იმაზე, ვინ გახდება ამერიკის პრეზიდენტი, კლინტონი თუ ტრამპი. თუ ჰილარი კლინტონი გაიმარჯვებს, ნატო უფრო გაძლიერდება, უფრო მეტი ფული დაიხარჯება. ტრამპი ამბობს, ნატოდან საერთოდ უნდა გავიდეთ, მაგათი დედაც ვატირეო. კლინტონის გასვლის შემთხვევაში, ეჭვი არ მეპარება, ნატო მუდმივად განათავსებს ჯარებს ბალტიისპირეთში, გააქტიურდება აღმოსავლეთით და რუსეთი უფრო აგრესიული გახდება. ამ დროს ჩვენი ფართხალი არ არის სწორი, ახლა სჯობს, გავჩუმდეთ და მშვიდად დაველოდოთ ამერიკის არჩევნებს. არ მგონია, მაგრამ, თუ ტრამპი მოვიდა, რუსეთის გარდა, სხვა გზა აღარ გვრჩება.

ასეა თუ ისე, დიპლომატია ვაჭრობაა, შენ კეთილ ნებას გამოავლენ და მერე ელოდები სამაგიეროს, ასე არ ხდება.

**— კი, მაგრამ დონალდ ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში რუსეთის გარდა, სხვა გზა რატომ არ გვრჩება? თუ ეს კაცი რუსეთთან ჩახუტების მომხრეა, ჰილარი კლინტონი ის ქალია,**

ბოლო...

**რომელიც რუსებს ეხვეწებოდა, გადატვირთვის პოლიტიკა დავიწყოთო.**

– იმის მერე ბევრი რამე შეიცვალა, ჰილარი დღეს სხვა კლინტონია. მაშინ ეს ქალი იყო სახელმწიფო მდივანი და ასრულებდა ობამას დავალებას. ძალიან ბევრი რამე შეცვალა უკრაინამ და ყირიმმა. ჩვენ კიდევ არ გვაქვს წარმოდგენა, ამან როგორ დააფრთხო მთელი დასავლეთი. ხომ შეიძლებოდა, ზრდილობის გულისთვის მაინც მიებათ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი? არა, არაფერი შეგეშალოს, გაიძახიან, ყირიმის ანექსია, მიტაცება, მაგრამ აღარავის ახსოვს ჩვენი ტერიტორიები. აი, ამიტომ შეიცვალა კლინტონიც, ახლა სირიაში ეჯიბრებიან ერთმანეთს რუსეთი და ამერიკა, თუ ვინ აიღებს „ისლამურ სახელმწიფოს“. ასეთი დაპირისპირება ცივი ომის დროსაც არ ყოფილა. ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ სხვის „პახმელიაზე“ რაღაც საშინელება არ დაგვემართოს.

**— ამბობენ, რომ ვიზალიბერალიზაციის საკითხში „ნაციონალებმაც“ მაგრად იმუშავეს და ევროპელები დაარწმუნეს, რომ არ უნდა მოგვცენ. ეს შეიძლება სიმართლე იყოს თუ გადაჭარბებული მითია?**

> – სხვათა შორის, დღეს „ნაცმოძრაობას“ ძალიან ბევრ შესაძლებლობებს მიაწერენ. თურმე ამათ შეუძლიათ, მთელი ქვეყანა ატარონ თავიანთ ჭკუაზე, „ოცნებას“ სახელი გაუტეხონ, ვიზალიბერალიზაცია შეაჩერონ... ალბათ, შენ გახსოვს ძველი ქართული ანდაზა: ქაჩალმა რომ წამალი იცოდეს, ჯერ საკუთარ თავს უშველიდაო. თუ ასეთი ძლიერია „ნაცმოძრაობა“, მაშინ ამ სასამართლოს რატომ ვერაფერი მოუხერხა, რომ „რუსთავი 2“-ის საქმე მოეგო? არა მგონია, ევროპელები ისეთი დეგენერატები არიან, ყველაფერში ამათ უჯერებდნენ. ან „ნაცებში“ განსაკუთრებული გენიოსები სხედან? თუ მაგრები არიან, მაშინ არჩევნები მოიგონ.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, ვერ მოიგებენ? აგერ, გიგა ბოკერია იძახის, 8 ოქტომბერს გამარჯვებას ოფიციალურად გავაფორმებთ და მიშა სააკაშვილიც ჩამოვაო.**

– რა ისეთი საოცრება უნდა მოხდეს, რომ „ნაციონალებმა“ ოქტომბერში არჩევნები მოიგონ? ღმერთმა ნუ ქნას, თუ მაგარი სეტყვა მოვიდა, ყველაფერი განადგურდა და ხელისუფლებამ ხალხი დაიკიდა, შეიძლება მაშინ გაიმარჯვონ, გაბრაზებული მოსახლეობა ხმას მისცემთ. არა, „ქართული ოცნებაც“ კაი გვარიან შეცდომებს უშვებს, მაგრამ სხვებს ძალა არ ჰყოფნით, რომ ეს გამოიყენონ. რა იყო, ეს განათლების მინისტრი ქალბატონი ადრე არ უნდა მოეხსნათ? მოკლედ, მართლა დიდი „ბარდაგია“, მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებს. ასე რომ, სანამ ვიზალიბერალიზაციას მოგვცემენ, სჯობს, საკუთარ ვენახებს მივხედოთ, ჭრაქი რომ გაუჩნდა ამდენ წვიმებზე და გლეხები უკვე მეშვიდედ წამლიან. არადა, ერთი ჰექტარის შეწამვლა 200-300 ლარი ჯდება, გატყავდა ხალხი.

facebook



**რომან გოცირიძე:**

რუსეთი გამალებით მუშაობს ვიზალიბერალიზაციის პროცესის ჩასაშლელად. გერმანულ Die Welt-ში გამოქვეყნდა ცნობილი წერილი ქართველ კრიმინალთა შესახებ, რომელმაც ძალიან ცუდი როლი ითამაშა. დღეს ამ გაზეთმა თავის ვიდეოგვერდზე გაავრცელა გერმანული სუბტიტრებით ელისაშვილის და მანჯავიძის ხელჩართული ჩხუბი მაესტროს ეთერში. შანსი არ გაუშვეს ხელიდან, რომ არ აეგორებინათ შავი პიარი და კიდევ უფრო განემტკიცებინათ საქართველოს კრიმინალური იმიჯი. ცნობილია, რომ ეს გაზეთი არის რუსული გაზპრომის გავლენის ქვეშ, ისევე როგორც ბევრი სხვა გერმანული მედიასაშუალება, პოლიტიკოსი თუ სპორტული კლუბი. საქართველოს ხელისუფლებამ პირწმინდად წააგო პროპაგანდისტულ ფრონტზე. ეს არ არის გასაკვირი მთავრობის კომპეტენციიდან გამომდინარე. განსაკუთრებით საცოდავად გამოიყურება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომლის აშკარა დეკვალიფიკაცია სახეზეა.

facebook



**ირინა სარიშვილი:**

გურიის ვიცეგუბერნატორმა, ივანიშვილის გამოსვლის მერე სამების არსს ჩავწვდიო.... ეგ რა არის, მე ფსალმუნების კითხვა დავიწყე დილასაღამოს.

პ.ს. არადა არ ვაპირებდი დღეს არაფრის დაწერას, წყნარად მინდოდა დამეძინა მაგრამ იმისთანას ნახავ რაფერ გინდა გაატარო

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

facebook

**სანდრო ბრეგაძე:**

ყველა ფრჩხილებს ვერ გავხსნი მაგრამ ერთს ვიტყვი და დასკვნები თქვენთვის მომინდია.თუ ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდება და ეროვნულ პარტიას ჩაუდგება სათავეში მაშინ ნაცების თბილისური მაიდანის სცენარი საბოლოოდ ჩავარდება.ღარიბაშვილის ეროვნული პარტია უცილობლად გავა მინიმუმ მეორე ადგილზე,რითაც ნაცებს საბოლოოდ ჩამოერთმევა მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი.ეს იქნება სააკაშვილის საბოლოო დასამარება.ბოდიშს გიხდით და მეტს ვერ ვიტყვი.ერთი რჩევა ექნება--მოვლენებს დაველოდოთ.



ნანა სულავა
599 07-01-89



**ორიოდე დღის წინ, ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი თევზაძე დამიკავშირდა. მელიქიშვილის ქუჩაზე კაფე-ბარ „მილიტარში“ მომხდარ ინციდენტზე ბარის თანამშრომლები დახმარებას გვთხოვენ, მე ადვოკატი ზაალ ქადაგიშვილი გავაგზავნე და იქნებ, „ალია“ დაინტერესდეს და გააშუქოს იქ მომხდარი ფაქტიო. მოკლედ, საღამოხ-**

დაიბარა, უთქვამს, ყველაფერი კარგად დამთავრდება, ჩვენი კაფე ვეგეტარიანელებს ემსახურებაო და მოილაპარაკეს, ერთმანეთს გაცვლითი მენიუთი შეხვედროდნენ.

ჩვენი მეგობრები 29 მაისს მივიდნენ არონის კაფეში, მაგრამ არონი იქ არ დახვდათ, მაგრამ იქ მისულ მეგობრებს არონის ამფსონები მოულოდნელად თავს დასხნენ. ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამ დროს ჩვენი მეგობრების მიტანილი პროდუქტების გამო ატეხეს ერთი

დგებიან, მოსახლეობის თვალწინ ეწევიან ყველანაირ აღვირახსნილობას,

„რუსთავი 2“-მა ეს ფაქტები თითქოს გააშუქა და თავისუფალი სიტყვის დამცველი დავით ქაშიაშვილი როცა მოვიდა ჩვენთან, მხოლოდ ჩვენი ბარის ხედი გადაიღო. 20 წუთი ვეხვეწებოდით, ჩვენგან ინტერვიუ აეღო და ჩვენთვის მოესმინა, მაგრამ ისე წავიდა, არაფრად ჩაგვაგდო. ჩვენ არ გვაქვს გამოხატვის უფლება?.. კაფე „კივის“ მომსახურე პერსონალს კი შეუზღუდავი ეთერი აქვს, მათი

ვადიო, ჩვენ ვეგეტარიანელები ვართ და ხორცს არ ვჭამთ, არც რძის ნაწარმს და არც კვერცხს. დაიძაბა სიტუაცია, საუბარი ჩხუბში გადაიზარდა, ერთს დანა ეჭირა. შეშინების მიზნით ჩვენმა ერთმა მეგობარმა ბოთლი გატეხა, მოვიდა შსს-ს პირველი განყოფილება. კაფე სხვა უბანში აპირებს გადასვლას, ჩვენ ყველანი ათეისტები ვართ, ჩვენ ამერიკის ელჩმა დაგვიჭირა მხარი.

# ჰომოსექსუალები პატრიოტების წინააღმდეგ?!

## „კივის“ ბარის ინციდენტზე საია ფეხზე დადგა, მათთან აშშ-ს ელჩიც მივიდა, ჩვენ კი ადამიანებად არ ჩაგვთვალეს და ერთი კითხვაც არ დაგვისვეს





**ანს, მელიქიშვილის ქ. №11-ში, კაფე-ბარ „მილიტარში“ მივედი. ბარში მომსახურე ორი ახალგაზრდა, დაახლოებით 18 წლის ბიჭები დამხვდნენ. ერთ-ერთი ნიკა ყაველაშვილი მომხდარზე ემოციურად მიყვება:**

– ჩვენი ბარი მშობლების დანაზოგით გავხსენით, ბარი პატრიოტული სულისკვეთებით, ასევე, სამხედრო ნიშნითაა. ის გახმაურებული ინციდენტი, რაც მოხდა, ასე დაიწყო: დილით რომ მოვედით სამსახურში, ჩვენი ბარის სახელწოდება ქუჩის მეორე მხარეს, დამსხვრეული ურნასთან ეგდო. შევატყობინეთ პოლიციას, ამოიღეს ვიდეოკადრები, მაშინვე შევიცანით ერთ-ერთი ინდივიდი, სახელად არონი. გვარი პოლიციამ იცის. მას სძულს ოჯახი, ადამიანური ღირსება, რწმენა და ებრძვის მართლმადიდებლობას.

ეს შემთხვევა, რაც ბართან დაკავშირებით მოხდა, კერძო საკუთრების ხელყოფაა. რაც მოხდა, ვაკის პოლიციის განყოფილებამ ყველაფერი დააფიქსირა. ჩვენ არ გვინდოდა კონფლიქტის ესკალაცია მომხდარიყო, ჩემმა მეგობრებმა არონი ნახეს და ჰკითხეს, რისთვის და რატომ გაძარცვა ჩვენი კაფე, რატომ ჩაიდინა დანაშაული. აბა, არონის დუქანს მოაცილოს ვინმემ ერთი ასო-ბგერა, პოლიცია მაშინვე რეაქციას მისცემს.

ჩვენი მეგობრები ვერცხლის ქუჩაზე არონმა კაფე „კივი“-ში

ამბავი, არადა, თავიდანვე იყო მოლაპარაკება, რომ გაცვლითი მენიუ იქნებოდა. ვიფიქრეთ, ქართულად მივუსხდებოდით და იქნებ, ქართულმა სულმა გაიღვიძოს-მეთქი. ისინი კი პროვოკაციაზე წამოვიდნენ. ხმაურზე მეზობლები გამოვიდნენ, მათაც შეურაცხყოფა მიაყენეს. მეზობლებმა ჩვენთან საუბარშიც აღნიშნეს, რომ შეწუხებულები იყვნენ იქ არსებული მდგომარეობით, ამის თაობაზე ორჯერ უკვე ჰქონიათ კონფლიქტი, რადგან ისინი ღიად ეწევიან გაუკუღმართებულ სექსუალურ აქტებს და ახდენენ მის პროპაგანდას იქ მცხოვრებ არასრულწლოვანთა თანდასწრებით. პოლიცია შეეცადა, სიტუაცია თვითონ გაენეიტრალებინა და ჩვენმა მეგობრებმა მშვიდობიანად დატოვეს იქაურობა. პროვოკაციაზე ისინი მოდიოდნენ და აქეთ გვიჩივლეს პოლიციაში, თითქოს, ჩვენ შევიჭერით კაფეში, წავიღეთ მწვადები, ძეხვეული, თითქოს მაცივარი გადავაბრუნეთ, ტელევიზორი დავამტვრიეთ. ჩვენს ზარალს ვაკის მე-3 განყოფილება იძიებს, ბარი „კივის“ კონფლიქტს კი – ძველი თბილისის რაიონის პოლიცია.

სარწმუნო წყაროდან ისიც შევიტყვეთ, რომ ამ დაგეგმილი პროვოკაციით „კივის“ თანამშრომლებს 100 ათასი დოლარი ჩაურიცხეს. ყველაფერი დაზუსტებულია, ანგარიში გაუხსნეს. ისინი სახელმწიფო დროშასა და სიმბოლოებზე ფეხებით

ნათქვამი ყველაფერი გააშუქეს, ჩვენ კი სიტყვა არ გვათქმევინეს. ეს არის თავისუფალი მედია?.. 800 დოლარის ზარალი მოგვაყენა პრივილეგირებულმა არონმა, მაგრამ „გაღმა შეედავეს“ პოლიტიკით ჩვენი დაჩაგვრა ხდება. „კივის“ ბარის ინციდენტზე საია ფეხზე დადგა, მათთან აშშ-ს ელჩიც მივიდა, ჩვენ კი ადამიანებად არ ჩაგვთვალეს და ერთი კითხვაც არ დაგვისვეს. თუ დემოკრატები არიან, ჩვენთან რატომ არ მოვიდნენ?! ეს უნდა იცოდეს ქართველმა ხალხმა, ჩვენს უფლებებს მხოლოდ გიორგი თევზაძე და ადვოკატი ზაალ ქადაგიშვილი იცავს.

**შევხვდი კაფე-ბარ „კივის“ თანამშრომლებს, ბარში შესვლისთანავე გაურკვეველი ფიზიონომიის ადამიანებს, ცხვირში, ყურში და კიდევ ვინ იცის სად, ვინმე გიოს რკინა ჰქონდა გაყრილი. ცისარტყელას ფერებში შეღებილ მის მსგავსთაგან განსხვავებით ინტერვიუზე არ დამთანხმდა და სამზარეულოს მიაშურა, შეუდგა კერძების მზადებას და მოუცლელობა მოიმიზეზა. ჩემთან საუბარს ახალგაზრდა რუს-ქართველა გოგონა, ანასტასია ოქროპირიძე დასთანხმდა:**

– კაფეში ვიჯექით და მულტფილმებს ვუყურებდით, შემოვიდა ხუთი ახალგაზრდა, დაიწყეს ხმამაღლა ლაპარაკი, ხელს გვიშლიდნენ, ჩვენმა თანამშრომელმა უთხრა, გადითო. ჩვენი მეგობარი მაღაზიის გამყიდველი შემოვიდა,

დაგვიწყეს, – სოსისი და მწ-

**— არონი სად არის?**

– არონი ახლა არ მუშაობს ჩვენთან, არონს ხელს რომ ადებენ, თუ დამნაშავეა, რატომ არ იჭერენ?

კაფედან გამოსულმა იქვე ახლოს, სასურსათო მაღაზიაში შევიარე. ახალგაზრდა გამყიდველი გამეცნო, მანანა ჭანტურიშვილი ვარო, პროფესიით ეკონომისტი. მას არ დაუმალავს, რა ცხოვრებით ცხოვრობს კაფე-ბარი. ოჯახები გვაქვს, ბავშვები გვეზრდებიან, თუ ამდენი გადაგვარებული და უზნეო ადამიანი გვყავდა, აქამდე სად იყვნენ, სად იმალებოდნენ, სად იზრდებოდნენ. ქართველი ხალხის გადაგვარება ასე ადვილი ყოფილა?!. ბარში მომუშავენი ნამდვილად სექტაა, რომელსაც ჯანსაღ ცხოვრებასთან არანაირი კავშირი არა აქვს.

ბარში მომუშავე ერთ-ერთ ახალგაზრდას ვკითხე, საიდან ხარ-მეთქი. მიპასუხა, ფშავიდანო. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, ალბათ, ვაჟა-ფშაველა საფლავში ბრუნავს. ასეთი განსაცდელი ჩვენს ქვეყანას არც ერთ დროს არ ჰქონია, ყველა მხრიდან შემოტევები გვაქვს. ამ ბარში რასაც ჩემი თვალები ხედავს, ამის გამეორება არ შემიძლია. ამერიკის ელჩს სად სცალია, ერთ რიგით კაფეში რომ მოვიდა?!. მაღაზიაში შემოსული ყველა ადამიანი ერთსა და იმავეს ამბობდა, – ეს რა დაგვატყდა თავს, რა გვეშველებაო?!. რა უნდა მეპასუხა?

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

facebook

**მალხაზ თოფურია:**

ნათელაშვილი და სააკაშვილი, რომ შეაჯვარო დარწმუნებული ვარ ელისაშვილი გაუჩნდებათ.



facebook





**კახა ძაგანია:**

ნეტა იცოდა კონგრესმენმა რასსელმა, როდესაც საქართველოზე ნეგატიურ ინფორმაციას იღებდა ვაშინგტონში, საკუთარ კაბინეტში, ამიერ კავკასიის ჯარების დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსის გენერალ-პოლკოვნიკ მარუსინის აგენტი შალვა ნათელაშვილი იჯდა...

facebook



**ჩიორა თაქთაქიშვილი:**

სუსი ამ სკანდალურ ფაქტს მორიგი პოლიტიკური ბელეტრისტიკით ეხმიანება. ოღონდ ეს ის სუსია, ოკუპანტების ბანერების შეღებვისთვის, მოგლეჯვისთვის, რუსეთის დროშის დახევისთვის და პუინ ხუილოს სიმღერისთვის პატრიოტ ახალგაზრდებს რომ დასდევს და ყოველ მეორე დღეს იჭერს.

facebook



**იოსებ შატბერაშვილი** შალვა ნათელაშვილის განცხადებას: „ოპოზიციონერობა იესო ქრისტემ შემოიტანა“, ასე ეხმაურება:

ჰო, და თავის მოციქულად შენ დაგნიშნა არააააა!

საპატრიარქო მე უნდა მომყვებოდეს უკანო!!!

იქნებ უფალიც შენ უნდა მოგყვებოდეს?

გაიარე წყალზე და გამოგყვება ერი!!!

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები •

## facebook



**რომან გოცირიძე:** გუშინ ერთმა საშუალო ასაკის ტაქსის მძღოლმა შემომჩივლა: სოციალურ დახმარებას რომ არ ვიღებდე, ოჯახი მშიერი მეყოლებოდა, თუმცა ტაქსაობის გარეშე სხვა ხარჯებს ვერაფრით დავფარავდი. ეს მანქანა მეგობრისაა. სამსახურის მერე მათხოვებს ხოლმე და ღამით ჩუმად მიწევს მუშაობა. სულ შიშში ვარ, ვინმემ არ გაიგოს, რომ ვმუშაობ და სოციალური დახმარება არ მომიხსნანო.

გამოდის, რომ შრომა დასჯადია.

აგერ, ფეისბუკზე გუშინ ღიად მომწერა ქალბატონმა Vიოლეტა შეკილაძე-ემ: თუ ძროხა გყავს, სოციალურ დახმარებას გიხსნიან. ან ერთი უნდა აირჩიო-შრომა და დოვლათის შექმნა ან იჯდე სახლში უსაქმოდ და ელოდო სახელმწიფოს მოწყალებასო. ორივე ერთად რატომ არ შეიძლებაო?!

ყველა სისტემა, რომელიც შრომის სტიმულს და კონკურენციას კლავს, მახინჯი და პარაზიტულია.

ჩვენს თვალშწინ დაიბადა და იზრდება მონსტრი, რომელსაც ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის ახალი სისტემა ჰქვია, რომელსაც არ ყოფნის არავითარი ბიუჯეტი და რომელიც ხარჯავს თითქმის იმდენს, რამდენიც იყო შევარდნაძისდროინდელი მთელი სახელმწიფო ბიუჯეტი. სხვა რომ არაფერი ეკეთებინათ, იმ დროს იმ ფულით ყველა ქართველს ჯანმრთელობის პრობლემა ნამდვილად მოეხსნებოდა და ბონუსად აპენდიციტსაც უფასოდ ამუიჭრიდნენ:)

"საქართველო აპენდიციტის გარეშე"! როგორია?!

ის, რომ დღეს ოპერაციების გაკეთება ადვილია, არ ნიშნავს იმას, რომ ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ორჯერ მეტი იხარჯება დღეს ჯანდაცვაში, ვიდრე 2012 წელს, მაგრამ ხარჯი ერთია და შედეგი მეორე.

## facebook



**შალვა ნათელაშვილი:** აჰა, ივანიშვილს ნათელაშვილი მკვდარი გონებია. მწარედ დაგიმტკიცებ როგორი ცოცხალი ვარ შე გადამგდებო.

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები

# ვინც ამბობს, ხათრით ვმუშაობო, პირველ რიგში იმას უნდა ჭიტლაყი ტრაკში!

ლევან ლომიძე







**დეპუტატი რომ იტყვის, სიმართლის გაგება მხოლოდ „ფეისბუკში" და თბილისის კაფეებში შეიძლებაო, აი, ამიტომაცაა ჩვენი ქვეყანა უბედური და მარცხისთვის განწირული!!!**

**აი, დარდი, ვისაც ფული აქვს, ისედაც „დაგულაობს" ევროპაში, ვისაც ფული არ აქვს, კი არის წაკუზულ მდგომარეობაში და ასე დარჩება ვიზალიბერალიზაციის მოცემის შემდეგაც**

„მრავალი წელია არ ვუყურებ საინფორმაციო გადაცემებს, არ ვუყურებ არც ერთ პოლიტიკურ ტოქშოუს, რადგან ამ გადაცემებში არის არაობიექტურობა და სიყალბე. მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას, სიმართლე უფრო გაიგოს „ფეისბუქში" და თბილისის კაფეებში. წინასაარჩევნო პერიოდში არც ერთი გადაცემის დახურვა არ შეიძლება, რადგან კითხვები იბადება".

ალბათ, დამეთანხმებით, ეს „ბრძნული" გამონათქვამი, რომელიც დეპუტატ კახაბერ ოქრიაშვილს („პსპ" დამფუძნებელი) ეკუთვნის, წლის უმეცრებაა. ესე იგი, ბატონი კახაბერი ამბობს, არაფერს ვუყურებ, არაფერს ვკითხულობ, არაფერს ვუსმენ, ყველგან არაობიექტურობა და სიყალბეა, მაგრამ არც ერთი გადაცემის დახურვა არ შეიძლება, რადგან კითხვის ნიშნები ჩნდებაო. ჰა, ჰა, ჰა... შე „ქართულ ოცნებაში" გადაპორტირებულო „ნაციონალო", თუ არაფერს უყურებ, არაფერს კითხულობ და არაფერი გესმის, მაშინ საიდან იცი, რომ ყველგან არაობიექტურობა და სიყალბეა? მეო, ამბობს პატივცემული ოქრიაშვილი, რომელიც 2013 წლამდე სულ გავარვარებული „ნაციონალი" იყო, მარტო „ბიზნესკონტაქტს" ვუყურებდი „მაესტროზე", ძალიან ბედნიერი ვიყავი და ეგეც დამიხურესო.

ბატონო კახაბერ, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ დიოგენე სინოპელი ხართ და არა დმანისის მაჟორიტარი, რომელიც ყველაფერს უნდა უყურებდეს და ყველაფერს კითხულობდეს, მაშინ შეგახსენებთ იგივე დიოგენეს ცხოვრების წესს: ის აცხადებდა, რომ არაფერი ესაჭიროებოდა, ცხოვრობდა ღვინის ცარიელ კასრში, მოსასხამს იყენებდა სამოსელად და საწოლად, საკვებისთვის ჰქონდა ერთი ჯამი, სასმელისთვის კი – ერთი თასი. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ მილიონერი ბრძანდებით და ამავე დროს ჩვენი ჯიბიდან (ბიუჯეტიდან) დამატებით იღებთ ხელფასს, არ ცხოვრობთ კასრში, გაქვთ უამრავი ძვირფასი სამოსელი და მდიდრული „სპალნა", ასევე, გაქვთ მრავალნაირი ჯამები და თასები, ერთი რამით მაინც ჰგავხართ დიოგენეს – ის ბერძნულ ცივილიზაციას იგდებდა აბუჩად, თქვენ კი ქართველ ხალხს იგდებთ მასხრად. დეპუტატი რომ იტყვის, სიმართლის გაგება მხოლოდ „ფეისბუკში" და თბილისის კაფეებში შეიძლებაო, დარწმუნებული ვარ, იმას ორი წიგნი არ ექნება ცხოვრებაში წაკითხული. აი, ამიტომაცაა ჩვენი ქვეყანა უბედური და მარცხისთვის განწირული!!!

ფრაქცია „რესპუბლიკელების" წევრმა თამარ ხიდაშელმა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შესატანი ცვლილებები წარადგინა:

„საქმე ეხება სექსუალურ შევიწროებას, რომელიც ხდება ძალიან ბევრ ადგილას, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სამსახურებში, შრომითი ურთიერთობებისას".

დაუკვირდით ხიდაშელის განმარტებას, თურმე სექსუალურ შევიწროებას აქვს ადგილი ძალიან ბევრ ადგილას, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სამსახურებში და ასე შემდეგ. ბუნებრივია, ამას წაიკითხავენ საერთაშორისო ორგანიზაციებში და მერე გამოგვიცხობენ ანგარიშს, რომ საქართველოში ცხოვრობენ ველურები, ადგილი აქვს სექსუალურ ძალადობას ქუჩებში და საჭიროა, კომპლიმენტიც კი გახდეს დასჯადი. იცით, მე ხიდაშელისა და „რესპუბლიკელებისა" მიკვირს, თორემ ეს რომ ეროვნული ძალების ქათქათა წარმომადგენლებს ეთქვათ, გავატარებდი. თუკი დასაშვებია ე.წ. ელგებეტეების პარპაში, კაცისა და კაცის სექსუალური აღვირახსნილობა, „პარადების" ჩატარება, მაშინ რომელი სექსუალური შევიწროება უნდა ავკრძალოთ? უი, შალიკო რამიშვილი რომ წაელლაბუცა ვიღაცას „იმედში", ამას იმის გამო აკეთებთ? მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ პარლამენტში ძალად გაყვანილ თამარ ხიდაშელს საქმე არ აქვს და უბრალოდ, მიედ-მოედება. ისა და... ჯერ არჩევნებში შევიწროება და ძალადობა რომ აგვეკრძალა, შემდეგ კი სექსუალურისთვის მიგვეხედა, ხომ არ სჯობდა? ვაი, საცოდავო საქართველოვ, როდემდე უნდა იყო ჩალით დახურული?!!

ჩალით დახურვაზე გამახსენდა... ბიძინა ივანიშვილმა ტელეჟურნალისტებთან შეხვედრისას თქვა, მთავრობაში ზოგი ხათრით მუშაობს, არ უნდათო. ვისი ხათრით მუშაობენ ჩვენი მინისტრები თუ სხვა თანამდებობის პირები, არ დაუკონკრეტებია, თუმცა იქვე დასძინა, რომ, რომ არა ხალხი და სამშობლო, კერძო სექტორში წავიდოდნენო. დიდი მადლობა, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ჩინოვნიკებს დავუფასოთ და ვუთხრათ: კეთილო ბიძიებო და დეიდებო, ოღონდ თქვენ ამ ქვეყანას ემსახურეთ, ოღონდ არ მიგვატოვოთ და მარტო პრემიები კი არა, თუ გინდათ, ჩინ-მედლებიც დაიკიდეთ მკერდზე. რაკი ბიძინა ივანიშვილს ასე ჩააგონეთ და იმანაც დაიჯერა, რომ ხათრით მუშაობთ, მთავარი ესაა, ჩვენც უნდა დავიჯეროთ. ისე, ვინც ამბობს, ხათრით ვმუშაობო, პირველ რიგში იმას უნდა ჭიტლაყი ტრაკში! სხვათა შორის, გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც განაცხადეს, აქ სულაც არ მოვსულვარ ვიღაცის და რაღაცის ხათრის გამო, რბილ სავარძელში ჯდომა ისე მსიამოვნებს, როგორც კრუხს კვერცხებზეო. მაგალითად, ასეთი გახლავთ კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე:

„ხათრით არ ვარ ამ თანამდებობაზე, ძალიან დიდი და საინტერესო პროექტები მაქვს. ცრუ თავმდაბლობის გარეშე ვამბობ, რომ უპრეცედენტო პროექტების განხორციელებას ვგეგმავთ და ძალიან მინდა ბოლომდე ჩავამთავრო, რომელიც ქვეყნის კულტურულ განვითარებას გამოადგება".

დიახ, ბატონ მიხეილს ჯერ იმდენი ჩამოწერილი მომღერალი ჰყავს ჩამოსაყვანი, იმდენი 29 მილიონი აქვს გასახარჯი, ვერც კი წარმოიდგენთ. გაიგონეთ, ბატონო ბიძინა? ეს კაცი აცხადებს, ხათრით არ ვმუშაობო, რას ჰგავს ეს, აბა, ვინ მუშაობს ხათრით, მარტო ნოდარ ხადური? დავით ნარმანია? თეა წულუკიანი? პაატა ზაქარეიშვილი თუ ვინ? დაასახელეთ და ყველა მათგანს ჩვენ თვითონ დაველაპარაკებით, ხელფასსაც ხათრით გადავუხდით და საერთოდ, იქნებ ცოტა თქვენი ჯიბიდანაც წაუმატოთ, რომ არსად გაგვექცნენ? ეს უბრალოდ თხოვნაა, მიშას ჩინოვნიკებს უხდიდით სოროსის სახელით და ეგენი ხომ თქვენები არიან? არა, თუ გნებავთ, ახლა სხვისი სახელი დაარქვით, მაგალითად, ინდიელთა ტომის ბელადის, ვინიტუ ინჩუჩუნასი, რომ თავი უხერხულად არ იგრძნონ. მაგათი ამბავი რომ ვიცი, გაწითლდებიან და მთლად დაკომპლექსდებიან, მერე უნდა ვეხვეწოთ, თქვენ გენაცვალეთ, ხათრით მაინც იმუშავეთ, თორემ დაგვექცა ქვეყანაო. ისე, რაც მართალია, მართალია, კარგად თქვა „გირჩისთავმა" გოგა ხაჩიძემ:

„ხათრიანი ხადური როგორ წარმოგიდგენიათ? ვისი ხათრით არიან? ხალხის ხათრით თუ არიან, არაუშავს. ალბათ, ბიძინა ივანიშვილის ხათრით არიან. ხათრიანი მინისტრთა კაბინეტი გვყოლია".

სხვათა შორის, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ბევრი 2016 წლის არჩევნებში ხათრით იყრის კენჭს. აი, არ უნდათ, დაიღალნენ 4 წლის განმავლობაში ქუთაისში სიარულით, ნერვიულობით, კანონების წერით, რესტორნებში ქეიფით, უცხოეთში სეირნობით, მაგრამ როცა მამული განსაცდელშია, რას მიქვია დაღლა, დრო და ამინდი? თქვენ თუ გგონიათ, ვინმეს ძალიან სიამოვნებს პარლამენტში ჯდომა და ოფლის ღვრა,

### მიხვეჯირხვნები

ძალიან ცდებით, უბრალოდ, ხათრიანები არიან და სხვა გზას ვერ პოულობენ. რავი, აბა, ნეტა ჩვენც ისევ ხათრით უნდა მივცეთ ხმა, როგორც 2012-ში?! არააა, არა მგონია!!!

ბოლო დღეებში ევროკავშირმა ისევ დაიწყო ყოყმანი, მოგვანიჭონ თუ არა ვიზალიბერალიზაცია. როცა გვეუბნებოდნენ, აუცილებლად მიიღებთო, ჩვენ ხბოს აღტაცებით გამოვხატავდით სიხარულს და ადგილზე ვკუნტრუშობდით, როცა გვითხრეს, არც ნატო-ში მიღების ღირსები ხართ და არც ვიზალიბერალიზაციისო, დავსხედით და დავიწყეთ ქვითინი. საქართველოს პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს ვკითხეთ, რა ხდება და გვიპასუხა, აზრზე არა ვარო:

„ჩვენ ბევრი კითხვა გვაქვს, მაგრამ მათზე მკაფიო და კონკრეტულ პასუხებს ვერ ვიღებთ. გულწრფელად გეტყვით, ვერაფერი გავიგე".

ბატონო პრეზიდენტო, რომ იძახი, ვერაფერი გავიგეო, ჩვენ, რიგითმა მოკვდავებმა, რაღა გავიგოთ? თქვი, შე კაი კაცო, გავარკვევ და მოგახსენებთო, ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში როდემდე უნდა იყო? ადექი კი არა... დაჯექი, დაურეკე ანგელა მერკელს, ჰკითხე, რა ქართველი კრიმინალები, რომელი ქართველი ქურდები, „ნაციონალმა" კანდელაკმა რაღაც სირობები მოგწერათ და ამას იჯერებთ-თქო? თუმცა სიტყვა „სირობას" როგორ გადათარგმნიან? მოკლედ, თუ ანგელამ დაიწყო, ესაო და ისაო, ეგრევე აჯახე, სტალინის გამო „ატმასკას" გვიღებთ-თქო?! აი, ეგ არის ზუსტად, თუკი ოფიციალური მონაცემების მიხედვით გერმანიაში ქართველები კრიმინალის მხრივ ბოლოსწინა ადგილზე ვართ, მაშინ რანაირად დავაქციეთ და შევაშინეთ ამ ქვეყნის მთავრობა? ისე, მაგარი სასაცილოა, მაგათ სირიიდან ჩასული მუსლიმანები ქუჩებში აუპატიურებენ, ხმას არ იღებენ და თურმე ქართველი რომ ჭინჭებს მოიპარავს რომელიმე მაღაზიიდან, იმაზე ტირიან. არა, გეუბნებით, გერმანელები სტალინის გამო გვიხდიან სამაგიეროს. ახლა თქვეს, გერმანიის მთავრობა თანახმააო, სხვა ქვეყნების მთავრობებიც თანახმანი არიან, მაგრამ ეს საკითხი სექტემბრამდე არ გადაწყდებაო. გული მიგრძნობს, არჩევნებამდე არც გადაწყდება, რადგან (სტალინს რომ თავი დავანებოთ) ეს ერთგვარი შანტაჟის საშუალებაა – აშკარად გვეუბნებიან, არჩევნებს ჩვენს ხოშზე თუ არ ჩაატარებთ, არ მოგცემთო. არ მოგვცემენ და ნუ მოგვცემენ, აი, დარდი, ვისაც ფული აქვს, ისედაც „დაგულაობს" ევროპაში, ვისაც ფული არ აქვს, კი არის წაკუზულ მდგომარეობაში და ასე დარჩება ვიზალიბერალიზაციის მოცემის შემდეგაც.

» ხალხის რჩეულები

გიორგი გაჩეჩილაძე
593-30-28-70



საქართველოში ყველაზე კარგი ბიზნესი პოლიტიკოსობაა, განსაკუთრებით კი – პარლამენტარობა. ისინი ბედს არ უჩივიან და ამა სოფლის ყველა სიკეთითაც მაქსიმალურად სარგებლობენ. „ხალხის რჩეულები“ დეპუტატობის „უპირატესობას“ მაქსიმალურად იყენებენ და სხვადასხვა კანონების მიღების პარალელურად დროს შესანიშნავად ატარებენ. კითხულობ ამ ადამიანების „საპარლამენტო თავგადასავლებს“ და გიკვირს, მათ ხელში ქვეყანამ დღევანდელ დღემდე როგორ მოაღწია.

# „პატიმრებს საშინლად ხმარობენ, თქვენ კი იცინით!“

## „ოიჰ, ვინ ანძრევს?!“







დღევანდელ წერილში მკითხველს 90-იანი წლების ხალხის „რჩეულების“ ცულლუტობებისა და ონავრობის „საპარლამენტო“ ფაქტებს მივაწვდი.

პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი სამი მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. სამივე პარლამენტში ის თავისი ორიგინალური გამონათქვამებით ახალისებდა კოლეგებს. „იმელის“ პარლამენტის წევრი იყო ცხონებული ქართლოს ღარიბაშვილიც. ადვოკატი პარლამენტში თავისი განუყრელი ჩიბუხით დადიოდა. „ესენგეში“ შესვლის შემდეგ მას ზვიადისტებმა ესენგოსა ღარიბაშვილი შეარქვეს.

ერთ მშვენიერ დღეს ჯანსულ ჩარკვიანი თავისთვის მშვიდად დადიოდა „იმელის“ პარლამენტის ფოიეში. მასთან უცნობი ქალი მივიდა და ჰკითხა, ქართლოს ღარიბაშვილის ოთახს ხომ ვერ მიმასწავლითო. ჯანსულ ჩარკვიანმა მანდილოსანს უთხრა, ხომ იცით, რა უცნაური კაცია ეგ ღარიბაშვილი, ხელში სულ ჩიბუხი უკავია და თავისი სამუშაო კაბინეტის კარზეც ჩიბუხის სურათი უკიდიაო. მანდილოსანმა ჩარკვიანს მადლობა გადაუხადა და ჩიბუხიანი კარის მოსაძებნად წავიდა. მალევე იპოვა, შიგნითაც შეიხედა და ატყდა კივილი... ჯანსულ ჩარკვიანი სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. „იმელის“ პარლამენტში მამაკაცების ტუალეტებზე ჩიბუხის სურათები იყო გაკრული.

ერთხელ პარლამენტში დეპუტატობის დროს ჯანსულ ჩარკვიანმა გადაწყვიტა, ნესტან კირთაძეს გახუმრებოდა და ასეთი ლექსი გაუგზავნა: „ნესტან, ნესტან, ბარაქ მზეს, შენ ძუძუდან მოვწოვ რძეს“, ქვემოთ კი მოაწერა ხელი – გივი შუღაროვი. მაშინ დეპუტატებს მაგიდაზე ედოთ კანონების მთელი წყება და ისე იყო ახუნძლული ერთმანეთზე, თავად ძლივს ჩანდნენ. ნესტანი გაეცნო რამდენიმე კანონს, ბოლოს კი, ეს ლექსი რომ წაიკითხა, გაქანდა დიდი დავთრით ხელში და მთელი კანონთა შეკვრა თავში დაუშინა საწყალ გივი შუღაროვს. გივი გაოგნებული და შეშინებული კითხულობდა, რა გინდა ჩემგან, რას მერჩიო. როცა ნესტანმა ლექსი გაუწოდა, ეს რა დაგიწერია, შე გათახსირებულოო. გაგიჟდა კაცი, – ნესტანჯან, ამას მე როგორ დავწერდიო, – თან მოჯღანული სახით თავზე ისვამდა ხელებს. მერე კი გაირკვა ყველაფერი და იუმორმა თავისი ქნა, ყველამ გულიანად იცინა და ნესტანიც შემოირიგეს.

ელენე თევდორაძე ქართულ ენასთან „ახლო ურთიერთობით“ რომ ვერ დაიკვეხნიდა, ყველამ ვიცით და ამ მიზეზის გამო უხერხულ მდგომარეობაში არაერთხელ ჩავარდნილა.

პარლამენტში მოხვედრის შემდეგ ელენე თევდორაძე ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა. კომიტეტის თავმჯდომარე თავდაპირველად ციხეებში არსებული ვითარებით დაინტერესდა, რამდენიმე საპატიმრო ნახა და ნანახით შეძრწუნებული დარჩა. თავისი განცდების გადმოცემა მან პარლამენტის სხდომაზე სცადა, მიკროფონთან მივიდა და თავისი ქართულით განცხადების გაკეთება დაიწყო: მე ვიყავი ციხეებში და ვნახე, რა შემაშფოთებელი მდგომარეობაა იქ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა საშინლად ხმარობენ პატიმრებს, – განაცხადა აღშფოთებულმა თევდორაძემ. დეპუტატებს ხომ მეტი არ უნდოდათ და დიდი სიცილ-ხარხარი ატეხეს. ამან თევდორაძე გაამწარა და კიდევ ერთხელ მოითხოვა სიტყვა. მიკროფონი ჩაურთეს.

– პატიმრებს საშინლად ხმარობენ, თქვენ კი იცინით! – ლამის ტირილით თქვა თევდორაძემ. დეპუტატები ისევ ახარხარდნენ და სანამ თევდორაძე მესამედაც მოითხოვდა სიტყვას, საქმეში სპიკერატი ჩაერია. მათ გაარკვიეს, რომ თევდორაძეს სიტყვა „ხმარების“ ნაცვლად უნდოდა, სიტყვა „ეპყრობიან“ ეთქვა.

ისევე, როგორც პარლამენტის სხდომებზე, დეპუტატები ბიუროზეც ძირითადად ერთობოდნენ. კანონპროექტების განხილვა მათ დამღლელ საქმიანობად მიაჩნდათ. ერთ დღეს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა შეიმუშავა მორიგი წინადადება. ეს წინადადება თევდორაძემ ბიუროზე წარადგინა. ბიუროს სხდომას ვიცე-სპიკერი ვახტანგ ყოლბაია უძღვებოდა. ბიუროს წევრები საკუთარი მანქანების თავისებურებებზე საუბრობდნენ და თევდორაძის წინადადება არც კი გაუგონიათ. მის ინიციატივას მხოლოდ ვიცე-სპიკერი ვახტანგ ყოლბაია გამოეხმაურა და წინადადება მოუწონა. მადლიერმა თევდორაძემ საგანგებო განცხადება გააკეთა. – დიდი მადლობა, ბატონო ვახტანგ, რომ მხარი დაუჭირეთ ამ ჩემისას, – განაცხადა თევდორაძემ. დეპუტატების მოსაბრუნებლად კინაღამ სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოძახება გახდა საჭირო.

პარლამენტის ბიუროს ოთახში დეპუტატები ორ გრძელ მაგიდასთან ისხდნენ. ერთ-ერთ სხდომაზე ელენე თევდორაძე რაღაცას წერდა, მისი კოლეგები კი ჭორაობით ერთობოდნენ და, როგორც ჩანს, ზედმეტად აქტიურად იქნევდნენ ხელებს. მაგიდა ყანყალებდა და თევდორაძეს მუშაობაში ხელი ეშლებოდა. – ოიჰ, ვინ ანძრევს?! – იკითხა აღშფოთებულმა თევდორაძემ.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები

## facebook

**თინათინ ხიდაშელი:**



აუცილებლად უნდა გამოვეხმაურო პოლონეთში მიმდინარე სწავლების ირგვლივ დისკუსიას.

დისკუსია აბსურდულია და რუსული პროპაგანდის სცენარით მიმდინარეობს.

პასუხი ცოტა გრძელი გამოვა, მაგრამ ვისაც მართლა გაინტერესებთ ბოლომდე წაიკითხეთ.

1. საქართველოს შეიარაღებული ძალების ასეული მიწვეული იყო სწავლებაზე ამერიკული ბატალიონის ფარგლებში, ყველა ლოგისტიკური საკითხი, უსაფრთხოების და დაშვების თემები იყო მოგვარებული. ფრენა გრაფიკით გათვალისწინებული, აეროპორტი პოლონეთში დაჯავშნილი და ა.შ.

შესაბამისად, საუბარი იმაზე რომ რამე ვერ მოესწრო ან ლოგისტიკურად გაუართავი იყო უსაფუძვლო და ტყუილია.

2. გამგზავრებამდე 24 საათით ადრე გახდა ცნობილი, რომ ასეულის ორ სამხედრო მოსამსახურეს ჩუტყვავილა ქონდა. ორივე, ასეულთან ერთად იყვნენ მთელი პერიოდის მანძილზე, ხოლო ჩუტყვავილა როგორც მოგეხსენებათ ადვილად ვრცელდება.

შესაბამისად, სამწუხაროდ სამედიცინო კონსილიუმმა დაასკვნა, რომ ვინაიდან ინკუბაციის ვადები გრძელია და რისკი მაღალი აბსოლუტურად უპასუხისმგებლო იქნებოდა ჩვენი მხრიდან ამ ასეულის გაგზავნა.

სამწუხაროდ ექიმები მართალი აღმოჩნდნენ. დღევანდელი მდგომარეობით უკვე 7 დადასტურებული შემთხვევა გვაქვს.

3. ინფორმაცია დაავადების შესახებ მაშინვე მივაწოდეთ ჩვენს პარტნიორებს, ამერიკელებს, პოლონელებს, ასევე ნატოს.

ნაცვლად იმისა, რომ დაგვემალა ეს ფაქტი და რისკის წინაშე დაგვეყენებინა ჩვენი ბიჭებიც და იმ ამერიკული ბატალიონის პირადი შემადგენლობაც, ვისთან ერთადაც უნდა გაგვევლო წვრთნები, ჩვენ მოვიქეცით მაღალი პასუხისმგებლობით რაც შესაბამისად შეფასდა პარტნიორების მხრიდან.

4. დასტურად იმისა რომ აბსოლუტური ტყუილი, სისულელე და რუსული პროპაგანდის მორიგი შედევრია "ქართველების არ დაშვება, ან რჩევა ქართველებისთვის არ მიეღოთ მონაწილეობა", გენერალი და ორივე მიმართულების სარდალი მიემგზავრებიან ანაკონდაზე დასასწრებად.

5. საქართველოს შეიარაღებული ძალები ძალიან ბევრი წელია მუდმივად მონაწილეობენ ნატოს და პარტნიორების წვრთნებში, ანაკონდა ნამდვილად საინტერესო და მნიშვნელოვანი წვრთნაა მაგრამ არც პირველია და არც უკანასკნელი, სადაც ჩვენები ყოფილან ჩართული და მომავალშიც იქნებიან.

6. ასეულს ვერ ჩავანაცვლებდით ვინაიდან პრაქტიკულად არავითარი დრო აღარ გვქონდა რომ შესაბამისი პროცედურები გაგვეტარებინა ახალი პირადი შემადგენლობისთვის.

ვერ ჩავანაცვლებდით კიდევ იმიტომ რომ ეს არ არის სწავლება ნებისმიერი ასეულისთვის. მასში მონაწილოების მისაღებად OCC-ის ასეული მიდიოდა. ცოტა რთული ტექსტი იქნება ეხლა მაგრამ რადგან ამხელა ნიაღვარი წამოვიდა უნდა განვმარტო.

OCC (Operational Capability Concept) ეს არის პლატფორმა სადაც ჩვენი ორი ასეულია ჩართული. მათგან ერთი, ალფა როგორც იცით უკვე სერთიფიცირებულია Noble Partner-is dros da NRF-ის სტატუსი მიიღო. მას დასრულებული აქვს სწავლებების ციკლი. მეორე, ჩარლი მიდიოდა პოლონეთში. მას ჯერ კიდევ სწავლების ციკლი დასასრულებელი აქვს, თანმიმდევრობა არის ერთი ჩვენთან ერთი გარეთ. ცუდია რომ ამ სწავლების გამოტოვება მოუწიათ მაგრამ ეს პროცესი გაგრძელდება ჩვეულებრივ. სხვა ასეული უბრალოდ ვერ წავიდოდა.

შემიძლია უფრო რთულად მოვყვე მაგრამ მგონი გასაგებია.

7. ბუნებრივია ყოველთვის მზად ვარ ნებისმიერ მოხსენებისთვის ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის მიმართ, მაგრამ ცალსახად მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ სრული ინფორმაცია მივაწოდე უშიშროების საბჭოს მდივანს პრეზიდენტის თანდასწრებით. არაფერი იმისგან განსხვავებული, საიდუმლო ან დახურულ კარს მიღმა განსახილველი რაც აქ დავწერე არ მაქვს.

კიდევ ერთელ ვადასტურებ მზადყოფნას პირდად ჩემი და გენერალური შტაბის უფროსის სახელით რომ ნებისმიერ ფორმატში გავაკეთოთ მოხსენება, თუმცა ეს არის საკითხი სადაც დასამალი და საიდუმლო არაფერია და შესაბამისად საზოგადოებამ ზუსტად უნდა იცოდეს რა მოხდა.

8. ყველას მინდა ვთხოვო, განსაკუთრებით მედიას, და ამ თვალსაზრისით ნამდვილად გაუგებარი იყო რადიო თავისუფლების რუსული სამსახურის ინფორმაცია, ნუ ჩავეწერებით რუსულ პროპაგანდაში და შევქმნით პრობლემას იქ სადაც ის არ არსებობს

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

## facebook

**მალხაზ თოფურია:**



ვინმეს თუ გახსოვთ არ ვიცი 2005 წელს შალა ნათელაშვილი გამოვარდა ტელევიზორში, რაღაც "ვუბორნიაში" ნახმარი ქაღალდივით ააფრიალა და შექსპირისეული ინგლისურიდან ქართულად გვითარგმნა, ინგლისის დედოფალი მწერს სამადლობელ წერილსო ...ვციტირებ შალოს.......დიდი მადლობა ბ-ნ შალვა ნათელაშვილსა და მის პარტიას, მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისათვის შეტანილი წვლილისთვის!

მოგვიანებით როგორც გაირკვა კმარელებს რაღაცა მოუწევიათ გასართობი და შალოს წაეკაიფენ...))

მე ის მაინტერესებს ამ შემთხვევაში ვინ "დაბოლდა" და ვინ გამიგიჟა ამხელა მელა კაცი ჰიდროელექტრო სადგური და ბაიკალამურის მაგისტრალი შენდება ბოტანიკურ ბაღშიო)))

Facebook ამბები

**მალხაზ თოფურია:**



არა იმიტომ რომ რაიმე ავტორიტეტი აქვთ იმ ასაკოვან ბონძლებს მუდამ საეჭვოდ კარგად რომ იყვნენ კომპარტიიდან მოყოლებული სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, არც ერთხმად და ერთი ტექსტებით მათი აყეფებაა მაინცადამაინც სახიფათო, სხვადასხვა ერთმანეთისგან ურთიერთგამომრიცხავი პოლიტიკური ჯგუფებიდან პიროვნება ივანიშვილის წინააღმდეგ. ხიფათს ამ ვირთხებში ვერ ვხედავ ხიფათს ვხედავ იმ უშიშროების კომიტეტში, ვისი დავალების გარეშეც ესე ერთხმად ვერ აყეფდებოდენ პატივცემულები, და ვშიშობ მათ ყეფა ყმუილს, რაიმე სახის უბედურების წინსართად არ იყენებდეს ის სამ ასოიანი ორგანო, რომლის წევრთა ლუსტრირება ვერცერთმა ხელისუფალმა ვერ გაბედა საქართველოში.

**მეგი ჯანელიძე:**



მე რომ სკოლის მასწავლებელი ვიყო არ წავიდოდი მე-12 კლასელების ბანკეტზე. შემრცხვებოდა მოსწავლეების და მათი მშობლების. რაც ჩემგან სკოლის კედლებში უნდა მიეღოთ, რეპეტიტორებისგან რომ ისწავლეს. რაშიც სახელმწიფომ მე ხელფასი გადამიხადა, იგივე ცოდნის ყიდვა მშობლებს რომ სხვაგან მოუხდათ. რა დროშიც მე უნდა მესწავლებინა, ის პერიოდი უშედეგოდ დასრულდა და დამატებითი დროის დახარჯვა მოუხდათ ბავშვებს.

ვერ წავიდოდი ბანკეტზე და ჩემ „ქეიფ-დროს ტარებაში" კიდევ დამატებით ვერ დავახარჯვინებდი ნასესხებ ან სიმწრით ნაშოვნ ფულს მოსწავლეების მშობლებს.

გულშემოყრილი დამხვდა ჩემი სტილისტი. გამოვკითხე, რა გჭირს, ხომ მშვიდობა გაქვს-მეთქი. ჩაეცინა, ჩემი ბიჭი სკოლას ამთავრებს და საბანკეტოდ 400 — 400 ლარს აგროვებენო. დამრიგებელს უთქვამს, ყველა მასწავლებელი უნდა დავპატიჟოთ და ლიმუზინები ვიქირაოთო. თან შარვალ-კოსტუმიც საყიდელი გვაქვს და ვის ვესესხო ფული, იმას ვფიქრობო. გლდანში ხდება ეს.

რა ბანკეტი, რა მასწავლებელი, რა ლიმუზინი, რა შარვალ-კოსტუმი..

თუ დედამიწაზე არ ვარ „შემომილაწუნეთ"!

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



„ისეთი დროა, მოხუცები სუხარს არ ჭამენ – რაში ჩავალბოთო?" ამ ფრაზას ორიოდე დღის წინ გადავაწყდი სოციალურ ქსელში და თავიდან ვიცინე, ბოლოს კი ტირილში გადამივიდა: ეს ნათქვამი არცთუ ისე შორსაა რეალობისგან... მართალია, დღეს 90-იანი წლები არაა, პურის ტალონებით ასაღებად ნიკოფსიიდან დარუბანდამდე რიგებში არ ვდგავართ და არც „სალიარკაზე" მომუშავე „კერასინკა" გვიხრჩოლავს სახლებში, მაგრამ ამ გამონათქვამის დადასტურება მარტივად არის შესაძლებელი, თუ გარეთ გავალთ და გავიხედ-გამოვიხედავთ. რას ვგულისხმობ? იმას, რომ ბევრი ჩვენი თანამოქალაქე წელამდეა ხოლმე ჩაყუდებული ნაგვის ურნებში, გამძღარი (თუ ნახევრად გამძღარი) მოსახლეობისგან მორჩენილი საჭმლის, ცარიელი ბოთლებისა და რამდენიმე წელიწადის ყველა სეზონზე ნახმარი ტანსაცმლის ამოსაღებად... „რას გვიშვრება მთავრობა"-ზე რომ არ გადავერთო და ამ სტატიის ფუძე-თემას რომ არ ავცდე, პირდაპირ საქმეზე გადავალ.

მოსახლეობის ნაწილს თუ საჭმელი პური არ აქვს, სანახაობა, იცოცხლე, კი არის... ერთ არხზე გადართავ და – ქვეშაფსია „ნაციონალებს" ურტყამენ; მეორე არხზე გადართავ – ვითომ რიგითი, მაგრამ ბატონი მოქალაქე ბიძინა ივანიშვილის 24-გვერდიანი უსტარის გარჩევა მიდის; მესამე არხზე გადართავ – „ქართული ოცნების" „ფეისები" ისე ოსტატურად ჭრიან და კერავენ დღის აქტუალურ საკითხებს, როგორც ჩემი მეზობელი მკერავი ნათელა... აი, მეოთხე, კერძოდ კი, „მაესტროს" – „მაესტროს ფაქტორზე" ვინც გადართო რამდენიმე დღის წინ, კარგად გაერთობოდა – საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა და „პატრიოტთა ალიანსის" ყოფილმა წევრმა, ასევე, საკრებულოს დეპუტატმა სოსო მანჯავიძემ გადაცემის პირდაპირ ეთერში ისე დააყარეს ერთმანეთს, ძლივს გააშველეს.

ელისაშვილმა თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი დიმიტრი მოსულიშვილი ქრთამის აღებაში დაადანაშაულა, რაზეც სოსო მანჯავიძემ მას მოუწოდა, კონკრეტულ ფაქტებზე ესაუბრა. წამყვანიც „რა საყვარელია", ეს ორი დაპირისპირებული მხარე რომ ზუსტად გვერდიგვერდ დასვა.

ერთი სიტყვით, სანამ ფიზიკურ დაკა-დაკაზე მიდგებოდა საქმე, მანამდე ელისაშვილის ბრალდებას სოსო მანჯავიძემ ასე უპასუხა:

**„ასეთი ტიპის ბრალდებაზე რეაგირება არც უნდა იყოს. რას ნიშნავს, შენ ხარ მექრთამე, რადგან ჩემი ლოგიკური მსჯელობით ეს დავადგინე?! ეს ნორმალურად მიგაჩნიათ თქვენ?! ეს ნორმალური თანაცხოვრების წესია?! ეთერში ნუ ძველბიჭობ, შენი საძველბიჭო მალე დასრულდება". ამის შემდეგაც ელისაშვილმა მას „პარტიიდან გამოგდებული" უწოდა.**

**„ჭკუას ნუ მასწავლი. პარტიიდან გაგდებული ხალხის ჭკუის დარიგება არ მჭირდება. პარტიიდან არ გაგაგდო ინაშვილმა?! ფული შემიჭამა, რა არამზადააო, არ ამბობდა?! და ეს კაცი ჭკუას მარიგებს!" — იყვირა ელისაშვილმა.**

რას ჰქვია, პარტიიდან გამოგდებულიო, გადაირია მანჯავიძე, – ირმა ინაშვილი მე როგორ გამრიცხავდა პარტიიდან, როდესაც გენერალური მდივანი მე ვიყავიო, დაუბრიალა თვალები ელისაშვილს და ხურდაში მიაყოლა, – „რა სისულელეს ამბობ. ამისთვის პასუხს მოგთხოვ, შე იდიოტო! ვინ არის ეს ავადმყოფი! არაკაცი". და წესიერად დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ ელისაშვილმა ხელი მოუქნია. ხელის მოქნევა ეგრე არ უნდაო, წამოხტა მანჯავიძე, ჯერ წიხლი სდრუზა ყოფილ „მთავარ ჰამქარს", მერე ხელიც მიაყოლა და ატყდა გამიშვი-დამაკავე.

რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს კონფლიქტში მონაწილე და კამათში დასახელებული პირები გამოეხმაურნენ. „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერმა ირმა ინაშვილმა ალეკო ელისაშვილს მიმართა:

**„ალეკო ელისაშვილს: სოსო მანჯავიძე პარტიიდან არ გამიგდია. ის ნამდვილად იყო გენერალური მდივანი. ჩვენი გზები, უბრალოდ, გაიყარა. ასეთი რამ ბევრ სხვა პარტიაშიც ხდება. ძველი თანამებრძოლები ერთმანეთს შორდებიან. მეორე — პარტიის ფული მანჯავიძეს არ შეუჭამია. რა ფული უნდა ჰქონდეს პარტიას?! მესამე — ჩემი და მანჯავიძის ურთიერთობა არაა სხვისი გასარჩევი საქმე. ეს ჩვენი საქმეა და ჩვენ ყველაფერი გარკვეული გვაქვს. ის თავის გზაზეა, მე — ჩემს გზაზე. ცუდია, როცა ადამიანები სხვათა პირად კონფლიქტს, თუ უთანხმოებას ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ბოროტად იყენებენ. ლაპარაკობ ატამზე? ილაპარაკე ატამზე, რატომ არჩევ იმ საქმეს, შენი საქმე რომ არაა?! და ჩემი სახელით რატომ სარგებლობ? შენი სახელით მიაწექი, თუ მართალი ხარ და მისაწოლია. სხვა კომენტარს არ გავაკეთებ და არც თემას არ გავაგრძელებ".**

მას ელისაშვილი არა, მაგრამ სოსო მანჯავიძე მალევე გამოეხმაურა:

„მინდა, ორიოდე სიტყვა ვთქვა დღევანდელ ინციდენტზე „მაესტროში". საქართველოში უნდა დამთავრდეს ამ „ლანძღვით მლანძღველების" პარპაში. ამის გარეშე ჩვენ განწირული ვართ დაღუპვისთვის. ცილისმწამებლებმა სათანადო პასუხი უნდა მიიღონ და ამაში სოლიდარულები უნდა ვიყოთ. ე.წ. „თმენის ვალდებულება" არ გულისხმობს შეურაცხყოფის თმენის ვალდებულებას. მრავალჯერ შეურაცხყოფის თმენა იწვევს ადამიანის სულიერ დეგრადაციას, ხოლო დეგრადირებული მმართველები ქვეყანას ვერ გადაარჩენენ.

**»შემოულოცნენი... ყურულიაში**

ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ ცილისწამება დასჯადი უნდა იყოს სისხლის სამართლის წესით. საქართველოში უნდა დამკვიდრდეს მკაცრი და სამართლიანი სახელმწიფოებრივი წესრიგი. ირმა ინაშვილს მინდა, მადლობა გადავუხადო მისი სამართლიანი და ვაჟკაცური პოზიციისთვის.

რაც შეეხება ჩემს დღევანდელ ოპონენტს, სწრაფ ფიზიკურ და ფსიქიკურ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ თავის მომხრეებთან ერთად, რომლებსაც ვთხოვ, გამათავისუფლონ თავისი მეგობრობის პატივისგან. გამოჯანმრთელებამდე".

# რა გაგრძელება მოჰყვა ალეკო ელისაშვილისა და სოსო მანჯავიძის ჩხუბს ეთერსმიღმა?

## სოსო მანჯავიძე: „მე ასეთ ადამიანებს დავარქვი „ადამიანი-კანალიზაციები"!"

## ირმა ინაშვილი: „სოსო მანჯავიძე, მაგ გველის ენას ამოგგლეჯ!"






ეს ყველაფერი ძალიან კარგი. ერთი შეხედვით, ტელეკომპანიაში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების ირგვლივ არსებულ კითხვებს, მოკლედ თუ გრძლად, პასუხი გაეცა. ალბათ, „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერი ირმა ინაშვილი ახლაც გულწრფელია თავის ნათქვამში და ზუსტად იმას ამბობს, რასაც რეალურად ფიქრობს. ისევე, როგორც 2014 წლის 6 სექტემბერს, საკუთარი „ფეისბუკის" გვერდზე გააკეთა გულწრფელი და ემოციური განცხადება ბატონი მანჯავიძის პარტიიდან წასვლის შესახებ:

**„ბატონი სოსო მანჯავიძე „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" წევრი აღარაა. შესაბამისად, ის ჩვენი გუნდის წევრიც აღარაა. ჩემი მხრიდან დავსძენ, რომ მანჯავიძე აღარაა ჩემი მეგობარი და მეტიც, აღარასდროს იქნება ჩემი მეგობარი. ვწუხვარ, მხოლოდ ახლა აღმოვაჩინე, რომ მანჯავიძეს მეგობრობა არ სცოდნია და არც ესმის. განვიცდი, რომ ამდენი შრომა, დრო და ენერგია დავხარჯე, რომ ის ცნობად პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბებულიყო. ჩემს თავს ვერ ვპატიობ, რომ 3 წელი დამჭირდა იმის აღმოსაჩენად, რაოდენ გამოუსწორებელი მატყუარა, უკიდეგანო ინტრიგანი და უზომო მასშტაბის გაიძვერა ყოფილა იგი.**

**პარტიის პოლიტიკური საბჭო აპირებდა მანჯავიძის გარიცხვას პარტიიდან. ბატონმა მანჯავიძემ ეს**

გაგრძელება გვ.24

Facebook ამბები

**ბონდო მძინარაშვილი:**

დღეს, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის დაწყებამდე, ეკა კვესიტაძე მეხუმრებოდა, - "თქვენთან, "ობიექტივის" სტუდიაში, ისევ ერთი კამერა გაქვთ, აქეთ-იქით რომ ტრიალებს?"

ჩემი პასუხი:

"იმ ერთმა კამერამ შენ და ჩერგოლეიშვილს ქმრები სახლში დაგისვათ... გაუთხოვარი მულებივით!" ?)

მერაბ შათირიშვილი -ენა რომ ოსტრი აქვს, გასაგებია, მარა, რა კაი ფეხი ჰქონია!..



ოცდამესამე გვერდიდან

გაიგო და განაცხადება შემოიტანა, — პარტიიდან გასვლის შესახებ. თვითონ ოფისში მოსვლა ვერ გაბედა, სხვას გამოატანა, 1-ელ სექტემბერს. დაწერა 29 აგვისტოს, ხოლო თარიღად 25 აგვისტო დაასვა. ახლა რომ გავრიცხოთ პარტიიდან, იტყვის: განცხადება ადრე დავწერე და რაღა სექტემბერში მრიცხავთო. თუმცა, უკვე ველარც გავრიცხავთ, რადგან პარტიის წესდების თანახმად, მივიღებთ თუ არა წევრის განცხადებას პარტიიდან გასვლის შესახებ, ეს წევრი უკვე გასულად ითვლება, მაგრამ ამ დეტალებს განა არსებითი მნიშვნელობა აქვს, როცა შენი ცხოვრებიდან ადამიანს კარგავ? აღარც ის მიკვირს, ვახტანგ ხარჩილავას გაზეთში მანჯავიძისა და ბედუკაძის „ნაშრომები" ერთდროულად რომ ქვეყნდება და ინტერვიუში (პარტიიდან უკვე გასული) მანჯავიძე რომ წერს, — შეიძლება, გავიდე პარტიიდანო, ჩვენ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გვაქვსო. სოსო, საკრებულოს წევრი რომ გახდი, ახლა გაგიჩნდა „განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები"?! ვინც არ იცის, მინდა ვუთხრა, რომ სოსო მანჯავიძე საკრებულოს წევრი პარტიის სიით გახდა და მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ თარხან-მოურავმა დაუთმო თავისი ადგილი პარტიულ სიაში. მანამდე მანჯავიძე აზრთა სხვადასხვაობას არ უჩიოდა. ახლა კი უჩივის. თუმცა, აზრთა სხვადასხვაობა აქ არაფერ შუაშია. შუაში ისაა, სოსო, რომ 3 წლის მანძილზე მრავალჯერ ამოგათრიეთ არაერთი წუმპიდან, სადაც უცბად აღმოჩნდებოდი და იძირებოდი და როგორც გამოცდილი მატყუარა, ინტრიგანი და გაიძვერა, ჩვენ გვარწმუნებდი, რომ ეს შემთხვევით მოგივიდა, ეს გაუგებრობააო, ამას მაბრალებენ, პროვოკაციას მიწყობენო. რასაც ჩემს თავს ვერ ვპატიობ ისაა, რომ ყოველთვის ახერხებდი ჩვენს დარწმუნებას: უდანაშაულო ვარ, კარგი ვარ, დამეხმარეთო, ჩვენც გეხმარებოდით, ღმერთია ამის მოწმე.

საერთოდ, მანჯავიძის საყვარელი თავის მართლებაა ფრაზა — „პროვოკაციას მიწყობენ". აგერ ცოტა ხნის წინ, ნინო ჯღარკავასთან დადასტურებული უსინდისობა და სისაძაგლე ჩაიდინე, მაგრამ თავხედობა გყოფნის, დაწერო, პროვოკაციაში მოვყევიო. პროვოკაციაში კი არ მოყევი, სულით პროვოკატორი ხარ და შენს თანაგუნდელებზე, პირადად ჩემზე ბინძურ ჭორებსა და ტყუილს ავრცელებდი, მე მეხებოდი, ჩემს პირად ცხოვრებას ეხებოდი, ეხებოდი ჩემი ოჯახის წევრებს, თან, თანამოსაუბრეებს არწმუნებდი, — ვწუხვარ და იმიტომ ვლაპარაკობო. მიკვირს, როგორ და სად იბადებიან ისეთი ე.წ. კაცები, რომლებიც დედაკაცებივით ჭიკჭიკებენ და ათას ტყუილს ავრცელებენ, თან უმწიკვლო და მიამიტური სახით. ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ყველაფერი 25-26 ივლისის მერე გახდა ცნობილი, ჯერ ერთი ამბავი, მერე — მეორე, მერე — მესამე. სრულიად ნათელი გახდა ჩემთვის, რომ ამ ხნის მანძილზე საკმაოდ მოქნილად და მოხერხებულად ატყუებდი შენს თანაგუნდელებს, ჩირქს სცხებდი მათ, ანუ ჩვენ და ჭორებს გვივრცელებდი. დაკავებული იყავი ინტრიგებით, რაშიც ბოლოს თვითონ გაიხლართე და როგორც მასშტაბურ გაიძვერას, ახლაც გსურს აქედან გამოძრომა.

გაზეთში რომ მორიგ გაიძვერობას წერ, — „ვერც დავამტკიცებ და ვერც უარვყოფო", ვითომ რატომ წერ? თუ რაიმე იცი, დაამტკიცე, თუ არ იცი, ისიც ღიად თქვი, მაგრამ ესაა შენი სტილი. სამაგიეროდ, მე ვიცი დადასტურებულად, რომ ტყუოდი გობეჩიასთან, ღვანიასთან, აბულაძეებთან, ტყუოდი ყვარელში, რუსთავში, ჭიათურაში და კიდევ სხვაგან და სხვაგან, ინტრიგანობდი და გაიძვერობდი, მაგრამ ამაზე საუბარი არ მსურს. ვინც დააზარალე, თუ მოისურვებენ, თვითონ იტყვიან.

ახლა გასკდა ეს ყველაფერი, ეს სიბინძურე და ერთი თვეა, ემალები ყოფილ თანაგუნდელებს, რომ-





ლებსაც სურდათ, შენთვის ცხვირპირი დაენაყათ. ახლაც იმიტომ აჭიკჭიკდი ხარჩილავას გაზეთში, თავს იზღვევ, — არიქა, არ მცემონო. შენი ერთი უჯრედით გგონია, საკითხს გაასაჯაროებ და გადარჩები. ისე, მცემელი ბევრი გყავს, შენ მიერ მოტყუებული მევალეები, რომელთა ვალებიც (შენს მაგივრად) პატიოსნად გადაგიხადეთ. დაზარალებული ადამიანები, რომლებზეც ახლა არ ვილაპარაკებ. მოკლედ, ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მე მანჯავიძე მოვიკვეთე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაგ გველის ენას, სოსო, არ ამოგგლეჯ.

**P.S.** ისე, სოსო, პარტია ხომ დატოვე, ახლა ველოდები შენს განცხადებას თბილისის საკრებულოს დატოვების შესახებ, სადაც სწორედ პარტიული სიით ხართ გასული".

**აღნიშნულს მაშინ მეორე დღესვე გამოეხმაურა სოსო მანჯავიძე და უკვე 7 სექტემბერს „გურია ნიუსს" ირმა ინაშვილის ბრალდებებზე ინტერვიუ მისცა.**

– პარტიიდან წამოსვლის მიზეზი იყო მოვლენების დიამეტრალურად განსხვავებული შეფასებები, როგორც პოლიტიკურ, ასევე მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, 6 ივლისს ნებაყოფლობით დავტოვე გენერალური მდივნის თანამდებობა და გამოვედი პოლიტსაბჭოდანაც, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე. ძალიან მინდოდა, რომ პარტიიდან ჩემი წამოსვლა მშვიდი, ლანძღვა-გინების და გაუგებარი, დაუსაბუთებელი ბრალდებების გარეშე მომხდარიყო. ვინაიდან ამ ადამიანებთან მაკავშირებდა სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლის პერიოდი. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი რამ არ ესმით ამ ადამიანებს და ცდილობენ ტალახის სროლის ახალი ტალღის აგორებას. საინტერესო ის არის, რომ წერილში არავითარი კონკრეტიკა არ არის, არის მხოლოდ გაბრაზებული ადამიანის პოზიცია გაუგებარი არგუმენტაციით.

**— წერილში, ასევე, აღნიშნულია, რომ მან თქვენ მაგივრად ვალები გადაიხადა. რა ვალებზეა საუბარი?**

– მსგავსი რამ არ ყოფილა. ეს ფრაზა ზნეობის მიღმა გადის. ასე მეც შემიძლია იმდენი რამ ვთქვა და მოვიგონო, ან არ მოვიგონო და ისე ვთქვა, რომ ეს სკანდალის მიზეზი გახდეს. მაგრამ მე ამას არ ვიკადრებ, ვინც კადრულობს, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს მისი ეს უნარი, ილაპარაკოს ის, რაც აბსოლუტურად არასწორია. წამოვედი პარტიიდან მაშინ, როდესაც პარტია კვალიფიციური გახდა და სერიოზული დაფინანსება მიიღო. ვიყავი „წინააღმდეგობის მოძრაობის" ლიდერი და პარტიის გენერალური მდივანი. ქალბატონი ირმა ინაშვილი პარტიის გენერალური მდივანი 6 ივნისს გახდა და მას შემდეგ განუწყვეტელი სკანდალების აგორება დაიწყო. არავითარი პრეტენზია არც ამ დაფინანსებაზე და არც იმაზე, რომ პარტიას კვალიფიკაცია და პერსპექტივა აქვს, არ გამომიცხადებია. მინდოდა წავსულიყავი მშვიდად ამ პარტიიდან, რადგან არ ვეთანხმები უამრავ რამეს, რასაც პარტიის ხელმძღვანელობა აკეთებდა. რაც შეეხება ვალებს, ქალბატონმა ირმა ინაშვილმა კარგად იცის ამის შესახებ ყველაფერი და ისეთ რამეს ლაპარაკობს, რაც ჩემთვის მიუღებელია. ვალი ვის არ აქვს? ჩემს ძმას ჰქონდა კომერციული წარუმატებლობა. ეს ვალი ჩემს თავზე ავიღე და ვიხდიდი. ეს იყო და ეს. რაც შეეხება ამის წამოძახებას, შეაფასოს საზოგადოებამ, რამდენად ეთიკურია. არავინ არ იცის, სინამდვილეში როგორ იყო საქმე. მეც რომ ასეთივე ტიპის განცხადება გავაკეთო, რამდენად მართალი ვიქნები? გასაგებია მათი სურვილი, უნდათ გამსვარონ და ინტრიგებში ჩამითრიონ, მაგრამ ამას არ გავაკეთებ. ღმერთმა ხელი მოუმართოთ, დალოცოთ და გააძლიეროთ. მათ აქვთ კვალიფიციური პარტია, დაფინანსება, რაშიც ყველამ იცის, ვის აქვს ლომის წვლილი...

**— რაც შეეხება საკრებულოში თქვენს მოხვედრას, დაგითმოთ თუ არა დავით თარხან-მოურავმა თავისი ადგილი?**

– რა სისულელეა, ეს არის ტყუილი. ქალბატონმა ირმამ კარგად იცის, რა დიდი უსიამოვნებები იყო მანამდე. საკრებულო ჩემთვის თვითმიზანი ნამდვილად არ ყოფილა და ეს ინაშვილმა კარგად იცის. საკრებულოს წევრობა ჩემთვის ეკონომიკური თვალსაზრისით ნამდვილად არ ყოფილა მიზანი. თუ ფრაქციაში არ ხარ, საკრებულოს დამოუკიდებელი წევრობა, შეუსაბამო იმ დატვირთვასთან, რომელიც ყოველდღიურია და აქტიურად ვმონაწილეობ, ეს არის 1120 ლარი. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მე ამ თანხის მოსაპოვებლად ვიბრძოდი სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, გამოუსვლელად ვმუშაობდი პარტიის ასაშენებლად, ეს მისი პრობლემაა. და არა მგონია, ასეთი ადამიანის გადარწმუნება შეიძლებოდეს, რადგან ლოგიკური აზროვნების უნარი დაკარგული აქვს".

### »შემოულოცნენ... სტუდიაში

**„ალიას" სურდა, ჩხუბში მონაწილე ორივე მხარის პოზიცია დაეფიქსირებინა, თუმცა ალეკო ელისაშვილთან კავშირი ვერ შედგა, სოსო მანჯავიძე კი ჩავწერეთ:**

**— „მაესტროს ფაქტორში" თქვენსა და ალეკო ელისაშვილს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირება როგორ გაგრძელდა? შერიგდით, თუ ისევ დაპირისპირების რეჟიმში ხართ?**

– არაფერი, რა უნდა მომხდარიყო? პატივცემული წავიდა და მას მერე არ მინახავს. მე ელისაშვილს საერთოდ არც ვეხმიანები და არც არანაირი კონტაქტი არ მაქვს, მინდა გითხრათ, რადგან არსებობს გარკვეული წესები, როდესაც ადამიანი რაღაც-რაღაცებს არღვევს, მასთან ურთიერთობას მე ვწყვეტ და თუ არ დაარღვევს, ეს მისი სულიერი გამოცდილების საქმეა და განვითარების ამბავია. როდესაც ვხედავ, რომ ადამიანი ფუძემდებლურ-ზნეობრივ კანონებს არღვევს, მე მას არ ვერჩი, მაგრამ მასთან ურთიერთობას ელემენტარულად ვწყვეტ და თუ თვითონ გადმოდის აგრესიაზე, იღებს იმას, რაც ელისაშვილმა მიიღო.

**— ადგილი ფიზიკურ შეხლა-შემოხლას ჰქონდა, პირველად ბატონმა ალეკო ელისაშვილმა მოგიქნიათ ხელი და ხომ არ აპირებთ, ამ ყველაფერს სამართლებრივი მსვლელობა მისცეთ?**

– რა უნდა დავაპირო... ჯერ ერთი, თვითონ ქცევა იყო არასერიოზული, აბსოლუტურად სულელური, მის კომპეტენციაში რომ არ შედიოდა, იმ საკითხებს შეეხო, რაზეც მას წარმოდგენა არ ჰქონდა და ჩვეულ სტილში შეეცადა, შავ ფერებში წარმოვეჩინე. ამ საკითხებზე ირმა ინაშვილმა თავისი მოსაზრება დააფიქსირა. ვინც არ იცის, რაც ხდებოდა, მე ვიყავი გენერალური მდივანი, პარტიამ გადალახა ბარიერი და მე მაშინ წამოვედი. იყო გარკვეული გაუგებრობა, რომელიც აღმოიფხვრა და რა კავშირშია ეს ელისაშვილის მიერ წარმოთქმულ სისულელეებთან, ეს ვერავინ გაიგო. არ შეიძლება, ასეთი ტიპის არაკომპეტენტური, უვიცი და არაკეთილგანწყობილი ადამიანები იყვნენ მუდმივად ტელეეთერში ტირაჟირებულები და ადამიანებს სიბინძურეებს ეუბნებოდნენ. მე ასეთ შედარებას გავაკეთებდი: სიბინძურის ონკანთან მიერთებული შლანგი უჭირავთ და მიუშვებენ იმას, ვისზეც შეკვეთა აქვთ და მე ასეთ ადამიანებს დავარქვი „ადამიანი-კანალიზაციები" და ასეთი ტიპის ადამიანები არ უნდა ახდენდნენ გავლენას საზოგადოებაზე და ზოგადად, საზოგადოებრივ განწყობებზე, რადგან ისინი აგრესიის, უარყოფითი ემოციების გენერატორები არიან და ძალიან დამღუპველად მოქმედებენ მთლიანად საზოგადოებაზე. ძალიან მწყინს, რომ ამას ვამბობ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასეა და ამ როლს ბევრი ასრულებს დღეს, ამ როლს მოერგნენ, მისით ცხოვრობენ და ეს გადაიქცა ჩვენი თანამედროვე, ქართველი საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად.

## facebook



**გია მაისაშვილი**, 9 ივნისი:

ჩემო ძვირფასებო, უმკაცრესი 40 დღიანი შიმშილობა დასრულდა, უშედეგოდ გუშინ გადავიღეთ სკანირება ტვინის, ველოდი სასწაულს, მაგრამ სამწუხაროდ სასწაული არ მოხდა, ბოდიშს გიხდით რომ ცუდი ამბავი უნდა გითხრათ, ის აგრესიული სიმსივნე ისევ იქაა და თუ არ შეჩერდა ... თქვენ და მე ყველაფერი ვცადეთ, მეტი რაღა შეგვი ძლია, გარდა იმისა რომ ამერიკიდან- გვაცნობეს ახალ სამედიცინოგარღვევაზე ამ ტიპის სიმსივნის დამარცხებაში და დოის დაკარგვის გარეშე სასწრაფო წასვლაა საჭირო და იმ კლინიკურ ექსპერიმენტში მონაწილეობა. წყალწაღებული ხავსს ე ჭიდებოდაო შეიძლება ისე მომდის მაგრამ სიკვდილთან დანებება ასე ნაადრევად მაინც არ მსურს, ამდენი სიყვარული არ მეთმობა ასე ადვილად. ყოველ წამს მოუფრთხილდით, ახლობლებს გულს ნუ ატკენთ. ბოდიში ყველას.

## facebook



**ლეონიდ ჩერნოვეცკი:**

უკრაინის პარლამენტის დეპუტატისა და დედაქალაქის - კიევის მერის თანამდებობაზე ყოფნისას, სხვადასხვა ისტორიულ პიროვნებებთან მიწევდა შეხვედრა! განსაკუთრებული შთაბეჭდილება ჩემზე შვედეთის მეფემ გიუსტავ XVI-მ და დედოფალმა სილვიამ დატოვეს! ისინი ძალიან თავმდაბალი, სასიამოვნო ადამიანები არიან. თავშეკავებულები, შვედეთის ელიტის ნამდვილი წარმომადგენლები და ამავე დროს, ერთდროულად ღირსებითაც და უბრალოებით გამორჩეულები. სხვათაშორის, შვედეთში ისინი დაცვის გარეშე გადაადგილდებიან და საკმაოდ დაფალფასიანი ავტომობილით სარგებლობენ, ხოლო გაჭირვებულ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში თანამდებობის პირები კი ფუფუნებაში ცხოვრობენ, რაც მათი ერის გაჭირვების მიზეზიც გახლავთ! ვთვლი, რომ ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება სწორედ ასეთი უბრალო, ღირსეული, პატიოსანი და თავმდაბალი უნდა იყოს!

facebook



**ალექსანდრე ელისაშვილი**, 10 ივნისი:

გუშინდელ ჩემს შარიან ამბებზე და მუშტი კრივით დაგვირგვინებულ დღეზე ვიტყვი ოდნავ დაგვიანებით. საშინლად არ მიყვარდა და არ მიყვარს პოლიტიკოსების აგრესია და ცემა-ტყეპა. ჟურნალისტობისას სულ ვგმობდი და ახლაც დავგმობ ამგვარ საქციელს. სხვისი რომ არ მომწონს ჩემი მით უფრო არ მომეწონა, ჩანაწერის ყურება მიჭირს ისე არ მომეწონა. უბრალოდ ვატყობ რომ მაგრად დავიქანცე და ნერვები მღალატობს. ორი წელია არ გავჩერებულვარ და რაც ძალი და ღონე მქონდა ვეწინააღმდეგებოდი პარაზიტი საჯარო მოხელეების და პოლიტიკოსების მიერ ქალაქის და ქვეყნის დახურდავებას, საკუთარ ჯიბეზე მორგებას. ამ ძალისხმევის ნაწილი ჩანდა, ნაწილი არა. ამ ნაწილებმა კი ვხედავ ნერვები გვარიანად დამიზიანეს. ჰოდა, ველარ შევიკავე გუშინ თავი. გულწრფელად ვუხდი ბოდიშს ჩემს ამომრჩეველს, პატივისმცემელს თუ ჩემდამი კრიტიკულად განწყობილ ადამიანებს. გუშინ ველარ მოვერიე ამდენს სისაძაგლეს და მიღალატა მოთმინებამ, ისედაც მეტისმეტად ემოციური ვარ. მეც მინდა მხოლოდ არგუმენტებით მოკამათე პოლიტიკოსები, გუშინდელის შემდეგ მით უფრო არ დავზოგავ თავს რომ ყველაზე დიდ პარაზიტებთან კამათშიც კი მხოლოდ არგუმენტები იყოს ჩემი იარაღი და არა გაშლილი ხელი და წიხლი. ასმაგად ვიშრომებ საკუთარ თავზე. ღმერთია მოწმე რაც საკრებულოში შევდგი ფეხი მას მერე ჩემი ყოველი დილა კონკრეტული ადამიანების პრობლემების მომგვარებაზე ზრუნვით იწყება და ასევე ღამდება. უკან ვიხედები და მეამაყება გადარჩენილი სკვერები საბურთალოზე, ავლაბარში თუ ვარკეთილში, დანგრევას გადარჩენილი საბავშვო ბაღი, გაჩეხვას გადარჩენილი ათობით ხე, ჩემი შრომით, ექსკურსიებით შეგროვილი ფულით ნაყიდი დარგული და გახარებული ხეებიც. მახსენდება ასობით ოპერაციის, მედიკამენტის და სხვა დახმარებებზე რეკვები და აქეთ იქით სირბილი. ლიფტების, შენობების გამაგრებების თუ ათასი სხვა წვრილმანი და მსხვილმანის მოგვარება თუ მოგვარების მცდელობა.მაგრად მეამაყება შარშანდელი სტიქიის დროს დაზიანებული მანქანების კომპენსაციის თანხა, ხან კაბინეტებში ვარწმუნებდი მერიის მაღალჩინოსნებს, ხან საჯაროდ გავიძახოდი და 100 მანქანის კომპენსაციის გაცემაში ჩემი გარჯაცაა არ შემრცხვება ამის ხმამაღლა თქმა. წარუმატებლობა და ხელისმოცარვაც ბევრი მქონდა, ხან ჩემი მიზეზით და თავს ზევით ძალა რომ არაა და ჩინოვნიკთა უმსავსობა რომ უსაზღვროა ხშირად ამიტომაც. ამ ყველაფერმა დიდი შრომა, ჯაფა და ნერვები წაიღო. განა ვწუწუნებ, პირიქით - პოლიტიკაში წასვლა ჩემი შეგნებული არჩევანია, როგორც გინდათ გამიგეთ მაგრამ მთავარი მიზანი მაქვს პოლიტიკა გაიწმინდოს პარაზიტებისგან, მავნებლებისგან და ამ დალოცვილი ქვეყნის საკუთარ ჯიბეზე მომრგებლებისგან. მინდა ყველას დაუმტკიცო რომ შეიძლება იყო პოლიტიკაში და იცხოვრო წესიერად, თავდაუზოგავად ემსახურო ხალხს, ქალაქს და ქვეყანას. ის მიზანიც მაქვს რომ სხვებს მაგალითი მივცე, სხვები დავარწმუნო რომ პოლიტიკა არ "ტეხავს", რომ პოლიტიკოსობა ყველაზე მამულიშვილური და თავგანწირული არჩევანია. და რომ სტერეოტიპს უნდა გადააბიჯონ და პოლიტიკაში უნდა წამოვიდეს ბევრი წესიერი, განათლებული, პასუხისმგებლობის მქონე და გულანთებული მოქალაქე. პათეტიკას დამიწუნებენ ვიცი, მაგრამ აი ასე პათეტიურად ვუყურებ მე ჩემს ძალისხმევასაც და ქვეყნის სამსახურსაც. ბოლოს კი პირობას ვდებ - მაქსიმალურად ვიმუშავებ ჩემ თავზე რომ გუშინდელი აღარასოდეს განმეორდეს, ჩემი იარაღი მხოლოდ არგუმენტი იყოს პაექრობისას. პარაზიტ პოლიტიკოსებს და ჩინოვნიკებს ვპირდები რომ გასაქანს არ მოგცემთ. ამ მადლიან ქალაქს და ქვეყანას ჯიბეში არ ჩაგადებინებთ, რაც ძალი და ენერგია მაქვს ამ საქმეს მოვახმარ და არავის შევეპუები. ორმაგად, ათმაგად და ასმაგად გავირჯები. რაც შეეხება ქალაქის მთავარი არქიტექტორის მექრთამეობას და მავნებლობას - უახლოეს დღეებში წვრილად და დეტალურად წარმოგიდგენთ მის მიერ ხელმოწერილ დანაშაულებრივ ნებართვებს. მისხალ მისხალ დავდებ ყველაფერს. ბოდიში უხესიტყვაობისთვის

პატივისცემით - სამერმისოდ მეტისმეტად ნერვებმოთოკილობის პირობის მთქმელი ალექსანდრე ელისაშვილი

---

facebook

**ირმა ნადირაშვილი:**

ბიძინა ივანიშვილი, თეა წულუკიანი, ეკა ბესელია, მერაბ ტურავა, კახი კალაძე და მისი მოჭიდავეები სიხარულით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქართული მართმსაჯულება გარდაიცვალა.

...... პანაშვიდი 8 ოქტომბერს, საღამოს 20 საათზე






გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ცოტა ხნის წინ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე დავწერე, პაატა ბურჭულაძემ თავისი პარტიის ეგიდით გორის რაიონში „ნაციონალების“ მომღერალი ნინა წკრიალაშვილი გაამწესა, ოფისი ჩააბარა, რომელიც, ალბათ, მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება-მეთქი. სტატუსი სარკასტული იყო, იქვე მივაწერე, ზუმბა თუ დაბრუნდა ამერიკიდან, სეფაშვილი არ დამიჩაგროთ, ლელა რომლებიც დაახლოებულნი არიან „ნაცმოძრაობასთან“ და მიხეილ სააკაშვილთან. ბოლოს და ბოლოს, რაც უნდა, ის უქნია, ეს მისი გადასაწყვეტია, მაგრამ, როცა ეუბნებიან, „ნაცების“ ფილიალი ხარო და ამას უარყოფს, უბრალოდ, ფაქტი დავდე.

ჩემი მცირე წერილი, ანუ რეპლიკა, ასე ვთქვათ, მალევე „გაანიუსეს“ საინფორმაციო სააგენტოებმა და შემდეგ მოჰყვა ასეთი რეაქცია:

**თამარ კოპაძე:** გელა, შენ მაინც საიდან მოგაქვს ეს ჭორები,

# „...საერთოდ, „ალიას“ ყველა ჟურნალისტს საკუთარი ფანტაზიების გარდა არაფერი დაუწერია....“

**„მთლად ასეც არაა, „ალია“ მაგრად მომწონს, ხშირ შემთხვევაში „ნაცებს“ ძალიან მაგრად ებრძოდნენ და ახლაც არ აკლებენ ნაც-ქოცებს...“**





წურწუმიასაც გააგებინეთ, რომელიმე რეგიონი ჩააბარეთ-მეთქი. ამაზე ოფიციალურად ბატონ პაატასა და მის გარემოცვას არაფერი უთქვამთ, არც უარყვეს, არც დაადასტურეს, მაგრამ ნინა წკრიალაშვილის ე.წ. დაწინაურება იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ თავად დიდი ბანის მომხრეებმა დაიწყეს საკითხის გარკვევა და ასეთი წერილი გამომიგზავნეს:

> „ბატონო გელა, გამარჯობა... ინფორმაციისთვის, ბურჭულაძის თემაზე რაც დაწერეთ, გაცნობებთ, რომ არ არის თავმჯდომარე ნინა წკრიალაშვილი, თავმჯდომარეა ნინას ძმა, გორელებისთვის პატივსაცემი კაცი, შოთიკო წკრიალაშვილი. ჩვენც გავგიჟდით, ნინას რა უნდა იქ? შეგიძლიათ გვენდოთ, პატივს გცემთ და არ გვინდა, „დეზა“ დაგაბრალონ. თანაც პატივისცემით სარგებლობს გორელებშიო, ამიტომაც აუყვანიათ თურმე“.

რასაკვირველია, ნინა წკრიალაშვილთან პიროვნულად საპრეტენზიო არაფერი მაქვს, მაგრამ როცა პოლიტიკაზეა საუბარი, შემიძლია, გამოვთქვა დადებითი ან უარყოფითი აზრი. ამავე დროს, ეს ინფორმაცია მივიღე ისეთი წყაროსგან, წვეთი რომ არ გაუვა და 100-პროცენტიანია. ვფიქრობ, თავიდან ლაპარაკი იყო ნინას თავმჯდომარეობაზე და რაკი ბურჭულაძის პარტიაში ამან გარკვეული უხერხულობა გამოიწვია, გეგმა შეცვალეს: მოდით, მისი ძმა იყოს თავმჯდომარე, ხოლო თვითონ – მოადგილე. ბოლოს და ბოლოს, რა აზრი აქვს, რომელი იქნება უფროსი და რომელი – უმცროსი? მთავარი ერთია, პატივცემულმა ბურჭულაძემ გორი ჩააბარა წკრიალაშვილებს, ჰა?! სპეციალურად დავაზუსტე და ტყუილია, კარგი რააა!

**თამო გაბაძე:** ზედელაშვილი ბარონ მიუნჰაუზენის ინკარნაციაა. საერთოდ, „ალიას“ ყველა ჟურნალისტს საკუთარი ფანტაზიების გარდა არაფერი დაუწერია.

**ნინო ჯიქია:** მთლად ასეც არაა, „ალია“ მაგრად მომწონს, ხშირ შემთხვევაში „ნაცებს“ ძალიან მაგრად ებრძოდნენ და ახლაც არ აკლებენ ნაც-ქოცებს, მაგრამ მეც გავიგე, რომ ნინაზე არაა სიმართლე, რაც დაწერა გელამ. ალბათ, არასწორად იყო ინფორმირებული, ხდება ხოლმე. ნინა მაგრად გატეხავდა მართლა, გული გამისკდა!

**გივი უკლება:** ალბათ, გელას ჰგონია, რომ რამდენიმე უნიჭო სტატიას შეთხზავს და სათავეში საკუთარ კურატორს მოიყვანს.

აი, ამ კომენტარებიდანაც კარგად ჩანს, რა ზერელე და უპასუხისმგებლოა ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი. ჯერ ერთი, ყველას თავი გენიოსი ჰგონია და დიდაქტიკურ მსჯელობასაა მიჩვეული და მეორეც, ყველა უპრაგონოდ ამტკიცებს, რომ წკრიალაშვილის შესახებ წერილი „ალიაში“ გამოქვეყნდა. ნახეთ, ერთი „გენიოსი“ იმასაც ამტკიცებს, „ალიაში“ ჟურნალისტები მხოლოდ საკუთარ ფანტაზიებს წერენ, რასაც სინამდვილესთან კავშირი არ აქვსო. არადა, ეს იყო მხოლოდ ჩემი პირადი აზრი და დავწერე მხოლოდ სოციალურ ქსელში. კი, ბატონო, შეიძლება ჩემი ნებისმიერი სტატუსი „ალიასთან“ ასოცირდება, მაგრამ, როცა აქეთ მოგვიწოდებენ ხოლმე, ინფორმაცია გადაამოწმეთო, თავად საზოგადოების პატივცემული წევრები არ ამოწმებენ, ანუ ბოლომდე არ კითხულობენ და მხოლოდ სათაურების მიხედვით მსჯელობენ. სხვათა

**»» ჯერ ყურადღ გვაკრივეთ!**

შორის, მხოლოდ სათაურებით მსჯელობა და „ღრმააზროვანი“ დასკვნების გაკეთება მოსული „პონტია“ ჩვენს „განსწავლულ“ საზოგადოებაში.

ვინმე გივი უკლება (ეს „ფეისბუკში“ ყალბი გვერდია, ამ გვარისა და სახელის უკან ვიღაც მამალი „ნაცი“ დგას) ამბობს, გელას ჰგონია, თავისი უნიჭო სტატიებით თავის კურატორს მოიყვანსო. ახლა ვზივარ და ვფიქრობ, რომელ კურატორზეა ლაპარაკი, ვინ უნდა მოვიყვანო და სად? „ალიაში“ კურატორიც და დამფუძნებელიც გიორგი ბრეგვაძეა, როგორც ვიცი, არსად მოსვლას არ აპირებს. სახლში ჩემი „კურატორი“ ცოლია და ნაღდად ვიცი, არც ის აპირებს სადმე მოსვლას. ვააა... კიდევ ვინ შეიძლება იყოს კურატორი? არ ვიცი, ვერავის ვიხსენებ... ერთადერთი უფალი მახსენდება, რომელიც უკვე მოსულია!

> დაბოლოს, ვინ არის კონკრეტულად შოთა წკრიალაშვილი და რა უნდა მისგან „პროდასავლელ“ პაატა ბურჭულაძეს? ბატონი შოთა გახლავთ არასამთავრობო ორგანიზაცია „გორელების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი. გაგიკვირდებათ და ასევე „პროდასავლელ“ ნინა წკრიალაშვილის ძმა იბრძვის იმისთვის, რომ გორის ცენტრში დაბრუნდეს სტალინის ძეგლი. როგორც სანდო წყარო ამბობს „ალიასთან“, პაატა ბურჭულაძის გარემოცვას აქვს მცდელობა, თავის ბანაკში გადმოიყვანოს გორელი „სტალინელები“ და გასცეს დაპირება, როგორც კი ხელისუფლებაში უმრავლესობით მოვალთ, ძეგლს აუცილებლად დავაბრუნებთო. ავი ენები იმასაც ამბობენ, რომ სწორედ ამიტომ სჭირდებათ შოთა წკრიალაშვილი.

მოკლედ, ყველამ თავისი საქმისა თვითონ იცის, ბოლოს და ბოლოს, „ქართული ოცნება“ გაიძეძგა „ნაციონალებით“, ახალმა ხელისუფლებამ დაიკიდა თავისივე მომხრეები და ბურჭულაძის პარტიაში ვინ გაწევრიანდება, სულაც არ მეჩვენება საინტერესოდ. უბრალოდ, ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, ეს უნდა დაიმახსოვროს ყველამ!

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



# „დირექტორების „შავი სია" არსებობს! ამ სიას მიჰყვებიან და ჩვენ, ყველა, პოლიტიკური ნიშნით გაგვათავისუფლეს!"

## სკანდალი ბაგა-ბაღებში

**ბაგა-ბაღებიდან დირექტორის მოადგილეების დათხოვა რამდენიმე თვის წინ დაიწყო, ამჯერად ბაგა-ბაღების 13 დირექტორი გაათავისუფლეს. „ალიას" 36-ე ბაგა-ბაღის ყოფილი დირექტორი ელზა უდესიანი (გია უდესიანის და) ესაუბრა. აქვე გეტყვით, რომ მისი მეორე დაც, ინგა უდესიანი 85-ე ბაღის დირექტორობიდან გაათავისუფლეს.**

**ელზა უდესიანი:**

– 2002 წლიდან ვმუშაობდი 36-ე საბავშვო ბაღში. 2014 წლიდან პრობლემები შემექმნა, მაშინ როცა ბაგა-ბაღის სააგენტოში ახალი ადმინისტრაცია მოვიდა და სააგენტოს უფროსად თემურ თორდინავა დაინიშნა. ხშირად ვრცელდებოდა კულუარული ინფორმაცია, და მათ შორის ჩემამდეც აღწევდა, იმის თაობაზე, რომ ბაგა-ბაღების სააგენტოს გასათავისუფლებელი ბაღის დირექტორების სია ჰქონდა. ეს დაიწყო 2014 წლიდან. მეც მეუბნებოდნენ, რომ გასათავისუფლებელი დირექტორების სიაში ვიყავი. ბატონ თემურს კაბინეტში შევხვდი და ვკითხე, რა სიები არსებობს და რატომ ვარ მე იმ სიაში-მეთქი?.. ის ამ სიის არსებობას კატეგორიულად უარყოფდა... ბაგა-ბაღის სააგენტოს შიდა მონიტორინგის საბჭო ჰყავს, რომელსაც უფლება ენიჭება, შეამოწმოს ბაგა-ბაღები. თებერვალში ჩვენს ბაღში შემოვიდა მონიტორინგის ჯგუფი, როდესაც დაიწერა დასკვნა, რომ არანაირი დარღვევა არ მქონია. ერთი კვირის შემდეგ ისევ შემოვიდა მონიტორინგის ჯგუფი და პირდაპირ მომედავნენ, რომ თითქოსდა კაკაო იყო ვადაგასული, მაგრამ მე მათ დავუმტკიცე, რომ კაკაო არ იყო ვადაგასული. არადა, ეს კაკაო შემოჰქონდა მათ მიერ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას „სმარტ ბიზნეს ომუშენს"... ეს კომპანია ბაღების სააგენტოს უნდა გაეკონტროლებინა, თავად ბაგა-ბაღების სააგენტო ატარებდა ამ ტენდერებს. ხელშეკრულებები კომპანიასა და სააგენტოს შორის იდებოდა, ბაგა-ბაღების დირექტორებიც ვაწერდით ხელს ხელშეკრულებაზე. თუმცა იქ ბატონი თემური ხშირად აღნიშნავს, რომ ტენდერში ბაგა-ბაღების დირექტორებიც მონაწილეობდნენ, რაც მტკნარი სიცრუეა.

შარშან მთელი ზაფხული, ივლისი და აგვისტო, სააგენტოში სიარულს მოვანდომე. ხან სააგენტოს დერეფანში ვაწერდით ხელს სატენდერო ხელშეკრულებებს, სადაც თითქოს ჩვენ ვიყავით ჩართული ტენდერში, სინამდვილეში კი არანაირ ტენდერში მონაწილეობა არ მიმიღია...

**— მაშინ რატომ მოაწერეთ ხელი, ვინ გაიძულათ?**

– რა თქმა უნდა, გვიბარებდნენ იმ დირექტორებს, ვინც შვებულებაში არ იყო და ხელს აწერინებდნენ.

**— ხელი რომ არ მოგეწერათ, ეს პრობლემას შეგიქმნიდათ?**

– ტენდერებში თითქოს მონაწილეობის შესახებ, ბაგა-ბაღების დირექტორებს ამ დოკუმენტაციაზე ხელი რომ არ მოგვეწერა, ცხადია, პრობლემები შეგვექმნებოდა. ბატონი თემურ თორდინავა მაშინაც გვატერორებდა და მე მისთვის მაშინაც ურჩი დირექტორი ვიყავი ამის გამო. დირექტორები ვითხოვდით, რომ ხელშეკრულებებს გავცნობოდით და გვცოდნოდა, რაზე გვაწერინებდნენ ხელს, თუმცა ამის უფლებას არ გვაძლევდნენ. ეს იგივე იყო, „კონცლაგერში" რომ შეყრი ადამიანებს, ასე გვყრიდნენ. ჯერ კიდევ მთლიანი ხელშეკრულებები არ გვქონდა მათთან გაფორმებული, ისე გვიგზავნიდა სხვადასხვა კომპანიებს ბაგა-ბაღების სააგენტო. სააგენტოს დირექტორი იმ დირექტორებს, ვინც არ დაემორჩილებოდა, განთავისუფლებით ემუქრებოდა. თორდინავა ახლაც ემუქრება ბაგა-ბაღების დირექტორებს, მოადგილეებსა და ბაგა-ბაღების მასწავლებლებს.

მაგალითად მე, თუ „ფეისბუკ"-გვერდზე ვინმემ რამე დამილაიქა, ან თანამშრომელმა რაიმე კომენტარი დამიწერა, ან მშობელმა, ის ახდენს მათზე ზეწოლას. ბაგა-ბაღის თანამშრომლებს თემურ თორდინავა მუქარებს უთვლის, ჩემი ბაღის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებს თათბირი ჩაუტარა და თანამშრომლები გააფრთხილა, რომ არავითარი კომენტარი, მოწონება არ დაეწერათ ჩემს „ფეისბუკ"-პოსტებზე. სხვა შემთხვევაში გაათავისუფლებდნენ. რადგანაც ისინი ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაალაიქონ.

**— საბოლოოდ, თქვენი დათხოვის მიზეზი ვადაგასული პროდუქტი გახდა?**

– როცა მე მათ დავუმტკიცე, რომ ის პროდუქტი ვადაგასული არ იყო, მათ ამ საქმეს მსვლელობა არ მისცეს, იმიტომ, რომ ტენდერების ჩატარებაში პრობლემები ჰქონდათ. მე შევესწარი სატელეფონო საუბარს, მონიტორინგის წარმომადგენელი ტელეფონით ეუბნებოდა, სავარაუდოდ, მერიაში რეკავდა, ვერაფერი ვერ ვნახე და რა გავაკეთოო?.. იქიდან რა უპასუხეს, არ ვიცი, მაგრამ ამან აქედან უპასუხა, – მაინც?!. მერე შემოვიდა მონიტორინგის წარმომადგენელი და აქტი შეადგინა. მაგრამ მე მათ წინააღმდეგობა გავუწიე. სრულიად უკანონოდ, აქტი მაინც დაწერა, იმ დროს, როცა არავითარი დარღვევა არ იყო. მაშინ რატომ არ მისცეს მსვლელობა ამ საქმეს, თუკი დამნაშავე ვიყავი?.. ჩემი დათხოვის შემდეგ ბაგა-ბაღის აღსაზრდელების (300 აღსაზრდელი მყავდა) მშობლებმა პრემიერს წერილობით მიმართეს და პრემიერ-მინისტრმა ეს განცხადება მერიაში გადაამისამართა. იქ, სადაც ჩემი განთავისუფლების გადაწყვეტილება მიიღეს. ახლა ვამზადებ სარჩელს სასამართლოში.

**„ალია" არასამთავრობო ორგანიზაცია „სკოლამდელთა განვითარებისა და უფლებების დაცვის ლიგის" ხელმძღვანელ მზია ფაილოძეს ესაუბრა:**

### »პოლიტიკური ნიშნით ლევნს?!

– დაახლოებით 10-მდე ბაღის დირექტორი პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს. არავისთვის არ არის დასამალი, რომ ბაგა-ბაღის ყველა განთავისუფლებული დირექტორი ნაციონალების დროს ავტორიტეტი იყო. რაც შეხება დებ უდესიანებს, მათ ძმასთან გია უდესიანთან აიგივებენ. ერთ-ერთი ბაღის დირექტორი, გვრიტიშვილის ქმარი ნაციონალების დროს მეტროპოლიტენის უფროსი იყო და ამ მიზეზით დაითხოვეს, ისიც პოლიტიკური ნიშნით იყო განთავისუფლებული. ახლა იმაზე ვილაპარაკოთ, ვინ დაინიშნა მათ მაგივრად... ჩვენ ვერასოდეს შევეჩვევით პოლიტიკური ნიშნებით დანიშვნა-განთავისუფლებას. თუ ისინი ნაციონალების მხარდამჭერები იყვნენ, ესენი ვინ არიან? ესენიც ხომ „ოცნების" მომხრეები არიან? სულ ერთი და იგივე სიტუაცია ტრიალებს და ჩვენ ამ მოჯადოებული წრიდან ვერ გამოვედით. რაც შეეხება ელზა უდესიან-გუგავას, როდესაც ის ბაღის დირექტორად დაინიშნა, მაშინ არც ნაციონალები იყვნენ და არც მისი ძმა იყო „ნაციონალურ მოძრაობაში". 17 წელია, მუშაობს ამ სისტემაში... რაც შეხება თორდინავას, მას შემდეგ რაც 50 ბაღი დაიხურა, ბაღების სააგენტოს უფროსმა ახალი ბაღები ააშენა, მაგრამ სწორედ ის დირექტორები გაათავისუფლა, ვინც ბაღების რეფორმა დაიწყო. სააგენტოს უფროსი ამბობდა, რომ სამართლიანობას აღადგენდა და ჯერ კიდევ 2007 წელს დათხოვილ ბაღის დირექტორებს დააბრუნებდა, მათ შორის მეც, მაგრამ ნაცვლად ამისა, არათუ აღგვადგინა, მოქმედი დირექტორებიც კი დაითხოვა.

**— რაც შეეხება მუქარას, თუ ემუქრებოდა ბაღის დირექტორებს? თქვენ რა იცით ამაზე?**

– გეთანხმებით, ბაგა-ბაღის დირექტორებს სულ ემუქრებიან, საკმარისია პატარა გადაცდომა და დაითხოვენ. შარშან შეიმუშავეს წესდება, რომელიც უკვე ძალაში შევიდა. სააგენტოს წესდებაში მითითებულია პუნქტი, რომ ერთი საყვედურის შემდეგ მეორე საყვედურის მიცემის შემთხვევაში სამსახურიდან ათავისუფლებენ.

**— ბაღის დირექტორები აცხადებენ, რომ აიძულებენ, ხელი მოაწერონ დოკუმენტაციას, რომ თითქოსდა ტენდერში მონაწილეობდნენ.**

– სამწუხაროდ, ასეა, ბაღის დირექტორებს წესდებაში უწერიათ, რომ მათ უფლება აქვთ, მოიზიდონ თანხები. სამწუხაროდ, ბაღების სააგენტო თავიდან იცილებს პასუხისმგებლობას, ტენდერს ბაღებს აცხადებინებენ და პასუხისმგებელიც ბაგა-ბაღის დირექტორები არიან.

**— სასამართლოში გაარკვევენ სიმართლეს?**

– სულ ცოტა, 6 პროცესი მაინც მქონდა ბაღის დირექტორების, მაგრამ საქალაქო სასამართლომ მხოლოდ ერთ-ერთის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, სულ ეს იყო. მეორე შემთხვევაში აბსოლუტურად უდანაშაულო დირექტორის მიმართ, სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, მოსამართლე გვეუბნებოდა, მართალი ხართ, მაგრამ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გამოვიტანოო...

**ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსი თემურ თორდინავა „ალიასთან" ასეთ კომენტარს აკეთებს:**

– ბაგა-ბაღის დირექტორების ნაწილის განთავისუფლების მიზეზი გახდა თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის, ასევე, საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის დასკვნები, რომლებიც ეხებოდა კონკრეტულ ბაღებში აღმოჩენილ განმეორებითი ხასიათის დარღვევებს. ყველა დირექტორს ჩაბარდა და განემარტა მათი სამართალდარღვევების შესახებ.

**— მათ შორის არიან დები უდესიანები. რა გახდა მათი განთავისუფლების მიზეზი? ელზა და ინგა უდესიანები აცხადებენ, რომ მათ განთავისუფლებას პოლიტიკური სარჩული ედო, რა კომენტარს გააკეთებთ?**

– არც ერთი ბაღის დირექტორი პოლიტიკური ნიშნით არ განთავისუფლებულა.

**— განთავისუფლებული დირექტორები აცხადებენ, რომ დღესაც გრძელდება მუქარა ბაგა-ბაღის დირექტორების მიმართ. განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი თანაგრძნობას გამოუცხადებენ განთავისუფლებულ თანამშრომლებს, მათ სამსახურიდან გაგდებით ემუქრება ბაგა-ბაღების სააგენტოს დირექტორი თემურ თორდინავა?**

– მოქმედი დირექტორების მიმართ მუქარის შესახებ ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს და თუ ვინმეს კონკრეტული ფაქტი აქვს, შეუძლია, საჯაროდ განაცხადოს ან მიმართოს შესაბამის ორგანოებს.

**— გარდა ამისა, ინგა უდესიანი აცხადებს, რომ თემურ თორდინავა ბაგა-ბაღის დირექტორებს ჩატარებული ტენდერების დოკუმენტაციაზე აწერინებდა ხელს, რომელშიც ისინი არ მონაწილეობდნენ. ვინც ხელს არ მოაწერდა, მათ განთავისუფლებით ემუქრებოდაო.**

– თქვენ მიერ მოყვანილი ყოფილი დირექტორის განცხადება არის აბსურდული და სინამდვილეს არ შეესაბამება.

## Facebook ამბები



**გოგი ლორთქიფანიძე:**

ამხელა რესურსი რუსეთს არცერთ არჩევნებში არ ჩაუდია საქართველოში, ამას დამატებული უარი ვიზალიბერალიზაციაზე, ამერიკელების შეიარაღებული ძალების ენერგიულად შემოსვლა შავი ზღვის აკვატორიაში და 200 წლის განმავლობაში საქართველოში დაგროვილი კაგებეს აგენტურის დოსიე, რომელიც ეხლა რუსეთის სხვადასხვა სპეცსამსახურების ხელშია და აქტიურად მოქმედებს.... ყველაფერი ეს იმას მიგვანიშნებს, რომ გადამწყვეტი ბრძოლა იწყება შავი ზღვის აუზისათვის... რას იტყვით პატივცემულებო?



**გიორგი გუგავა:**

"გინდათ გესაუბროთ ჭეშმარიტ ღმერთზე" იმედია მომიტევებთ ფიგულარული შეფასებისათვის გამოყენებულ მკრეხელურ ფრაზას, მაგრამ სწორედ ეს ლაიტმოტივი გასდევდა ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციას თუ "ჭირხვნას", "ქადაგებასა" თუ "მოძღვრებას". კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ საქმე უფრო უარესადაა ვიდრე წარმომედგინა, რადგანაც ქვეყანას მართავს მეგალომანიით შეპყრობილი ადამიანი, რაზედაც მეტყველებს მისი ეგოცენტრისტული აკვიატება "ერის მამობაზე", საკუთარი თავის წარმოდგენა, როგორც "ჭეშმარიტების ბოლო ინსტანცია" თუ ყველაფრის მცოდნეობის პრეტენზია, მოკლედ გვესაუბრებოდა "ზეადამიანი")). არაადეკვატურობა, გაფანტული აზროვნება, განსხვავებული აზრის აუტანლობა, აზრის გადმოცემისას შეუფერებელი ტერმინებისა თუ შედარებების გამოყენება ცხადლივ მეტყველებს, რომ ამ პერსონის შეფასება უნდა მივანდოთ არა პოლიტიკოსებს, პოლიტოლოგებს, ჟურნალისტებს თუ ექსპერტებს, არამედ კვალიფიციურ ფსიქიატრებს.

**ირინა სარიშვილი:**

"საკაშვილი ყველაზე წარმატებულ პრეზიდენტს — ალმაშენებელს ედრებოდა"... ამონარიდი "მგზავრის წერილებიდან"...





**მერაბ შათირიშვილი:**

რა ჭრელია ეს საქართველო - ჩვენი ქვეყანა?... და, რა აჭრელებული ტვინი გვქონია გენეტიკურად?... ბავშვობაში, ეს, არ ვიცოდი, მეგონა სრულყოფილი ერი ვიყავით და - მეამაყებოდა ქართველობა, გონიერი, ჭკვიანი მეგონა საკუთარი თავი, მერე, მერე, რომ დავუკვირდი და, დავინახე, როგორ შეგვიძლია ყველაზე სასტიკად გავუსწორდეთ ჩვენს მოძმეს - ძმას, გავანადგუროთ და ჯვარს ვაცვათ, მერე, მერე, რომ დავინახე, როგორი დაუნახავები ვართ, შეგვიძლია კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟი, წამებული ბედისწერით მოვლენილი ამწუთისოფლად, განვდევნოთ და სასიკვდილოთ გავიმეტოთ, სადღაც ულრანში და, მერე, მერე, რომ დავინახე, ფარისევლები, ფარისევლები და, ჩვენ არ ვიყავით, შევარდნაძეს, რომ დავუჩოქეთ და, ვემუდარეთ, ო, მესსიავ, არ დაგვტოვო, დავიღუპებით?.. და, მერე, მერე, ანომალიური საქციელი ჩავიდინეთ, მოვიყვანეთ გიჟი - პათოლოგი, ავადმყოფურად „მექალთანე" და, მერე, მერე, კაცი რომ გამოჩნდა და, ყველა მივაზავდით, გვიხსენ ბიძინაო და, გაგვიძლვა ეს ადამიანი და გვიხსნა?... შეეცადა მაინც და ხსნის შანსი მოგვცა, მაგრამ, ჩვენ რას ვაკეთებთ?... ახლა მისი ჯერი დადგა და, უნდა გავუსწორდეთ, სიკეთისათვის ვაზლვევინოთ? ვერ ვხვდებით, რომ, მასზე და პირველ კაცებზე კი არ ჰკიდია ეს ქვეყანა, ჩვენზე და ჩვენს პატიოსნებაზე არის დამოკიდებული სამშობლოს გადარჩენა და, რატომ ვერ ვხედავთ, ვინ - ვინ არის? რატომ ვიბრმავებთ თვალებს და განსჯის უნარი დაგვიკარგავს და, ამ უნარის დაკარგვის გამო, ათასი ფასიანი პატრიოტი, რომლებსაც საკუთარი კეთილდღეობა, სამშობლოს სიყვარულად უნდა მოგვაჩვენოს და, ჩვენც ვულიმით, ფარისევლს ვეფარისევლებით და, როდემდე, როდემდე, უნდა ვიყოთ გიჟის როლში, ხალხო! არ უნდა მოვეგოთ გონს?! არ უნდა ავმაღლდეთ პირადზე და სამშობლოს სიყვარულისთვის არ უნდა ვიყოთ მართლები?! სამშობლოს მომავლისთვის, არ უნდა გავწიროთ ჩვენი წუთსოფლური ამბიციები, როგორც გია აბესაძემ გაწირა?! როდემდე?.. ვიდრე არ გადავშენდებით და, ეს, გვინდა?!



**ირინა სარიშვილი:**

გთხოვთ ყურადღებას!

ახტუნგ ახტუნგ?

ჩემს სამეგობროში ვირთხუნიებისგან გამონთავისუფლებულია 30 ადგილი. 6 ათასზე მეტი თხოვნაა დამეგობრების. ბევრი ადრეა გამოგზავნილი და მათი ნახვა უბრალოდ არარეალურია. ამიტომ გთხოვთ, ყველამ მოხსნათ დამეგობრების თხოვნა და თუ კიდევ გაქვთ სურვილი, თავიდან გამოაგზავნოთ, რომ მე ვნახო, ან თუ არ გამოიგზავნება ჩატში მომწეროთ. ყველას დამეგობრება რა თქმა უნდა ვერ მოხერხდება, 5ათასი ლიმიტია მაგრამ არც ესაა უბედურება, რადგან ჩემი კედელი გხსნილია და ფოლოუერობას ლიმიტი არა აქვს, ის უკვე 10 ათასამდეა ასული. არანაირი შეზღუდვა ფოლოუერს არა აქვს: ის სარგებლობს სამივე გრაფით: მოწონება, კომენტარი, გაზიარება.

მათთვის, ვინც დღეს ამოვშალე მეგობრობიდან (არ დამიბლოკია) სხვის კედლებზე ბინძური ცილისწამების შემცველი სტატუსების მოწონების და არანაკლებ ბინძური კომენტარების დადების გამო და ეხლა ინბოქსში მწერთ ბოდიშებს, საჯაროდ გეუბნებით: თქვენი კომენტარები იყო საჯარო და ბოდიშის საჯაროდ მოხდის შემთხვევაში ალგიდგებათ მეგობრობა, სხვანაირად, ინბოქსში იდაყვების დაკბენით და დედაესრამომივიდათი არა. მგონი საკმაოდ ლმობიერი დამოკიდებულებაა იმის გათვალისწინებით რასაც იწონებდით და წერდით.

მადლობა ყურადღებისათვის




გიორგი ბაჩიაშვილი
593-30-28-70



**დღევანდელ წერილში ქართველი პოლიტიკოსების მორიგ სახალისო მოგონებებს შემოგთავაზებთ**

## კახა კუკავა — აზერბაიჯანული „თავგადასავალი"



ბაქოში ჩასულ დელეგაციაში კაკო ბობოხიძეც იყო. იგი კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენს სხვა ერებთან ურთიერთობის მოგვარებაში. პირველივე დღეს ძალიან დავთვერით, კაკოსაც ნამეტანი მოუვიდა და იმისთანა აქტიური გახდა, ვერც წარმოვიდგენდით.

ჯერ საბილიარდოში შევიარეთ და ისე მოხერხებულად დააბრალა ჩეჩნეთის ტრაგედია სომხებს, რომ მასპინძელი აზერბაიჯანელები სიხარულისგან დაფრინავდნენ. დავბრუნდით სასტუმროში, საშინელ დღეშია, კიდევ მოითხოვა არყის ბოთლი და რატომღაც, ტვინში ჩაუჯდა აზრი, რომ ერევანში ვიმყოფებოდით.

ნომერშიც სუფრა გაიშალა, მასპინძლებიც სხედან. კაკომ ჭიქას მოჰკიდა ხელი და მე მეუბნება:

– შენ ჩემი თარჯიმანი იქნები. მე საქართველოს შვილი ვარ, სადღეგრძელო ქართულად უნდა ვთქვა და ამათ რუსულად უთარგმნე. – რასაკვირველია, დავეთანხმე და ცოტა ხანში კაკომაც „შეუბერა".

– მოკლედ, ხალხო, ჩვენს მეგობრობას, ჩვენს ძმობას გაუმარჯოს და აზერბაიჯანელების...

აზერბაიჯანელებმა ერთმანეთს გადახედეს და სიმწრისგან გალურჯდნენ. ახლა, გინება ისეთი რამეა, ენის ცოდნა არ სჭირდება მისახვედრად.

– კაკო, – მოვქაჩე სახელოდან, – არ დაგვღუპო, ბიჭო, ბაქოში ვართ.

– რაო? – დამხედა გაკვირვებულმა, – ბაქოს ვენაცვალე, ბაქოს და სომხებს...

მასპინძლები დამშვიდდნენ. გადის ორი წუთი და ისევ ჭიქას მისწვდა:

– ჩვენ გაგვიმარჯოს და აზერბაიჯანელების...

– ჩტო ონ გავარიტ, – სკამებიდან წამოიწივნენ მასპინძლები.

– აზერბაიჯანელი ხაროში ნაროდ, – „ვუთარგმნე" და კაკოს პიჯაკში ვეცი, ლამის ჩამოვახიე, – დაგვხოცონ გინდა? ბაქოა, ბაქო!

გადის პატარა დრო და:

– ახ, ეტი აზერბაიჯანცი...

ფეხზე დავაბიჯე:

– არმიანი, ბიჭო!

– იზვინიტე, არმიანი...

კიდევ კარგი, მთვრალი იყო, თორემ მაგარი დაჟეჟვა არ აგვცდებოდა.

## მამუკა არეშიძე — ერთხელ კამბოჯაში



1990 წელს გადაცემა „საღამო მშვიდობისა" რომ დაიხურა, „ოსტანკინოს" კორესპონდენტი გავხდი და კამბოჯაში მომიწია წასვლა. სამი ძალა ომობდა ერთმანეთში – მონარქისტები, წითელი კხმერები და სამთავრობო ჯარი. მე სამთავრობო ჯარს დავყვებოდი. ერთხელაც, შუა ჯუნგლებში ვართ, გახურებული ომი მიდის. ახალი ნაწილი მოიყვანეს. დაბალი ოფიცერი მოჰყვათ. კამერა ავიღე, მძაფრ ეპიზოდებს ვიღებ და შევნიშნე, რომ ჩემი ოპერატორი იმ ოფიცერს რაღაცას ელაპარაკება. მივუშვირე კამერა, უცებ ოფიცერმა ჩემკენ გამოიხედა და ძარღვიანი ქართულით მეკითხება.

– შენ რა გქვია, ჩემი ძმა?

კამერა ლამის ხელიდან გამივარდა, მოსასულიერებელი გავხდი.

– ქართველი ხარ? – ძლივს ამოვიღე ხმა.

– კი, თბილისელი. ქვეყანაში დარჩენა აღარ მინდოდა. თუ სროლაა, ისევ სჯობია, კამბოჯელს ვესროლო, ვიდრე ქართველს.

## ვალერი გელაშვილი — არჩევნები ხაშურში

„არჩევნების წინ სერიოზული კონკურენტები მყავდა და, ბუნებრივია, ყველა თავისებურად ვცდილობდით ამომრჩეველთა გულის მოგებას. თუმცა კანონი განსაზღვრავს, რისი გაკეთების უფლება აქვს მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატს და რისი – არა.

შტაბში, ჩემს ოთახში ვზივარ, სამოქმედო გეგმებს ვამუშავებ და უცებ ერთ-ერთი აგიტატორი აქოშინებული შემოვარდა:

– ბატონო ვალერი, ახლახან ხალხის ლაპარაკს მოვკარი ყური – „დემოკრატები" „ცოცხალს" არიგებენო.

ხაშურში „ცოცხალი" არავის უკვირს, დიდი რაოდენობით იჭერენ, მაგრამ დარიგება, კაცო?!

– რას ამბობს, ტყუილი იქნება, – არ დავუჯერე.

– იქნებ გადაგემოწმებინათ? – წამოაყენა იდეა.



მაშინვე ჩემი საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელს დავურეკე:

– „დემოკრატები" „ცოცხალს" მართლა არიგებენ?

– კი, არიგებენ, მეც შემხვდა, აგერ მიდევს მაგიდაზე.

– მერე, სირცხვილით მაგას როგორ მეუბნები, ბიჭო? – გამოვედი მოთმინებიდან.

– ბატონო ვალერი, ხომ უნდა გავიგო, რა მეთოდებით იბრძვიან? – დაიბნა.

– თუ არ შეჭამე, ისე ვერ გაიგებ?

– შეჭმა რა შუაშია, – ჩაფიქრდა და სიცილი დაიწყო, – გეშლებათ, „ცოცხალი" თევზი კი არა, „დემოკრატების" გამოშვებული გაზეთის სახელია...

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

**გოგი ლორთქიფანიძე:**

მაგარი აჯაფსანდალი იქნება... პოლიტიკური რა თქმა უნდა... არცერთს არ ვაძლევ ხმას და არ მივდივარ არჩევნებზე ჯამურად 20 - 25 %-ი მაინც იქნება.... ამ ფონზე მხოლოდ მკვეთრად დაფიქსირებული პოზიციების მქონე პოლიტიკური ძალა თუ მიიღებს რაიმე ხმებს... ისე კი რეალურად ყველაფერი იქეთ მიდის, რომ ისევ 2 ძალა დარჩება პარლამენტში თუ ამ აჯაფსანდალს მიღმა არ გამოჩნდა ვინმე...

ირინა სარიშვილი: აჩვენეთ ივანიშვილი მსოფლიოს და საქართველოსთან ომი აღარ იქნება — უბრალოდ გადაგვხურავენ, სანამ ჩვენით ამოვწყდებით.

სოსო წულაია - აჩვენეთ სარიშვილი მამაკაცებს და ქალი აღარასდროს არ მოუნდებათ?



# „როგორც ვატყობ, რაც ეს ბიძინა მოვიდა, ხალხიც, თითქოს, უკმაყოფილოა... ემდურიან ბიძინას, არ დაგვეხმარა, მოგვატყუაო და რა ვიცი...“



## ,,არის ხოლმე, როდესაც დღეში არაფერი მრჩება“




ნინო ლაზარტყავა

571 99-92-33


**ჩვენს ქვეყანაში მეორად ტანსაცმელზე მოთხოვნა ყოველთვის დიდია და „მეორადებში“, ალბათ, ბევრს ერთხელ მაინც შეუძენია რამე რამდენიმე ლარად. ამ ბაზარზე კონკურენციაც დიდია — თბილისში ქუჩას ვერ ნახავთ, ერთი ასეთი მაღაზია მაინც რომ არ იყოს. ერთია მაღაზიები, მეორეა — ქუჩა, სადაც, ასევე, შეგიძლიათ, ასეთი ტანსაცმელი შეიძინოთ და ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი სწორედ ქუჩაში, ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღნიშნული საქონლით ნებისმიერ ამინდში, დილიდან საღამომდე ვაჭრობს. ქალბატონი მაია ლომიძე, რომელიც მწირი ფინანსური შემოსავლების მიუხედავად არაჩვეულებრივად გამოიყურება, ინტერვიუზე უყოყმანოდ დამთანხმდა:**

**— დიდი ხანია, რაც აქ დგახართ? და რატომ გადაწყვიტეთ ქუჩაში მეორადი ტანსაცმლის გაყიდვა?**

– ერთი ათი წელია უკვე, რაც აქ ვდგავარ. გამიჭირდა ცხოვრება, არ არის სხვა სამსახური და დავდექი აქ, რომ პურის ფული ვიშოვო.

**— მეორად ტანსაცმელს სად იღებთ ხოლმე? და რა ფასში?**

– მაღაზია არის, სადაც ფუთებია და იქიდან ამომაქვს. ერთი ფუთა ხან 200 ლარი ღირს, 500-ლარიანიც არის და 1 000 ლარიანიც, რომელიც იაფია, ის მოგვაქვს გასაყიდად, მაგრამ დიდად არ იყიდება, ხალხს 10 და 5 ლარი ეძვირება და არ ყიდულობს.

**— ზოგ ტანსაცმელზე 1 ლარიც გიწერიათ და მათი ყიდვაც უჭირთ?**

– ეს ერთლარიანიც რთულად იყიდება, ხანდახან გვიან თუ რაღაც გაიყიდება ხოლმე. საერთოდ, დილიდან გამოვდივარ, მაგრამ ჩემი ნებაა, როცა მინდა მაშინ მოვალ, ღამის 9-10 საათამდე აქ ვდგავარ და ვმუშაობ.

**— აქ დგომაში რაიმე გადასახადს თუ იხდით? პრინციპში, ეს საქმიანობა გარევაჭრობად ითვლება, ხომ?**

– კი, გარევაჭრობაა და ჯერჯერობით არაფერს არ ვიხდი, ვინმე რომ გვაწუხებდეს გადასახდელში – არა. ვთქვათ, თუ ღამე აქ ვტოვებ საქონელს, ცელოფნით ვფუთავ და დაცვა უგდებს ყურს, რომელსაც შეიძლება ხუთი ლარი მისცე, მაგრამ შეწუხებით არავინ გვაწუხებს.

თუ პატრულები მოვლენ და აგვიკრძალავენ ვაჭრობას, შეგვიძლია ავიყაროთ, დაბლა „პადზემკაში“ ჩავიდეთ და იქ ვივაჭროთ, იქ კიდევ გადასახდელებია და ვერ ვიხდით. ახლა თავისუფლებაა და აქ დგომას არ გვიშლიან, მაგრამ ამბობენ, 8 ოქტომბრის შემდეგ უნდა დაიწყონ გარემოვაჭრეების აყრაო და ვნახოთ, რა იქნება. ვერ შევეპუებით, მაგრამ ჯარიმებია მერე, დაჭერებია, ნერვების შლა, ჩხუბი და მინდა, რომ ყველაფერი კარგად იყოს.

**— აქამდე თუ მოსულან ხოლმე, აიღეთ ეს ყველაფერიო?**

– კი, მოსულან, აგვიღია კიდეც და გავჩერებულვართ. ან ვთქვათ, გადავაფარებთ საქონელს რამეს, გვერდზე მივდგებით, დავიმალებით... იმათაც თავისი სამსახური აქვთ, უფროსი ავალებს და ვერ ეჩხუბები, დავალება აქვთ ასეთი და... ჩხუბითაც რომ არაფერი გამოდის, ამაშია საქმე.

**— თქვენი შემოსავალი დღეში როგორია? რამდენი გრჩებათ ხოლმე საშუალოდ?**

– არის ხოლმე, როდესაც დღეში არაფერი მრჩება, მაგრამ ხანდახან 40-50 ლარიც დამრჩენია... მოდიან, კითხულობენ ფასს და მიდიან. საჭმელი რომ ვჭამოთ, მარტო ამდენი რჩება.

**— ისე, თქვენი ბავშვობის ოცნება რა იყო?**

– მინდოდა, ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ მშობლებზე ძალიან მწყდება გული, რომ ხელი არ შემიწყვეს ამ ამბავში და არ შემისრულეს.

**— თქვენს ოჯახზე რას მეტყვით?**

– მყავს ორი შვილი, ქარელის რაიონში არიან, ქმარიც იქ ცხოვრობს.

სოფელშიც დაძაბულობაა, ჩავდივარ ხოლმე, ბავშვებს რამეს თუ მივუტან. ხშირად ვერ მივდივარ, ისინიც ვერ მოდიან აქეთ, სოფელია და იქ მოსავალია, სამუშაოა... სოფელი რომ არ იყოს, ალბათ, ხალხი მშივრები დაიხოცებიან. აქაც მიჭირს ცხოვრება, იმდენი გასავალია ვერ აუდიხარ ადამიანი, თან მე არავინ არ მეხმარება.

**— ვაჭრობა როდის უფრო სარფიანი იყო, რას იტყვით?**

– ახლა ძალიან ცუდი ვითარებაა, რომ ვთქვა... ცუდად ხომ არ ვლაპარაკობ?...

**— არა, რას ამბობთ, გისმენთ...**

– ხალხიც დაიკარგა, არ დადის, ადრე უფრო იყო ვაჭრობა. მეშინია ხანდახან უფულობის...

**— როგორ ფიქრობთ, რისი ბრალია, რომ ხალხი აღარ დადის?**

– მე დოლარის გაძვირებას ვაბრალი და ფული გაქრა. ხალხიც გაქრა, ზოგი რაიონებში წავიდა, ზოგი საზღვარგარეთ, რადგან ვერ იხადეს გირა, ქირა, იქით ბანკის ვალები და ქალაქი დაიცალა.

**— დოლარი ცოტა კი დარეგულირდა ახლა...**

– ცოტა, მაგრამ მაინც არ შველის ეს... პირადად მე, ძალიან ვიღლები, უკვე ნევროზი მაქვს გაჩენილი. არადა, სისუფთავე, კარგ ფორმაში ყოფნა მიყვარს...

**— მართლაც ძალიან კარგად გამოიყურებით.**

– მადლობა (იღიმის). რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია, რასაც აქ ვშოულობ, ნახევარს სალონში ვტოვებ. ნებისმიერ შემთხვევაში, ქალი ფორმაში უნდა იყოს და შეძლებისდაგვარად კარგად გამოიყურებოდეს.

**— გეთანხმებით... ხომ არ გიფიქრიათ, შეგეცვალათ თქვენი საქმიანობა?**

– ვფიქრობ, მაგრამ ვიძახი – სად წავიდე, რა გავაკეთო? არ ვიცი, არეული მაქვს გონება.

**— საზღვარგარეთ წასვლაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

– არა, არასდროს, ვერ წავალ. არც არავინ მყავს უცხოეთში, არც ენა ვიცი და ვზივარ ასე. მირჩევნია, აქ ვიყო და ცოტა მქონდეს, ვიდრე იქ ბევრი ვიშოვო და ჩემი ქვეყნიდან, ოჯახისგან შორს ვიყო. ვერ გავჩერდები, მიჭირს.

**— რა პროფესიის ხართ?**

– ადრე, რუსული ფულები როცა იყო, რაიონში ბავშვებს სკოლაში ქართულ ენას ვასწავლიდი, მასწავლებელი ვიყავი, მაგრამ მერე ცხოვრება ამერია, შემამცირეს. ყოველთვის ახალგაზრდები უნდათ, ცოტა წლოვანი ხალხი აღარ და მეც ვერსად დავიწყე ისევ მასწავლებლად მუშაობა. ისე, საჩხერიდან ვარ წარმოშობით.

**— რა ხდება ბიძინა ივანიშვილის მხარეში? პირადად ხომ არ იცნობთ მას?**

– ჩემი და მაგის სოფელი ძალიან ახლოს არის, ჭორვილა და ჩემი სოფელია მერჯევი. ბიძინას ტელევიზორიდან ვიცნობ (იღიმის). მე რომ გავთხოვდი და არეულობა მოხდა, აქეთ რომ წამოვედი, ქარელში ვარ ჩაწერილი, საჩხერეში დედა მყავს, მძიმედ არის ავად, 87 წლის ქალია, უჭირს ცხოვრება და როცა ვახერხებ, მივდივარ ხოლმე. იქ დედაჩემთან ძმა მყავს,

ბიძინა ხალხს დაეხმარა ცოტა, სარეცხი „მაშინები“ დაარიგა, მაცივრები, გაზი... გააკეთა ბიძინამ გზები, „კრანები“ და წყალიც არის, დენიც, გაზიც და მადლობელი ვარ,

მიხარია რომ ჩავდივარ ხოლმე და დედაჩემს თავისუფლად ვუვლი... (ქალბატონ მაიას ამ დროს ცრემლები წამოუვიდა და მომიბოდიშა, დედაზე როცა ვსაუბრობ სულ ასე მომდის, დედა ტკბილია, არაფერში მეხმარება, მაგრამ, რომ სუნთქავს და ცოცხალია, დედაა და მინდა, კიდევ დიდხანს იცოცხლოსო)...

**— ღმერთმა ქნას... ქალბატონო მაია, პოლიტიკაში თუ ხართ ჩახედული?**

– პოლიტიკაში ძალიან ბევრს ვერ ვერკვევი, მაგრამ რაღაცებზე კი მაქვს ჩემი აზრი. დილით „კურიერს“ რომ ვუყურებ, ახალ ამბებს ვუსმენ და ყველაფერი უკვე ვიცი. არ მინდა ცუდად გამომივიდეს, ბიძინას დავიცავ და მიშა არ გვინდა-თქო, ვერ ვიტყვი. მე როგორც ვატყობ, რაც ეს ბიძინა მოვიდა, ხალხიც, თითქოს, უკმაყოფილოა – შეგვპირდა, თანხებს მოგვცემსო, სამსახურებს დავიწყებდითო, მაგრამ არაფერი არ არის. ემდურიან ბიძინას, არ დაგვეხმარა, მოგვატყუაო და რა ვიცი...

**— გაგიცრუვდათ იმედები?**

– ხო, რაღაც გაგვიცრუა იმედები. მიშას დროს, თითქოს, ვითომ რაღაც იყო ხალხისთვის, მინიმალური. თუ ხალხი არ შემოვიდა საყიდლად, იდექი და იყავი.

აქ ნებისმიერ ამინდში ვარ, „ტავარიც“ სველდება ხოლმე წვიმაში და ძნელია. ძალიან მინდა, ქვეყანაში ყველაფერი დალაგდეს და ხალხს ელემენტარული, ნორმალური ცხოვრების საშუალება ჰქონდეს, მაგრამ რა იქნება წინ, ეს არავინ იცის...

## Facebook ამბები



**თამაზ მეჭიაური** ლევან ბერძენიშვილის განცხადებას: „კაცი თავისთვის იჯდა, მაწონს ჭამდა და უცებ პარტია გააკეთა“, ეხმაურება:

ამ დროს, მაწონი ცხოვრებაში არ მიჭამია))))



**სანდრო ბრეგაძე**

სასიხარულო ამბავი, ჩვენმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო ---დღეს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და დაარეგისტრირა სარეფერენდუმო კითხვა---"თანახმა ხართ თუ არა,რომ სამოქალაქო ქორწინება განისაზღვროს, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის". ახლა გვჭირდება 200000ხელმოწერა რათა 2016წლის 8 ოქტომბრის არჩევნების დღეს რეფერენდუმით საქართველოს მოსახლეობამ კატეგორიული და სამუდამო უარი უთხრას ე.წ.ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. რამდენიმე წინადადებით ვერ აღვწერ თუ რა სიძნელეები შეგვხვდა ამ გზაზე,თუ რამდენი უცხოელი თუ ქართველი ქართველთმოძულის გააფრთრებული წინააღმდეგობა გადავლახეთ. ახლა ბურთი და მოედანი ჩვენს ხელშია.მაშინ როდესაც მინისტრთა კაბინეტიდან გადავდექი შეგპირდით რომ დაწყებულ ბრძოლას ბოლომდე მივიყვანდი, ახლა მხოლოდ ხელმოწერებიღა დაგვრჩა გამარჯვების მოსაპოვებლად.დიდი იმედი მაქვს თქვენი თანადგომის, ხოლო ყველა იმ პირს რომლებიც ჩემს მეგობრებში ხართ და არ გსურთ ამ მამულიშვილურ საქმეში მონაწილეობა გთხოვთ დატოვოთ ჩემი მეგობრების რიგები. ჩვენთან არს ღმერთი!!!!!!!!!!!!!!!!!!!!



**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

ალეკო ელისაშვილი აქამდე იყო ნული, ეხლა გადავიდა მინუსებში. ეს კაცი არის პოპულისტი, რომელმაც უკვე დაასრულა თავისი მოღვაწეობა. წადი ისევ იმ დუქანში და იყავი იქ.



**თამარა ჩერგოლეიშვილი:**

დღის ანეკდოტი - ალასანიამ შტაბის უფროსად ცაგარეიშვილი დანიშნა. ბაჯაღლო ამბავია.




**ცოტნე გამსახურდია** - ირინა სარიშვილზე:

კაგებეს ბებერი აგენტურა თავს არ გვავიწყებს)) სარკე რომ მიაწოდოს ვინმემ, არ შეიძლება?

**ირინა სარიშვილი** - კაცი, რომელიც ამ შემთხვევაში ივანიშვილის, მაგრამ ზოგადად ვისიც არ უნდა იყოს, გარეგნობაზე და პირად ცხოვრებაზე შეხების გარეშე კრიტიკის ან გაშარჟების გამო ყველანაირ სისაძაგლეს კადრულობს და სხვებსაც იწვევს ამ სიბინძურის გასავრცელებლად, თან თვითონ თავისივე პროვოცირებულ კომენტარებს ჩუმად აკვირდება და სიამოვნებით კრუტუნებს (მიხვდით ალბათ ამ მოქმედებას უფრო მოკლედ რაც ეწოდება), ასეთი არსება კაცი არ არის, ვისი შვილი, შვილიშვილიც და საერთოდ ვინც არ უნდა იყოს ის!

ის იმ "კაცუნებზე" და "ვაიქალებზე" უარესია ვისაც ამ გზით პირად შეურაცხყოფას აყენებინებს ვისი მისამართითაც არ უნდა იყოს!

შევაგინებდი ასეთ კაცს დედას, მაგრამ ურთმელიძის არ იყოს, დედას არ ცნობს! უფრო მეტიც, ის უფრო შორს წავიდა და არც ძმებს ცნობს! (პირადს არ ვეხები ამის თქმით — მას საჯაროდ აქვს ეს განცხადებული).

მოკლედ როგორც არის რა...

მე არაკაცებთან საქმე არ მაქვს და არც სხვებს ვურჩევ!

ისინი საკუთარ თავს და მეგობრებს აყენებენ ასეთი საქციელით შეურაცხყოფას, თორემ მე არაფერი არც მომემატება და არც დამაკლდება არც გარეგნობაზე და არც ჭკუაზე.

პ.ს. სალოლ ბიძინა ივანიშვილო! ეს რამდენი ნაგავი გვყოლია ქვეყანაში და არ ვიცოდით... რამდენი ვინმე გამოამჟღავნეთ თქვენდაუნებურად...

აი თქვენზეა ნათქვამი — ზოგი ჭირი მარგებელიაო!

სტატუსი: უხსენებლები



**გიორგი გუგავა:**

გახშირებულმა წვიმება საქართველოში სოკოების ნაცვლად ახალი პარტიები ალმოაცენა))))

*გელა ზედელაშვილი*
*555 48-48-61*



## ,,ივანიშვილმა გაშალა კვლავ მაგიდაზე კარტია, ბევრს სოლოლაკში ჰგონია ქრისტეს ჯვარი და კვართია. სხედან და სიებს ადგენენ, ქვეყანა უკვე მათია“





არა, ეს ქვეყანა კი არა, ცირკია... თუმცა რა ცირკი, იქ ხომ სიტუაცია საათივით არის აწყობილი? საკმარისია, კლოუნს, ან ცხოველების მომთვინიერებელს რამე შეეშალოს, ეგრევე უბედურება დატრიალდება. აქ, ჩვენთან, არანაირი კანონზომიერება არ მოქმედებს, „მომთვინიერებელს“ ბევრი რამე ეშლება და ამის გამო ზოგი თავს იკლავს, ზოგი სხვას კლავს, ძარცვავს, მაიმუნობს, ჩათლახობს, ბოზობს, მაგრამ პასუხს მაინც არ აგებს. ცირკში თოკზე მოქანავე ადამიანი ძირს რომ დაენარცხოს, დირექტორს ჯვარზე გააკრავენ. ამიტომაც იქ ასეთი რაღაცები იშვიათად ხდება. ჩვენთან ძალიან ბევრი დირექტორია... ვინც არ არის, იმასაც უნდა, რომ დირექტორი გახდეს. ამისთვის რა არის საჭირო? რა თქმა უნდა, პარტიის შექმნა. დღეს საქართველოში 300-მდე პარტიაა, ეს მაინც არ გვყოფნის, ახალი გვინდა, რათა ახლებურად წარმოვჩინდეთ და ხალხი დავაბოლოთ. არჩევნები ახლოვდება, უნდა მოვასწროთ, დავარეგისტრიროთ, მერე პრეზენტაცია გავმართოთ, რამდენიმე ჩამოზეთილი პიროვნება წარმოვადგინოთ და ახალი სახეები ვუწოდოთ. არა, ძველები არიან, 20-25 წლის წინაც (შეიძლება უფრო ადრეც) გვინახავს სადღაც, მაგრამ თუ ახალი სათაურის ქვეშ შევფუთავთ კარგად და ერთ ადგილასაც ჭრელ ბანტს შევაბამთ, ბევრს ახალი სახე ეგონება. ეს ჩვენ გვახსოვს ზოგიერთი, თორემ თაობა წამოვიდა, გონზე არ არის – აბა, 20-25 წლის ახალგაზრდამ რა იცის, ვინ იყო და რას აკეთებდა, მაგალითად, ბლაჭიაშვილი კაკო მე-20 საუკუნის დასასრულს? მოკლედ, ბევრი ვიფიქრე, როგორ გამომელვიძებინა ჩვენი მოსახლეობა და ისევ ლექსის ფორმა გამოვიყენე:

**„ამ კვირას თათარიახნად**
**შევქმენით ხუთი პარტია,**
**ჩამოწერილებს ხელახლა**
**ყ...ზე შევაბით ბანტია.**
**თაღლითებს მხრებზე მოვასხით**
**კვლავ წამებულთა მანტია,**
**ივნისში ისე აცივდა,**
**მგონი, დაგვიდგა მარტია.**
**ლაყე კვერცხიდან გამოდის**
**ჩვენთან „წმინდანი“ ბარტყია,**
**ზოგს თავზე ნეხვის მაგივრად**
**შარავანდედი არტყია.**
**ბატები წერენ კოდექსებს,**
**ინდაური ქმნის ქარტიას,**
**სტალინის ძეგლსაც აღვადგენთ,**
**ტაშს გვიკრავს შიდა ქართლია.**
**ივანიშვილმა გაშალა**
**კვლავ მაგიდაზე კარტია,**
**ბევრს სოლოლაკში ჰგონია**
**ქრისტეს ჯვარი და კვართია.**
**სხედან და სიებს ადგენენ,**
**ქვეყანა უკვე მათია,**
**კურსს იცვლის თურმე ყოველდღე**
**„ალასას“ ცოლი ნათია.**
**მოდის და მოდის, იქმნება**
**ახალ-ახალი პარტია,**
**კლიმაქსიანებს შეაბეს**
**ყვერებზე ჭრელი ბანტია.**
**ყველა ერთ ხმაში უბერავს,**
**თავს ადრის ცოტნე დადიანს,**
**პოლიტსცენაზე ღრეობენ,**
**ვერავის ვხედავ დარდიანს.**
**ჩვენ ამ დილითაც შევქმენით**
**დარდიმანდების პარტია,**
**ხვალ ასპარეზზე გამოვა**
**ჩუტრუკთა დიდი გვარდია“!**

მთავარია, შექმნა პარტია, ანუ მოაგროვო 25 ათასი ხელმოწერა, მიიტანო ცესკოში და დანარჩენი ტექნიკის საკითხია, თუ ფანტაზიის უნარი გაქვს, რაღაცას გაახერხებ... მაგალითად, შეგიძლია, წალკაში ექსკურსიაზე წაყვანილი ბავშვები მოაბრუნო, რუსთაველზე ჩოკინებივით ჩაამწკრივო, ხელში დროშები დააჭერინო და შენს მხარდამჭერებად გამოაცხადო. თუ იწვიმებს, არაუშავს, მალე გადაიღებს. აი, ზუსტად ასე გააკეთა ამ დღეებში გიორგი ვაშაძემ. მერე, ამ ვირეშმაკობისთვის და ბავშვების „გატაცებისთვის“ ვინმე დაისაჯა? არა! რატომ? იმიტომ, რომ ვაშაძე მაინც „ნაციონალია“ და დაკითხვაზე რომ წაიყვანონ, ატეხს ერთ ამბავს, ეს პოლიტიკური ზეწოლააო. გამოვა პრეზიდენტი და იტყვის, ეგრეაო. გამოვა პრემიერი და ზომიერად იტყვის, თან ეგრეა, თან არაო. არადა, ფაქტია, საქმე გვაქვს გატაცებასთან... მე შვილი ექსკურსიაზე გავუშვა და შენ რუსთაველზე დააყენო სირმანჯოსავით, ეგრე სად არი?! უკაცრავად და ჩვენი ე.წ. პოლიტიკური ლიდერები ძალიან ჰგვანან ბოზ ქალებს და იხატება ზუსტად ისეთი სურათი, როგორც ტარიელ ჭანტურია აღწერს თავის ლექსში:

**„მღვდელი ამბობს:**
**— სულიწმინდა!**
**ქალი ამბობს:**
**— სულ ის მინდა!**
**— შვილო ჩემო,**
**სულიწმინდა!**
**— რა ვქნა, მღვდელო,**
**სულ ის მინდა“!..**

ესე იგი, ჩვენ ამათ ვეუბნებით, აზრზე მოდით, ნუ გვატყუებთ, აღარ დაგიჯერებთო და მაინც იძახიან, სულ ის გვინდაო! დიახ, სულ ის უნდათ – საარჩევნოდ ხმები, პარლამენტში შეძრომის შემდეგ ყმები, კაი ცხოვრება და გრიალი. სულ ეგ უნდათ, რატომაც არ ენდომებათ, სინდისი შეაწუხებთ, მამულზე ფიქრი თუ ნამუსი?!

ჰო, ისე, პოლიტიკა ხაშსაც ჰგავს, თუ როგორმე არჩევნებში გაძვერი, მერე უფრო ტკბილია. ამბობენ, ხაში მეორე დღეს უფრო უკეთესიაო!

## ჩვენ, პოეტები საქართველოს!



Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

**ზურა ჯამბურია:**

გარკვეული იმედი გაჩნდა განათლების ახალ მინისტრთან დაკავშირებით (ეტყობა, გამოუსწორებელი ოპტიმისტები ვართ. და მაინც). ბატონო მინისტრო! ყველაზე საშური საქმე დღეს არის ყოვლად გაუგებარი და გაუმართლებელი სქემის გაუქმება, რომელიც, სხვათა შორის, შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი იყოს იმისა, რომ წელს ყველაზე მეტი ჩაჭრილი მოსწავლე გვყავს "კატ"-ასტროფულ გამოცდებზე (მასწავლებლებს სქემის გამო საქმისთვის აღარ სცალიათ), რომელიც ასევე სასწრაფოდ გასაუქმებელია. დღეს ჩვენი განათლების სისტემა იმ დონეზე იმყოფება, რომ მთავარია დამახსოვრებით სწავლებიდან გადავიდეთ გააზრებულ სწავლებაზე. ამაში ჭირდებათ მასწავლებლებს დახმარება და არა რაღაც სქემაში ჩართვა-გამორთვა."კატის" გამოცდა კი აიძულებს მასწავლებლებს, რომელთა უმრავლესობასაც ისედაც ძველი ხედვა აქვთ, აზუთხინონ მოსწავლეებს რაღაც ინფორმაციები, რაც აჩლუნგებს მოსწავლეთა აზროვნებას.



## 13 – 19 ივნისის ჰოროსკოპი

კვირის ჰოროსკოპი... კვირის ჰოროსკოპი...

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული –** პირადი ცხოვრება მოსვენების საშუალებას არ მოგცემთ. ერთი ეგ არის, შესაძლოა, იყოთ რომანის არა უშუალო მონაწილე, არამედ ადამიანი, რომელიც სხვას თანაუგრძნობს, მხარს უჭერს და რჩევებს აძლევს. თუკი პარტნიორს ჯერ ისევ ეძებთ, ყურადღება მიაქციეთ კოლეგებს, რომლებთანაც ხშირი შეხება გაქვთ. უახლოეს მომავალში ბევრად დიდია შანსი, სამსახურებრივი რომანი გააბათ, ვიდრე სხვა და მით უმეტეს, საკურორტო.

**სამსახური –** მოემზადეთ შემოწმებებისთვის, მოაწესრიგეთ ყველა დოკუმენტი.

**სასიკეთო დღეები:** 14 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 17, 18 ივნისი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული –** მიმდინარე კვირას ძალიან საინტერესოდ გაატარებთ. თუმცა შედეგად ვერ მიიღებთ გარანტიებს, რომ ახლად გაცნობილი ადამიანი სწორედ ის ერთადერთია. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი ურთიერთობის აფიშირება არ ღირს, რათა შემდეგ თავის მართლება არ მოგიწიოთ. ახლობელი ადამიანები, რაღა თქმა უნდა, გვერდში დაგიდგებიან, ყურადღებას გადაგატანინებენ, თუმცა ამის პარალელურად, დიდ ხმაურსაც ატეხენ.

**სამსახური –** შესანიშნავი მომენტია პრეზენტაციისთვის, რომელიც სასურველ შედეგს აუცილებლად მოგიტანთ.

**სასიკეთო დღეები:** 18, 19 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 13 ივნისი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული –** პირადი ცხოვრების თვალსაზრისით სექტემბერი მშვიდი თვე იქნება და გამონაკლისი არც მიმდინარე კვირაა. ალბათ, ახალი არაფერი იქნება, თუმცა მიმდინარე ურთიერთობა იმდენად გავსებთ, თავს მაინც გადასარევად იგრძნობთ. ის, რაც ადრე გამწარებდათ, ახლა უკვე მხოლოდ უმნიშვნელოდ შეგაწუხებთ. კარგს იზამთ, თუ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე იზრუნებთ და არც მშობლებს დაივიწყებთ.

**სამსახური –** თუ უძრავი ქონების შეძენას აპირებდით, დრო დადგა. შუამავლობისთვის პერიოდი არცთუ იდეალურია.

**სასიკეთო დღეები:** 13, 14 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 15 ივნისი.

## ანომალია



მაია იასეშვილი
599 94-64-58



# „გარდაცვლილთა სამყაროსთან იმდენად კარგი ურთიერთობა მაქვს, რომ ვნატრობ, ცოცხლებთან ვიყო ასე ჰარმონიულად“

**ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი ნინო გაფრინდაშვილი, ტექნიკური და სამედიცინო უნივერსიტეტების სტუდენტებს უკითხავს ინგლისურს. პროფესიულ საქმიანობაში დახარჯულს, წესით, ეზოთერული ლაბირინთებისთვის არ უნდა ეცალოს, მაგრამ მას ზემოდან“ დაევალა პარაფსიქოლოგიური საქმიანობა და მიენიჭა რენტგენული ხედვის უნარი.**



– 20 წლისას დამისვეს დიაგნოზი, რომლის განკურნებაც კლინიკური მედიცინით ვერ მოხერხდა. იმ პერიოდში ხელში ჩამივარდა ეზოთერული ლიტერატურა, საიდანაც გავიგე, რომ ამ დაავადების გამომწვევი შეიძლება ყოფილიყო კარმული, ან წინა ცხოვრებიდან გადმოსული მიზეზი და ტრადიციული მედიცინა ამის სამკურნალოდ უძლურია და ალტერნატიული გზებია საჭირო. სწორედ ამიტომ, პირადი ჰოროსკოპის შესადგენად მივმართე საქართველოში მოღვაწე თითქმის ყველა ასტროლოგს. როცა გავიგე ჩემი პოტენციალის, მესამე თვალის“ ამოქმედების შესახებ, შევადგინე პირადი ჰოროსკოპი, ჩემი ნათანური რუკის შედგენისას გაირკვა, რომ ჩემში იყო ფენომენალური შესაძლებლობები, რომელიც მოცემული დროის მონაკვეთში ამოქმედდებოდა. ეს ტენდენცია დააფიქსირა თითქმის ყველა ასტროლოგმა, რომელმაც ჩემი პირადი ჰოროსკოპი შეადგინა, რაც არადამაჯერებლად მომეჩვენა და ეჭვქვეშ დავაყენე მათი პროფესიონალიზმი. 2006 წლიდან დამეწყო ხილვები და მომეცა რენტგენული ხედვის უნარი, ამ ყველაფერს წინ უძღოდა ძლიერი სტრესი. ერთ დღეს სხეულზე უცნაური ვიბრაცია ვიგრძენი, რაღაც სკაფანდრის მსგავსი გაიშალა ჩემში და რენტგენული ხედვის უნარი გაიხსნა. ამ დღის შემდეგ ზუსტად შემიძლია ადამიანის ჯანმრთელობისა და სულიერი დიაგნოსტიკა. ვხედავ პრობლემის გამომწვევ მიზეზს და მისი მოგვარების გზებს. ზოგჯერ ადამიანის მდგომარეობას ვარკვევ მისი აურის ფერთა გამის მიხედვით, უფრო ხშირად კინოკადრებივით ვხედავ ადამიანის ცხოვრებას დროის სამივე განზომილებაში. ამ ინფორმაციებისა და ჩემი შესაძლებლობების შესახებ დიდხანს ვდუმდი, პირველად ექსპერიმენტებს ახლობლებზე ვატარებდი, ახლა კი უპასუხო შეკითხვა ჩემთვის აღარ არსებობს. ნათელმხილველის იარლიყი არასდროს მდომებია, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი საქმიანობა ჩვენს ნებასურვილზე არ არის დამოკიდებული. როგორც ასტროლოგებმა მითხრეს, ადამიანების დახმარება ჩემი კარმული მისიაა და ალბათ, მმართებს ამ მისიის შესრულება. ამიტომაც უარს არ ვამბობ იმ ადამიანთა დახმარებაზე, ვისაც ჩემი შესაძლებლობების სჯერა. მას შემდეგ, რაც ეს უნარი მომენიჭა, მონასტერში ვიცხოვრე დედებთან ერთად. მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ უნარი, რომელიც მივიღე, ღვთისგან იყო და არა ბოროტისგან და დედებს ვთხოვდი, ჩემთან ერთად ელოცათ ჩემი უნარის დაკარგვისთვის. უნარი უფრო გამიძლიერდა და დავრწმუნდი, ჩემს შესაძლებლობებში ბოროტი ძალები არ იყო ჩარეული. ორჯერ მქონდა ბერი გაბრიელისა და სხვა წმინდანების გამოცხადება. გარდაცვლილთა სამყაროსთან იმდენად კარგი ურთიერთობა მაქვს, რომ ვნატრობ, ცოცხლებთან ვიყო ასე ჰარმონიულად.

**— თქვენზე მსმენია, კლინიკური სიკვდილი გადაგიტანიათ, რა ნახეთ?**

– ეს კლინიკური სიკვდილი არ იყო, ეს იყო ტრანსში ყოფნა. ქუჩაში მიმავალი უცბად აღმოვჩნდი დიდი გალავნით გარშემორტყმული ადგილის წინ, ეს იყო ხილვა. გალავანს ჰქონდა ჭიშკარი, ხალხი რიგში იდგა. უცებ ჭიშკარი გაიღო და რიგში დგომის გარეშე აღმოვჩნდი შიგნით, სადაც შავოსანი ქალი დამიხვდა და მეგზურობა შემომთავაზა. ზემოთ მიმავალ გზას დავადექი იმ ქალთან ერთად, კარგახანს ვიმგზავრეთ, სანამ არ მივადექით ხასხასა მდელოს. თბილი ამინდი იყო, ირგვლივ ხალხი ჩანდა, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ყველა თავის მოსავალს იმკიდა. თითქმის ერთნაირი ტანსაცმელი ეცვათ. ეს სივრცე იყო უკიდეგანო, მარჯვნივ გავიხედე და გავოცდი, გვერდით იდგა გრემის მთავარანგელოზის ეკლესია. ცოტა ხანში უკან დაბრუნება გადავწყვიტე. უცებ გაწყდა კავშირი ხილულსა და მიღმიერ სამყაროს შორის. როცა მწვერვალიდან ჩამოვედი, იქ დამხვდა ჩემი მეგზური და ჩემი ნახვა ძალიან გაუხარდა. ამ ხილვის შემდეგ ახალმა ნიჭმა გაიღვიძა ჩემში, შემიძლია, ვირტუალურად შევიგრძნო და გავიგო, რა სულიერ მდგომარეობაში იმყოფება ნებისმიერი ადამიანი. ზოგადად, ამ ხილვის შემდეგ ჩემთვის პასუხგაუცემელი კითხვები არ არსებობს, შევდივარ ადამიანის საინფორმაციო ველში და შემიძლია, გავცე პასუხი ნებისმიერ კითხვას. შემდეგ ჩემი ხილვების სამყაროს არ დავჯერდი და ინტენსიურად დავიწყე ეზოთერული ლიტერატურის კვლევა-ძიება, ამ სახელმძღვანელოებში აღწერილია ისეთი ფაქტები და მოვლენები, რაც წიგნის გარეშეც მეწოდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ფენომენით დაჯილდოებული ადამიანები ჯერ კიდევ ჩრდილში დგანან, მაინც უამრავი ექსპერიმენტის ჩატარება დამჭირდა. რამდენიმე დღის წინ მომიწია ჩემი შესაძლებლობების დემონსტრირება. ერთ-ერთ შოუმენს დავურეკე და შევთავაზე ექსპერიმენტებში მონაწილეობა. თურმე იმ დღეებში მზადდებოდა გადაცემა და იმავე დღეს გამომიგზავნეს გადამღები ჯგუფი.

> **„ერთ დღეს სხეულზე უცნაური ვიბრაცია ვიგრძენი, რაღაც სკაფანდრის მსგავსი გაიშალა ჩემში და რენტგენული ხედვის უნარი გაიხსნა“**

**— თქვენ ხომ სამედიცინო განათლება არ გაქვთ, რატომ ენდობით თქვენს დიაგნოზებს?**

– მკურნალობას არავის ვუნიშნავ, რასაც ვხედავ, იმას ვამბობ და როცა შემდეგ ადამიანები გამოკვლევებზე მიდიან და ამოწმებენ იმ ორგანოებს, რომელზეც მივუთითე, გაოცებული რჩებიან ჩემი უტყუარი დიაგნოსტიკით. რა თქმა უნდა, დაავადებების მკურნალობაც ვიცი, მაგრამ დროის სიმცირის გამო ექიმის კომპეტენციაში არ ვერევი. მაშინ ვკიდებ ხელს პაციენტს, როცა დაავადება კარმულია და სხვა ეზოთერული მეთოდები სჭირდება გამოჯანმრთელებისთვის. გარდა ამისა, ვიგებ ადამიანის კარმულ მისიას და სწორ გზაზე ვაყენებ მათ. შემიძლია, ნებისმიერი ადამიანის ბიოველში შეღწევა, მაგრამ ამას არ ვაკეთებ, შემოვიფარგლები იმით, რაც ჩემთან მოსულს აინტერესებს. არც ერთ ფენომენს არა აქვს ტელეპათიის გამოყენების უფლება, თუკი მის პაციენტს არ აინტერესებს. ჩემთან მოსულს ყველას ვუხსნი, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მის ქმედებას, მაგრამ მე არ მაქვს სხვის ცხოვრებაში ჩარევის უფლება და ყველა ადამიანი თვითონ აგებს პასუხს საკუთარ საქციელზე.



## 13 – 19 ივნისის ჰოროსკოპი

კვირის ჰოროსკოპი... კვირის ჰოროსკოპი...

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული –** ახალი ურთიერთობა გპირდებათ, რომ იქნება მსუბუქი, ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასეა. უპირატესობა მიანიჭეთ იმ პერსონებს, რომლებთანაც ურთიერთობა საინტერესოა, სასაუბრო არ გელევათ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ შესაძლოა, ამ კვირაში რაღაც-რაღაცები დაგავიწყდეთ, არ შეასრულოთ დაპირებები, რაც საერთო ჯამში, დადებით შედეგებს რაღა თქმა უნდა, არ მოგიტანთ.

**სამსახური –** კარგი პერიოდია მოლაპარაკებების წარმოებისთვის, საქმიანი მივლინებებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 15 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 18 ივნისი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული –** პირად ცხოვრებაში ცვლილებები არ შეინიშნება. მარტოხელებისთვის შემთხვევითი შეხვედრების გარდა, მოსალოდნელი არაფერია. დაოჯახებულთათვის ყველაფერი ძველებურად დარჩება და შესაძლოა, ცოტათი მოიწყინონ კიდეც. გამონაკლისია ის შემთხვევა, თუ პარტნიორს საკუთარი ბედი სულ ცოტა ხნის წინ დაუკავშირეთ. ასეთ შემთხვევაში, სექტემბერი ერთგვარი შემმოწმებელი იქნება და მიხვდებით, რამდენად სწორი გადაწყვეტილება გაქვთ მიღებული.

**სამსახური –** ხელსაყრელი მომენტია ბიზნესში ინვესტირებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 14 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 13 ივნისი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული –** ახალი ურთიერთობის წამოწყების შემთხვევაში, ნუ შეეცდებით, პარტნიორზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინოთ, საკუთარი თავი განსხვავებული კუთხით შესთავაზოთ. საქმე ისაა, რომ მიმდინარე თვეში ყოველგვარი დანამატების გარეშეც ძალიან მომხიბვლელი და სასურველი იქნებით. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიურპრიზები გელით: პაემნები, საჩუქრები, სერიოზული რომანი და მოკლედ, ყველაფერი, რაზეც გიოცნებიათ.

**სამსახური –** შეგიძლიათ, საკმაოდ საპასუხისმგებლო და რთული ნაბიჯები გადადგათ.

**სასიკეთო დღეები:** 13 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 19 ივნისი.

## 13 – 19 ივნისის ჰოროსკოპი



### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული** – ნუ იქნებით სკეპტიკურად განწყობილი ჟურნალ-გაზეთებში ამოკითხული ფსიქოლოგიური რჩევების მიმართ. რაც ოჯახურ ცხოვრებას ეხება, შესაძლოა, ეს რჩევები ზუსტადაც რომ მისწრება იყოს. გახსოვდეთ, თქვენი პრობლემები უნიკალური ნამდვილად არ არის და რაც მთავარია, არსებობს უამრავი საშუალება, რომელთა დახმარებითაც მათ წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება. უბრალოდ, შესაფერისი უნდა მოიძიოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უეცარმა ცვლილებებმა (და ყველაფერი სწორედ აქეთ მიდის) შესაძლოა, შოკურ მდგომარეობაში ჩაგაგდოთ.

**სამსახური** – საქმეები ისე არ წაგივათ, როგორც მოელოდით. კარგს იზამთ, თუ ცოტა ხნით დაისვენებთ.

**სასიკეთო დღეები:** 14 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 17 ივნისი.

### მორიელი 23.10-21.11



**სიყვარული** – ახალი ურთიერთობა საკმაოდ უჩვეულო იქნება. შესაძლოა, შეგიყვარდეთ ადამიანი, რომელიც ადრე გაღიზიანებდათ. არც ის არის გამორიცხული, მეგობრებთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. ასეა თუ ისე, მიმდინარე კვირა საინტერესო და სიურპრიზებით სავსე გექნებათ.

**სამსახური** – კონფლიქტების დრომ ჩაიარა. ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დაიწყეთ. მიუგდეთ ყური მეგობრებისა და კომპანიონების მოსაზრებებს. ბიზნესში მშვენიერ შედეგებს მიიღებთ.

**სასიკეთო დღეები:** 18, 19 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 13 ივნისი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული** – პირად ცხოვრებაში აუცილებელია სახლთან დისტანცირება. თუ ვინმეს შეხვდებით, ეს ნეიტრალურ ტერიტორიაზე უნდა მოხდეს და თანაც, ნათესავების გაცნობის გარეშე. არცთუ უპერსპექტივო იქნება რომანი, რომელსაც შორ მანძილზე გააბამთ, შეხვედრები კი მართალია, არცთუ ხშირი, მაგრამ საინტერესო და ამაღელვებელი იქნება.

**სამსახური** – შესაძლოა, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. თუ შეფი თავად ხართ, დაინდეთ ხელქვეითები, ნუ შეხვალთ მათთან კონფლიქტში, პატარა მიზეზების გამო.

**სასიკეთო დღეები:** 17, 18 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 14 ივნისი.





მაია იასეშვილი
599 94-64-58

# როგორ იცავს თავს ჯაბა კილაძე უარყოფითი ადამიანებისგან?

**რუბრიკის სტუმარია მსახიობი ჯაბა კილაძე.**

– ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, თანატოლებისგან თითქმის არაფრით გამოვირჩეოდი, მაგრამ რეჟისორი და მსახიობი მშობლების წყალობით არაჩვეულებრივ გარემოში გავიზარდე, მარჯანიშვილის თეატრის კულისებში. მეორე კლასში ვიყავი, მედეა კუჭუხიძის სპექტაკლში რომ დამაკავეს, ჩემს კოლეგა თამუნა ნიკოლაძესთან ერთად, რომელიც დღესაც ჩემთან ერთად დგას სცენაზე „თავისუფალ თეატრში“. ბავშვი თუ ერთხელ ეზიარა იმ მისტიკურ სამყაროს, რასაც თეატრი და მსახიობებთან სიახლოვე ჰქვია, გაუჭირდება ამ გარემოსგან თავის დაღწევა, ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. როცა სკოლა დავამთავრე და პროფესიის არჩევის დრო დადგა, მივხვდი, რომ შეცდომას დავუშვებდი, თუ თეატრალურ სამსახიობო ფაკულტეტზე არ ჩავაბარებდი. ჩავირიცხე და გიორგი შალუტაშვილის და ალეკო მახარობლიშვილის ჯგუფში მოვხვდი. მისტიკით დაინტერესება ღმერთის შეცნობის დროს გაჩნდა, სადაც პირველად დედამ წამიყვანა. ბავშვსაც მწამდა უფლის ყოვლისშემძლეობის, თუმცა ნამდვილი რწმენა ასაკში მოდის, ინფორმაციული შეცნობით და ცხოვრებაზე დაკვირვებით. ძალიან მომწონს ქრისტიანობა, სულიწმიდის რელიგია, რომელიც სიმშვიდეზე, სიყვარულსა და დათმობაზეა დაფუძნებული. ბევრს არა აქვს გაცნობიერებული, რა მოიაზრება ქრისტიანობაში, თავს მორწმუნე ადამიანად თვლის და რწმენის საპირისპიროდ ცხოვრობს. ჩემთვის რწმენა ნიშნავს ცხოვრების აღქმას მართლმადიდებლური კრიტერიუმებით.

**— როგორ ფიქრობთ, ჩვენს ბედს ჩვენ ვმართავთ თუ ზეძალა განაგებს ჩვენი ცხოვრების გზას?**

– წინასწარ განსაზღვრული სცენარით რომ ვითარდებოდეს ჩვენი ცხოვრების გზა, აზრს დაკარგავდა ადამიანის როლი საკუთარ ცხოვრებაში. ღმერთს მარიონეტებად არ გავუჩენივართ, ჩვენ ვირჩევთ ჩვენი ცხოვრების წესს, რაღაცაში გვიმართლებს, რაღაცაში – არა, მაგრამ არა მგონია, ეს ზებუნებრივის ბრალი იყოს, მგონია, რომ ჩვენი წარმატება თუ წარუმატებლობა იმ მიზეზშედეგობრივი კავშირის შედეგია, რასაც ჩვენი ცხოვრების წესი წარმოადგენს.

**— როგორ ფიქრობთ, რა მისიით შექმნა ღმერთმა ადამიანი და რა მიგაჩნიათ თქვენს მისიად?**



– შენი მისია იწყება იმ მომენტიდან, როცა იბადები და წინ მიდიხარ. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი მისიით, წინსვლით, ინტელექტუალური ძიებით, ადამიანის ამოცანა წინსვლასა და განუწყვეტლივ დინამიკაში ყოფნას უნდა წარმოადგენდეს. ბედნიერი ვარ იმით, რომ მეორე კურსიდანვე გამიმართლა, როგორც მსახიობს. „თავისუფალ თეატრში“ ვითამაშე დავით ბერიაშვილის სპექტაკლში „ჯინსების თაობა“, გეგა კობახიძის როლი შევასრულე. დღემდე აქტუალურია ეს სპექტაკლი. ძალიან მეამაყება, რომ ვარ მარჯანიშვილისა და თავისუფალი თეატრის დასის წევრი.

**— არსებობს აზრი, რომ ოცნება მატერიალიზდება. თვლით თუ არა თავს მეოცნებედ და აგცხადებიათ თუ არა ოცნებები?**

– არ ვარ მეოცნებე, მაქვს სურვილები, რის შესასრულებლადაც თავს არ ვზოგავ. ოცნება უაზროდ დროის კარგვა მგონია, დროს კი გაფრთხილება სჭირდება.

**— ყველაზე შთამბეჭდავი ემოცია რა იყო თქვენს ცხოვრებაში?**

– შვილის დაბადება და პირველი სპექტაკლი.

**— სიზმრებს თუ აქცევთ ყურადღებას?**

– არა, სიზმრებს არ ვაქცევ ყურადღებას. მიმაჩნია, რომ ის გვესიზმრება, რასაც ვფიქრობთ, რადგან ძილის დროს ტვინი აბსოლუტურ იზოლაციაში არ არის აზროვნებისგან. შეიძლება სიზმარმა ან დადებითი ემოცია მოგიტანოს, ან უსიამოვნო, მაგრამ სიზმრის ახსნა-გაანალიზებას არასდროს ვცდილობ.

**— მსახიობები მძაფრი ინტუიციით გამოირჩევით, თქვენ თუ გაქვთ არტისტული ინტუიცია?**

– ყოველთვის ვგრძნობ სცენაზე დარბაზში მყოფი მაყურებლის ენერგიას, თუმცა ცხოვრებაში ინტუიციაზე მეტად ლოგიკას ვეყრდნობი და ვენდობი, რადგან ზოგჯერ ინტუიცია ცდება.

**— ზოდიაქოთი ვინ ხართ და გაინტერესებთ თუ არა ასტროლოგია?**

– ზოდიაქოს ნიშნით ქალწული ვარ, მაინტერესებს ასტროლოგია, მაგრამ ჰოროსკოპზე დამოკიდებული არ ვარ. ჩემი ფსიქოპორტრეტი შეესაბამება ჩემს ზოდიაქოს ასტროლოგიურ დახასიათებას.

**— სცენაზე გასვლის წინ რაიმე რიტუალი ხომ არ გაქვთ, რაც წარმატებებში გეხმარებათ?**

– ეს არის ძალიან პირადული, რაზეც არ ღირს საუბარი. ეს შენია და საინტერესო არ არის არავისთვის. მგონია, რომ მაყურებელს მსახიობი აინტერესებს სცენაზე, კულისებს იქით კი ნაკლებად აინტერესებს, ან საერთოდ არა.

**— ნივთი თუ გაქვთ, რასაც საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებთ?**

– მაქვს სუვენირები, რაც საყვარელ ადამიანებს მახსენებს და კარგ მოგონებებთან მაკავშირებს, მაგრამ თილისმისა და ამულეტის შინაარსობრივი დატვირთვა არ აქვს ჩემთვის არც ერთ ნივთს.

**— ენერგოვამპირიზმისა და ენერგოზემოქმედების გჯერათ?**

– მჯერა და ძალიან მარტივად ვიცავ თავს ყველასგან, ვისთან ურთიერთობაც ჩემთვის საინტერესო და სასიამოვნო არ არის. ენერგოვამპირთა შეცნობა არ მიჭირს, ვიცი თავდაცვის მექანიზმი, ისიც ვიცი, როგორ უნდა ავიცილო უარყოფითი ენერგია, რომელიც ჩემკენ არის მომართული.

**— რის მიღებას ისურვებდით წუთისოფლისგან?**

– პირველ რიგში, რაც უკვე მივიღე, მადლიერი უნდა ვიყო, შენი გზა შენ თვითონ უნდა გააგრძელო. მე ვთვლი, რომ ვცხოვრობ არაჩვეულებრივ ქვეყანაში, რომელიც მდიდარია ნიჭიერი ადამიანებით. უბრალოდ, ამ უზარმაზარი ნიჭისა და ენერგიის სწორად მართვაა საჭირო, თუ ადამიანი ცდილობს, ისე იცხოვროს და იზრუნოს ქვეყანაზე, როგორც საკუთარ ოჯახზე, მაშინ აუცილებლად ეშველება ჩვენს ქვეყანას და ყველაზე მეტად ის მინდა, რომ ბედნიერი ადამიანებით იყო სავსე ჩვენი ქვეყანა.

## 13 – 19 ივნისის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული** – ოცნებები, განსაკუთრებით კი პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული, საერთო ჯამში, ოცნებებად დარჩება და ფრთებს მხოლოდ მცირე ნაწილს შეასხამთ. თუ ფიქრობთ, რომ ამჟამინდელ პარტნიორთან არცთუ კარგი ურთიერთობა გაქვთ, ყველაფერი გახუნდა, შეეცადეთ, მასთან ერთად სადმე გაემგზავროთ, დრო მხიარულად გაატაროთ – სცადეთ! არ არის გამორიცხული, გააბათ ურთიერთობა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სექსზე იქნება დაფუძნებული.

**სამსახური** – თუ გაქვთ საშუალება, საქმიანი მივლინებით საზღვარგარეთ გაემგზავროთ, წინ წარმატება და მნიშვნელოვანი კონტრაქტების გაფორმება გელით.

**სასიკეთო დღეები:** 13, 14 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 16 ივნისი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული** – სექტემბერმა შესაძლოა, განშორება მოგიტანოთ. არ არის გამორიცხული, ამის სურვილი საერთოდ არ გქონდეთ, მაგრამ, უბრალოდ, ასე მოხდება და მორჩა. ასევე, არ არის გამორიცხული, დაგეძაბოთ ურთიერთობა პარტნიორთან ფინანსურ და მატერიალურ სფეროებში. ამ პერიოდში შეთანხმების მიღწევა პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება. შეეცადეთ, სერიოზულ საუბრებს თავი მაქსიმალურად აარიდოთ.

**სამსახური** – უარი თქვით ყველაფერზე, რაც არ გჭირდებათ, მოიცილეთ ბალასტი, დახურეთ ბიზნესი, თუ შემოსავალი არ მოაქვს.

**სასიკეთო დღეები:** 15, 16 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 13 ივნისი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული** – დაივიწყეთ ეგოიზმისა და იმის შესახებ, რომ საკუთარ ინტერესებზე უნდა იზრუნოთ. ამ ეტაპზე საერთო ინტერესების სადარაჯოზე უნდა იდგეთ. პარტნიორს პრობლემები შეექმნება და ეს მაშინვე თქვენზე აისახება. აქედან გამომდინარე, მზად იყავით მსხვერპლის გაღებაზე და მაქსიმალურად მშვიდად თქვით უარი იმაზე, რაც ხელიდან გასხლტომას ლამობს.

**სამსახური** – ურთიერთობების გარკვევა გელით. შესაძლოა, საქმე სასამართლომდეც კი მივიდეს.

**სასიკეთო დღეები:** 13 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 19 ივნისი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. კედელში ჩადგ-მული კარადა
2. თბილისის ძველი უბანი
3. პოეტი აკაკი ...
4. ნივ-თიერება თამბა-ქოში
5. რაიმეზე ნომრის მინიჭება
6. მხატვარი ამედეო ...
7. კომ-პოზიტორი ... პაულსი
8. სანთლის მასალა
9. კონ-დახიანი მშვილდ-ისარი
10. „კუ-კარაჩა“ ინგა ...
11. მომ-ღერალი რაფაელა ...
12. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
13. გალაქ-ტიკა ანდრო-მედას ...
14. „... ვოდევი-ლები“
15. ჯემალ ჭკუასელის ანსამბლი
16. მწერალი გიორგი (გოგლა) ...
17. მდინარე ჩინეთში
18. სრული გამარ-ჯვება ძიუდოში
19. ბედი
20. ყველაზე მაღალი მწვერვალი
21. პლატონ სამანიშ-ვილის მამა
22. საუბარი
23. ხის ჯიში
24. ტენორი მარიო ...
25. მსახიობი ... გარსია
26. ჩანთო-სანი დათვი
27. ძვირფას-ბეწვიანი ცხოველი
28. ძვირფასი წითელი ქვა
29. პატარა სუვენირი მეხვზე
30. მომ-ღერალი ... პრესლი
31. საბჭოთა პერიოდის ხუთოსანი
32. გემის მზარეული
33. მომ-ღერალი ... პავლიაშ-ვილი
34. საყანედ გაჩეხილი ტყე
35. ქალაქი იაპონიაში
36. ადმი-რალი ჰორაციო ...
37. პოეტი ... ბარათაშ-ვილი
38. მენახირეს ჯოხი
39. ახალი წელი გურიაში
40. ლითონი
41. ტროპი-კული ნაყოფი
42. ლითონის ჩაფხუტი
43. ბოჭკო-ვანი მცენარე
44. ქიმიური ელემენტი
45. ნადი-რობის ქალღმერთი
46. კუნძული ინდონე-ზიაში
47. მხატვარი იოკო ...
48. ქალაქი დას. საქართ.
49. რა ქვეითდება მიდსის დროს
50. ხილი
51. ბრედ პიტი ფილმში
52. ამოსახ-ველებელი ნაყენი
53. საქორ-წილო მანქანა
54. მდინარე აფრიკაში
55. დიდი ჩაქუჩი
56. მეფის მხლებ-ლები
57. არქი-პელაგი გიგანტ. კუებით
58. მზის ღმერთი ..-რა
59. უკრაინის პარლა-მენტი
60. ხუთიანი ნარდში
61. მსახიობი ... ეკბერგი
62. ტროას ბერძ. სახელწ.
63. მგზავრის ადგილი ვაგონში
64. კათოლიკე მღვდელი
65. ფეხ-ბურთის „მეფე“
66. მომ-ღერალი მარია ...
67. რიცხვი ექვსი ნულით
68. ძლიერი ქარი
69. მოხარ-შული ზეთი
70. წყლის ტრანს-პორტი
71. შეძახილი ტკივი-ლისას
72. ჭადრაკის ფიგურა
73. ზღვის ცხოველი ნემსიანი ცხვირით
74. მხატვრის ფუნჯი
75. დასა-რტყამი საკრავი
76. საქმეში ჩადებული წილი
77. მსახიობი ... ბესინჯერი
78. ... მოგივა დავითაო
79. მსახ. ... დე მორნეი
80. „... და ჯულიეტა“
81. მწერალი მაქსიმ ...
82. თავის მოსაკვეთი მანქანა
83. პატარა მდინარე
84. ... დაკიდე-ბული ბაღები
85. „ნატ-ვრის ხე“ დაუშ-ვილი
86. ნაგვის ყუთი
87. ... ჩიბურდა-ნიძე
88. მსახიობი ... დანაუეი
89. შაბათ-საღამო
90. მსახიობი ჟან ...
91. სანტა კლაუსის მშობლ. მხარე
92. მუსლი-მანთა წმინდა ქალაქი
93. მსახიობი ... ჰოფმანი
94. ქიმიური ელემენტი
95. სიყვა-რულის ღმერთი ბიჭუნა
96. თავი-სუფალი სამუშაო ადგილი
97. სასოფლო სამეურნეო იარაღი
98. ვაჟიშ-ვილი
99. ადგილი თვალის ქვეშ
100. ბრონტე. „ჯეინ ...“
101. კრემიანი ნამცხვარი
102. ქალაქი საფრან-გეთში
103. ქალაქი საფრან-გეთში
104. ნაბიჯი ბალეტში
105. შინაური მტაცებ. ცხოველი
106. ხელის საგრი-ლებელი
107. სახოტბო ლექსი
108. რგოლე-ბიანი პლანეტა
109. სიმსივნის ფორმა
110. მან ააგო კიდო-ბანი
111. მწერალი ... ჩეხოვი
112. საქონლის სადგომი
113. იგავის ზნეო-ბრივი გაკვე-თილი
114. მუსიკალ. ინტერ-ვალი
115. მსახიობი ... ახეჯა-კოვა
116. სირაქ-ლემას სახეობა
117. პოეტი ... შევჩენკო
118. პატარა არხი
119. ქართ. ანბანის ბოლო ასო

პასუხები: 1. განჯინა; 2. აბანოთუბანი; 3. წერეთელი; 4. ნიკოტინი; 5. ნუმერაცია; 6. მოდილიანი; 7. რაიმონდ; 8. ცვილი; 9. არბალეტი; 10. ლალიაშვილი; 11. კარა; 12. ყირიმი; 13. ნისლეული; 14. ძველი; 15. „ერისიონი“; 16. ლეონიძე; 17. ხუანხე; 18. იპონი; 19. სვე; 20. ევერესტი; 21. ბეკინა; 22. ბაასი; 23. მუხა; 24. ლანცა; 25. ენდი; 26. კოალა; 27. სიასამური; 28. ლალი; 29. ბრელოკი; 30. ელვის; 31. ფრიადოსანი; 32. კოკი; 33. სოსო; 34. ახო; 35. ნაგასაკი; 36. ნელსონი; 37. ნიკოლოზ; 38. სახრე; 39. კალანდა; 40. ნიკელი; 41. ბანანი; 42. კასკა; 43. სელი; 44. აზოტი; 45. დიანა; 46. იავა; 47. ონო; 48. ზესტაფონი; 49. იმუნიტეტი; 50. ატამი; 51. „ტროა“; 52. ალთე; 53. ლიმუზინი; 54. ნილოსი; 55. ურო; 56. ამალა; 57. გალაპაგოსი; 58. ამონ; 59. რადა; 60. ბეში; 61. ანიტა; 63. კუპე; 64. აბატი; 65. პელე; 66. კალასი; 67. მილიონი; 68. ქარაშოტი; 69. ოლიფა; 70. ნავი; 71. ვაი; 72. პაიკი; 73. ნარვალი; 74. ყალამი; 75. დოლი; 76. პაი; 77. კიმ; 78. რაც; 79. რებეკა; 80. რომეო; 81. გორკი; 82. გილიოტინა; 83. ნაკადული; 84. სემირამიდას; 85. ციციკორე; 86. ურნა; 87. მაია; 88. ფეი; 89. კვირამალი; 90. რენო; 91. ლაპლანდია; 92. მედინა; 93. დასტინ; 94. კობალტი; 95. კუპიდონი; 96. ვაკანსია; 97. ცელი; 98. შე; 99. უპე; 100. ეარი; 101. ტორტი; 102. ნანტი; 103. კალე; 104. პა; 105. კატა; 106. მარაო; 107. ოდა; 108. სატურნი; 109. მიომა; 110. ნოე; 111. ანტონ; 112. ბოსელი; 113. მორალი; 114. კვარტა; 115. ლია; 116. ემუ; 117. ტარას; 118. რუ; 119. ჰაე. იკითხება: ჯონ ლენონი. სტინგი. კურტ კობეინი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. ამ ენაზე მეტყველებდა ქრისტე
2. ქალაქი ავსტრალიაში
3. ... ასე, ... ისე
4. მსახიობი ... ბროსნანი
5. აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს შენობა არლინგტონში
6. ხის ჯიში
7. საგნის გარემონახულობა
8. იაპონური ავტომობილი
9. რუს მეფეთა დინასტია
10. ჩებურაშკა და ნიანგი ...
11. ექიმი. შეისწავლა ჩიყვი
12. წყლის ტრანსპორტი
13. ნახატებიანი თავსატეხი
14. სოფელი ხაშურის რაიონში
15. ველური ვაზი
16. ნიანგის სახეობა
17. ესპანელი დიდებული
18. ძვირფასი ქვა
19. ზამბახი
20. მსახიობი ... ჰოფმანი
21. მდინარე ინდოეთში
22. მსახიობი ... მური
23. მაღალი გამავლობ. საბჭოთა მანქანა
24. ახლადგამოჩეკ. თევზი
25. ნათურის აჟურული საფარი
26. ჯუჯა სამეფო სან-...
27. თამაში: ...-პონგი
28. ექვსფრთიანი ანგელოზი
29. ნიანგის სახეობა
30. უსინათლოთა ანბანი
31. არგენტინული ჩაი
32. ნუსხა
33. ყველაზე პატარა ფრინველი
34. ქალაქი იაპონიაში
35. ხის ჯიში
36. მსახიობი ... ასტერი
37. კომპიუტერ. ფირმა თბილისში
38. მახრჩობელა გველი ამაზონში
39. სავანის ბინადარი ცხოველი
40. ღრიანკალი
41. „მატრიცა“ ჰაკერი
42. ესპანელი მხატვარი
43. ძველი ფილმების ჩვენება
44. ბურუსი
45. ქალაქი აფხაზეთში
46. ქალაქი კვიპროსში
47. რეჟისორი სანდრო ...
48. ძიძა
49. ერთგვარი ავიტამინოზი
50. თვალის ნაწილი
51. მეფის მხლებლები
52. მსახიობი ... თურმანი
53. დუმბაძე. „თეთრი ბაირაღები“ ... გულოიანი
54. სიმინდის ყვავილედი
55. მსახიობი ... მუტი
56. ვაჟა-ფშაველა. „შვლის ... ნაამბობი“
57. სენეგალის დედაქალაქი
58. ძროხის ნაშიერი
59. ქსოვილი. კერავენ კარვებს
60. იაპონური ალუბალი
61. კუნძული ინდონეზიაში
62. მსახიობი ნინო ...-მოურავი
63. ტბა აფრიკაში
64. ომის ღმერთი ბერძ.მით.
65. გაშიშვლება მუსიკის თანხლებით
66. „ტრისტან და ...“
67. ტელეკოშკი
68. სია
69. ბირმის დღევანდ. სახელწ.
70. კურორტი თურქეთ-ში
71. თემი ოზურგეთ. რაიონში
72. მოწაფის მაგიდა
73. მსახიობი ... როტი
74. მომღერალი ... გილანი
75. პროვინცია ესპანეთში
76. შარმი, ანუ ...
77. მოგებული პარტია ნარდში
78. მუსლიმანური მარხვა
79. საავადმყოფოს ოთახი
80. მსახიობი ... ნოლტი
81. დღე ხვალის შემდეგ
82. მევიოლინე ვანესა ...
83. მწვავე ტონზილიტი
84. ქორბუდა ცხოველი
85. აივენჰოს სატრფო
86. მინი-ბოულინგი
87. კაკლის საბურველი ჯოხი
88. ხაფანგი
89. ამერიკელი მომღერალი ქალი
90. კომში
91. მისი დედაქალაქია ტოკიო
92. კატა ... შეხვდა ძეხვსაო
93. მსახიობი ... ტაილერი
94. მხ/ფ „ჩვენი ...“
95. მსახიობი ... როკი
96. მწერალი მაქსიმ ...
97. მხ/ფ „ქალაქი ...“
98. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
99. სტალინის დედა
100. ოპტიკური მოვლენა უდაბნოში
101. ყველაზე კაშკაშავარსკვლავი
102. პროტესტანტების მღვდელი
103. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
104. მეჩეთი ...-სოფია
105. მომღერალი ... მარლი
106. სასწორის ჯამი
107. ჩეხური ავტომობილი
108. მოკრივე ... მარჩიანო
109. საოპერო პარტია
110. იგავი
111. მსახიობი ... ლი ჯონსი
112. ... ძედუნი
113. ორიანი ნარდში
114. რუსი კომპოზიტორი
115. გეოლოგიური პერიოდი
116. ... შანელი
117. ..., მესა, გადის ...
118. ფედერიკო ფელინის ფილმი
119. შიიზმის მიმდევარი
120. მსახიობი ... რივზი
121. მწერალი ჟიულ ...

პასუხები: 1. არამეული; 2. მელბურნი; 3. ან; 4. პირს; 5. პენტაგონი; 6. ტირიფი; 7. გაბარიტი; 8. „ნისანი“; 9. რომანოვი; 10. გენა; 11. ბაზედოვი; 12. ნავი; 13. რებუსი; 14. ოსიაური; 15. უსურვაზი; 16. გავიალი; 17. იდალგო; 18. საფირონი; 19. ირისი; 20. დასტინ; 21. ინდი; 22. დემი; 23. ვილისი; 24. ლიფსიტა; 25. აბაჟური; 26. მარინო; 27. პინგ; 28. სერაფიმი; 29. ალიგატორი; 30. ბრაილი; 31. მატე; 32. სია; 33. კოლიბრი; 34. ნაგასაკი; 35. მუხა; 36. ფრედ; 37. „ალტა“; 38. ანაკონდა; 39. ჟირაფი; 40. მორიელი; 41. ნეო; 42. გოია; 43. რეტროსპექტივა; 44. ნისლი; 45. გალი; 46. ლარნაკა; 47. ახმეტელი; 48. გადია; 49. სურავანდი; 50. რქოვანა; 51. ამალა; 52. უმა; 53. ტიგრანა; 54. ტარო; 55. ორნელა; 56. ნუკრის; 57. დაკარი; 58. ხბო; 59. ბრეზენტი; 60. საკურა; 61. იავა; 62. თარხან; 63. ნიასა; 64. არესი; 65. სტრიპტიზი; 66. იზოლდა; 67. ანძა; 68. რეესტრი; 69. მიანმა; 70. ანტალია; 71. მიმითი; 72. მერხი; 73. ტიმ; 74. იან; 75. მალაგა; 76. ქარიზმა; 77. ოინი; 78. რამაზანი; 79. პალატა; 80. ნიკ; 81. ზეგ; 82. მეი; 83. ანგინა; 84. ირემი; 85. როენა; 86. კეგლი; 87. ხალა; 88. მახე; 89. ენია; 90. ბია; 91. იაპონია; 92. ვერ; 93. ლივ; 94. ეზო; 95. მარიკა; 96. გორკი; 97. ანარა; 95. მარიკა; 96. გორკი; 97. ანარა; 98. მარადია; 99. კეკე; 100. მირაჟი; 101. სირიუსი; 102. პასტორი; 103. ნაგომარი; 104. აია; 105. ბობ; 106. პინა; 107. „ტატრა“; 108. როკი; 109. არია; 110. არაკი; 111. ტომი; 112. მაო; 113. დუ; 114. ბოროდინი; 115. იურა; 116. კოკო; 117. ესა; 118. „ამარკორდი“; 119. შიიტი; 120. კიანუ; 121. ვერნი. იკითხება: მელ გიბსონი. მარლონ ბრანდო. ალ პაჩინო.

Facebook ამბები



**არჩილ გამზარდია:**

მოკლედ, საიდუმლოდ გავიგე, თურმე ღრუბლები კალაძეს უყიდია პუტინისგან და ივანიშვილთან ერთად საქართველოს ჩაძირვას აპირებს, მზე კი მიშას შეუნახავს კარავში ყუთში ჩაუდია და ეუბნება გზის გაყვანისას თანამოაზრეს "შედი, გიგა, კარავში, იქ საქართველოს მზე ასვენია და ჩვენ რომ დავბრუნდებით ხელისუფლებაში, მაშინ გამოვიყვანთო". ხვალისთვის დაგეგმილია "ნაციონალური მოძრაობის", "თავისუფალი ზონის" და გიორგი ვაშაძის ერთობლივი საპროტესტო აქცია ივანიშვილის სახლთან, ისინი გააპროტესტებენ იმ ფაქტს, რომ კალაძის მაფიოზურმა კლანმა ივანიშვილის მაფიოზურ კლანთან ერთად მზე გაყიდა და პუტინისგან ღრუბლები იყიდა. აბა, აქციაზე ყველა.



**მერაბ როდონაია:**

წლის საუკეთესო სპორტულ-პოლიტიკურ ანეგდოტს გადავაწყდი :)

ჩიორგი უკერია: "კალაძემ დაიჭირა ოქროს თევზი. ოქროს თევზი ეუბნება - "ერთი სურვილი მითხარი და შეგისრულებო"

კალაძემ - "საქართველოს ნაკრებს ესპანეთთან მოაგებიეო"

ოქროს თევზმა - "რას ამბობ, რუმინეთთან 5-1 წააგეთ,

ესაპნეთი კიდე მოქმედი ევროპის ჩემპიონია, სხვა რამე მთხოვე მაგის შანსი არააო"

კალაძემ - "მაშინ ოცნებას ძველი რეიტინგი დაუბრუნეო"

ოქროს თევზი დაფიქრდა, დაფიქრდა და - "ესპანეთთან 0:1 გაწყობთო?"

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო

## ამერიკელი ფერმერი თავის ძროხებს მხოლოდ მაღალხარისხიანი... ტკბილეულით კვებავს



გასული ზაფხულის რეკორდულმა სიცხემ და მას მოყოლილმა გვალვამ იმდენად იმოქმედა ხორბლეულის საკვებზე, რომ ბევრი ფერმერი იძულებული გახდა, ყველაზე რადიკალური და უცნაური ნაბიჯები გადაედგა.

მაგალითად, ამერიკელი ფერმერი ჯოზეფ უოტსონი კენტუკის შტატიდან საკუთარ მსხვილფეხა საქონელს ტკბილეულით კვებავს. რაც მთავარია, საამისოდ უოტსონი მხოლოდ მაღალხარისხიან ნაწარმს იყენებს.

ხორბლეულისთვის მისი საქონლის რაციონში მხოლოდ 5 პროცენტილაა დატოვებული, რაც ცხოველების წონას მნიშვნელოვნად ზრდის, თუმცა ფერმერი, რომელმაც ხორბლისა და ტკბილეულის ფასები შეადარა, უკან არ იხევს და ამბობს, რომ „ძროხები, უბრალოდ, ვალდებულები არიან, ტკბილეული შეიყვარონ...“

ტკბილეულს ფერმერი პირდაპირ მწარმოებლებისგან ყიდულობს, მას მინერალებს, სუბპროდუქტებს, თივასა და სხვა საკვებ დანამატებს ურევს და საბოლოო ჯამში, ყველა კმაყოფილია.

ისე, ჭარბი წონა მხოლოდ ადამიანებს კი არ ვნებს, ცხოველებსაც აზიანებს, ეს ხომ ელემენტარულია, უოტსონ?..

*gazeta.ua*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო

## დანიელები სამსახურში ალკოჰოლის მოხმარების უფლების მიღებას მოითხოვენ



„პერერივზე“ ალკოჰოლის მიღება „მოდაში“ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ დანიაშიც ყოფილა, თუმცა სასმელის იქაური მოყვარულები უფრო კატეგორიულები გამოდგნენ და ხელმძღვანელობისგან სადილზე „თითო ჭიქის გადაკვრის“ უფლების მიღებას მოითხოვენ.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დანიაში არსებული საწარმოების 13 პროცენტში თანამშრომლები სადილზე თითო ბოთლ ლუდს იღებენ, რაც ანაწყენებს დანარჩენებს – ჩვენ რა, წითელი კოჭები ვართო?!

რაც ყველაზე მთავარია, იმ საწარმოებში, სადაც ლუდის სმა ნებადართულია, ოთხი სახეობიდან, თანამშრომლებს, მათთვის სასურველი, ერთის ამორჩევა შეუძლიათ.

როგორც ირკვევა, სასმელის მოყვარულებმა ამ ცოტა ხნის წინ გაფიცვაც კი მოაწყვეს – ალკოჰოლი დაგვალევინეთ, უფროსებოო...

ამ დროისთვის საქმეში პროფკავშირების წარმომადგენლები ჩაერივნენ და მხარეებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ, ჩვენ კი ქართული კომპანიების ხელმძღვანელებს ვეკითხებით: ნეტავ, როგორ მოიქცევით, თანამშრომლებმა გაფიცვა რომ მოგიწყოთ – გინდა თუ არა, ხელფასს ბარემ ალკოჰოლიც მოაყოლეო?

გადაირევით? ალბათ, სამართლიანადაც, მაგრამ აი, ესაა დემოკრატია და ყველა იმას მოითხოვს, რაც უნდა...

*mainfun.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო



## კარიესი უფრო ხშირად მშვენიერ სქესს უჩნდებაო

მართალია, კარიესი ყველას ერთნაირად აწუხებს და დაახლოებით ერთნაირ პრობლემებს უქმნის, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მეტად ამ უაღრესად არასასიამოვნო დაავადებით მშვენიერი სქესის წარმომადგენლები იტანჯებიან.

სპეციალისტების განმარტებით, ქალების სქესობრივი ჰორმონების მუშაობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად კბილების მდგომარეობა საგრძნობლად უარესდება და ამის გამო სტომატოლოგთან მისვლა მშვენიერ სქესს უფრო ხშირად უწევს, ვიდრე მამაკაცებს.

ასეთი დასკვნა ორეგონის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა მას შემდეგ გამოიტანეს, რაც ფილიპინებსა და გვატემალაში ანთროპოლოგიური კვლევა ჩაატარეს.

– ყველაფერი გენდერულ სხვაობაზეა დამოკიდებული, რადგან ქალების ორგანიზმში უფრო ხშირი და ინტენსიურია ცვლილებები, ვიდრე მამაკაცების შემთხვევაში, – განმარტავენ სპეციალისტები, თუმცა არც იმას გამორიცხავენ, რომ კარიესის გაჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დაუსრულებელი და ხშირად, სასტიკი დიეტები იყოს, რადგან ამის გამო ხომ ადამიანი ძალიან ბევრ აუცილებელ ვიტამინს კარგავს. ან კიდევ, არასწორი კვება – ჯანსაღ საკვებზე უარის თქმა და დიდი რაოდენობით ტკბილეულის დაგემოვნება.

*medkarta.com*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო სანტერესო ამბები...

## ტკბილეულსა და ყავას განწყობის ამრევები უწოდეს



ყავის „გალანძღვამ“ იმდენად არ დაგვწყვიტა გული, როგორც ტკბილეულის ასე აუგად მოხსენიებამ, თუმცა ეგ არაფერი – მოკლას ხარი თივამ!..

ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ოქროს წესი „საკუთარ თავს თავადვე დაეხმარე“ სტრესებთან ბრძოლაშიც მოქმედებს. აღმოჩნდა, რომ მენიუს კორექტირება მნიშვნელოვნად ამაღლებს იმ ადამიანის მდგომარეობას, რომელიც, რიგი მიზეზების გამო, სტრესის მსხვერპლად იყო ქცეული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალისტებმა ანტისტრესული პროდუქტების ტოპ-ხუთეული დაასახელეს.

ჩამონათვალში მოხვდა: ისპანახი, კაკაო, თხილი, ატამი და ასევე, მზესუმზირა.

– იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი რეგულარულად განიცდის სტრესს, ჩამოთვლილი პროდუქტების მიღებაც მუდმივად უნდა ხდებოდეს, – განმარტავენ სპეციალისტები.

საყოველთაოდ ცნობილი და გავრცელებული მოსაზრება, თითქოს სტრესთან გამკლავება ადვილად შეიძლება შოკოლადისა და ყავის გამოყენებით, რეიტინგის ავტორებმა, უბრალოდ, გააქარწყლეს. კერძოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ ორივე პროდუქტი ადამიანის ემოციურ მდგომარეობას მხოლოდ ამძიმებს და მას უფრო გაღიზიანებულს ხდის, ვინაიდან უარყოფითად მოქმედებს, ზოგადად, ნერვულ სისტემაზე.

*myjane.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო სანტერესო ამბები...

## სიყვარულის უქონლობის გამო დიდ ბრიტანეთში მთელი ქალაქი იტანჯება



ინგლისის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ალსტონში ერთ ქალზე თურმე, 10 მამაკაცზე მეტიც კი მოდის.

აქედან გამომდინარე, 21-ე საუკუნის ალსტონელი მამაკაცები ერთმანეთს ლამის დუელში იწვევენ, რათა როგორმე მშვენიერი სქესის წარმომადგენლის მოხიბვლა და ოჯახის შექმნა შეძლონ.

შედარებით გამჭრიახებმა ჩხუბსა და აყალმაყალს გვერდი აუარეს და ცხოვრების თანამგზავრების მოძებნა ინტერნეტის მეშვეობით დაიწყეს.

თუმცა, იმის ნაცვლად, რომ უკვე კარგად ნაცადი სოციალური საიტებისთვის მიემართათ და სასურველი მონაცემების მქონე ქალბატონები თავად შეერჩიათ, გადაწყვიტეს, საკუთარი ვებ-გვერდი შეექმნათ, სადაც განათავსეს ფოტოები, რომლებზეც ან მოწყენილი გამომეტყველებით არიან აღბეჭდილნი, ან კიდევ რომანტიკული სიტუაცია აქვთ გადმოცემული და მომავალ მეუღლეებს თუ უბრალოდ, მეგობრებს, მართებული არჩევანის გაკეთებისკენ მოუწოდებენ.

– სჯობს, არჩევანი თავად გააკეთონ, ჩვენ კი მათთვის მაქსიმალურად დავიხარჯებით, – ამბობენ უქალობისგან მოწყენილი ინგლისელები.

*factroom.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო სანტერესო ამბები...

## რატომ არ შეიძლება ფოტოაპარატის მეგაპიქსელებისა და ადამიანის თვალის მგრძნობელობის შედარება?



დილეტანტს ეს კითხვა დააფრთხობს, თუმცა პასუხი იმდენად საინტერესოა, თითქმის დარწმუნებულები ვართ, ყველა ყურადღებით და დიდი სიამოვნებით მოისმენს.

სინამდვილეში, მეცნიერული თვალსაზრისით ადამიანის თვალისა და კამერის შედარება არაფრით შეიძლება.

დიდი ხნის წინათ დამტკიცდა, რომ ადამიანის თვალში დაახლოებით 120 ათასი მხედველობით უჯრედია, რომლებიც გამოსახულებას პიქსელურად არ აღიქვამენ. თვალი ობიექტს ერთდროულად ყველა უჯრედით აფიქსირებს. ამასთანავე, ზოგიერთი უჯრედი ფერებზე აგებენ პასუხს, დანარჩენები კი – განათებაზეა და ასე შემდეგ.

უკანასკნელი მონაცემებით, ადამიანის მხედველობის სიმძაფრის კოეფიციენტი 1,7-ია. შესაბამისად, რადიუსი, რომელშიც თვალი პიქსელებს ასხვავებს – 0,39 არკწუთია.

ახლა ადამიანური ენით რომ ვთქვათ, ხედვის 90-გრადუსიანი კუთხე რომ ავიღოთ ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად, გამოდის, რომ თვალის გაფართოება 324 მეგაპიქსელია. თუკი ამას დავამატებთ პერიფერიულ მხედველობას, შედეგად 576 მეგაპიქსელს მივიღებთ.

*hozna.ru*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძემ 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## სოციალური ქსელები ქალებზე ცუდ ზეგავლენას ახდენსო



სამხრეთ კორეელმა მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს, რათა გაერკვიათ, რომელი სქესის წარმომადგენელი უფრო მეტად იყო დამოკიდებული სმარტფონზე.

აღმოჩნდა, რომ ქალები პირდაპირ იტანჯებიან, თუ ინტერნეტთან წვდომა არ აქვთ. უინტერნეტობით გაღიზიანებული ქალების რიცხვი 20 პროცენტი იყო, მაშინ როცა ამ პრობლემით შეწუხებული მამაკაცების რიცხვი ერთ ათეულსაც ვერ აღწევს და სულ რაღაც 9 პროცენტი აღმოჩნდა.

ამერიკელი მეცნიერების მიგნებით კი, ინტერნეტდამოკიდებულ ქალებს შორის კიდევ ერთი ქვეჯგუფი აღმოჩნდა – ახალგაზრდა დედები.

ახალგაზრდა დედები სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებლები არიან. დედები პირდაპირ კვდებიან თავიანთი პატარების სილამაზისა და განსხვავებულობის სხვებისთვის დამტკიცების წყურვილით. იმდენად დამოკიდებული ხდებიან სოციალურ ქსელზე, რომ სხვა სფეროში რეალიზებას ველარ ახდენენ.

რაც უფრო ხშირად დებენ საკუთარი პატარების ფოტოებს, მით მეტად სურთ, რომ ფოტომ უამრავი მოწონება დაიმსახუროს. თუ სასურველ რაოდენობას ვერ იღებენ, მძაფრი რეაქცია აქვთ, ღიზიანდებიან და მთელი დღე გაბრაზებულები დადიან. ყველამ ვიცით, რომ მშობიარობის შემდეგ ქალის ემოციური მდგომარეობა ისედაც სუსტია, ბევრი დეპრესიითაც იტანჯება, ასე რომ, ახალგაზრდა დედებო, მოერიდეთ სოციალურ ქსელს და ისედაც დასუსტებულ ჯანმრთელობას ნუ ემტერებით.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მეცნიერების აღმოჩენა: ღმერთის გზავნილი ადამიანის გენში



ჰარვაჰრდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სამეცნიერო სამყაროს აუწყეს, რომ მათ ღმერთის გზავნილი აღმოაჩინეს, რომელიც ადამიანის გენომშია ჩაწერილია, ანუ ორგანიზმის უჯრედში შენახული მემკვიდრული მასალის ერთობლიობაში. დნმ-ის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ ნაწილში, წამყვანმა გენეტიკოსებმა 22 სიტყვიერი ფრაგმენტი არამეულ ენაზე აღმოაჩინეს, რომელიც, მათი აზრით, ღმერთის არსებობასა და დედამიწაზე სიცოცხლის შექმნაში მის როლს ამტკიცებს.

შოკისმომგვრელი დასკვნა ღმერთის არსებობის თითქმის უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს. ღმერთის გზავნილი მაშინ აღმოაჩინეს, როდესაც მკვლევარებმა უცნაური მათემატიკური მოდელები შეამჩნიეს, რომელიც გენომის გარკვეულ ნაწილში ჩნდება.

„ჩვენ ვიცოდით, რომ ეს მოდელები ბუნებაში არ გვხვდება“, – წერს ჩარლზ უოტსონი, პროექტის წამყვანი მეცნიერი.

„გადავწყვიტეთ, რომ გზავნილების სხვადასხვა ენების მონაცემთა ბაზის მიხედვით ჯვარედინი ანალიზი ჩაგვეტარებინა, – აღნიშნავს მეცნიერი, – გავოგნდით, როცა აღმოჩნდა, რომ ეს მოდელები, რომლებიც დნმ-ში იყო ნაპოვნი, არამეულ ენას შეესაბამება“, – დასძენს ის.

აღმოჩენით გაოგნებულ მეცნიერთა გუნდი არამეული ენის ექსპერტებს დაუკავშირდა. სრულიად კოდირებული გზავნილი შეიცავს შემდეგ შინაარსს:- „ჩემო შვილებო, ეს იაჰვეა – ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი“.

„ეს არ ნიშნავს, რომ ევოლუციის თეორია არასწორია, – აცხადებს უოტსონი, – ის, უბრალოდ, არასრულია. როგორც ჩანს, ქრისტიანული ღმერთი ნამდვილად იდგა პროცესების საწყისთან“.

„როგორც ჩანს, უფალმა დატოვა დაფარული გზავნილი, რომელიც შევძელით, აღმოგვეჩინა ასეულობით წლის შემდეგ, მაშინ, როდესაც მივაღწიეთ ტექნოლოგიების უმაღლეს განვითარებას. ამას ჭეშმარიტად დიდი აზრი აქვს. ამ აღმოჩენამდე შეუვალი ათეისტი ვიყავი. ახლა ჭეშმარიტი ქრისტიანი ვარ. ეს ის მტკიცებულებაა, რომელიც მე მჭირდებოდა, რათა გამეფანტა ჩემი ეჭვები. მეცნიერული გავლენის დამატება რელიგიაზე გამოიწვევს მსოფლიოში რევოლუციურ ცვლილებებს“, – აცხადებს უოტსონი.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## შვედეთში დამსაქმებელი თანამშრომლებს ყავის დასალევად შესვენებას აიძულებს



შვედეთში ფიკას ტრადიცია ფართოდაა გავრცელებული. ფიკას მიხედვით, სამუშაო დღის განმავლობაში, სულ მცირე, ერთხელ მაინც, შვედები, თანამშრომლებთან ერთად, ყავის დასალევად ან სახლში გამომცხვარი ტკბილეულის დასაგემოვნებლად იკრიბებიან.

ფიკას ტრადიცია იმდენად პოპულარულია, რომ ბევრი კომპანია ყველაზე მშრომელ თანამშრომლებს აიძულებს, შესვენებისთვის დრო გამოყონ.

შვედეთში ფიკა სამუშაო დღის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც ჩვენთვის ელექტრონული მიმოწერა ან პრინტერის გამოყენება.

„ფიკა ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია, – ამბობს შვედეთის ქალაქ გეტებორგში მდებარე კაფეების ქსელის, Da Matteo-ს მფლობელი მატს იოჰანსონი, – შვედების უმრავლესობა ფიკაზე დღეში რამდენჯერმე დადის, არა მხოლოდ სამუშაო კვირის განმავლობაში, არამედ შაბათ-კვირასაც“.

ბევრ შვედურ კომპანიაში ფიკას შესვენება სავალდებულოა და ამ მიზნით, კომპანიები თანამშრომლებს ყავას უფასოდ ურიგებენ.

ბევრი იფიქრებს, რომ ფიკას ტრადიცია შრომის პროდუქტიულობაზე უარყოფითად მოქმედებს, მაგრამ კვლევები სხვა რამეზე მეტყველებს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, 2014 წელს, შრომის პროდუქტიულობის მხრივ, შვედეთი მე-11 ადგილზე გავიდა, მაშინ როცა იაპონიამ და კორეამ, სადაც გრძელი სამუშაო კვირაა, მე-20 და 30-ე ადგილები დაიკავეს.

შვედურ კორპორაცია „იკეაში“ მიიჩნევენ, რომ ყველაზე კრეატიული იდეები და გადაწყვეტილებები სწორედ ფიკას დროს ჩნდება.

ამ მოსაზრებას სრულიად იზიარებს სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის ოფიციალური წარმომადგენელი ანდრეას ოსტრომი.

„კორპორაციული ხელმძღვანელობის შვედური სტილი ძალიან გამორჩეულია, რადგან ნაკლებად იერარქიულია. როცა მმართველობის ჰორიზონტალური სტრუქტურა გაქვთ, მნიშვნელოვანია, ყველას აზრი მოისმინოთ. ფიკა კი სწორედ ამას უწყობს ხელს, ანუ არაფორმალურ ურთიერთობას რიგით თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის“, – ამბობს ანდრეას ოსტრომი.

ალბათ, ფიკას დამსახურებაცაა, რომ ყოველწლიურად შვედები მსოფლიოს ყველაზე ბედნიერ ერთა შორის მოწინავე პოზიციებს იკავებენ. მაგალითად, შარშან, ევროპულმა სტატისტიკურმა სააგენტომ გამოაქვეყნა კვლევა, რომლის თანახმადაც, ევროკავშირში ყველაზე ბედნიერ ერად თავი დანიამ, ფინეთმა და შვედეთმა დაასახელეს.

*allnews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ზოდიაქოს ნიშნების ინტიმური საიდუმლოებები



ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით ადამიანის მრავალ თვისებაზე შეიძლება საუბარი.

მათ შორის მის სექსუალურ ტემპერამენტსა და აქტივობაზეც. აქედან გამომდინარე, დღეს ზუსტად იმაზე გესაუბრებით, რა სახის ინტიმური სისუსტეები აქვს ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშანს.

ვერძს – უხეში სექსი ხიბლავს, პარტნიორზე დომინირება.

კურო – შეხებით იგზნება. მისი სუსტი წერტილია ყელი.

ტყუპები – ლიბიდო პირდაპირ კავშირშია ენასთან.

კირჩხიბი – სექსში მორცხვია. დაელოდეთ, სანამ ემოციურად გაიხსნება.

ლომი – ყოველთვის ფიქრობს იმაზე, რამდენად აჯობა ლოგინში პარტნიორის ყოფილს.

ქალწული – სექსის დროსაც იმას აკვირდება, ფეხები თუ აქვს სუფთად გაპარსული და როგორ გამოიყურება სხვადასხვა პოზაში.

სასწორი – სექსზე მეტად მოფერება უყვარს. მასთან დიდი ყურადღება დაუთმეთ ე.წ. „პრელუდიას“.

მორიელი – სადომაზოხისტური მოთხოვნები აქვს სექსში. მოსწონს ე.წ. „ბდსმ“.

მშვილდოსანი – ექსპერიმენტებზე გიჟდება. მასთან, ამ მხრივ, ლოგინში არ მოიწყენთ.

თხის რქა – გარეგნულად ცივია, მაგრამ სექსუალურად ძალზე აქტიური.

მერწყული – ცხოვრებაში ერთხელ მაინც ინტერესდება თავისივე სქესთან ურთიერთობით.

თევზები – მიდრეკილია პარტნიორის მორჩილებისკენ. მოსწონს ე.წ. „მაზოხისტური“ სექსი.

*astrologi.ge*

Facebook ამბები



გია მაისაშვილი:

რას ასწავლის განსაცდელი? გეტყვით მე რა მასწავლა: 1. აღმოაჩენ შენში თვისებას, ძალას რომელიც არ იცოდი მანამდე თუ გქონდა. სიბრძნეს გაარჩიო მთავარი უმნიშვნელოსგან 3. მცირედით ბედნიერი იყო და მადლიერი პატარა სიკეთეების. აღმოაჩენ ვინ არის შენი ნამდვილი მეგობარი, საქმით და ვინ სადღეგძელოს მეგობარი. აი, პატარა მაგალითი მინდა გაგიზიაროთ. მე არ ვიცნობდი ცნობილ ფსიქოლოგ, ნოდარ სარჯველაძეს. მან მომძებნა მოვიდა ჩემთან სახლში და დიდი ფსიქოლოგიური მხარდაჭერა აღმომიჩინა თანაც მომიტანა წიგნი ავტორისა რომელსაც მანამდე არ ვიცნობდი და რაც გულს გონებას ა სულს აგრე რიგად ესალბუნება. აი პრაქტიკული გვედში დგომა. გუშინ მძიმე დღე მქონდა და ლაშა შენგელია რომელთანაც ნაცნობობა მქონდა მხოლოდ მოვიდა ჩემთან და ამიხსნა ის სირთულეები რაც 40 დღიანი შიმშილობიდან გამოსვლასთან არის დაკავშირებული და მოიცავს ხილის და ბოსტნეულის წვენების კომბინაციას სხვადასხვა ახალ ხილთან. ასეთი მძიმე შიმშილიდან გამოვლა საშიში პროცესია და გაფრთხილებაა საჭიეო, ემანდ,მოშიებულს ზდმეტი არ მოგივიდეს და საავადმყოფოში არ აღმოჩნდე ნაწლავების გადახლართვით. დღეს კიამ თავსხმა წვიმაში თავად მოვიდა დიდი ჩანთებით ბაზრიდან რაც მირჩია თვად მოუტანია ყველა ხილი შიმშილობიდან გამოსასვლელი უზომო რაოდენობის. რა როდის უნდა მივიღო მკაცრი ჩამონაწერით ,მე პრაქტიკული მეგობრობის მჯერაო და არ ვიცი ვინ რას როდის მოგიტანდა და მე და ჩემი ცოლი ბაზარში წავედითო რომ შენთვის ხილი მოგვეტანაო.მეც ასეთი პრაქტიკული მეგობრობის მოთაყვანე ვარ . რომეო ხერხეულიძე ყოველდღე რეკავს ლონდონიდან თავად სრულიად უფულომ სტამბულში ჩამომაკითხა და ჯანსაღი საკვებები ჩამომიტანა . ლაშას დღევანდელმა საქციელმა ისე გამახარა რომ ლექსის პწკარი დამაწერინა, " ჰეი, შენ , ჩემო გიორგი, ჯერ სიკვდილამდე შორზე შორია, მეუღლისადმი ნათქვამი აღთქმა, მეგობრისადმი ვალი, ლიდერთა სკოლა, შვილების საქმე, ბოლომდე მაინც მისაყვანია! პრაქტიკული მეგობრობა ხალხნო, სადღეგრძელო აბა ვის უკვირს.

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. ნათურის აჟურული საფარი
2. სახელმწიფო აზიაში
3. იუპიტერის თამანგზავრი
4. გადაბრუნებ. ასო დელტა
5. გამის ნოტი
6. მათემატიკური გამოსახულება
7. ცეკვა მულენრუჟში
8. ესპანელი დამპყრობელი
9. ადამიანის წინაპარი
10. ვირას საპირისპირო ბრძანება
11. ზღაპარი „... ქოშები“
12. სამშენებლო მასალა
13. ქართ. ხალხური ზღაპარი
14. საბჭოთა პერიოდის ხუთიანი
15. ტროას ბერძნ. სახელწ.
16. ძალების აღდგენა
17. ქალაქი ავსტრალიაში
18. ხელის საგრილებელი
19. სომხეთის ძველი დედაქალაქი
20. ინდური კაბა
21. მსახიობი ... ლონგორია
22. ქართ. გლეხის ფეხსაცმელი
23. სანთლის მასალა
24. ყვავილი
25. იაპონური ალუბალი
26. ალპური ყვავილი
27. მოტორიანი ნავი
28. ტარტუს კალათბ. გუნდი
29. ბილიარდის ჯოხი
30. ბემოლი, დიეზი, ...
31. ახალი წელი გურიაში
32. ფაშვის წვნიანი
33. მდინარე ქვემო ქართლში
34. მომღერალი ... რიდი
35. ნასესხები ფული
36. მხატვარი ჰიერონიმუს ...
37. დიდი ჩაქუჩი
38. მოვლენა ჩრდილოეთის ...
39. აეროპორტი პარიზში
40. მისი დედაქალაქია ტოკიო
41. რით მოკლა დავითმა გოლიათი
42. მდინარე მოლდავეთში
43. ბრიუს უილისი ფილმში
44. მსახიობი ... ბესინჯერი
45. ჩიტის სადგომი
46. სამხედრო წოდება
47. მსახიობი ... დეპი
48. მ/ფ „... ბროკოვიჩი“
49. მ/ფ „რვაფეხა“ კომისარი ... კატანი
50. ალ. ტოლსტოის მოთხრობა
51. ტალახით სამკურნალო კურორტი გურჯაანთან
52. მსახიობი ... დალტონი
53. შექსპირი. „მეფე ...“
54. მსახიობი ... ფაროუ
55. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
56. ველური ცხენი
57. მდინარე აღმ. საქართ.
58. მ/ფ „... და მისი ძმები“
59. გრძელი ხალიჩა
60. ხილი
61. რეკორდების წიგნი
62. პეტროვის თანამეკლმე
63. მოკლე, მსხვილი თითები
64. თენგიზ აბულაძის ფილმი
65. ტოტი
66. გერმანიის სამხედრო დაზვერვა
67. ბოსტნის მავნებელი მწერი
68. მსახიობი ... კახიანი
69. ჟამი
70. ამოთხრილი ადგილი
71. მსახიობი ... ფარელი
72. თავაშვებული ლრეობა
73. კომპოზიტორი ... ყანჩელი
74. მით. ადამიანი ხარის თავით
75. ქართ. ეპოსის გმირი
76. ცირკის მოედანი
77. პოეტი ... ბარტო
78. ქალაქი სამეგრელოში
79. ქალაქი გერმანიაში
80. თათქარიძეების მოახლე გოგო
81. ზღაპრული კაციჭამია
82. მწერალი ... ტოლსტოი
83. არეკლილი ხმა
84. ... კუზანოვი
85. ქალაქი ქვემო ქართლში
86. მსახიობი ... თაყაიშვილი
87. მწერალი კობო ...
88. გამეორება კონცერტის წინ
89. დასართყამი საკრავი
90. ვიოლინოს წინამორბედი
91. ჯუჯა ჟირაფი
92. პოეტი ... ფოცხიშვილი
93. მოდელი ... კროუფორდი
94. მსახიობი რობერტ დე ...
95. მწერი
96. მსახიობი ... ვუდი
97. ყვავილი
98. პრეზიდენტი ... ობამა
99. პერსონა-...-გრატა
100. იუმორისტი ... არაბიძე
101. ღრმული წყნარ ოკეანეში
102. ტყის ფრინველი
103. ოთხიანი ნარდში
103ა. ... პაჩინო
104. მწერალი ლუიჯი ...
105. ბოშათა საბჭოთა თეატრი
106. მცენარე. ხდიან ტეკილას
107. ერთგვარი კანფეტი
108. ფრინველი. ვენესუელის სიმბოლო
109. ზღვაოსანი ფერნანდო ...
110. გამის ნოტი
111. მოსევადების ტექნიკა
112. მ/ფ „იყო შაშვი ...“
113. ინგლისური ლუდი
114. უეცარი შიში
115. მხატვარი ... გრეკო
116. მწერალი ... კიზი
117. ფრანგი მხატვარი
118. წყლის ტრანსპორტი
119. ბანდეროლი
120. მსახიობი ... ფლინი

პასუხები: 1. აბაჟური; 2. ბანგლადეში; 3. იო; 4. ნაბლა; 5. სი; 6. წილადი; 7. კანკანი; 8. კონკისტადორი; 9. ნეანდერტალელი; 10. მაინა; 11. ბაბაჯანას; 12. გაჯი; 13. „წიქარა“; 14. ფრიადი; 15. ილიონი; 16. რელაქსაცია; 17. ადელაიდა; 18. მარაო; 19. ანისი; 20. სარი; 21. ევა; 22. ქალამანი; 23. ცვილი; 24. ია; 25. საკურა; 26. ედელვაისი; 27. კატერი; 28. „კალევი“; 29. კიი; 30. ბეკარი; 31. კალანდა; 32. ნაში; 33. მაშავერა; 34. დინ; 35. ვალი; 36. ბოსხი; 37. ურო; 38. ციალი; 39. ორლი; 40. იაპონია; 41. შურდული; 42. დნესტრი; 43. „არმაგედონი“; 44. კიმ; 45. ბუდე; 46. მარშალი; 47. ჯონი; 48. ერინ; 49. კორადო; 50. „აელიტა“; 51. ახტალა; 52. ტიმოთი; 53. ლირი; 54. მია; 55. კოსტა-რიკა; 56. მუსტანგი; 57. არაგვი; 58. როკო; 59. ფიანდაზი; 60. თუთა; 61. გინესი; 62. ილფი; 63. კოტიტა; 64. „ვედრება“; 65. რტო; 66. აბვერი; 67. მახრა; 68. იმედა; 69. დრო; 70. ორმო; 71. კოლინ; 72. ორგია; 73. გია; 74. მინოტავრი; 75. ამირანი; 76. არენა; 77. აგნია; 78. აბაშა; 79. ბონი; 80. ლამაზისეული; 81. ოგრი; 82. ლევ; 83. ექო; 84. ივა; 85. მარნეული; 86. სესილია; 87. აბე; 88. რეპეტიცია; 89. დაირა; 90. ვიოლა; 91. ოკაპი; 92. მორის; 93. სინდი; 94. ნირო; 95. ნემსიყლაპია; 96. ნატალი; 97. ია; 98. ბარაკ; 99. ნონ; 100. ნიკა; 101. მარიანი; 102. როჭო; 103. ჩარი; 103ა. ალ; 104. პირანდელო; 105. „რომენი“; 106. აგავა; 107. ნუგა; 108. კვეზალი; 109. მაგელანი; 110. მი; 111. ნიელო; 112. მგალობელი; 113. ელი; 114. ელდა; 115. ელ; 116. კენ; 117. მილე; 118. ნავი; 119. ამანათი; 120. ეროლ. იკითხება: ჟან გაბენი. მიშელ მორგანი. ანა მანიანი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ქალაქი ესპანეთში
2. გეიდარ ფალავან-დიშვილი ფილმში
3. ბალახი. ამზადებენ მწნილს
4. კოსმონავტიკის „მამა“
5. ქართული სატირულ-იუმორისტ. ტელე-ჟურნალი
6. სამკურნალო მცენარე
7. შენი ხმალი და ჩემი ...
8. ევროპული ვალუტა
9. ძაღლის ნაშიერი
10. თბილისის უბანი
11. მხ/ფ „რომაული ...“
12. ინგლისური ლუდი
13. აორტის ანთება
14. ანიკოს პირველი ქმარი
15. სასუნთქი ორგანოს ნაწილი
16. მისი დედაქალაქია რომი
17. გიორგი სააკაძის სოფელი
18. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
19. რეჟისორი პედრო ...
20. ზმაბახი
21. მხ/ფ „... მწვანე ველი“
22. დაბა ბორჯომის რაიონში
23. ძვლების დაავადება
24. ნივთიერება თამბაქოში
25. მთიდან არეკლილი ხმა
26. ჩანთოსანი დათვი
27. მომღერალი ბობ ...
28. თეატრის ყველა სპექტაკლი
29. ბოსტნეული
30. რომის პაპის გვირგვინი
31. ... ხეთაგუროვი
32. სიმინდის ფქვილის საჭმელი
33. ბიბლიური მთა
34. საყანედ გაჩეხილი ტყე
35. ძლიერი ქარი
36. ურუგვაის დედაქალაქი
37. მეწისქვილის წილი ფქვილიდან
38. სოფელი ხაშურის რაიონში
39. „ვაი ... ვხედავ მზეს, როცა შენ ვერ გხედავ“
40. ქალაქი იაპონიაში
41. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
42. ფრანგი წინასწარმეტყველი
43. ქალაქი ესპანეთში
44. მუხლის მოხრა ლოცვისას
45. ქალაქი აშშ-ში
46. მისი დედაქალაქია ტოკიო
47. ლუდის მასალა
48. ნასესხები ფული
49. მცენარე. ილებენ შაქარს
50. ბოჭკოვანი მცენარე
51. ავტომობილი „როლს-...“
52. ცხენებშებმული ტრანსპორტი
53. კვირის დღე
54. მით. ადამიანი ხარის თავით
55. მსახიობი ... ჰარისი
56. მსახიობი ... გარდნერი
57. პირბადე
58. მსახიობი ... რიშარი
59. კონტინენტი
60. მსახიობი მარლონ ...
61. მწერალი თეოდორ ...
62. მსახიობი ... ბელუჩი
63. ლონდონის ცენტრი
64. ფარაონის სამარხი
65. გარგანტუა და ...
66. მამითადი
67. ჰომეროსის პოემა
68. ცხენის უკანა ნაწილი
69. ბიბლიური მოსეს ძმა
70. ვულკანის ყელი
71. მსახიობი ... ჰოფმანი
72. მსახიობი ქართლოს ...
73. ლავრენტი არდაზიანი. „სოლომონ ... მეჯღანუაშვილი“
74. სტადიონი ერევანში
75. კუნძული ჩინეთთან
76. სია
77. თვითნასწავლი მხატვრობა
78. ინდიელების ქოხი
79. უნგრელი კომპოზიტორი
80. მტაცებელი თევზი
81. ყანის ბეგარა
82. სიყვარულის ღმერთი ბიჭუნა
83. მცენარე. ხდიან ტეკილას
84. ხმლის ტარი
85. ქალაქი საფრანგეთში
86. სამიკიტნო იტალიაში
87. მეზღვაურის დამხმარე ბიჭი
88. ინტუიცია
89. მსახ. ... ვარდალოსი
90. სიმძიმე საჰაერო ბურთზე
91. მსახიობი ... ჟირარდო
92. ბრინჯაო
93. დიუმა. „სამი მუშკეტერი“ კარდინალი
94. მდინარე იტალიაში
95. მწერალი ... ჭავჭავაძე
96. თამაში ხის ჯოხებით
97. ხილი
98. მსახ. ... ფიორენტინო
99. ფრანგ მეფეთა რეზიდენცია
100. კომიკოსები პატი და ...
101. ... დაიჭირავს სიკვდილსა
102. ბულგარელი ნათელმხილველი
103. საყოფაცხოვრებო ნარჩენი
104. მეტყველების ორგანო
105. აბელის მკვლელი
106. გოგოლის მოთხრობა
107. შინაური მტაცებ. ცხოველი
108. შხამი. ამზადებენ ინდიელები
109. მსახიობი ... აბაშიძე
110. მსახიობი ვიტორიო ...
111. მსახიობი ... ოტული
112. მთათა სისტემა აშშ-ში
113. ცხენბურთი
114. რეჟისორი ... ღოლობერიძე
115. ორგანული ნივთიერება
116. აბატი ფარიას ციხე
117. ანწლი





პასუხები: 1. ბარსელონა; 2. „ალავერდობა“; 3. ღანძილი; 4. ციოლკოვსკი; 5. „ოქროპირი“; 6. ალოე; 7. კისერი; 8. ევრო; 9. ლეკვი; 10. ავლაბარი; 11. არდადეგები; 12. ელი; 13. აორტიტი; 14. კია; 15. ტრაქეა; 16. იტალია; 17. ნოსტე; 18. ვერდი; 19. ალმოდოვარი; 20. ირისი; 21. დიდი; 22. ბაკურიანი; 23. რაქიტი; 24. ნიკოტინი; 25. ექო; 26. კოალა; 27. მარლი; 28. რეპერტუარი; 29. ნიორი; 30. ტიარა; 31. კოსტა; 32. ღომი; 33. არარატი; 34. ახო; 35. გრიგალი; 36. მონტევიდეო; 37. ძინდი; 38. გომი; 39. ველარ; 40. კიოტო; 41. მარადია; 42. ნოსტრადამუსი; 43. ტოლედო; 44. მეტანია; 45. კლივლენდი; 46. იაპონია; 47. ალაო; 48. ვალი; 49. ლერწამი; 50. სელი; 51. როისი; 52. ეტლი; 53. შაბათი; 54. მინოტავრი; 55. ედ; 56. ავა; 57. რიდე; 58. პიერ; 59. აზია; 60. ბრანდო; 61. დრაიზერი; 62. მონიკა; 63. სიტი; 64. პირამიდა; 65. პანტაგრუელი; 66. ნადი; 67. „ილიადა“; 68. გავა; 69. აარონი; 70. კრატერი; 71. დასტინ; 72. კასრაძე; 73. ისაკიჩ; 74. რაზდანი; 75. ტაივანი; 76. რეესტრი; 77. ნაივი; 78. ვიგვამი; 79. ლისტი; 80. ზვიგენი; 81. ლალა; 82. კუპიდონი; 83. აგავა; 84. ვადა; 85. ნანტი; 86. ტავერნა; 87. იუნგა; 88. ალღო; 89. ნია; 90. ბალასტი; 91. ანი; 92. რვალი; 93. რიშელიე; 94. პო; 95. ილია; 96. კრიკეტი; 97. გარგარი; 98. ლინდა; 99. ვერსალი; 100. პატაშონი; 101. ვერ; 102. ვანგა; 103. ნაგავი; 104. ენა; 105. კაენი; 106. „ვიი“; 107. კატა; 108. კურარე; 109. ლეილა; 110. გასმანი; 111. პიტერ; 112. აპალაჩები; 113. პოლო; 114. ლანა; 115. ანილინი; 116. იფი; 117. ავი. იკითხება: სავარძელი. შირმა. ტორშერი.

facebook



**დემურ გიორხელიძე:**

25-წლიანი პრაქტიკის საფუძველზე ხშირად ვსაუბრობ,

თუ რა უშლის ხელს ქვეყნის განვითარებას!

ეს - მ ა ხ ი ჯ ი სოციალური ინფრასტრუქტურაა!

რა უნდა გავიგოთ სოციალური ინფრასტრუქტურის ქვეშ?!

სოციალური ინფრასტრუქტურა ეს არის -

ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ე ბი

[როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ინსტიტუტები,

ანუ ადათები, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები,

დამახინჯებული ტოტალიტარული სისტემის მიერ

და ჯერაც არადემონტირებული]

და

პ ო ლ ი ტ ი კ ა!

სწორედ სოციალური ინფრასტრუქტურა უბიძგებს

ადამიანს დაკავდეს:

[ა] მწარმოებლური ლეგალური საქმიანობით, თუ

[ბ] არამწარმოებლური საქმიანობით, ანუ

რენტის ძიებით, როცა მისი მოქმედების საფუძველი რენტ-აორიენტირებული საქმიანობა ხდება.

რა ფორმა მიიღო დღეს საქართველოში

სუსტმა სოციალურ ინფრასტრუქტურამ?!

რა გზა გავიარეთ?!

[ა] ცენტრალიზებული დაგეგმვის სტალინისეული სისტემა, რომელშიც საკუთრების უფლებები და ეკონომიკური სტიმულები კერძო საქმიანობისათვის არ არსებობდა, ანდა მინიმალური იყო;

რა მივიღეთ დამოუკიდებლობის 26-წლისთავზე?

[ბ] კ ლ ე პ ტ ო კ რ ა ტ ი ა - წაქცეული ეკონომიკა,

მართული ოლიგარქების ანდა არაინსტიტუციონალური მმართველის მიერ.

ოლიგარქიული მმართველობა პირველ რიგში,

საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფითა და

ძალაუფლების დაცვით არის დაინტერესებული.

რა არ გავიარეთ ამ ასი წლის განმავლობაში?!

დაგვრჩა ანარქიასთან ახლო მდგომი სისტემის გავლა,

როცა საკუთრება და სიცოცხლე უკიდურეს საფრთხეს ექვემდებარებიან და ა. შ.

თუმცა, საკუთრება და სიცოცხლე უზარმაზარი საფრთხის ქვეშ სულ ახლახან იყო, როცა "სახელმწიფო" ადამიანის დასათრგუნავად იქნა გამოყენებული ვიღაც მიამიტები კი ფიქრობდნენ რომ... სახელმწიფო შენდებოდა...

თუ ეს ასე იყო, მაშინ მარტივი კითხვა უნდა დავსვა:

რა არის სახელმწიფო?

რისთვის არის იგი საჭირო?

## მზის ჩასვლის ხედის გადასაღებად კლდეზე ასული ამერიკელი გადავარდა და დაიღუპა



ხშირად გაგვიგია, რომ საყვარელი საქმე მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ ვგონებ, ერთი ფოტოს სანაცვლოდ სულს არავინ გასცემს.

ალბათ, არც 68 წლის მარკ საიმონი ფიქრობდა, რომ უკანასკნელ სურათს იღებდა, როცა სადამკვირვებლო მოედანზე ადიოდა.

მოკლედ, ამერიკის შტატ ნიუ-ჯერსიში, მარკი მეუღლესთან ერთად ისვენებდა. მანქანით სეირნობისას, ცოლი დატოვა და მზის ჩასვლის კადრის გადასაღებად თვითონ მეტად სახიფათო სიმაღლეზე ავიდა.

ალბათ, ბუნების საოცრებით ისე მოიხიბლა, რომ წონასწორობა ვერ დაიცვა და პირდაპირ უფსკრულში გადავარდა.

გარკვეული დროის შემდეგ რომ არ დაბრუნდა, ცოლმა მაშველებს მიმართა, რომლებმაც კლდესა და ქვიან სანაპიროს შორის მარკის გვამი აღმოაჩინეს. ადგილი იმდენად მიუდგომელი და ციცაბო იყო, რომ ზღვის მოქცევას დაელოდნენ, რის შემდეგაც, გარდაცვლილის სხეული ტალღებმა გამორიყა და მაშველებმა ხმელეთზე აიტანეს.

*lenta.ru*

## მარინე გიორგის ასული ფერაძე, ანუ მერობის სამი კანდიდატი და ერთი და იგივე სახელი



ორი მარინე, ორივე გიორგის ასული და ორივე ფერაძე. ქართველმა ფოსტალიონმა ორი ქალი ვერ გაარჩია და ყოჩაღ, რუმინელ ამომრჩეველს სამ ერთნაირ გვარსახელიან კანდიდატს შორის არჩევანი თუ გააკეთა.

საქმე ისაა, რომ რუმინეთის პატარა ქალაქ დრეგუშენში ქალაქის მერის არჩევნები ტარდებოდა. აღმოჩნდა, რომ სამ კანდიდატს ერთი და იგივე სახელი და გვარი ჰქონდა, მაგრამ მაინც ერთმა ვასილე ჩეპოვმა გაიმარჯვა. იკითხავთ, ალბათ, როგორ მიხვდნენ, რომელი ვასილე ჩეპოვი იყოო. ძაღლის თავი კი, აი, სად მარხია: აწ უკვე ქალაქის მერმა თავისი სახელი ასე დაწერა – ვასილ ლიკა ჩეპოი, ანუ ხალხი გაურკვევლობიდან გამოიყვანა და არჩევანის გაკეთებაშიც დაეხმარა.

„ჩემი მეორე სახელიც მივაწერე, ალბათ, სწორედ ეს დამეხმარა გამარჯვებაში", – აღნიშნა დრეგუშენის მერმა.

აღნიშნული კანდიდატები ნათესავები არ ყოფილან, უბრალოდ, რუმინეთში სახელი ვასილე და გვარი ჩეპო ფრიად და მეტისმეტად გავრცელებული ყოფილა, მაგრამ, როგორც ვიხილეთ, გამოსავალი ყოველთვის არსებობს.

*etotupo.ru*

## დედამიწაზე თითქმის არ არსებობს ადგილი, სადაც ადამიანი არ ყოფილა



მიუხედავად იმისა, რომ დედამიწა მაინცდამაინც პატარა პლანეტა არ არის და სულაც სიდიდით მესამეა, ადამიანებს მისი თითქმის სრულად ათვისება მაინც არ გაგვჭირვებია.

ბრიტანელი მეცნიერების მტკიცებით, ადამიანებმა სხვადასხვა დროს საყოფაცხოვრებო თუ სამეცნიერო მიზნებისთვის თითქმის მთელი დედამიწა შემოიარეს.

გამუდმებული სამეცნიერო ექსპერიმენტები და კვლევები განვითარებას იწვევს, რაც თავის მხრივ დედამიწის უცნობი ადგილების რიცხვს ამცირებს.

უახლოეს მომავალში მეცნიერები დაკვირვებას იწყებენ, რომლის შემდეგაც საბოლოოდ გაირკვევა ზუსტი რაოდენობა იმ ადგილებისა, სადაც ადამიანს ჯერ კიდევ არ დაუდგამს ფეხი. კვლევას დაახლოებით 15 წელი დასჭირდება და ვშიშობ, საბოლოოდ, რომ დამთავრდება, უკან მობრუნებისას მეცნიერებს იმ უცნობ ადგილებზე უკვე დასახლებული ადამიანები არ დახვდნენ.

*globalscience.ru*

## რატომ არ შეიძლება მძინარე ადამიანისთვის ფოტოს გადაღება



ალბათ, გაგიგონიათ, რომ არ შეიძლება მძინარე ადამიანისთვის ფოტოს გადაღება. ამ მოსაზრებას დედები ხშირად ეთანხმებიან და არავის აძლევენ უფლებას, თავიანთი შვილები მძინარე მდგომარეობაში გადაიღონ.

გაირკვა რამდენიმე ვერსია, რომელიც ამ აკრძალვას ხსნის. XIX საუკუნეში, როდესაც ფოტოგრაფია ახალი შემოსული იყო, ადამიანები ხშირად უკვეთდნენ თავიანთი მიცვალებულებისთვის ფოტოს გადაღებას (როგორც ერთადერთ მოსაგონარს).

იმისთვის, რომ ცუდი ასოციაციები არ გამოეწვიათ, ახლობლების მძინარე მდგომარეობაში გადაღება არავის უნდოდა. როდესაც ეს ტრადიცია დავიწყებას მიეცა, ნელ-ნელა ფაქტს ცრურწმენა დაემატა.

მათ, ვისაც პარალელური სამყაროს არსებობის სჯერა, ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გააჩნია. მათი მტკიცებით, ძილის დროს სული სხეულს ტოვებს, რომლის დროსაც ადამიანი ბნელი ძალებისგან აბსოლუტურად დაუცველი ხდება.

ჯადოქრებს ასეთი ფოტოსურათის მეშვეობით ძალიან მარტივად შეუძლიათ, ადამიანს ზიანი მიაყენონ.

არ ღირს ეთიკური მხარის დავიწყებაც. ხშირად, ძილის დროს ადამიანი მიმზიდველად არ გამოიყურება. ამიტომ არც ერთ ადამიანს არ მოეწონება თავისი ფოტოს ნახვა მძინარე მდგომარეობაში. გარდა ამისა, ფოტოკამერის ხმამ და განათებამ შეიძლება მძინარე ადამიანი მოულოდნელად გააღვიძოს, რაც მის ელდას გამოიწვევს...

*mshoblebi.ge*

## საფრანგეთში კომპიუტერული პროგრამა შეიმუშავეს, რომელიც მოქალაქეებს ტერორისტული თავდასხმების შესახებ აფრთხილებს




ევროპის საფეხბურთო პირველობის წინა დღეებში საფრანგეთის მთავრობამ სპეციალური პროგრამა შეიმუშავა, რომელიც ადამიანებს შესაძლო ტერორისტული თავდასხმების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის.

მთავრობაში აცხადებენ, რომ ეს პროგრამა პარიზში გასული წლის ნოემბერში მომხდარი ტერაქტების შემდეგ იყო შემუშავებული.

მომხმარებლებს შეუძლიათ, სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში თავდასხმების საფრთხის შესახებ ინფორმაცია მიიღონ. შეტყობინებაში იქნება მოკლე ინფორმაცია მომხდარის შესახებ და რეკომენდაცია, როგორ უნდა იმოქმედოს ადამიანმა, რომ უსაფრთხო ადგილზე დარჩეს. სამშაბათს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკუთარი მოქალაქეები საფრანგეთში ევროპის საფეხბურთო პირველობის დროს შესაძლო ტერაქტების თაობაზე გააფრთხილა.

ანალოგიური განცხადება რამდენიმე დღის წინ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც გაავრცელა. ახალი პროგრამა „ანდროიდისა" და **IOS**-ის პროგრამებზე მობილური და კომპიუტერული საშუალებებისთვის შემუშავდა.

*kvira.ge*

## ინგლისელმა, რომელმაც ესპანეთთან საქართველოს მოგებაზე ფული დადო, 5 ათასი ფუნტი მოიგო



ინგლისელმა ლუკ დევისმა 7 ივნისს საქართველოს ნაკრების ესპანეთთან მოგებაზე 100 ფუნტი სტერლინგი დადო, მაშინ, როცა საქართველოს ნაკრების გამარჯვებაზე საბუკმეკერო კანტორა 50/1-ზე იძლეოდა.

ასე რომ, დევისი საქართველოს ნაკრებმა 5 ათასი ფუნტით გაამდიდრა.

ლუკ დევისს გამარჯვება **SKY BET**-მა „ტვიტერზე" მიულოცა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა მადრიდში ამხანაგურ მატჩში 1:0 დაამარცხა ესპანეთის ნაკრები.

*kvira.ge*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მაიმუნმა საიუველირო მაღაზია გაქურდა



თითქოს, ადამიანების ქურდობა-მამაძაღლობა საკმარისი არ იყო, ახლა ცხოველებიც გაბანდიტდნენ.

სამხრეთ ინდოეთში, ანსდხარა-პრადეშის შტატში ქურდი ადამიანები მაიმუნებმა ჩაანაცვლეს და დიდი წარმატებითაც. თურმე, ერთ მშვენიერ დღეს მაიმუნი საიუვილირო მაღაზიაში შეიჭრა და ხელს 10 ათასი რუპია, დაახლოებით, 150 დოლარიც გააყოლა.

ჯერ მაიმუნი მაღაზიასთან, გარეთ მშვიდად იჯდა, მერე ქარივით შეიჭრა მაღაზიაში და ახლა იქ გადაწყვიტა „დაბირჟავება", თანამშრომლებმა საჭმელი შესთავაზეს, რაზეც უარი მიიღეს. სათვალთვალო კამერებმა ჩაიწერა, როგორ მიუახლოვდა მაიმუნი თანამშრომლებისგან მალულად სალაროს, როგორ ამოიღო ფული და ადგილიდან მიმალვაც ყოველგვარი გართულების გარეშე შეძლო.

პოლიციელები ამბობენ, რომ შესაძლოა, მაიმუნი გაწვრთნილი და სპეციალურად შეგზავნილი იყო. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სანდო აღარავინ და აღარაფერი დარჩა.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ბრიტანელმა მამაკაცმა 24 საათის განმავლობაში მსოფლიოს 12 ქვეყანა მოინახულა




ბრიტანელმა ადამ ლეიტონმა რეკორდი მოხსნა და 24 საათის განმავლობაში მსოფლიოს 12 ქვეყანაში ჩასვლა მოასწრო. წინა რეკორდი – დღე-ღამის განმავლობაში 11 ქვეყანა – 1993 წელს დაფიქსირდა. გავრცელებული ინფორმაციით, ადამი თვითმფრინავით, მატარებლითა და ავტობუსით მგზავრობდა. უკანასკნელი 4 კილომეტრი სირბილით გაიარა, ბოლო საზღვარი კი დედლაინის ამოწურვამდე 7 წუთით ადრე გადაკვეთა.

ლეიტონმა თავისი ტური გერმანიიდან დაიწყო. საფრანგეთში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ნიდერლანდებში, დანიაში, შვედეთში, პოლონეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთში, უნგრეთსა და ავსტრიაში მოახერხა. ახლა 39 წლის ბრიტანელი გინესის რეკორდების წიგნის ოფიციალურ დადასტურებას ელის. აღსანიშნავია, რომ ადამის მოგზაურობის წყალობით, საქველმოქმედო ორგანიზაცია **Sands**-ისთვის სახსრების მოძიება შესაძლებელი გახდა.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## გადაწყვეტილების მისაღებად ტვინი საჭირო არ არის



მეცნიერებმა, ჩვენი აღმოჩენა მთლად ვერდიქტად არ გამოდგება, მაგრამ ურიგო არ იქნება, თუ კვლევის საწყის ეტაპად მივიჩნევთო.

ლოკოკინებზე ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, ტვინი არანაირ როლს არ ასრულებს, ანუ ნაცრისფერ ნივთიერებას არ იყენებს. ამისთვის მხოლოდ ორი სახის ნეირონის ერთობაა საჭირო და გადაწყვეტილებაც მზადაა.

ვინაიდან ლოკოკინისა და ადამიანის აგებულება, გარკვეული ნიშნით, ერთმანეთს ემთხვევა, სავარაუდოდა, რომ დიდი განსჯით არც ადამიანი იტვირთავდეს თავს.

ვნახოთ, როგორი იქნება საბოლოო დასკვნა.

*globalscience.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ქმრის პასუხი მოღალატე ცოლს






„ძვირფასო მეუღლე!

ამ წერილს იმისთვის ვწერ, რომ გითხრა – მივდივარ. 7 წელი მშვენიერი ცოლი ვიყავი, მაგრამ სამაგიეროდ ვერაფერს ვიღებდი. ბოლო წვეთი იყო, როდესაც შენმა უფროსმა დარეკა და თქვა, რომ სამსახურიდან წამოხვედი. წინა კვირას ჩემი ახალი ვარცხნილობა და მანიკიური ვერც კი შეამჩნიე. ისიც კი არ გაინტერესებდა, რომ ვახშმად შენი საყვარელი საჭმელი მოგიმზადე და თან ახალი პენუარი ჩავიცვი. ფეხბურთის ყურება და ძილი – ეს იყო ერთადერთი რამ, რაც იმ საღამოს გააკეთე. აღარ მეუბნები, რომ გიყვარვარ და აღარც მეკარები. ან აღარ გიყვარვარ ან უბრალოდ თვალთმაქცობ, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია!

პ.ს. თუ გაინტერესებს, შენს ძმასთან ერთად დასავლეთ ვირჯინიაში წავედი".

ცოტა ხანში ყოფილ ცოლს ქმრის საპასუხო წერილი მოუვიდა:

„ძვირფასო ცოლო!

შენმა წერილმა ძალიან გამახარა, მართალია, ჩვენ 7 წელი ვცხოვრობდით ერთად, მაგრამ იდეალურ ცოლს მაინც ვერ გიწოდებ. მატჩებს იმიტომ ვუყურებდი, რომ შენი წუწუნისთვის არ მესმინა, მაგრამ ესეც კი არ მშველოდა. რაც შეეხება ვარცხნილობას – შევამჩნიე, მაგრამ არაფერი ვთქვი, რადგან არ გიხდებოდა. დედამ ბავშვობაში მასწავლა, რომ, თუ რაიმე სასიამოვნოს თქმა არ შეგიძლია, უმჯობესია, გაჩუმდეო!

რაც შეეხება ვახშამს,... ალბათ, ჩემს ძმაში შეგეშალე, რადგან უკვე რამდენიმე წელია, რაც ღორის ხორცს არ ვჭამ. შენი ლამაზი თეთრეული დავინახე და მომეწონა კიდეც, მაგრამ მასზე ფასის მოხსნა დაგავიწყდა, 49 დოლარი ეწერა და მისი დანახვისას გამახსენდა, რომ ჩემმა ძმამ რამდენიმე დღის წინ 50 დოლარი მთხოვა. ამიტომ ყველანაირი სურვილი დამეკარგა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, იმედი მქონდა, რომ შევძლებდით გამგზავრებას და ყველაფრის თავიდან დაწყებას. საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ ლატარიაში 10 000 000 დოლარი მოვიგე...

**P.S.** გავეთავისუფლე სამსახურიდან და ჩვენთვის იამაიკისკენ ორი ბილეთი ვიყიდე, მაგრამ ახლა ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. ჩემმა იურისტმა მითხრა, რომ შენი წერილის წყალობით ვერანაირ ფულს ვერ მომთხოვ. კარგად იყავი!

ხო კიდევ, იმედია, ის ფაქტი, რომ ჩემი ძმა კარლი თავიდან კარლად დაიბადა, არ შეგაწუხებს. წარმატებები!"

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## თევზებს ადამიანის სახის დამახსოვრება შეუძლიათ



ოქსფორდისა და კლივლენდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ერთ-ერთი სახეობის თევზს ადამიანის სახეების დამახსოვრება შეუძლია. ადრე მიიჩნეოდა, რომ სახეების გარჩევა მხოლოდ დიდი მოცულობისა და რთული აგებულების ტვინს შეეძლო. მსგავს უნარს ტვინის გარკვეული უბანი სჭირდებოდა, რომელიც ბევრ ცხოველს არ გააჩნია. მეცნიერებმა გადაწყვიტეს, გამოეკვლიათ, რამდენად მართებული იყო ინფორმაცია, რომ მარტივი აგებულების ტვინს მსგავსი ამოცანის გადაჭრა არ შეეძლო.

ექსპერიმენტი ერთ-ერთი სახეობის თევზზე ჩაატარეს, რომელიც ცნობილია ნადირობის მეტად თავისებური მეთოდით – აღნიშნული თევზი წყალს ზემოთ ხტება და ნადავლს პირდაპირ ჰაერიდან ხსნის. მსგავსი მანერა კი, საგნების გარჩევისა და დისტანციის განსაზღვრის უნარს მოითხოვს.

ექსპერიმენტისას თევზებს ეკრანზე ორი ადამიანის სახეს აჩვენებდნენ და სახეების გარჩევას ასწავლიდნენ. თუ თევზი სწორად აირჩევდა სახეს და აკვარიუმიდან ამოხტებოდა, ჯილდოდ საკვებს იღებდა. ამის შემდეგ თევზებს 44 სახის ერთმანეთისგან გარჩევა უნდა შეძლებოდათ, რისთვისაც საკვებს არ აძლევდნენ.

პირველი ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ გამოცნობის სიზუსტე 81 პროცენტი იყო, ხოლო მეორე ექსპერიმენტისას ყველა ფოტოს შავ-თეთრი ფერი დაადეს და ერთნაირი ზომის იყო, გამოცნობის სიზუსტემ კი 86 პროცენტს მიაღწია.

მეცნიერებს იმის ჩვენება უნდოდათ, რომ ისეთი რთული ამოცანის გადასაჭრელად, როგორიც სახეების გარჩევაა, აუცილებელი არ არის, ნეოკორტექსის, ტვინის რთული უბნის ქონა, რომლითაც ადამიანმა განვითარებას მიაღწია.

*globalscience.ru*

Facebook ამბები

facebook



**მერაბ მეტრეველი:**

მინდა ივანიშვილის ერთი მნიშვნელოვანი კითხვა დავუსვა: მან უკვე რამდენჯერმე გაიმეორა, რომ საქართველო არის იშვიათი ქვეყანა, სადაც დემოკრატიის დონე მნიშვნელოვნად უსწრებს ეკონომიკური განვითარების დონეს და ეს ქმნის საშიშროებას, რომ ვიღაცეებმა მოახერხონ და გაჭირვებული ხალხი შეცდომაში შეიყვანონ ანუ კარგი მთავრობა ცუდ მთავრობად წარმოუჩინონ, რადგან ასე მალე გაჭირვების აღმოფხვრას ვერვაინ შეძლებდა. მაინტერესებს რისი თქმა უდნა მას, როცა ამაზე აკეთებს აქცენტს? ანუ თუ ეს არის მისი აზრით პრობლემა, რაში ხედავს გამოსავალს? ეკონომკურ დონეს უცებ ვერ ასწევ, თავადაც ამბობს, რომ ამას 10-15 წელი ჭირდება. ხომ არ არის მისი აზრით ამ „პრობლემიდან" გამოსავალი დმეორკატიის დონის დაკლება, რათა ვიღაცეებმა ხალხი შეცდომაში ვერ შეიყვანონ და კარგი მთავრობა ცუდად არ მოაჩვენონ?

ამ კითხვებზე ნატელი პასუხი მნისვნელოვანია, რადგან თუნდაც მე არ მომეცეს სპკულაციის საშაუალება. თან ძალიან ხსირად იმეორებს, აშაკრაა, რომ ძალიან წუხს.

facebook



**თამარა ჩერგოლეიშვილი:**

მოვრჩი დილის ინტერნეტს - წავალ ახლა, იუსტიციის სახლთან კრიმინალებისთვის აღმართულ ძეგლს მოვრწყავ და გერმანელებს "მოვიკითხავ" 2008 წელს MAP-ის დაბლოკვის გამო.

პ.ს.. ფულესაც გავიხსენებ, უსუფაშვილს რომ ეხვეწებოდა, ძალიან გვინდა რომ უვიზო მიმოსვლა მოგცეთ, უბრალოდ დედაქალაქებს საბაბი არ მისცეთო და პოლიტიკურ დევნას, მედიის შევიწროვებას, არაფორმალურ მართვას და ეკონომიკურ სიდუხჭირეს ახსენებდა.

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას*



ჩვენო ზურა! ერთი წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი 13 ივნისიდან, როცა 38 წლისამ დაასრულე შენი ამქვეყნიური ლამაზი სიცოცხლე. დატოვე შენი გაუბედურებული მშობლები და ახლობლები. ამ სტიქიამ მეტად მძიმე კვალი დაუტოვა შენს ოჯახს: ისე გახვედი ამ ცხოვრებიდან, რომ შთამომავალი არ დაგრჩენია. მაგრამ გყავს შენგან გაღმერთებული დისშვილები, კახა და მარიამი, რომლებისთვისაც შენგან გავლილი გზა მუდამ საამაყო იქნება!

ზურა! შენ საქართველოს საამაყო შვილი ხარ! ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს შენი სპეტაკი სული! ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

*შენი ახლობლები*

ნელი და თამაზ გიორგაძეები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

**ალიკა ინწკირველი**

**დაკრძალვა:** სამშაბათს, 14 ივნისს.
**გამოსვენება:** ქ. ბათუმი, სასტუმრო „ალიკ“-ის შენობიდან.

*გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას*

## ავტომობილის სალონში ჩასადგმელი ყველა საბავშვო სავარძელი სანდო არ ყოფილა



ბრიტანული კვლევითი ცენტრის „ვიჩ“ სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ავტომობილის სალონში ჩასადგამი ყველა საბავშვო სავარძელი სანდო არ ყოფილა და ამ მხრივ ძალიან დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო.

რთული სათქმელია, რამდენად ხშირად იყენებენ ამგვარ სავარძლებს ქართველი მძღოლები, მაგრამ იმ მარტივი მიზეზიდან გამომდინარე, რომ საქმე ბავშვებს ეხება, გადავწყვიტეთ, ყველაზე არასაიმედო სავარძლების მწარმოებელი კომპანიების ვინაობა მაინც გაგვემხილა, რათა უსაფრთხოების ზომების გათვალისწინება დაგვიანებული არ აღმოჩნდეს.

ინგლისელების ინფორმაციით, ყველაზე არასაიმედო სავარძლებს კომპანია „რენოლუქს ნექსტ კონფორტი“ ქმნის, რომლის სალონში დამონტაჟება ძალიან რთულია და არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ არაერთი წუნის გამო, მძღოლმა ის ნორმალურად ვერ გამართოს.

– გარდა იმისა, რომ ქარხნული წუნის გამო რთულია სპეციალისტების გარეშე საბავშვო სავარძლების სალონში დამონტაჟება, ზოგიერთი ავარიის შემთხვევაში მინიმალურ დაცვასაც კი ვერ უზრუნველყოფს, – განმარტავენ ინგლისელები.

გარდა ზემოაღნიშნული კომპანიისა, სპეციალისტებმა დაიწუნეს შემდეგი მწარმოებლებიც: „ბრიტაქს ბეიბი-სეიფ სლიპერ“, „მაქსი კოსი კაბრიოფიქსი“, „მამას ენდ პაპას პრიმო ვიაჯიო“, „კიდიინფინიტი პრო“ და „ბრიტაქს კიდფიქს“.

თუკი ამ კომპანიის ნაწარმთან შეხება გექნებათ, იმედი გვაქვს, სპეციალისტების რჩევას ყურადღებას აუცილებლად მიაქცევთ, რადგან საქმე ხომ თქვენი პატარას უსაფრთხოებას ეხება.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## მოშინაურებულ გრიზლის პაბში სიარული და ბილიარდის თამაში უყვარს



მოსიყვარულე წლინახევრის გრიზლი, სახელად ბილი, კანადელმა მომთვინიერებელმა მაკრ დიუმამ და მისმა მეუღლე დონამ გასულ წელს „იშვილეს“. მას შემდეგ დათვის ბელი წყვილს გვერდიდან აღარ შორდება.

114-კილოგრამიანი დათუჩა ქალაქ ვანკუვერში, კერძო სახლში ცხოვრობს და თურმე, ძალიან უყვარს აუზში ბანაობა, ადგილობრივ პაბში ბილიარდის თამაში და პატრონთან ჭიდაობა. საღამოობით კი ის ტელევიზორის წინ სავარძელში ჯდება და საყვარელ გადაცემებს მთელ ოჯახთან ერთად უყურებს.

– ბილი ძალიან კეთილი და გონიერია და ყველაფერს ძალიან ადვილად სწავლობს, – ამბობს მარკ დიუმა.

მისივე თქმით, დათვის ყველაზე საყვარელი საჭმელი მურაბაა და ხშირად ყოფს ცხვირს ქილაში, როცა პატრონებთან ერთად ტყეში პიკნიკზე მიდის.

*drunov.ru*

## განიერი წელი — დაცვა გულისთვის

რაც უფრო წვრილი წელი აქვს ქალს, მით კმაყოფილი და ბედნიერია ხოლმე, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, იდეალურ მდგომარეობაში ასეთი ადამიანები სულაც არ არიან.

კალიფორნიელი მეცნიერები განიერ წელს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტების დამცველს უწოდებენ, რაც, პრინციპში, ეწინააღმდეგება გავრცელებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, მცირე წონა გულის ჯანმრთელობას განაპირობებს.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ წელის არეში არსებული ცხიმი პაციენტებს გართულებებისგან იცავს.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევა 28 წლის მანძილზე გრძელდებოდა და, საერთო ჯამში, 2718 ადამიანის მდგომარეობის შესწავლა მოხდა, რომლებიც გულ-სისხლძარღვთა უკმარისობას განიცდიდნენ. დიდად ითვლებოდა წელის გარშემოწერილობა: მამაკაცებისთვის 40 დიუმი და მეტი, ხოლო ქალებისთვის – 37 დიუმი და მეტი.

ეს არის 102 და 88 სანტიმეტრი, შესაბამისად. დადგინდა, რომ გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის ფონზე წარმოქმნილი კრიზისის შემდეგ გადარჩენის გაცილებით მაღალი შანსები განიერი წელისა და შთამბეჭდავი წონის მქონე ადამიანებს უფრო ჰქონდათ, ვიდრე სუსტებს.

*tainamira.ru*

## ბავშვისთვის მამის ყურადღება უფრო ფასეულია, ვიდრე დედის?



ეს ინფორმაცია ერთდროულად სასიამოვნოცაა მამაკაცებისთვის და სამწუხაროც. სასიამოვნოა იმდენად, რამდენადაც ქალებში ფართოდ გავრცელებულ პოპულარულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება, რომ შვილებისთვის დედაა მთავარი. სამწუხარო კი იმიტომაა, რომ რაც არ უნდა სექსიზმში დაგვდონ ბრალი, ჩვეულებრივ, მამაკაცი გაცილებით ბევრს მუშაობს, ვიდრე ქალი და შესაბამისად, შვილს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს.

კონექტიკუტის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების მხრივ, მამის ყურადღება და სიყვარული გაცილებით დიდ როლს თამაშობს, ვიდრე დედის. ასევე, მამის უყურადღებობა ბავშვს უფრო მეტად უკლავს გულს და აზარალებს, ვიდრე ეს დედის შემთხვევაში ხდება.

სანამ აღნიშნულ დასკვნას გამოიტანდნენ, ამერიკელმა სპეციალისტებმა ორივე სქესისა და სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების დაახლოებით 10 ათასი ადამიანის მონაცემები შეისწავლეს.

მიზეზად, რატომ აფასებს უფრო მეტად ბავშვი მამის სიყვარულს, სპეციალისტები იმას ასახელებენ, რომ ბევრ კულტურაში მამაკაცის მდგომარეობა გაცილებით პრესტიჟულია – ითვლება ოჯახის უფროსად, აქვს უფრო დიდი ავტორიტეტი, ვიდრე ქალს. ამდენად, ბავშვი მამის ყურადღებას აღიქვამს, როგორც მის აღიარებასა და დაფასებას.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*dr20.ru*

## რაზე არ უნდა ესაუბროთ მამაკაცს, ჩხუბი რომ არ მოგივიდეთ?



ფრანგი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ არსებობს 10 თემა, რომლებზე საუბარიც ოჯახში, ფაქტობრივად, ყოველთვის ჩხუბით და გამიშვი-გაგიშვით სრულდება.

აგერ, ბატონო, ის თემები, რომლებთან დაკავშირებითაც სჯობს, მშვენიერმა სქესმა სიფრთხილე გამოიჩინოს:

– რელიგია;
– პოლიტიკური შეხედულებები;
– ოჯახის შემოსავალი;
– მშობლები;
– ავადმყოფობები;
– ბავშვები;
– პირადი ცხოვრება;
– ეროვნება;
– ასაკი;
– სექსუალური ორიენტაცია და შესაძლებლობები.

*aif.ru*

## მოახლეს 4 მილიონი დოლარი უანდერძა



სინგაპურელმა ექიმმა თავის მოახლეს, 47 წლის ფილიპინელს 6 მილიონი სინგაპურული დოლარი, 4 მილიონ აშშ დოლარზე მეტი უანდერძა.

იქაურმა მედიამ გაარკვია, რომ მოახლე ექიმთან უკვე 20 წელი მუშაობდა და სამშობლოში დატოვებულ ოჯახს ასე ეხმარებოდა. მოახლე იმასაც ამბობს, რომ პატრონთან ისეთი ურთიერთობა ჰქონდა, მათ შორის დამალული არაფერი ყოფილა.

– როცა მან მითხრა, რომ ასეთ დიდ მემკვიდრეობას მიტოვებდა, არც გამკვირვებია, – აღიარებს ფილიპინელი მოახლე.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, სინგაპურში დაახლოებით 200 ათასი მოახლე მუშაობს, რომლებიც იქ ფილიპინებიდან და ინდონეზიიდან ჩადიან. მათი საშუალო ხელფასი თვეში 700 აშშ დოლარია.

*newsland.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*


**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80
(შიდა ნომერი 110)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

Facebook - ამბები – ლაურა აბრამია
574 41-16-95

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



ISSN 2346-8424

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.03